

სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე

2022, №4

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)

2022, №4

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)

2022, №4

Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)

2022, №4

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი
ქეთევან შენგელია

ტექნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75;
www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების
დეპარტამენტის მხარდაჭერით

საძიებელი

1. გარიგებანი

ნების გამოვლენის განმარტება	4; 18
იძულებით დადებული გარიგებანი	50; 80
აუცილებელი თანხმობის გარეშე დადებული გარიგება	103

2. ხანდაზმულობა

ხანდაზმულობის ვადის დაწყება	119
ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა	130
ვალდებული პირის უფლება ხანდაზმულობის ვადის გასვლისას	142

1. გარიგებანი

ნების გამოვლენის განმარტება

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1203-1163-2016

31 ოქტომბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაქუჩი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2014 წლის 17 იანვარს სს „სადაზღვევო კომპანია უ-სა“ (შპს სადაზღვევო კომპანია „უ-ის“ უფლებამონაცვლე) (შემდგომში – „მოსარჩელე“, „ბენეფიციარი“, „კასატორი“ ან „საკასაციო საჩივრის ავტორი“) და სს „ე.მ-ია ა.ტ.ე.ე.ე.“-ს საქართველოს ფილიალს (შემდგომში – „პირველი მოპასუხე“ ან „პრინციპალი“) შორის გაფორმდა საბანკო გარანტიის ხელშეკრულება №015967, რომლის თანახმად, მოსარჩელის მიერ გაცემული საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილ იქნა პირველი მოპასუხის მიერ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის (შემდგომში – „საავტომობილო გზების დეპარტამენტი“) წინაშე 2013 წლის 24 დეკემბრის წერილის/ოქმის №2-08/7167 საფუძველზე დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. საბანკო გარანტიის თანხა განისაზღვრა 25200 ლარით. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ იქნა საბანკო გარანტიის გაცემისათვის საზღაური 807.78 ლარის ოდენობით, რომელიც პირველ მოპასუხეს უნდა გადაეხადა არაუგვიანეს 2014 წლის 21 იანვრისა, ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების გზით;

2. 2014 წლის 17 იანვარს პირველ მოპასუხესა და სს „ა. დ-ას“ (შპს „სადაზღვევო კომპანია ა. ჯ-ის“ უფლებამონაცვლე) (შემდგომში – „მეორე მოპასუხე“ ან „გარანტი“) შორის გაფორმდა ფინანსური რისკის დაზღვევის შესახებ ხელშეკრულება №FRI/14-040033 და გაიცა ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია, რომლითაც უზრუნველყოფილ იქნა მოსარჩელესა და პირველ მოპასუხეს

შორის გაფორმებული №015967 ხელშეკრულებით შესასრულებელი ვალდებულება. საგარანტიო თანხა განისაზღვრა 25200 ლარით. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ იქნა საბანკო გარანტიის გაცემისათვის პრემია 1512 ლარი;

3. 2014 წლის 17 იანვარს მოსარჩელესა და პირველ მოპასუხეს შორის გაფორმდა საბანკო გარანტიის ხელშეკრულება №015968, რომლის თანახმად, მოსარჩელემ გასცა საბანკო გარანტია, რომლითაც უზრუნველყოფილ იქნა პირველი მოპასუხის მიერ საავტომობილო გზების დეპარტამენტის წინაშე 2013 წლის 24 დეკემბრის ნერილის/ოქმის №2-08/7610 საფუძველზე დადებული ხელშეკრულების თანახმად ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. საბანკო გარანტიის თანხა განისაზღვრა 74250 ლარით. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ იქნა საბანკო გარანტიის გაცემისათვის საზღაური 3124.60 ლარის ოდენობით, რომელიც პირველ მოპასუხეს უნდა გადაეხადა არაუგვიანეს 2014 წლის 21 იანვრისა, ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების გზით;

4. 2014 წლის 17 იანვარს პირველ მოპასუხესა და მეორე მოპასუხეს შორის გაფორმდა ფინანსური რისკის დაზღვევის შესახებ ხელშეკრულება №FRI/14-040032 და გაიცა ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია, რომლითაც უზრუნველყოფილ იქნა მოსარჩელესა და პირველ მოპასუხეს შორის გაფორმებული №015968 ხელშეკრულებით შესასრულებელი ვალდებულება. საგარანტიო თანხა განისაზღვრა 74250 ლარით. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ იქნა საბანკო გარანტიის გაცემისათვის პრემია 4455 ლარი;

5. 2014 წლის 17 იანვარს მოსარჩელესა და პირველ მოპასუხეს შორის გაფორმდა საბანკო გარანტიის ხელშეკრულება №015969, რომლის თანახმად, მოსარჩელემ გასცა საბანკო გარანტია, რომლითაც უზრუნველყოფილ იქნა პირველი მოპასუხის მიერ საავტომობილო გზების დეპარტამენტის წინაშე 2013 წლის 24 დეკემბრის ნერილის/ოქმის №2-08/95 საფუძველზე დადებული ხელშეკრულების თანახმად ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. საბანკო გარანტიის თანხა განისაზღვრა 120 000 ლარით. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ იქნა საბანკო გარანტიის გაცემისათვის საზღაური 6864.66 ლარის ოდენობით, რომელიც პირველ მოპასუხეს უნდა გადაეხადა არაუგვიანეს 2014 წლის 21 იანვრისა, ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების გზით;

6. 2014 წლის 17 იანვარს პირველ მოპასუხესა და მეორე მოპასუხეს შორის გაფორმდა ფინანსური რისკის დაზღვევის შესახებ ხელშეკრულება №FRI/14-040031 და გაიცა ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია, რომლითაც უზრუნველყოფილ იქნა მოსარჩელესა და პირველ მოპასუხეს შორის გაფორმებული №015969

ხელშეკრულებით შესასრულებელი ვალდებულება. საგარანტიო თანხა განისაზღვრა 120 000 ლარით. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ იქნა საბანკო გარანტიის გაცემისათვის პრემია 7200 ლარი;

7. 2014 წლის 17 იანვარს მოსარჩელესა და პირველ მოპასუხეს შორის გაფორმდა საბანკო გარანტიის ხელშეკრულება №015970, რომლის თანახმად, მოსარჩელემ გასცა საბანკო გარანტია, რომლითაც უზრუნველყოფილ იქნა პირველი მოპასუხის მიერ საავტომობილო გზების დეპარტამენტის წინაშე 2013 წლის 24 დეკემბრის ნერილის/ოქმის №2-08/7614 საფუძველზე დადებული ხელშეკრულების თანახმად ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. საბანკო გარანტიის თანხა განისაზღვრა 165000 ლარით. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ იქნა საბანკო გარანტიის გაცემისათვის საზღაური 8598.08 ლარის ოდენობით, რომელიც პირველ მოპასუხეს უნდა გადაეხადა არაუგვიანეს 2014 წლის 21 იანვრისა, ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების გზით;

8. 2014 წლის 17 იანვარს პირველ მოპასუხესა და მეორე მოპასუხეს შორის გაფორმდა ფინანსური რისკის დაზღვევის შესახებ ხელშეკრულება №FRI/14-040030 და გაიცა ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია, რომლითაც უზრუნველყოფილ იქნა მოსარჩელესა და პირველ მოპასუხეს შორის გაფორმებული №015970 ხელშეკრულებით შესასრულებელი ვალდებულება. საგარანტიო თანხა განისაზღვრა 165 000 ლარით. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ იქნა საბანკო გარანტიის გაცემისათვის პრემია 9900 ლარი;

9. მოსარჩელის მიერ 2014 წლის 17 იანვარს გაცემული №015967, №015968, №015969 და №015970 საბანკო გარანტიის ხელშეკრულებების გაცემისათვის გადასახდელმა საზღაურმა შეადგინა 19395.12 ლარი.

10. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში პირველი მოპასუხისა და მეორე მოპასუხის მიმართ და მოითხოვა მოპასუხეებისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ 19395.12 ლარის გადახდის დაკისრება.

11. მოსარჩელის განმარტებით, 2014 წლის 17 იანვარს გაფორმებული №015967, №015968, №015969 და №015970 ხელშეკრულებების 1.3. პუნქტების თანახმად, საბანკო გარანტიის გაცემისათვის საზღაური (პრემიის თანხა) პირველ მოპასუხეს უნდა დაეფარა არაუგვიანეს 2014 წლის 21 იანვრისა, რაც მას არ შეუხრულებია. პირველი მოპასუხის მიერ საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის/ნაწილობრივ შეუხრულებლობის გამო (საბანკო გარანტიის გაცემისათ-

ვის საზღაურის „პრემიის“ გადაუხდელობის გამო) მეორე მოპასუხე ვალდებული იყო დაეფარა ზემოაღნიშნული თანხა, საერთო ჯამში, 19395.12 ლარი.

12. პირველმა მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ:

12.1. სამოქალაქო კოდექსის 464-ე, 463-ე, 879-ე, 881-ე და 890-ე მუხლები სამართლებრივად გამორიცხავს პრინციპალისა და გარანტის თანამოპასუხეობას მოცემულ საქმეში;

12.2. მოსარჩელეს უნდა აერჩია: გამოიყენებდა ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად მიღებულ საბანკო გარანტიას და იდავებდა გარანტთან თუ ვალდებულების შესრულებას მოითხოვდა მოვალისგან (პირველი მოპასუხისგან). მოსარჩელემ ძირითადი მოვალის ვალდებულების შესრულება მის ნაცვლად მოსთხოვა მეორე მოპასუხეს, რაც გამორიცხავს მოსარჩელის მოთხოვნას პირველი მოპასუხის მიმართ, რადგან სარჩელის დაკმაყოფილება გამოიწვევს მოსარჩელის უსაფუძვლოდ გამდიდრებას ან გარანტი დაკარგავს რეგრესული მოთხოვნის უფლებას.

13. მეორე მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ:

13.1. მეორე მოპასუხემ 2014 წლის 17 იანვარს გაცემული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის უპირობო საბანკო გარანტიებით იკისრა ვალდებულება აენაზღაურებინა, მოსარჩელის წინაშე პირველი მოპასუხის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ძირითადი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა, მაგრამ არა უმეტეს გარანტიის თანხისა;

13.2. არცერთი საბანკო გარანტია არ მოიცავს დათქმას იმასთან დაკავშირებით, რომ მეორე მოპასუხემ იკისრა ვალდებულება მოსარჩელის წინაშე პირველი მოპასუხის სასარგებლოდ დებიტორული დავალიანების (სადაზღვევო პრემიის) დაფარვის შესახებ;

13.3. დებიტორული დავალიანების (სადაზღვევო პრემიის) გადახდა წარმოადგენს დამზღვევესა და მზღვეველს შორის არსებულ პირადი ხასიათის ურთიერთობას და სადაზღვევო კომპანიამ თვითონ უნდა მოახერხოს საპრემიო დავალიანების ამოღება.

14. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა და მოპასუხეებს მოსარჩელის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 19395.12 ლარის გადახდა.

15. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოპასუხეებმა.

16. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 25 ივნისის განჩინებით პირველი მოპასუ-

ხის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი დაუშვებლობის გამო.

17. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 26 აპრილის განჩინებით შპს „სადაზღვევო კომპანია უ-ის“ უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა სს „სადაზღვევო კომპანია უ-ი“, ხოლო შპს „სადაზღვევო კომპანია ა. ჯ-ის“ უფლებამონაცვლედ – სს „ა. დ-ა“.

18. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მეორე მოპასუხის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილება მეორე მოპასუხის მიმართ სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; სარჩელი მეორე მოპასუხის მიმართ არ დაკმაყოფილდა.

19. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა წინამდებარე განჩინების 1-9 პუნქტებში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებზე, იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 52-ე და 338-ე მუხლებით და 2014 წლის 17 იანვარს პირველ მოპასუხესა და მეორე მოპასუხეს შორის გაფორმებული ფინანსური რისკის დაზღვევის შესახებ ხელშეკრულებების და მათ საფუძველზე გაცემული ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტიის პირობების ერთიანობაში გამოკვლევისა და შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ პირველ მოპასუხესთან გაფორმებული ხელშეკრულებები ითვალისწინებდა მხოლოდ პრინციპალის მიერ რეგრესული დავალიანების წარმოშობის შემთხვევაში გარანტიის მოთხოვნის უზრუნველყოფას. აღნიშნული დასკვნის საფუძველს ამყარებდა ის გარემოება, რომ მეორე მოპასუხის მიერ გაცემული საბანკო გარანტიებით თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნა სწორედ ის თანხები, რაც წარმოადგენდა 2014 წლის 17 იანვარს მოსარჩელის მიერ გაცემულ საბანკო გარანტიებში მოცემული საგარანტიო თანხების ოდენობას. ამ თვალსაზრისით, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ გარიგებაში გამოვლენილი ნების განმარტების საყოველთაოდ აღიარებული პრინციპი – ნების გამოვლენის განმარტებისას გონივრული განსჯის კრიტერიუმით და არა მართოდ გარიგების ტექსტით ხელმძღვანელობა, ადგენს ქცევის იმგვარ წესს, რომლის თანახმად, გარიგების განმარტებისას მთლიანობაში უნდა იქნეს შესწავლილი გარიგების შინაარსი მასში გამოვლენილი მიზნის (ნების) დასადგენად.

20. ნების განმარტების მიზნებისათვის, სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა პირველ მოპასუხესა და მეორე მოპასუ-

ხეს შორის გაფორმებული ფინანსური რისკის დაზღვევის შესახებ ხელშეკრულებების 1.1 პუნქტზე, რომლის თანახმად, მზღვეველი/გარანტი (მეორე მოპასუხე) დამზღვევის/პრინციპალის (პირველი მოპასუხე) მიერ პრემიის გადახდის სანაცვლოდ კისრულობს ვალდებულებას, გადაუხადოს მოსარგებლეს/ბენეფიციარს (მოსარჩელე) ფულადი თანხა არა უმეტეს საბანკო საგარანტიო თანხისა, გარანტიის მოქმედების პერიოდში გადახდის შესახებ მოსარგებლის მოთხოვნის წარდგენის საფუძველზე იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევი სათანადოდ ვერ ასრულებს მოსარგებლის წინაშე ნაკისრ ძირითად ვალდებულებას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ არაგონივრულად მიიჩნია საბანკო გარანტიის პირობების იმგვარი განმარტება, რომ საბანკო გარანტიით ასევე უზრუნველყოფილი იყო საბანკო გარანტიების გაცემისათვის დაწესებული ერთჯერადი საზღაური, რომლის გადახდაც პირველ მოპასუხეს მოსარჩელესთან გაფორმებული 2014 წლის 17 იანვრის ხელშეკრულების 1.3 პუნქტის შესაბამისად, ეკისრებოდა არაუგვიანეს 2014 წლის 21 იანვრისა. ამდენად, სააპელაციო პალატამ არაგონივრულად მიიჩნია საზღაურის გადაუხდელობის (რომლის გადახდის ვალდებულებაც ხელშემკვერელ მხარეს გააჩნდა ხელშეკრულების გაფორმებიდან 4 დღის ვადაში) დაკავშირება იმ ძირითადი ვალდებულების დარღვევასთან, რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაც მეორე მოპასუხემ გასცა საბანკო გარანტიები.

21. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ 2014 წლის 17 იანვარს გაცემული საბანკო გარანტიის ხელშეკრულებებისათვის გადასახდელი ერთჯერადი საზღაურის თანხა, ჯამში 19395.12 ლარის ოდენობით, არ წარმოადგენდა მეორე მოპასუხის მიერ გაცემული საბანკო გარანტიებით უზრუნველყოფილ თანხას და, ამდენად, ამ უკანასკნელს, როგორც გარანტს, არ ეკისრებოდა აღნიშნული თანხის გადახდის ვალდებულება.

22. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მოსარჩელემ შეიტანა საკასაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმება.

23. კასატორმა საკასაციო საჩივარში მიუთითა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ საფუძვლებზე:

23.1. არასწორია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ მოსარჩელის მიერ 2014 წლის 17 იანვარს გაცემული საბანკო გარანტიის ხელშეკრულებებისთვის გადასახდელი ერთჯერადი საზღა-

ურის თანხა, ჯამში 19395.12 ლარის ოდენობით, არ წარმოადგენდა მეორე მოპასუხის მიერ გაცემული საბანკო გარანტიებით უზრუნველყოფილ თანხას. საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის (საქმე №ას-1353-1277-2012, 2013 წლის 1 ივლისი; საქმე №ას-781-996-08, 2009 წლის 17 მარტი) თანახმად, გარანტის სამსახური იმაში გამოიხატება, რომ გარანტიით გათვალისწინებული თანხა ბენეფიციარს გადაუხადოს პრინციპალის მიერ სწორედ ვალდებულების შეუსრულებლობისას;

23.2. 2014 წლის 17 იანვარს გაცემულ საბანკო გარანტიებში მეორე მოპასუხე არ უთითებს, თუ კონკრეტულად რომელი პირობის დარღვევის შემთხვევაში წარმოემობოდა მას ანაზღაურების ვალდებულება და აღნიშნავს მხოლოდ იმას, რომ იგი კისრულობს ვალდებულებას აუნაზღაუროს ბენეფიციარს მოთხოვნილი თანხა ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში. მოსარჩელემ სწორედ იმიტომ მიიღო მეორე მოპასუხის მიერ გაცემული გარანტია, რომ მასში მითითებული იყო ანაზღაურების ვალდებულება ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში. მოსარჩელე ვერც ივარაუდებდა, რომ „პირობებში“ იგულისხმებოდა ერთი რომელიმე პირობა და არა მთლიანად – ხელშეკრულების პირობები. შესაბამისად, წინამდებარე შემთხვევაში, ნების მიმღებისთვის მითითება – „ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე“ წარმოშობს უფლებას პირველი მოპასუხის (პრინციპალის) მიერ ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის დარღვევის შემთხვევაში, საგარანტიო თანხის ფარგლებში, მოთხოვნა ნაუყენოს გარანტს;

23.3. გარანტის პასუხისმგებლობა ბენეფიციარის წინაშე საბანკო გარანტიებში მითითებული მაქსიმალური თანხებით შემოიფარგლებოდა, რაც არ გულისხმობს პირველი მოპასუხის მიერ მხოლოდ საავტომობილო გზების დეპარტამენტის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში თანხის ანაზღაურებას, არამედ მოიაზრებს პრინციპალის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში თანხის ანაზღაურების მაქსიმალურ ლიმიტს;

23.4. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლი. იგი დაეყრდნო მხოლოდ პირველ მოპასუხესა და მეორე მოპასუხეს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას და არ გაითვალისწინა მეორე მოპასუხის მიერ 2014 წლის 17 იანვარს გაცემული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის უპირობო საბანკო გარანტიებით გამოვლენილი ნება. მეორე მოპასუხის მიერ მოსარჩელის წინაშე გამოვლენილი ნება და ნაკისრი ვალდებულებების მოცულობა დგინდება მის მიერ გაცემული საბანკო გარანტიებით და არა – გარანტსა და პრინციპალს შორის

გაფორმებული ხელშეკრულებით, რომლის შინაარსი ბენეფიციარისთვის უცნობია კონფიდენციალურობის პრინციპიდან გამომდინარე. პრინციპალსა და გარანტს შორის დადებული ხელშეკრულება არეგულირებს ურთიერთობებს მხოლოდ მათ შორის და არ აისახება ბენეფიციარის მიმართ გარანტის მიერ ნაკისრ ვალდებულებებზე;

23.5. საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ასანაზღაურებელი თანხის ბუნების გასარკვევად, თუნდაც სსკ-ის 52-ე მუხლის საფუძველზე დასადგენი რეალური ნების განსამარტად ანალოგიის სახით შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბრის №1767 ბრძანება „გარანტიის წარდგენისა და გამოყენების, მისი წარდგენისაგან გათავისუფლების შემთხვევების და საგარანტიო თანხის განსაზღვრის წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“, რომლის თანახმად, გარანტი იღებს ვალდებულებას გადაიხადოს ვალდებულების დარღვევისათვის თანხა, მაგრამ იმ საგარანტიო თანხის ფარგლებში, რაზეც გაცემულია გარანტია. მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხა არც ერთი საბანკო გარანტიიდან გამომდინარე არ აღემატება მეორე მოპასუხის მიერ გაცემული საბანკო გარანტიის მაქსიმალურ ოდენობას;

23.6. სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა მტკიცებულებები, როდესაც მეორე მოპასუხის მიერ მოსარჩელის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შინაარსი დაუკავშირა პირველ მოპასუხესა და მეორე მოპასუხეს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შინაარსს;

23.7. მოსარჩელესა და პირველ მოპასუხეს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების 1.7 პუნქტში [წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პრინციპალის ვალდებულებები გარანტის წინაშე უზრუნველყოფილია შპს „სადაზღვევო კომპანია „ა-ის“ მიერ გაცემული გარანტიით] ცნება „ვალდებულება“ მოიცავდა საზღაურის გადახდის ვალდებულებასაც, მით უმეტეს, რომ ერთადერთი რეალური ვალდებულება, რაც პრინციპალს გააჩნდა მოსარჩელის წინაშე, იყო საზღაურის დროული გადახდა;

23.8. ხელშეკრულებების 2.2.5. პუნქტის თანახმად, გარანტი უფლებამოსილია პრინციპალის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების (საზღაურის/საგარანტიო თანხის გადახდა) შეუსრულებლობის შემთხვევაში, დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნები უზრუნველყოფის საგნების ხარჯზე. მოცემულ შემთხვევაში სხვა უზრუნველყოფის საშუალება, გარდა საბანკო გარანტიისა, გამოყენებული არც ყოფილა.

24. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-

თა პალატის 2016 წლის 30 დეკემბრის განჩინებით მოსარჩელის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამოწმებლად.

25. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 23 ოქტომბრის განჩინებით მოსარჩელის საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

26. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, საქმის მასალები, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთება და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

27. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

28. საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში [სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილი]. საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები [სსსკ-ის 407-ე მუხლის პირველი ნაწილი]. სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) [სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილი].

29. კასატორს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ და წინამდებარე განჩინების 1-9 პუნქტებში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ წარმოუდგენია საკასაციო პრეტენზია, შესაბამისად, აღნიშნული ფაქტები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსთვის.

30. მხარეთა შორის სადავო საკითხი იმის თაობაზე, რამდენად წარმოადგენს მოსარჩელის მიერ საბანკო გარანტიების გაცემის-

თვის გადასახდელი საზღაურის თანხა მეორე მოპასუხის მიერ გაცემული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის უპირობო საბანკო გარანტიებით უზრუნველყოფილ თანხას.

31. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 879-ე მუხლის თანახმად, საბანკო გარანტიის ძალით ბანკი, სხვა საკრედიტო დაწესებულება ან სადაზღვევო ორგანიზაცია (გარანტი) სხვა პირის (პრინციპალის) თხოვნით კისრულობს წერილობით ვალდებულებას, რომ ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად გადაუხდის პრინციპალის კრედიტორს (ბენეფიციარს) ფულად თანხას გადახდის შესახებ ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

32. ბენეფიციარისათვის საბანკო გარანტიით გათვალისწინებული ფულადი თანხის გადახდა განისაზღვრება საბანკო გარანტიის პირობებით [სსკ-ის 887-ე მუხლის პირველი ნაწილი: გარანტმა უარი უნდა უთხრას ბენეფიციარს მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, თუ ეს მოთხოვნა ან თანდართული დოკუმენტები არ შეესაბამება გარანტიის პირობებს]. საბანკო გარანტიის ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს შეთანხმება გადასახდელი თანხის ოდენობასთან მიმართებით [სსკ-ის 888-ე მუხლი: საბანკო გარანტიით გათვალისწინებული გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის მიმართ შემოიფარგლება იმ თანხის გადახდით, რომელზედაც გაიცა გარანტია]. გარანტიის პირობას შეიძლება წარმოადგენდეს, თუ რომელი ვალდებულების შესასრულებლად იქნა გაცემული საბანკო გარანტია [სსკ-ის 880.1 მუხლი: საბანკო გარანტია უზრუნველყოფს პრინციპალის მიერ ბენეფიციარის მიმართ თავისი მოვალეობის სათანადო შესრულებას].

33. განსახილველ შემთხვევაში სახეზე გვაქვს ორი სადაზღვევო კომპანიის – მოსარჩელისა (ბენეფიციარი – საავტომობილო გზების დეპარტამენტი, გარანტი – მოსარჩელე, პრინციპალი – პირველი მოპასუხე) და მეორე მოპასუხის (ბენეფიციარი – მოსარჩელე, გარანტი – მეორე მოპასუხე, პრინციპალი – პირველი მოპასუხე) მიერ გაცემული საბანკო გარანტიები.

34. მოსარჩელის საბანკო გარანტიები №015967, №015968, №015969, №015970 (ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის უპირობო საბანკო გარანტია) უზრუნველყოფს საავტომობილო გზების დეპარტამენტის წინაშე პრინციპალის (პირველი მოპასუხის) მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, ხოლო მეორე მოპასუხის საბანკო გარანტიები №FRI/14-040030, №FRI/14-040031, №FRI/14-040032, №FRI/14-040033 (ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის უპირობო საბანკო გარანტია) უზრუნველყოფს მოსარჩელესა და პრინციპალს შორის გაფორმებული №015967, №015968, №015969, №015970 საბანკო გარანტიის ხელ-

შეკრულებების შესაბამისად, პრინციპალის ნაკისრ ვალდებულებას. სწორედ ამ უკანასკნელი საბანკო გარანტიის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ითხოვს მოსარჩელე (ბენეფიციარი) მეორე მოპასუხისგან (გარანტი) პირველი მოპასუხის (პრინციპალის) მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებას, კერძოდ, მოსარჩელის მიერ №015967, №015968, №015969, №015970 საბანკო გარანტიების გაცემისათვის საზღაურის ანაზღაურებას.

35. საკასაციო სასამართლოს ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ მოსარჩელისა და მეორე მოპასუხის მიერ გაცემული საბანკო გარანტიებით უზრუნველყოფილი თანხების ოდენობები ყოველი კონკრეტული საბანკო გარანტიის შემთხვევაში ერთმანეთის იდენტურია.

36. მოსარჩელის №015967 საბანკო გარანტია გაცემულია 25200 ლარზე, №015968 საბანკო გარანტია – 74250 ლარზე, №015969 საბანკო გარანტია – 120 000 ლარზე და №015970 საბანკო გარანტია – 165 000 ლარზე.

37. მოპასუხის №FRI/14-040033 საბანკო გარანტია გაცემულია №015967 საბანკო გარანტიის ხელშეკრულების შესაბამისად – 25200 ლარზე, №FRI/14-040032 საბანკო გარანტიის შემთხვევაში – №015968 საბანკო გარანტიის ხელშეკრულების შესაბამისად 74250 ლარზე, №FRI/14-040031 საბანკო გარანტიის შემთხვევაში – №015969 საბანკო გარანტიის ხელშეკრულების შესაბამისად 120000 ლარზე და №FRI/14-040030 საბანკო გარანტიის შემთხვევაში – №015970 საბანკო გარანტიის ხელშეკრულების შესაბამისად 165000 ლარზე.

38. ამდენად, მოსარჩელისა და მეორე მოპასუხის მიერ გაცემული საბანკო გარანტიების შესწავლის შედეგად, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მითითებას, რომ მეორე მოპასუხის მიერ გაცემული №FRI/14-040030, №FRI/14-040031, №FRI/14-040032 და №FRI/14-040033 საბანკო გარანტიებით თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში უზრუნველყოფილ იქნა მოსარჩელის მიერ გაცემულ №015967, №015968, №015969 და №015970 საბანკო გარანტიებში მითითებული საგარანტიო თანხები. აღნიშნულს ამყარებს ასევე მეორე მოპასუხის მიერ გაცემულ საბანკო გარანტიებში არსებული ჩანაწერი: „მხედველობაში ვიღებთ რა, რომ ის „ე.მ-ია ა.ტ.ე.ე.“-ს ფილიალი საქართველოში ს/კ ... (შემდეგ – „პრინციპალი“) და თქვენს შორის გაფორმებული საბანკო გარანტიის №015967 (№015968, №015969 და №015970) ხელშეკრულების შესაბამისად, პრინციპალმა იკისრა ვალდებულება თქვენს წინაშე მითითებულ თანხაზე, ჩვენ თანახმა ვართ, გავცეთ მიმწოდებლის სახელზე ზემოთ აღნიშნული გარანტია“. ამდენად, თავად საბანკო გარანტიე-

ბის ტექსტებიდან ირკვევა, რომ მეორე მოპასუხის მიერ გაცემული საბანკო გარანტიები უზრუნველყოფდა მოსარჩელის მოთხოვნას პრინციპალის მიერ რეგრესული დავალიანების წარმოშობის შემთხვევაში.

39. აღნიშნულს ვერ აქარწყლებს მოსარჩელის პრეტენზია, რომ მეორე მოპასუხის მიერ გაცემულ №FRI/14-040033, №FRI/14-040032, №FRI/14-040031, №FRI/14-040030 საბანკო გარანტიებში მითითებულ „ხელშეკრულების პირობების დარღვევაში“ იგულისხმება მთლიანად ხელშეკრულების პირობები [მეორე მოპასუხის მიერ გაცემული №FRI/14-040033, №FRI/14-040032, №FRI/14-040031, №FRI/14-040030 საბანკო გარანტიების პირველ პუნქტებში მითითებულია შემდეგი: გარანტი პასუხისმგებელია თქვენს წინაშე პრინციპალის სახელით საერთო თანხაზე 25200 ლარზე (74250 ლარზე, 120000 ლარზე, 165000 ლარზე) და უპირობოდ ვკისრულობთ ზემოაღნიშნული თანხის გადახდას პრინციპალის მიერ ზემოაღნიშნული ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში თქვენი მხრიდან მოთხოვნის ან მოთხოვნილი თანხის დასაბუთების საჭიროების გარეშე. კასატორის მოსაზრებით, ნების მიმღებისთვის მითითება – „ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე“ წარმოშობს უფლებას პირველი მოპასუხის (პრინციპალის) მიერ ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის დარღვევის შემთხვევაში, საგარანტიო თანხის ფარგლებში, მოთხოვნა ნაუყენოს გარანტს.

40. სსკ-ის 52-ე მუხლის თანახმად, ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად, და არა მარტოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან.

41. ყველა იმ გარიგებაში, რომლებშიც ნების გამოვლენის ნამდვილობა დამოკიდებულია მეორე მხარის მიერ ამ ნების მიღებაზე, არცთუ იშვიათად იბადება კითხვა, სწორად გაიგო თუ არა მეორე მხარემ ის, რისი თქმაც ნების გამომვლენ პირს სურდა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ გარიგებათა აბსოლუტურ უმრავლესობაში ორი მხარე – ნების გამომვლენი და ნების მიმღები – მონაწილეობს, აშკარა გახდება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გამოვლენილი ნების სწორად გაგებას მეორე მხარის მიერ. მრავალი გარემოებით შეიძლება იყოს გამონვეული, რომ ის, რაც იგულისხმა ნების გამომვლენმა, სხვაგვარად გაიგო მისმა მიმღებმა. აქედან წარმოიშობა გამოვლენილ ნებათა კონფლიქტი, რომელიც საჭიროებს სწორად გადაწყვეტას. ამ კონფლიქტის გადაწყვეტის სამართლებრივ საშუალებას წარმოადგენს ნების გამოვლენის განმარტება (იხ. სუსგ №ას-1144-1090-2014, 23 თებერვალი, 2015 წელი).

42. ხელშეკრულების განმარტების საფუძველზე დაკავშირე-

ბით საინტერესოა ევროპული სახელმწიფოებო სამართლის ძირითადი პრინციპების (დებულებების) 5:101-5:107 მუხლების დანაწესები, კერძოდ, ხელმწიფოებობა უნდა განიმარტოს მხარეთა საერთო ნების შესაბამისად იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი განსხვავდება სიტყვასიტყვითი მნიშვნელობისაგან. მხარეთა საერთო ნების დადგენის შეუძლებლობის შემთხვევაში, განმარტების კრიტერიუმად მიიჩნევა ხელმწიფოებობის მხარეთა მსგავსი გონივრული აზროვნების მქონე პირების შეფასება მოცემულ გარემოებებში. ხელმწიფოებობის ცალკეული გამონათქვამი (პირობა) უნდა განიმარტოს იმ მთლიანი ხელმწიფოებობის ტრილში, რომელშიც ისინი არის მოცემული (იხ. სუსგ. №ას-1144-1090-2014, 23 თებერვალი 2015 წელი). სწორედ ამიტომაც, კანონით გადამწყვეტია „ნების გონივრული განსჯა“, რაც ნიშნავს სადავო გამონათქვამის იმ მნიშვნელობის დადგენას, რომელსაც გონიერი ადამიანი ანალოგიურ პირობებში მიანიჭებდა. გონივრულობა მოცემული ურთიერთობის სრულად აღქმა და განსჯაა და არა გამოყენებული გამონათქვამის ვიწრო გაგება. აღნიშნულის დასტურია სამოქალაქო კოდექსის 338-ე მუხლი, რომლის ძალითაც ხელმწიფოებობაში ურთიერგამომრიცხველი ან მრავალმნიშვნელოვანი გამონათქვამების დროს უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ გამონათქვამს, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება ხელმწიფოებობის შინაარსს (იხ. სუსგ. №ას-1220-1480-09, 25 მაისი, 2010 წელი).

43. ცხადია, რომ ეს „გონივრული განსჯა“ უნდა ემყარებოდეს გარკვეულ კრიტერიუმებს, კერძოდ, ნების გამოვლენის განმარტება უნდა განხორციელდეს ნების მიმღების შემეცნების (გაგების) შესაძლებლობათა გათვალისწინებით. ამგვარი განმარტების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ყველა ხელშესახები გარემოება, რომელიც ამ შემთხვევას ახასიათებს (იხ. სუსგ. №ას-1144-1090-2014, 23 თებერვალი, 2015 წელი). გარიგების სადავო დებულების განმარტება უნდა მოხდეს თავად გარიგების მთელი შინაარსის, იმ სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების გათვალისწინებით, რაც შესაძლოა, მხარეებს ევარაუდათ სადავო დებულების ფორმირებისას.

44. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ, თუ კასატორმა მეორე მოპასუხის მიერ გაცემულ საბანკო გარანტიებში მითითებული სიტყვები „ხელმწიფოებობის პირობების დარღვევა“ აღიქვა პრინციპალის მიერ არა მარტო ძირითადი ვალდებულების, არამედ – საგარანტიო მომსახურებისთვის საზღაურის გადახდის ვალდებულების დარღვევად, მაშინ მეორე მოპასუხის მიერ გაცემული საბანკო გარანტიის თანხის ოდენობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა ყოფილიყო აღნიშნულ ვალ-

დებულებათა ჯამური ოდენობა. სხვაგვარად რომ ითქვას, მეორე მოპასუხის მიერ გაცემული საბანკო გარანტიები ვერ უზრუნველყოფდა პრინციპალის მიერ ორივე ვალდებულების (საზღაურისა და პრინციპალის რეგრესული დავალიანების გადახდა) დარღვევის შემთხვევაში თანხის გადახდას. როგორც ზემოთ აღინიშნა, მეორე მოპასუხის მიერ საბანკო გარანტიები გაცემულია მხოლოდ იმ თანხებზე, რაც უზრუნველყოფდა პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების შესრულებას ანუ რეგრესის ნესით თანხის გადახდას. ამდენად, „გონივრული განსჯის“ შედეგად, ნების მიმღებს (მოსარჩელეს) არ შეიძლება შექმნოდა იმის საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მეორე მოპასუხის მიერ გაცემული საბანკო გარანტიები უზრუნველყოფდა საზღაურის ანაზღაურებასაც, მით უმეტეს, რომ თავად მოსარჩელე წარმოადგენს სადაზღვევო ბაზარზე მოქმედ მენარმე სუბიექტს, რომელსაც მისი ყოველდღიური საქმიანობის გამოცდილებიდან გამომდინარე, მოეთხოვებოდა მეტი წინდახედულობა და გულისხმიერების გამოჩენა.

45. განსახილველ შემთხვევაში, მეორე მოპასუხის მიერ გაცემული საბანკო გარანტიები არ უზრუნველყოფდა მოსარჩელის წინაშე პრინციპალის ვალდებულებას საზღაურის თანხის გადახდაზე. შესაბამისად, მეორე მოპასუხეს არ ეკისრება აღნიშნული საზღაურის ანაზღაურების ვალდებულება [სსკ-ის 316.1 მუხლი: ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. 317.1 მუხლი: ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან], რის გამოც სარჩელი არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

46. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება არსებითად სწორია, რაც მისი ძალაში დატოვებისა და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ფაქტორივ-სამართლებრივი საფუძველია.

47. ვინაიდან საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, არ არსებობს კასატორის მიერ გაღებული ხარჯის მხარეთა შორის განაწილების სსსკ-ის 53-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები და აღნიშნული ხარჯი უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს საოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დაჯღბინა:

1. სს „სადაზღვევო კომპანია უ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება;
3. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ნების გამოვლენის განმარტება

გადაწყვეტილება საქართველოს სასამართლო

№ას-475-2019

15 აპრილი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

სასარჩელო მოთხოვნა:

1. თ. გ-მა (შემდგომ – მოსარჩელე) სარჩელი აღძრა სასამართლოში დ. თ-დის (შემდგომ – მოპასუხე) მიმართ 9500 აშშ დოლარის ანაზღაურების შესახებ.

სარჩელის საფუძვლები:

2. მოსარჩელის განმარტებით, მის სახელზე ირიცხებოდა 41.24 კვ.მ უძრავი ქონება. 2012 წელს შეექმნა ეკონომიკური პრობლემები, რის გამოც ს. ც-ძისაგან (შემდგომ – კრედიტორი) ისესხა 11 000 აშშ დოლარი, რაზეც გაფორმდა ნასყიდობის ხელშკრულება უძრავი ქონების გამოსყიდვის უფლებით. მოსარჩელეს კრედიტორისათვის უნდა გადაეხადა ყოველთვიური სარგებელი, ბოლოს კი უნდა დაებრუნებინა სესხად მიღებული 11 000 დოლარი და ამ გზით გამოესყიდა ქონება.

3. მოსარჩელემ ვერ მოახერხა ბინის გამოსყიდვა, რის გამოც გადაწყვიტა ფართის გაყიდვა. აღნიშნული მიზნით მოსარჩელე შეუთანხმდა მოპასუხეს, ფართის ნასყიდობისათვის ეს უკანასკნელი ეტაპობრივად გადაუხდიდა 30 000 აშშ დოლარს. აქედან 2012 წლის 20 ივლისამდე გადაუხდიდა 18 000 აშშ დოლარს, შემდეგ კი ყოველთვიურად – 1000-1000 აშშ დოლარს.

4. მოპასუხემ დაარღვია შეთანხმება და 2012 წლის 20 ივლისამდე 18 000 აშშ დოლარი არ გადაიხადა, დასაწყისისათვის მან დაფარა 8000 აშშ დოლარი, შემდეგ – 1000 აშშ დოლარი. 2012 წლის აგვისტოს შემდეგ კი გადაიხადა 11 000 აშშ დოლარი, რომლითაც მოსარჩელემ კრედიტორისაგან ქონება გამოისყიდა და გადააფორმა მოპასუხეზე. 2016 წლის აგვისტოში მოპასუხემ მას გადაუხადა 500 აშშ დოლარი, ხოლო 2016 წლის 31 დეკემბერს – 100 ევრო. სულ მოპასუხეს გადასახდელი დარჩა 9500 აშშ დოლარი.

მოპასუხის პოზიცია:

5. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ უძრავი ქონების ნასყიდობაზე შეთანხმებისას მოსარჩელემ დაუმალა ნივთის ნაკლის შესახებ. მოპასუხემ იცოდა, რომ ყიდულობდა უფლებრივად უნაკლო ნივთს. მისთვის ცნობილი არ იყო, რომ ქონება აღრიცხული იყო კრედიტორის საკუთრებად. გარიგების დადებისას მოსარჩელემ დაარწმუნა, რომ ბინა იყო შეზღუდვებისაგან თავისუფალი და მოპასუხე შეძლებდა ამ ქონების გამოყენებით ბანკიდან სესხის მიღებას, რითაც ნასყიდობის საფასურის გადაიხდიდა. არსებულ პირობებში კი მოპასუხემ სესხი ვერ მიიღო. მოპასუხის განმარტებით, შეძენილ ქონებას სხვა ნაკლიც აღმოაჩნდა, კერძოდ, გარიგების დადების დროს მისთვის ცნობილი იყო, რომ შესაძენ ფართს ჰქონდა მიშენებისა და დაშენების პერსპექტივა, რამდენადაც იგი მდებარეობდა ორსართულიანი შენობის მე-2 სართულზე და სხვენის ადგილას შეიძლებოდა ფართის დაშენება. გარიგების დადების შემდეგ გაარკვია, რომ სხვენი მოსარჩელეს თავის საკუთრებად ჰქონდა დარეგისტრირებული. ფაქტობრივად, მოპასუხეს 30 000 აშშ დოლარი უნდა გადაეხადა ფართში სხვენის ჩათვლით, რეალურად კი სხვენი მოსარჩელის საკუთრებაა და მასზე მოპასუხის საკუთრების უფლება ვერ მოიპოვა, შესაბამისად, ნასყიდობის ფასი შეამცირა.

6. ამავედროულად, მოპასუხემ აღნიშნა, რომ მოსარჩელეს გადაუხადა 20 500 აშშ დოლარი, 100 ევრო, ასევე, მის გამო გადაიხადა პროცენტები სხვა პირების მიმართ (1500 აშშ დოლარი, 1500 აშშ დოლარი, 1800 აშშ დოლარი), სააგენტოს მომსახურებაში გადაიხადა 800 აშშ დოლარი, ხოლო სანოტარო მომსახურებაში – 169 ლარი. აღნიშნული თანხა უნდა ჩაითვალოს ნასყიდობის საფასურში.

**პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სა-
რეზოლუციო ნაწილი:**

7. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კო-
ლეგიის 2018 წლის 1 აგვისტოს გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწი-
ლობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ
დაეკისრა 9380 აშშ დოლარის გადახდა, რაც მოპასუხემ გაასაჩივ-
რა სააპელაციო წესით.

**სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუ-
ციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:**

8. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატის 2019 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილებით მოპასუხის
სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვე-
ტილება გაუქმდა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელს ეთქვა უა-
რი შემდეგ გარემოებათა გამო:

9. სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ 2012 წლის 24 აპრილს,
ერთი მხრივ, თ. ბ-ძეს, როგორც გამყიდველსა და, მეორე მხრივ,
კრედიტორს, როგორც მყიდველს შორის დაიდო უძრავი ქონების
ნასყიდობის ხელშეკრულება გამოსყიდვის უფლებით. ნასყიდობის
საგანს წარმოადგენდა თ. ბ-ძის (გ-ი) (მოსარჩელე) საკუთრებაში
არსებული უძრავი ქონება, რომლის ღირებულება შეადგენდა 11
000 აშშ დოლარს. ამავე ხელშეკრულების თანახმად, მყიდველმა
ნასყიდობის თანხა გადასცა გამყიდველს, მოსარჩელემ ხელშეკ-
რულებაზე ხელმოწერით დაადასტურა, რომ მყიდველისაგან მიი-
ღო 11 000 აშშ დოლარი. ხელშეკრულების მიხედვით, გამყიდველს
უფლება ჰქონდა, გამოესყიდა ნასყიდობის საგანი 3 თვის განმავ-
ლობაში 2012 წლის 24 ივლისის ჩათვლით, თავდაპირველ ფასად –
11 000 აშშ დოლარად.

10. 2012 წლის 30 აპრილს უძრავი ქონება მოსარჩელის გამოს-
ყიდვის უფლებით ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, სა-
ჯარო რეესტრში აღირიცხა გამსესხებლის საკუთრებაში. ვალდე-
ბულების გრაფაში გამოსყიდვის უფლების მქონე პირად აღირიცხა
მოსარჩელე.

11. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში მოსარჩელეს
ნასყიდობის საგნის გამოსყიდვის უფლებით არ უსარგებლია.

12. 2012 წლის 20 ნოემბერს, კრედიტორმა და მოპასუხემ და-
დეს უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძ-
ველზეც მოპასუხემ შეიძინა სადავო უძრავი ქონება, რაც 2016 წლის
11 ნოემბერს საჯარო რეესტრში მის საკუთრებად დარეგისტრირ-
და.

13. სააპელაციო პალატამ საქმეში წარმოდგენილი, მხარეთა მი-
ერ შედგენილი მარტივი წერილობითი ფორმის ხელშეკრულების თა-

ნახმად დაადგინა, რომ მოპასუხე მოსარჩელეს (ხელშეკრულებაში მითითებულია თ. ბ-ძე) უძრავი ქონების შესაძენად ბეს სახით გადაუხდოდა 8 000 აშშ დოლარს, 2012 წლის 20 ივლისამდე უნდა გადაეხადა კიდევ 12 000 აშშ დოლარი, ამის შემდეგ კი ყოველთვიურად – 1000-1000 აშშ დოლარი, სულ – 30 000 აშშ დოლარი. თანხის გადახდის შემდეგ ბინა უნდა აღრიცხულიყო მოპასუხის საკუთრებაში. ხელშეკრულების დადებისთანავე მოპასუხემ მოსარჩელეს გადაუხადა 8000 აშშ დოლარი. მხარეთა განმარტებით, მოცემული ხელშეკრულება შედგა 2012 წლის მაისში (12 მაისის შემდგომ პერიოდში, ზუსტი თარიღი უცნობია).

14. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს მხარეთა შორის, 2012 წლის მაისში დადებული უძრავი ნივთის „ნასყიდობის“ ხელშეკრულებიდან გამომდინარე, დარჩენილი თანხის – 9500 აშშ დოლარის გადახდა.

15. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომ – სსკ) 477-ე, 509-ე და 510-ე მუხლებით და დაადგინა, რომ უძრავი ქონება 2012 წლის 30 აპრილამდე რეგისტრირებული იყო მოსარჩელის საკუთრებად. 2012 წლის 30 აპრილს კი, 2012 წლის 24 აპრილის ნასყიდობის ხელშეკრულების გამოსყიდვის უფლების საფუძველზე, მოსარჩელის გამოსყიდვის უფლებით საჯარო რეესტრში აღირიცხა კრედიტორის საკუთრებაში.

16. სსკ-ის 183-ე მუხლის, 311-ე მუხლის პირველი ნაწილის, 312-ე მუხლის პირველი ნაწილის, 170-ე მუხლის პირველი ნაწილის, 102-ე მუხლისა და 54-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო პალატამ უდავოდ დაადგინა, რომ 2012 წლის მაისში, ანუ როდესაც უძრავი ქონება საჯარო რეესტრში უკვე აღრიცხული იყო კრედიტორის საკუთრებაში, მხარეთა შორის ამავე უძრავ ქონებაზე წერილობით გაფორმდა „ნასყიდობის“ ხელშეკრულება. ამდენად, სახეზეა ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც „გამსხვისებელი“ არ იყო ნივთის მესაკუთრე, რადგან დადასტურებულია, რომ საჯარო რეესტრში უძრავი ნივთის მესაკუთრედ იმ პერიოდისათვის რეგისტრირებული იყო კრედიტორი. შესაბამისად, დადგენილია, რომ მოპასუხესთან ნასყიდობის ხელშეკრულება იმთავითვე დადებულია არაუფლებამოსილი პირის მიერ, კანონსაწინააღმდეგოდ, რაც, ცხადია, არ წარმოშობს არანაირ სამართლებრივ შედეგებს, მათ შორის, თანხის გადახდის ვალდებულებას.

17. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2012 წლის მაისში სადავო უძრავი ქონების მესაკუთრეს წარმოადგენდა კრედიტორი და არა მოსარჩელე, რაც დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით, რომლის მიმართაც სსსკ-ის 312-ე მუხლის თა-

ნახმად, მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია. ამასთან, დადგენილია, რომ მოსარჩელე არც საჯარო რეესტრის ამ ჩანაწერს და არც მისი წარმოშობის საფუძველს პირველი ინსტანციის სასამართლოში სასარჩელო წესით კრედიტორს არ შედაგე-ბია, შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელე დაფარულ გარიგებაზე მიუთითებს, სააპელაციო პალატამ იგი ბათილად არ მიიჩნია, რადგან აღნიშნული წარმოადგენს საცილოდ ბათილ გარიგებას, ხოლო მოსარჩელეს კი შეცილება არ გაუკეთებია.

18. ამდენად, სააპელაციო პალატამ დაადგინა ფაქტობრივი გარემოება, რომ 2012 წლის 30 აპრილს, ანუ მას შემდეგ, რაც უძრავ ქონებაზე საჯარო რეესტრის მონაცემებით მესაკუთრედ კრედიტორი აღირიცხა, მითითებული პერიოდიდან მოსარჩელემ დაკარგა უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება, შესაბამისად, 2012 წლის 19 მაისს მხარეთა შორის ხელშეკრულების დადების დროისათვის მას აღარ ჰქონდა მისი გასხვისების უფლება, იგი აღარ იყო უფლებამოსილი, დაედო ნასყიდობის ხელშეკრულება, კრედიტორთან თანხმობის გარეშე, აღნიშნული კი გამორიცხავს ნასყიდობის საფასურის თაობაზე სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას, ამასთან, საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგენილია, რომ მან უძრავი ნივთის ნასყიდობის საფასური გადაუხადა უფლებამოსილ პირს – უძრავი ქონების მესაკუთრე კრედიტორს.

კასატორის მოთხოვნა და საფუძვლები:

19. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მოსარჩელემ შეიტანა საკასაციო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის ნაწილობრივ – პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ფარგლებში დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით:

20. კასატორმა განმარტა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება არასაკმარისადაა დასაბუთებული და მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

21. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა 54-ე მუხლი და არ გამოიყენა ამავე კოდექსის მე-60 მუხლი. პალატამ დაადგინა, რომ მხარეთა შორის დადებული წერილობითი შეთანხმება არ აკმაყოფილებდა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებისათვის კანონით დადგენილ მოთხოვნებს, თუმცა სააპელაციო სასამართლოს არ შეუფასებია, ხსენებული გარიგება რამდენად აკმაყოფილებდა სხვა გარიგებისათვის დაწესებულ მოთხოვნებს. კასატორმა განმარტა, რომ მხარეთა შორის დადებული „შინაურული“ წერილობითი შეთანხმებით მოპასუხეს უნდა გადასცემოდა უძრავი ქონება, ხოლო მოსარჩელეს სანაცვლოდ მიეღო 30 000 აშშ დოლარი. შეთანხმების დღეს სადავო უძრავი ნივ-

თი საჯარო რეესტრი ირიცხებოდა კრედიტორის სახელზე, თუმცა მოსარჩელეს მის მიმართ გააჩნდა სამოქალაქო-სამართლებრივი მოთხოვნა, რომლის ფარგლებში მოსარჩელეს 11 000 აშშ დოლარი-სა და ყოველთვიურად 3%-ის გადახდის სანაცვლოდ, გააჩნდა უძრავი ნივთის გამოსყიდვის უფლება. ფაქტობრივად, კრედიტორს სადავო ქონება ფაქტობრივ მფლობელობაში არ გადასცემია. ამდენად, აშკარაა, რომ გარიგება იყო მოჩვენებითი და რეალურად არსებობდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება.

22. კასატორმა მიიჩნია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, აღნიშნული გარიგება ბათილია, არ განაპირობებს ქონებაზე საკუთრების უფლების შემქმნელად გადასვლას. შემქმნის წარმოეშვა მხოლოდ სესხის დაბრუნების მოთხოვნა და იპოთეკის უფლება. მოსარჩელეს უძრავ ნივთზე საკუთარი უფლება გააჩნდა, მათ შორის, რაც გავიდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამოსყიდვის ვადა.

23. კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს მხარეთა შორის დადებული გარიგება ბათილ ნასყიდობად არ უნდა დაეკვალიფიცირებინა, არამედ შეეფასებინა მხარეთა შორის დადებულ ნამდვილ გარიგებად, რომლის ფარგლებშიც მოსარჩელე იღებდა ვალდებულებას სადავო ქონებასთან დაკავშირებული საკუთარი უფლებების გამოყენებით მოეხდინა, 30 000 აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ, საცხოვრებელი ბინის მოპასუხის საკუთრებაში გადაცემა. კასატორმა აღნიშნა, რომ მხარეებმა იმოქმედეს შეთანხმების შესაბამისად, მოპასუხემ კრედიტორის მიმართ მოსარჩელის ვალის დასაფარად გადაიხადა 11 000 აშშ დოლარი, ხოლო მოსარჩელემ და კრედიტორმა უზრუნველყვეს ქონების მოპასუხის საკუთრებაში გადაცემა. ამდენად, გარიგების ბათილობის საფუძვლის შეტყობის შემდეგ, რომლის შესახებაც სავარაუდოდ გარიგების დადებისას მხარეთათვის ცნობილი იყო, ისინი ასრულებდნენ როგორც ნამდვილი გარიგების პირობებს.

24. კასატორმა ყურადღება გაამახვილა პირველი ინსტანციის სასამართლოში კრედიტორის მიერ მიცემულ განმარტებაზე, რომ სადავო ბინა მოპასუხის სახელზე მოსარჩელის მითითებით გადააფორმა, რაც მხარეთა შეთანხმების საფუძველზე განხორციელდა.

25. კასატორის განმარტებით, სადავო ნასყიდობის გარიგების ბათილად მიჩნევის შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ არასწორად განსაზღვრა მისი ბათილობის სამართლებრივი შედეგები. პალატას უნდა ეხელმძღვანელა უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებით და, სსკ-ის 979-ე მუხლის შესაბამისად, დაედგინა მხარეთა მიერ ბათილი გარიგების შედეგად მიღებული შესრულების დაბრუნების ვალდებულება. გარიგების შესრულების შედეგად მოპასუ-

ხემ საკუთრებაში მიიღო ბინა, რაც განაპირობა მოსარჩელის მიმართ კრედიტორის მიერ არსებულ მოთხოვნაზე უარის თქმამ. სხვაგვარად, 11 000 აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ, მოპასუხე უძრავ ნივთზე საკუთრებას ვერ მოიპოვებდა. შესაბამისად, ქონებაზე მოსარჩელის საკუთრების უფლების დაკარგვა და მოპასუხისათვის გადაცემა, ზემოაღნიშნული გარიგების შესრულების შედეგია.

სამოტივაციო ნაწილი:

26. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 8 აპრილის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2021 წლის 18 თებერვლის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ უნდა იქნეს დასაშვებად სსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით (საკასაციო საჩივარი ქონებრივ ან არაქონებრივ დავაზე დასაშვებია, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას).

27. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, კასატორი ასაჩივრებს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილებას, რომლითაც გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 1 აგვისტოს გადაწყვეტილება და სარჩელი არ დაკმაყოფილდა, იმ საფუძველით, რომ როგორც საქმის განმხილველმა სასამართლომ დაადგინა 2012 წელს მოსარჩელეს და დ. თ-ძეს შორის გაფორმებული წერილობითი შეთანხმება (ხელშეკრულება) არ აკმაყოფილებს უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების დასადებად კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. რასაც კასატორი არ ეთანხმება და მიუთითებს რომ 2012 წელს მოსარჩელეს და დ. თ-ძეს შორის დაიდო ე.წ. „შინაურული“ ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვით დ. თ-ძეს საკუთრებაში უნდა გადასცემოდა ქ. ბათუმში, ... №20-ში მდებარე უძრავი ქონება, რის სანაცვლოდაც თ. გ-ისათვის უნდა გადაეხადა 30 000 აშშ დოლარი. კასატორი განმარტავს, რომ 2012 წელს მოსარჩელეს და დ. თ-ძეს შორის დადებული ე.წ. „შინაურული“ ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების დროს ქ. ბათუმში, ... №20-ში მდებარე უძრავი ქონება საჯარო რეესტრში არ იყო რეგისტრირებული მოსარჩელის სახელზე, არამედ ფორმალურად ირიცხებო-

და ს. ც-ის სახელზე, ამ უკანასკნელსა და მოსარჩელეს შორის არსებული სხვა სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში, კერძოდ, მოსარჩელეს გააჩნდა ს. ც-ის მიმართ 11 000 აშშ დოლარის ოდენობის ვალი, რომლის დაბრუნების შემდეგაც შეძლებდა ქ. ბათუმში, ... №20-ში მდებარე უძრავი ქონებაზე საჯარო რეესტრში კვლავ საკუთარ სახელზე აღრიცხვას. კასატორი განმარტავს, რომ სადავო უძრავი ქონება ს. ც-ს არასოდეს გადასცემია ფაქტობრივ სარგებლობასა და მფლობელობაში, ეს კი, დამატებით მონიშნავს, რომ მოსარჩელეს და ს. ც-ს შორის გაფორმებული ნასყიდობა-გამოსყიდვის გარიგება არ წარმოშობს ნასყიდობის გარიგებისათვის შესატყვის იურიდიულ შედეგს. მამასადამე, გამოსყიდვისათვის განსაზღვრული ვადის გასვლის მიუხედავად მოსარჩელეს სადავო უძრავ ქონებაზე უფლება მაინც ჰქონდა. კასატორი მიიჩნევს, რომ საბოლოოდ, მასსა და დ. თ-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულება ბათილ გარიგებად კი არ უნდა ყოფილიყო ცნობილი, არამედ იმგვარ გარიგებად, რომლის საფუძველზე მოსარჩელემ 30 000 აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ სადავო უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება გადასცა დ. თ-ს. ფაქტია, რომ დ. თ-მ აღიცხულია სადავო უძრავი ქონების მესაკუთრედ საჯარო რეესტრში, რაც მოწმობს, რომ მოსარჩელემ შეასრულა მისი წილი ვალდებულება, თუმცა, დ. თ-მ შემხვედრი ვალდებულება – 30 000 აშშ დოლარის გადახდის შესახებ არ შეასრულა და ამ თანხიდან მხოლოდ 20 500 აშშ დოლარი გადასცა მოსარჩელეს – 11 000 აშშ დოლარი შეთანხმების მიხედვით გადასცა მოსარჩელის კრედიტორს (გამსესხებელ) ს. ც-ს, რომელმაც სადავო უძრავი ქონება გადააფორმა დ. თ-ის სახელზე. შესაბამისად, მოსარჩელე უფლებამოსილია დ. თ-ს დამატებით მოსთხოვოს დარჩენილი ნასყიდობის საფასური (იხ., საკასაციო საჩივრის საფუძველები).

28. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კასატორმა წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია შემდეგი გარემოებების გამო:

29. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემოწმებაც სასამართლოს ვალდებულებაა და რომელიც უნდა განხორცი-

ელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა, რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი ნაწილს (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას.

30. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმის განმხილველი სამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა საქმეზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში.

31. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოთხოვნის საფუძველი სამოქალაქო სამართალში, ზოგადად არის სამართლის ის ნორმა, რომელიც დამოუკიდებლად ან სხვა მოთხოვნის საფუძველთან ერთობლიობაში აფუძნებს ამა თუ იმ მოთხოვნას ანუ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა კონკრეტულ უფლება-მოვალეობებს (იხ. ჰ. ბოელინგი, ლ. ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, მეორე გამოცემა, თბ., 2004, 38.) კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების დანიშნულებაა ურთიერთობაში მონაწილე სუბიექტების უფლებების განსაზღვრა და მათი განხორციელების უზრუნველყოფა. მოთხოვნა უფლების რეალიზაციის კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობაა. მოთხოვნა და მოთხოვნის საფუძველი სხვადასხვა ცნებებია და სასურველია მათი აღრევა თავიდან იქნეს აცილებული. ამ გამიჯვნას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმის გათვალისწინებით, რომ მოთხოვნათა შორის არჩევანის უფლება, მოსარჩელის უფლებამოსილებაა, ხოლო მოსარჩელის მიერ წარდგენილი მოთხოვნის დამფუძნებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა შორის ერთ-ერთის მისადაგება სასამართლოს უფლე-

ბამოსილება და ვალდებულება (იხ. ჰ. ბოელინგი, ლ. ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, მეორე გამოცემა, თბ., 2004, 42.).

32. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მოთხოვნა პირის ნებას დაქვემდებარებული და სხვა პირზე მიმართული უფლებაა, რომელიც მისი პროცესუალური განხორციელებისაგან მკვეთრად იმიჯნება. მოთხოვნა ძირითადად მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობის მატარებელია. მოთხოვნა საპროცესო-სამართლებრივი გაგებით, ყოველთვის მიმართულია სასამართლო გადაწყვეტილების დადგომისაკენ. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი არის სამართლის ნორმა, რომლის სამართლებრივი შედეგით გათვალისწინებულია სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე პირის მიერ რაიმე მოქმედების განხორციელებისა თუ მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავების ვალდებულება. თითოეული მოთხოვნის დამფუძნებელი სამართლის ნორმა განსაზღვრავს მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს, თუმცა, მისი განმარტება და ფაქტობრივ გარემოებებზე მისადაგება სასამართლოს უფლებამოსილებაა. მოთხოვნის საფუძველი ორი ნაწილისაგან შედგება: ა) ნორმის შემადგენლობა, რომელიც მოიცავს ცალკეულ წინაპირობას და ბ) სამართლებრივი შედეგი, რომელიც კანონის საფუძველზე დადგება იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ნორმის შემადგენლობით განსაზღვრული ყველა წინაპირობა.

33. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის განმსაზღვრელია სარჩელში მითითებული ფაქტები და გარემოებები. სარჩელის ინდივიდუალიზაცია სარჩელის ელემენტების მეშვეობითაა შესაძლებელი. სსსკ-ის მე-3, მე-4, 83-ე და 178-ე მუხლების ანალიზით შესაძლებელია, დავასკვნათ, რომ სარჩელი შედგება ორი ელემენტისგან: სარჩელის საგნისა და სარჩელის საფუძვლისგან. სარჩელის საგანია მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისადმი (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი), ხოლო სარჩელის საფუძველი – კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). საქმის გარემოებათა ანალიზის საფუძველზე მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის დადგენა და მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის მოძიება კი, სასამართლოს ვალდებულებაა. სადავო ურთიერთობის შეფასებისას, ზემდგომი ინსტანციის სასამართლო არაა შებოჭილი ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი შეფასებებით, შესაბამისად, თუ ზემდგომი ინსტანციის სასამართლო გამოარკვევს, რომ ქვემდგომი სასამართლოს სამართლებრივი შეფასება არ გამომდინარეობს საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან, იგი ვალდებულია, ეს გარემოე-

ბები თავად შეაფასოს სამართლებრივად სწორად და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

34. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე მოითხოვს, რომ დ. თ-ძეს დაეკისროს ქ. ბათუმში, ... ქ. №20-ში მდებარე ბინის ნასყიდობის საფასურის დარჩენილი ნაწილი 9380 აშშ დოლარი, იმ საფუძვლით, რომ 2012 წლის ივლისის თვეში მოსარჩელეს და დ. თ-ძეს შორის შედგა შეთანხმება ქ. ბათუმში, ... ქ. №20-ში მდებარე ბინის ნასყიდობის შესახებ, ნასყიდობის საფასური განისაზღვრა 30 000 აშშ დოლარით. ნასყიდობის საგანი – უძრავი ქონების გადაფორმება დ. თ-ძემ საჯარო რეესტრში შეძლო 2016 წლის დეკემბერში მაშინ, როდესაც მან მოსარჩელეს ნასყიდობის საფასურის ნაწილი – 10 000 აშშ დოლარი მიუტანა. აღნიშნული თანხით მოსარჩელემ დაფარა ს. ც-ძის მიმართ სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, აღნიშნულის შემდეგ ს. ც-ძემ მოსარჩელის მითითებით ქ. ბათუმში, ... ქ. №20-ში მდებარე ბინა გადაუფორმა დ. თ-ძეს (იხ., სარჩელის საფუძვლები და მოთხოვნა).

35. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

36. მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგენილია, რომ თ. გ-ს, ს. ც-ძეს და დ. თ-ძეს შორის სხვადასხვა დროს გაფორმებულია შემდეგი სახის გარიგებები, კერძოდ,

37. – ქ. ბათუმში ... ქ. №20-ში მდებარე უძრავი ქონება 41.21კვ.მ საკუთრებაში ჰქონდა მოსარჩელეს და სადავო უძრავი ქონებაზე მოსარჩელეს და ს. ც-ძეს შორის გაფორმდა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება გამოსყიდვის უფლებით. საქმეში წარმოდგენილი ხელშეკრულების მიხედვით უძრავი ქონების ღირებულება შეადგენდა 11 000 აშშ დოლარს. ხელშეკრულების მიხედვით მყიდველმა – ს. ც-ძემ ნასყიდობის თანხა გადასცა გამყიდველს – მოსარჩელეს, რაც ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დაადასტურა მოსარჩელემ, კერძოდ, მყიდველისაგან რომ მიიღო 11 000 აშშ დოლარი. ხელშეკრულების თანახმად გამყიდველს – მოსარჩელეს უფლება ჰქონდა გამოესყიდა ნასყიდობის საგანი 3 თვის განმავლობაში 2012 წლის 24 ივლისის ჩათვლით, თავდაპირველ ფასად 11000 აშშ დოლარად. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე სადავო უძრავი ქონება 2012 წლის 30 აპრილს საჯარო რეესტრში აღირიცხა ს. ც-ძის საკუთრებად. მოსარჩელეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში არ უსარგებლია ნასყიდობის საგნის გამოსყიდვის უფლებით.

38. – 2012 წლის 20 ნოემბერს, ს. ც-ქემ და დ. თ-ქემ გააფორმეს უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც დ. თ-ქემ შეიძინა სადავო ქონება, რაც საჯარო რეესტრში დ. თ-ქის საკუთრებად დარეგისტრირდა 2016 წლის 11 ნოემბერს და ასეთი დღემდე საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია მის სახელზე.

39. საქმეში წარმოდგენილია ასევე, მარტივი წერილობითი ფორმის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, დ. თ-ქე თ. გ-ს (ხელშეკრულებაში მითითებულია თ. ბ-ქე) უძრავი ქონების შესაძენად ბეს სახით გადაუხდოდა 8 000 აშშ დოლარს, 2012 წლის 20 ივლისამდე უნდა გადაეხადა კიდევ 12 000 აშშ დოლარი, ამის შემდეგ კი ყოველთვიურად 1000-1000 აშშ დოლარი, სულ 30 000 აშშ დოლარი. თანხის გადახდის შემდეგ ბინა უნდა აღერიცხა დ. თ-ქის საკუთრებაში. ხელშეკრულების დადებისთანავე მოპასუხემ მოსარჩელეს გადაუხადა 8000 აშშ დოლარი. მხარეთა განმარტებით მოცემული ხელშეკრულება შედგენილი იქნა 2012 წლის მაისის თვეში (12 მაისის შემდგომ პერიოდში, ზუსტი თარიღი უცნობია).

40. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასარჩელო მოთხოვნისა და მისი განმაპირობებელი ფაქტობრივი გარემოებების არსებობის პირობებში, სწორედ მოპასუხის საპროცესო ვალდებულებას წამოადგენდა სარწმუნოდ მიეთითებინა და დაედასტურებინა მოსარჩელის მიერ მითითებული საფუძვლებისაგან განსხვავებული გარემოებების არსებობა.

41. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სარჩელისაგან მოპასუხის თავდაცვის ისეთ ეფექტურ საშუალებას, როგორცაა შესაგებელი. შესაგებელი, როგორც მოპასუხის საპროცესო თავდაცვის საშუალება მნიშვნელოვანი ინსტიტუტია სამოქალაქო სამართალწარმოებაში, მასში ვლინდება წერილობითი შეჯიბრებითობის პრინციპი. იგი ასევე, ერთგვარი გამოხატულებაა დისპოზიციურობის (სსსკ-ის მე-3 მუხლი) პრინციპისა, რომელიც უზრუნველყოფს მხარეთა საპროცესო უფლებების ავტონომიურად განკარგვის შესაძლებლობას. საპროცესო ავტონომიის ფარგლებში მოპასუხის გადასაწყვეტია ცნობს თუ არა სარჩელს, დაასრულებს თუ არა საქმეს მორიგებით, ან რა სახის საპროცესო თავდაცვის საშუალებას გამოიყენებს, რაც გარკვეულწილად დავაში შესვლას და სარჩელში მითითებულ გარემოებებზე პასუხის გაცემას გულისხმობს. შესაბამისად, სარჩელის წარმატება იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად კვალიფიციურად დაიცავს თავს მოპასუხე სარჩელისაგან. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შესაგებლის ზოგადი კლასიფიკაცია შემდეგია: მატერიალური და საპროცესო შე-

საგებელი; აბსტრაქტული (ზოგადი) და კონკრეტული შესაგებელი; მარტივი და კვალიფიციური (არსებითი) შესაგებელი. რა ტიპის შესაგებელს წარადგენს მოპასუხე, სრულად თავსდება ამ უკანასკნელის ნების ავტონომიის ფარგლებში. კონკრეტული შესაგებლის წარდგენის ვალდებულება გამომდინარეობს სსსკ-ის 201-ე მუხლის მე-4 ნაწილის შინაარსიდან (ივარაუდება, რომ შედავებული უნდა იყოს დავის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანი ფაქტები და არა სამართლებრივი მოსაზრებები, ე.ი. ისეთი ფაქტები, რომელთა არსებობა წარმოშობენ მოთხოვნას), წინააღმდეგ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები, დამტკიცებულად ითვლება. მოსამართლემ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს პირველ რიგში საპროცესო შესაგებელს, ხოლო ამის შემდეგ მატერიალურ შესაგებელს. მატერიალური შედავება მიმართულია სარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი შედეგის მიღწევის წინააღმდეგ, რაც გულისხმობს მოპასუხის მხრიდან ისეთ ფაქტებზე (წინაპირობებზე) მითითებას, რომლებიც გამორიცხავენ, წყვეტენ ან აფერხებენ (განუხორციელებელს ხდიან) სარჩელით მოთხოვნილი შედეგის დადგომას. საკასაციო პალატამ ერთ-ერთ საქმეზე აღნიშნა, რომ სსსკ-ის 201-ე მუხლის მეოთხე და მეხუთე ნაწილების თანახმად, „პასუხში (შესაგებელში) სრულყოფილად და თანამიმდევრობით უნდა იყოს ასახული მოპასუხის მოსაზრებები სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. თუ მოპასუხე არ ეთანხმება სარჩელში მოყვანილ რომელიმე გარემოებას, იგი ვალდებულია მიუთითოს ამის მიზეზი და დაასაბუთოს შესაბამისი არგუმენტაციით; წინააღმდეგ შემთხვევაში მას ერთმევა უფლება, შეასრულოს ასეთი მოქმედება საქმის არსებითად განხილვის დროს. მოპასუხე ვალდებულია, პასუხს დაურთოს მასში მითითებული ყველა მტკიცებულება. თუ მოპასუხეს საპატიო მიზეზით არ შეუძლია პასუხთან ერთად მტკიცებულებათა წარდგენა, იგი ვალდებულია, ამის შესახებ მიუთითოს პასუხში. წინააღმდეგ შემთხვევაში მოპასუხეს ერთმევა უფლება, შემდგომში წარადგინოს მტკიცებულებები). სამოქალაქო პროცესში მტკიცების საგანი, რომელიც წარმოადგენს სადავო მატერიალურსამართლებრივ ფაქტებს, რომელზეც მიუთითებენ მოსარჩელე და მოპასუხე, მოთხოვნის თუ შესაგებლის დასაბუთების ან გაქარწყლებისათვის, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ მტკიცებითი საქმიანობის გარეშე. სსსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილი ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ მოპასუხე ვალდებულია, საქმის მომზადების მიზნით აქტიურად იმოქმედოს, რაც, უპირველესად, სასამართლოსათვის სარჩელზე მისი წერილობითი მოსაზრებების წარდგენაში გამოიხატება. მოპასუხის მიერ ამ უფ-

ლების განუხორციელებლობა, სსსკ-ის 206-ე მუხლის შესაბამისად, ართმევს მას უფლებას, შეასრულოს ასეთი მოქმედება ამ საქმის არსებითად განხილვის დროს (ანუ, სასამართლოს სხდომაზე მხარისაგან მტკიცებულების მიღება აღარ ხდება). ამ შემთხვევისათვის სხვა რაიმე სპეციალურ შედეგს კანონი არ ადგენს“ (მდრ. სუსგ დიდი პალატის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-664-635-2016, 02 მარტი, 2017, პ.201). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შესაგებლის სახეებიდან განსაკუთრებული დატვირთვა გააჩნია კვალიფიციურ შედავებას. კვალიფიციური შედავება იურიდიულ დოქტრინაში განმარტებულია შემდეგნაირად: „მოპასუხე მოსარჩელის მოხსენების ნაცვლად წარმოადგენს მოვლენათა განვითარების მისეულ, განსხვავებულ ვერსიას, რომელიც ცალკეულ საკითხებში სადავოს ხდის მოსარჩელის მოხსენებას“ (მდრ. მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში, შ. შმიტი, ჰ. რიჰტერი, (GIZ), 2013წ., გვ.19.). კვალიფიციურ შედავებას არსებით შედავებადაც მოიხსენიებენ. ამგვარი შედავება, ერთი მხრივ, შეიძლება გამორიცხავდეს სარჩელის დაკმაყოფილებას უსაფუძვლობის გამო, ხოლო მეორე მხრივ, ცვლიდეს მოსარჩელის მიერ შემოთავაზებული სამართლებრივი ურთიერთობის კვალიფიციაციას, საიდანაც მოსარჩელეს დამატებითი მოხსენების (ფაქტების მითითების) გარეშე გაუჭირდება იმ შედეგის მიღწევა, რომელიც სარჩელით აქვს მოთხოვნილი. კვალიფიციური (არსებითი) შედავება მოსამართლეს ავალდებულებს მოიძიოს მოთხოვნის სხვა დამფუძნებელი ნორმა, ასევე შეამოწმოს საგამონაკლისო ნორმები.

42. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზება უმეტესწილად დამოკიდებულია და გულისხმობს სასამართლოს მიერ დასაბუთებული, მტკიცებულებათა შეჯერების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების მიღებას.

43. მტკიცების ტვირთის როლი განსაკუთრებით ვლინდება სამოქალაქო სამართალწარმოებაში, სადაც მხარეთა ნების ავტონომიას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. შესაძლებელია მხარის მოთხოვნა საფუძვლიანი იყოს, მაგრამ შეუძლებელია მხარემ მიიღოს თავისი სასარგებლო გადაწყვეტილება, თუ ვერ დაამტკიცებს თავის სასარგებლო გარემოებებს საპროცესო სამართლით დადგენილი წესით. ამიტომაც, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ფაქტების მითითების ტვირთისა და ფაქტების დამტკიცების ტვირთის სწორი გადანაწილება მოდავე მხარეებს შორის. მტკიცების საგანს შეადგენს ის გარემოებები, რომლებსაც პრო-

ცესუალურ სამართალურთიერთობებში წარმოადგენს სამართლებრივი ფაქტები. ერთმანეთისაგან განასხვავებენ გარეგან და შინაგან ფაქტებს. შინაგან ფაქტებს წარმოადგენს განზრახვა, განსაზღვრული გარემოებების ცოდნა. სხვაობა შინაგან და გარეგან ფაქტებს შორის მდგომარეობს იმაში, რომ შინაგანი ფაქტები შესაძლოა მიუღწეველი იყოს და, როგორც წესი დგინდება გარეგანი ფაქტების მეშვეობით. მტკიცების საგანში შემავალი ფაქტები კლასიფიცირდება დადებით და უარყოფით ფაქტებად. მათი ამგვარი კლასიფიკაცია დამოკიდებულია მოვლენაზე ან ქმედებაზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ან რომლებიც განხორციელდა, ან რომლებსაც ადგილი არ ჰქონია ან რომლებიც არ განხორციელებულა. გარდა ამისა, გერმანული საპროცესო სამართლის თეორიაში განასხვავებენ ფაქტებს, რომლებიც უშუალო კავშირშია გამოსაყენებელი ნორმის ფაქტობრივ შემადგენლობასთან და ირიბ ფაქტებს, რომლებსაც არა აქვს მნიშვნელობა საქმისათვის. ერთიმეორისაგან განსხვავდება მთავარი ფაქტი, რომელიც შეადგენს მტკიცების საგანს კონკრეტულ საქმეზე (ზიანის მიყენება, უსაფუძვლო გამდიდრება, ხელშეკრულების შესრულების ვადის დარღვევა) და მტკიცებითი ფაქტი, რომელიც სხვა ასეთივე ფაქტებთან კრებადობით ადასტურებს ან უარყოფს მტკიცების საგანში შემავალ მთავარ ფაქტს. სამოქალაქო საქმეზე დასადგენი ფაქტები ერთმანეთისაგან განსხვავდება, როგორც ხასიათითა და შინაარსით, ასევე იმ შედეგით, რომლებსაც მათ უკავშირებს კანონი. ჯერ კიდევ, საქმის აღძვრის ეტაპზე – სარჩელის წარმოებაში მიღების დროს, სასამართლო ადგენს ისეთი გარემოებების არსებობა ან არარსებობას, რომლებსაც უკავშირდება მხოლოდ საპროცესო-სამართლებრივი შედეგი (სარჩელის წარმოებაში მიღება, უარი სარჩელის წარმოებაში მიღებაზე). მხოლოდ მას შემდეგ, რაც სარჩელი მიღებულია წარმოებაში, წამოიჭრება მეორე საკითხი, კერძოდ, რომელი ფაქტები უნდა იქნეს დადგენილი იმისათვის, რომ სასამართლომ შეძლოს სწორად გადაწყვიტოს საქმე. ესენი, როგორც წესი, მატერიალურ-სამართლებრივი ფაქტებია, რადგან მათ უკავშირდებათ მატერიალურ-სამართლებრივი შედეგები, კერძოდ, მოსარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის ან მოპასუხის მატერიალურ-სამართლებრივი შესაგებლის დასაბუთებულად ცნობა და დაკმაყოფილება, ან ასეთ დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, იმის მიხედვით, დამტკიცდა თუ არა მოთხოვნის საფუძველში მითითებული ფაქტები (სარჩელის საფუძველი). სარჩელი, თვისობრივად უნდა შეესაბამებოდეს მატერიალური მოთხოვნის საფუძველს. მასში ნათლად უნდა იყოს წარმოჩენილი მოსარჩელისათვის სასურველი მატერიალური მიზანი. ასეთ შემთხვევაში, სასამართლო სარჩელი-

სა და შესაგებლის შინაარსიდან გამომდინარე, მხარეთა მტკიცებით საქმიანობას წარმართავს ამ გარემოებების დადასტურებისათვის თუ მათი უარყოფის მიმართულებით (იხ., ილონა გაგუა „მტკიცებულებები და მტკიცების პროცესი კერძო ხასიათის სამართლებრივ დავებზე“, 2020 წელი, რედაქტორები; ზურაბ ძლიერიშვილი, ნუნუ კვანტალიანი, გვ: 155, 156). პირველ რიგში მიზანშეწონილია განხილული იქნეს მტკიცების საგნის ანუ გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების წრის ზუსტად და სრულად განსაზღვრის შესახებ საკითხი.

44. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი. ამავე კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული შესაგებლები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

45. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპს. შეჯიბრებითობის პრინციპი, მხარეთა თანასწორობის პრინციპთან ერთად, წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით, აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-5 მუხლებით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლო უფლების მნიშვნელოვან კომპონენტს.

46. სსსკ-ის მე-4 მუხლის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. შეჯიბ-

რეზიუმის პრინციპმა თავისი ასახვა ჰპოვა სსსკ-ის მთელ რიგ სხვა ნორმებში. კონცენტრირებულად შეჯიბრებითობის პრინციპი გამოხატულია სსსკ-ის 102-ე მუხლში, რომლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

47. შეჯიბრებაში გამარჯვებულად გამოცხადდება მხარე, რომელმაც უკეთ შეძლო დაერწმუნებინა სასამართლო თავისი მოთხოვნის (შესაგებლის) ფაქტობრივ დასაბუთებულობაში, ანუ მხარე, რომელმაც მიუთითა ფაქტებზე, რომლებიც იურიდიულად ამართლებენ მოთხოვნას (შესაგებელს) და წარმოუდგინა სასამართლოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ ამ ფაქტებს.

48. საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს იმ საკითხზე, თუ რა როლი შეუძლია შეასრულოს სასამართლომ მხარეთა შეჯიბრების პროცესში. ფაქტიურად ესაა საკითხი, თუ რა ზომითაა გამოყენებული სამძებრო პრინციპის ელემენტები სამოქალაქო სამართალწარმოებაში. სსსკ-ის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის გარემოებათა გასარკვევად სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით მიმართოს ამ კოდექსში გათვალისწინებულ ღონისძიებებს. სამართლებრივი მნიშვნელობის საკითხია, თუ რა შინაარსის შეიძლება იყოს ეს ღონისძიებები.

49. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადანყვეტა სასამართლოში დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი, როგორც ეს ცნობილია, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. ე.ი. ისეთი ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც სამართლის ნორმა უკავშირებს გარკვეულ იურიდიულ შედეგს.

50. ამრიგად, სასამართლო ვერ გადანყვეტს ვერცერთ სამოქალაქო საქმეს, თუ მან წინასწარ არ დაადგინა გარკვეული ფაქტები. ამ ფაქტების დადგენა ხორციელდება უმთავრესად დამტკიცების გზით, შესაბამისი მტკიცებულებების გამოყენებით.

51. ფაქტების დამტკიცების პროცესი საკმაოდ დეტალურად რეგულირდება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით, კერძოდ, განსაზღვრულია მტკიცების საშუალებათა (მტკიცებულებათა) წრე, რომლებიც შეიძლება გამოიყენოს სასამართლომ ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად, ამ მტკიცებულებათა დასაშვებობა და განკუთვნადობა, მტკიცების ტვირთის (მოვალეობის) განაწილება მხარეთა შორის, ანუ რომელმა მხარემ რა გარემოება უნდა

დაამტკიცოს, მტკიცებულებათა გამოკვლევის წესი, მტკიცებულებათა შეფასების ზოგადი წესები და ა.შ.

52. სასამართლო მტკიცების პროცესი – ესაა საქმიანობა, რომელსაც ახორციელებენ მხარეები და სასამართლო იმ ფარგლებში და წესით, რომლებიც განსაზღვრულია კანონით. მხარეები წარუდგენენ სასამართლოს მტკიცებულებებს იმ ფაქტების დადასტურების მიზნით, რომლებზეც ისინი ამყარებენ თავიანთ მოთხოვნებს და შესაგებელს. სასამართლო მტკიცებულებათა დასაშვებობის და განკუთვნიადობის პრინციპების მოთხოვნათა დაცვით იღებს ამ მტკიცებულებებს და აფასებს მათ თავისი შინაგანი რწმენით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სასამართლო მტკიცების პროცესის სხვადასხვა მონაწილე სხვადასხვა ფუნქციას ასრულებს, მაგრამ ყველა მათგანის საქმიანობა მიმართულია ერთი მიზნისაკენ – გარკვევს სიმართლეს, დადგინდეს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები.

53. სასამართლო შემეცნების ფორმების თვალსაზრისით საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ: ა) გარემოებები, რომლებიც განაგრძობენ არსებობას სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს (ე.წ. ანმეოს ფაქტები) და ამიტომ შესაძლებელია მათი გრძნობადი აღქმის გზით დადგენა და ბ) გარემოებანი, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ წარსულში და ამიტომ მათი დადგენა უშუალო შემეცნების გზით შეუძლებელია. ასეთი ფაქტები შეიძლება დადგინდეს მხოლოდ გაშუალებული გზით, მტკიცებულების გამოყენებით.

54. სამოქალაქო სამართალწარმოებაში მტკიცების პროცესი, როგორც გაშუალებული შემეცნება, საკმაო სისრულითაა მოწესრიგებული კანონით. მაგალითად, სსსკ-ის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. კანონი განსაზღვრავს, თუ რომელმა მხარემ რომელი ფაქტობრივი გარემოებები უნდა დაამტკიცოს. კანონი განსაზღვრავს აგრეთვე, თუ რომელ მხარეს ეკისრება ფაქტების მითითებისა და ამ ფაქტების დამტკიცების ტვირთი, რომელი ფაქტები არ საჭიროებენ დამტკიცებას, მტკიცების რა საშუალებები დაიშვება და რა არ დაიშვება, როგორ და რა წესით ხდება მტკიცებულებათა შეგროვება, შემონახვა და შეფასება და ა.შ.

55. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა: სასამართლო (საპროცესო) მტკიცება წარმოადგენს მტკიცებულებათა შეგროვების, შემონახვისა და შეფასებისათვის სასამართლოსა და მხარეების სამართლით მოწესრიგებულ საქმიანობას, რომლის მიზანია საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშ-

ვნელობის მქონე გარემოებების (ფაქტების) დადგენა. ამ განმარტებიდან ნათლად ჩანს, თუ ვინ არის სასამართლო მტკიცების სუბიექტი. სასამართლო მტკიცების სუბიექტებად სამოქალაქო პროცესში გვევლინებიან მხარეები – მოსარჩელე, მოპასუხე, მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, მესამე პირი დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, თანამონაწილეები.

56. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლო მტკიცება წარმოადგენს სასამართლოსა და მხარეთა საქმიანობას, რომლის მიზანია საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების (ფაქტების) დადგენა.

57. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სამოქალაქო პროცესში დადგენილი უნდა იქნეს სამი სხვადასხვა ხასიათის, შინაარსისა და შედეგების მიხედვით ისეთი ფაქტები, როგორცაა: 1) ფაქტები, რომლებსაც უკავშირდება მხოლოდ პროცესუალურ სამართლებრივი შედეგი (სარჩელის მიღება წარმოებაში, ან ასეთ მიღებაზე უარის თქმა); 2) ფაქტები, რომლებსაც უკავშირდება მატერიალურ სამართლებრივი შედეგი, ანუ მთავარი საძიებელი ფაქტები (სარჩელის დაკმაყოფილება, ან მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა); 3) მტკიცებულებითი ფაქტები, რომელთა მეშვეობით ხორციელდება მთავარი, ანუ გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცება – დადასტურება. შესაბამისად, სამოქალაქო პროცესში მტკიცების საგანია მატერიალურ სამართლებრივი მნიშვნელობის ფაქტები, რომლებზეც მიუთითებენ მხარეები თავიანთი მოთხოვნების (შესაგებლის) დასაბუთება-გამართლების მიზნით. რა კრიტერიუმით უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ მტკიცების საგნის განსაზღვრისას? სარჩელის აღძვრით მოსარჩელეს სურს გარკვეული შედეგის დადგომა (ნივთის მიკუთვნება, ვალის დაბრუნება, ზიანის ანაზღაურება, ხელშეკრულების მოშლა და ა.შ.), მისი ეს სურვილი აისახება სარჩელის იმ ელემენტში, რომელსაც სარჩელის საგანი ეწოდება. ამრიგად, სარჩელის საგანს ქმნის მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი. მაგრამ, მოსარჩელისათვის სასურველი შედეგის დადგომა, მისი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია მხოლოდ გარკვეული ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც კანონი უკავშირებს მოსარჩელის მატერიალურ სამართლებრივი მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ზუსტად იგივე უნდა განსაზღვროს იმ ფაქტების წრემ, რომლებსაც უკავშირდება მხარეთა მოთხოვნის (შესაგებლის) ფაქტობრივი დასაბუთებულობა. მიუთითონ ფაქტებზე, რომლებიც ასაბუთებენ მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს, არის თვითონ მხარეთა მოვალეობა.

58. შესაძლებელია დასკვნის გაკეთება, რომ სასამართლომ კონკრეტულ საქმეზე მტკიცების საგნის განსაზღვრის დროს უნდა

იხელმძღვანელოს მხარეთა მიერ სარჩელისა და შესაგებლის დასაბუთებისათვის მითითებული ფაქტებით, მაგრამ თუ ამ ფაქტებს შორის არიან ისეთებიც, რომლებსაც კანონის თანახმად არ აქვს მნიშვნელობა ამ მხარეთა მოთხოვნების თუ შესაგებლის სამართლებრივი დასაბუთებისათვის, ე.ი. თუ ეს ფაქტები იურიდიულად ვერ ამართლებენ ამ მოთხოვნას (შესაგებელს) – სასამართლომ არ უნდა შეიტანოს ეს ფაქტები მტკიცების საგანში და არ უნდა მიიღოს მტკიცებულებები მათ დასადასტურებლად.

59. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მხარეთა მიერ დაშვებული შეცდომა ფაქტების მითითების დროს, შეიძლება გამოიხატოს იმით, რომ „მათ არ მიუთითეს ყველა იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომელსაც აქვს მნიშვნელობა საქმეზე სწორი გადაწყვეტილების გამოტანისათვის. მხარეთა მიერ დაშვებულ შეცდომას სასამართლო ვერ გამოასწორებს: სასამართლო ვერ „გაამდიდრებს“, ვერ შეავსებს მხარეთა მიერ მითითებულ ფაქტებს, რადგან მხოლოდ მხარეებს შეუძლიათ განსაზღვრონ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს (სსსკ-ის მე-4 მუხლი)“ (იხ. თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2005, გვ. 215.).

60. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა მტკიცების საგნის განსაზღვრის კრიტერიუმის შესახებ: მტკიცების საგანში შედიან მხარეთა მიერ მითითებული ფაქტები, რომლებიც სასამართლოს შეხედულებით სამართლებრივად ასაბუთებენ (ამართლებენ) მათ მოთხოვნებს და შესაგებელს. კრიტერიუმი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ იმისათვის, რომ სწორად განსაზღვროს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებიდან, თუ რომელი ამართლებს სამართლებრივად მხარეთა მოთხოვნებს (შესაგებელს) და რომელი არა, ესაა სარჩელის საგანი (მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი), მოპასუხის შესაგებელი და მატერიალურ სამართლებრივი ნორმა.

61. სასამართლო კი, ზემოთაღნიშნული ნეიტრალიტეტის პრინციპიდან გამომდინარე, ვერ უზრუნველყოფს მხარისათვის იურიდიული დახმარების განწევას, რაც თანაბრობას დაარღვევს და სამართალწარმოებას მიკერძოებულს გახდის. ევროკონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით „მიუკერძოებლობის“ მოთხოვნა ორი ასპექტისაგან შედგება. პირველი, სასამართლო სუბიექტურად თავისუფალი უნდა იყოს პიროვნული ზრახვებისა და მიდრეკილებებისაგან. მეორე, იგი ასევე მიუკერძოებელი უნდა იყოს ობიექტური თვალსაზრისით, ანუ მან უნდა უზრუნველყოს საკმარისი გარანტიები ამ თვალსაზრისით ნებისმიერი კანონიერი ეჭვის გამოსარიცხად (იხ. გოტრინი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ, 1998 წლის

20 მაისის გადაწყვეტილება, Reports of Judgments and Decisions 1998-III, გვ. 1030-31, §58; მორისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, №38784/97, §58, ECHR 2002-I). რაც შეეხება სუბიექტურობას, მოსამართლე პიროვნულად მიუკერძოებლად უნდა იქნეს მიჩნეული, ვიდრე ამის სანინააღმდეგო არ დამტკიცდება (იხ. ჰაუსშიდტი დანის წინააღმდეგ, 1989 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება, სერია A №154, გვ. 21, §47; დაკტარასი ლიტვის წინააღმდეგ, №42095/98, §30, ECHR 2000-X). სამართლიანი სასამართლოს კონცეფცია თავის თავში მოიცავს სასამართლოს მხრიდან მხარისათვის საკუთარი პოზიციის დაცვის მოსამზადებლად ადეკვატური დროის განსაზღვრას და დაცვის მომზადების შესაძლებლობის მიცემას (იხ. Case If Galstyan v. Armenia, საჩივარი no26986/03), რაც საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, განსახილველ შემთხვევაში, როგორც პირველ, აგრეთვე მეორე კასატორთან მიმართებით უზრუნველყოფილ იქნა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო, როგორც აღინიშნა, სადავო ფაქტებს შეაფასებს საპროცესო წესების დაცვით მიღებული განმარტებების ფარგლებში.

62. სასამართლო მტკიცებითი პროცესის წარმმართველი მოქმედება მხარეთა მტკიცებითი საქმიანობაა, რომელიც მხარეებზე დაკისრებული მტკიცების ტვირთის რეალიზების საპროცესო საშუალებად გვევლინება. მტკიცების ტვირთის საკანონმდებლო განსაზღვრებას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ შეიცავს. შეიძლება თამამად ითქვას, რომ კერძო დავის მატერიალურსამართლებრივ შედეგს განაპირობებს პროცესის მონაწილე სუბიექტების წარმატებული მტკიცებითი საქმიანობა. მტკიცების ტვირთი ესაა, მოდავე მხარეებს შორის მატერიალურსამართლებრივი და საპროცესოსამართლებრივი რისკების იმგვარი გადანაწილება, რომელსაც, უპირველეს ყოვლისა, აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა. მტკიცებითი საქმიანობის გარეშე, პრაქტიკულად შეუძლებელია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენა და შესაბამისად, კერძო ხასიათის დავის წარმატებით დასრულება. სასამართლო მტკიცებით პროცესში მოსარჩელემ უნდა მიუთითოს ყველა იმ გარემოებაზე, რომლებიც კანონის მიხედვით ასაბუთებს სასარჩელო მოთხოვნას. რაც შეეხება მოპასუხეს, თუ სარჩელში მითითებულია ყველა იმ გარემოებაზე, რომლებიც კანონის მიხედვით ადასტურებს მოსარჩელის მოთხოვნის არსებობას, მაშინ მოპასუხეზეა დამოკიდებული საქმის განხილვის საბოლოო შედეგის (რეზულტატი) იდენტიფიცირება. ასეთი მიდგომის საფუძველია სსსკ-ის 102-ე მუხლის ნორმატიული დანაწესი, რომელშიც კონცენტრირებულია მხარეთა ვალდებულებები დაასაბუთონ ან გააქარწყლონ (უარყო, შეარყიონ) მოსარჩელის მოთხოვნები. იმავ-

დროულად, მოპასუხის მოვალეობას, უპასუხოს მოსარჩელის მიერ მითითებულ და საქმისათვის (მოთხოვნის წარმოშობა-არწარმოშობისათვის) რელევანტურ გარემოებებს სსკ-ის 201-ე მუხლის მე-4 ნაწილი ადგენს. მოპასუხის სტადიაზე მოწმდება, თუ რამდენად აქარწყლებს და არყვეს იგი მოსარჩელის სტადიაზე განხორციელებული შემონმების შედეგად შექმნილი მოთხოვნის წარმოშობის ვარაუდს. მოპასუხის მტკიცების სტადიაზე მოწმდება ის, თუ რა ტიპის შესაგებელი წარადგინა მოპასუხემ (მოთხოვნის შემწყვეტი, შემაფერხებელი, გამომრიცხავი და ა.შ.) (იხ., ილონა გაგუა „მტკიცებულებები და მტკიცების პროცესი კერძო ხასიათის სამართლებრივ დავებზე“, 2020 წელი, რედაქტორები; ზურაბ ძლიერიშვილი, ნუნუ კვანტალიანი, გვ: 222-232).

63. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების საპირწონედ მოპასუხეს კვალიფიციური შედავება არ წარუდგენია და საპროცესო კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სარჩელისაგან თავდაცვის საშუალებით სათანადოდ არ უსარგებლია. მოპასუხემ შესაგებელში სადავოდ გახადა ნასყიდობის საგნის უფლებრივი და ნივთობრივი ნაკლი, აგრეთვე მიუთითა, რომ მოსარჩელეს გადაუხადა 20 500 აშშ დოლარი, 100 ევრო, ასევე, მის გამო გადაიხადა პროცენტები სხვა პირების მიმართ (1500 აშშ დოლარი, 1500 აშშ დოლარი, 1800 აშშ დოლარი), სააგენტოს მომსახურებაში გადაიხადა 800 აშშ დოლარი, ხოლო სანოტარო მომსახურებაში – 169 ლარი. აღნიშნული თანხა უნდა ჩაითვალოს ნასყიდობის საფასურში.

64. საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ სადავო ურთიერთობის სამართლებრივი შეფასება სასამართლოს ვალდებულებაა, მიუხედავად იმისა, ედავებიან თუ არა ამ შეფასებას მხარეები. ეს იმას ნიშნავს, რომ არც სააპელაციო და არც საკასაციო სასამართლო არაა შებოჭილი სააპელაციო თუ საკასაციო საჩივარში მითითებული კანონის დარღვევებით და ისინი ამონმებენ გადაწყვეტილებას მატერიალურსამართლებრივი ნორმების სწორად გამოყენების თვალსაზრისით. თუ ასეთი შემონმების შედეგად სასამართლო იმ დასკვნას გამოიტანს, რომ საჩივრის მოთხოვნა გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს, მაგრამ არა საჩივარში მითითებული, არამედ მატერიალურსამართლებრივი ნორმის (კანონის) სხვა დარღვევის გამო, სასამართლომ უნდა გამოიტანოს შესაბამისი გადაწყვეტილება. იმ შემთხვევაში კი, თუ არასწორი სამართლებრივი შეფასების შედეგად, ანუ კანონის (სსკ-ის 393.2 მუხლის) დარღვევით მიღებული გადაწყვეტილების ძალაში დატოვება შესაძლებელია სხვაგვარი სამართლებრივი შეფასებით, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია,

თავის განჩინებით ძალაში დატოვოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ან ამ გადაწყვეტილების შეცვლით მიიღოს ახალი გადაწყვეტილება (სსსკ-ის 386-ე მუხლი). ასეთივე შესაძლებლობითაა აღჭურვილი საკასაციო სასამართლოც, კერძოდ, მას შუძლია, არ გააუქმოს გადაწყვეტილება და ძალაში დატოვოს იგი (სსსკ-ის 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი) ან ახალი გადაწყვეტილებით დაადგინოს სხვა სამართლებრივი შედეგი (სსსკ-ის 411-ე მუხლი).

65. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამართლიანობის მიღწევის გარდა, სამართლის ამოცანაა, უზრუნველყოს სამართლებრივი უსაფრთხოება და ინტერესთა ოპტიმალური და მიზანშეწონილი დაკმაყოფილება. ყოველივე ეს მიზანი გათვალისწინებულ უნდა იქნეს როგორც გარიგებაში გამოვლენილი ნების განმარტების, ასევე, კანონის ინტერპრეტაციის გზით. გარიგებაში გამოვლენილი ნების სწორი განმარტების აუცილებლობაზე აფუძნებს კასატორი თავის პრეტენზიას და აღნიშნავს, რომ სასამართლომ არ შეაფასა და არ გამოიკვლია მხარეებს შორის სხვადასხვა დროს დადებულ გარიგებებში გამოვლენილი ნება, კერძოდ, ქ. ბათუმში ... ქ. №20-ში მდებარე უძრავი ქონება, რომელიც საკუთრებაში ჰქონდა მოსარჩელეს სწორედ დ. თ-ძეზე გასხვისდა 30 000 აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ, საიდანაც უნდა დაფარულიყო ს. ც-ძის მიმართ არსებული მოსარჩელის ვალი (სესხი) – 11 000 აშშ დოლარი, ხოლო თავად ს. ც-ძის მიმართ არსებული სესხის ხელშეკრულება გაფორმდა, როგორც გამოსყიდვის უფლებით ნასყიდობის გარიგება, რასაც ის ფაქტიც მოწმობს, რომ როგორც კი, 11 000 აშშ დოლარი დაიფარა ს. ც-ძის მიმართ, სადავო ბინა დ. თ-ძეზე გადაფორმდა ნასყიდობის გარიგების ფარგლებში. წარმოდგენილ შესაგებელში დ. თ-ძე მიუთითებს, რომ იგი მოსარჩელის შვილიშვილის ნათლიაა და მისთვის ცნობილი იყო, რომ მოსარჩელე ვალის გამო ბინას ყიდდა. სხვა საკითხია, რასაც დ. თ-ძე მიუთითებს, კერძოდ, რომ ბინას ნივთობრივი ნაკლი გააჩნდა, კერძოდ, დ. თ-ძის ვარაუდით ბინას მიშენება/დაშენების პერსპექტივა უნდა ჰქონოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარეთა შეთანხმებულ ფასად არ იყიდდა ბინას.

66. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ წინამდებარე დავის ფარგლებში ნასყიდობის საგნის (ბინის) ნივთობრივი ნაკლი არ განიხილება მოპასუხის მხრიდან შეგებებულ სარჩელზე საპროცესო უფლების გამოუყენებლობის გამო.

67. რაც შეეხება იმ გარემოებაზე მითითებას, რომ დ. თ-ძისათვის ცნობილი იყო, რატომ ყიდდა ბინას მოსარჩელე და მათ შორის არსებობდა ნათესაური კავშირი, აღნიშნული ამყარებს მოსარჩელის პოზიციას, რომ 2012 წლის 24 აპრილს, მოსარჩელეს და ს. ც-ძეს შორის გაფორმებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკ-

რულება გამოსყიდვის უფლებით, რომლის საგანს წარმოადგენდა მოსარჩელის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების მოპოვება 11 000 აშშ დოლარად, თანხაც ამავე ხელშეკრულების თანახმად, მყიდველმა გადასცა გამყიდველს, რაც მოსარჩელემ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დაადასტურა, ხოლო ხელშეკრულების მიხედვით, გამყიდველს უფლება ჰქონდა, გამოეყიდა ნასყიდობის საგანი 3 თვის განმავლობაში 2012 წლის 24 ივლისის ჩათვლით, თავდაპირველ ფასად – 11 000 აშშ დოლარად – რეალურად წარმოადგენდა სესხის ხელშეკრულებას, რომელიც უზრუნველყოფილი იყო იპოთეკით.

68. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საექსპოზიციოს ხელშეკრულებისა და ნების განმარტების შედეგად უნდა დადგინდეს, თუ რისი შეთანხმება სურდათ მხარეებს. ამ შემთხვევაში, ხელშეკრულებისა (სსკ-ის 623, 286.1, 477, 183-ე მუხლები) და ნების გამოვლენის განმარტების (სსკ-ის 52-ე მუხლი) წესების გამოყენებით, უნდა დადგინდეს, თუ რისი შეთანხმება სურდათ მხარეებს. გარიგებაში გამოვლენილი ნების განმარტების აუცილობლობას ეხება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მნიშვნელოვანი განმარტება საქმეზე №ას-1144-1090-2014, 23 თებერვალი, 2015 წელი. მითითებულ გადაწყვეტილებაში, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ხელშეკრულებათა განმარტების სფეროში განპირობებულია ურთიერთობათა ორმხრივი (მრავალმხრივი) ხასიათით, დისპოზიციური ნორმების გამოყენებით, სავაჭრო და საქმიანი ჩვეულებებითა და ტრადიციებით, მხარეთა შორის არსებულ ურთიერთობაში ჩამოყალიბებული პრაქტიკით, იმპერატიული ნორმების მოთხოვნათა გათვალისწინების აუცილებლობით და ა.შ. ხელშეკრულება არის მხარეთა მიერ მიღწეული კონსენსუსის შედეგი, რომელიც, სამართლებრივი თვალსაზრისით, იწვევს მხარეთა მიმართ უფლებებისა და ვალდებულებების წარმოშობას მათივე ნების საფუძველზე. ხელშეკრულების არსებობისათვის აუცილებელია ორი ან მეტი ნების თანხვედრა, რაც იწვევს მხარეთა საერთო ნების დადგენის აუცილებლობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხელშეკრულების განმარტების არსი მხარეთა მიერ გამოვლენილი საერთო ნების ნამდვილი შინაარსის, ხელშეკრულების რეალური მიზნის დადგენაში მდგომარეობს. სასამართლო მხარეთა ნამდვილ ნებას ადგენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განმარტების პროცესში წარმოიშობა ხელშეკრულების ტექსტში გადმოცემულ დებულებათა შორის წინააღმდეგობა ან შეუსაბამობა.

69. ყველა იმ გარიგებაში, რომლებშიც ნების გამოვლენის ნამდვილობა დამოკიდებულია მეორე მხარის მიერ ამ ნების მიღებაზე, არცთუ იშვიათად იბადება კითხვა, სწორად გაიგო თუ არა მეო-

რე მხარემ ის, რისი თქმაც ნების გამომვლენ პირს სურდა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ გარიგებათა აბსოლუტურ უმრავლესობაში ორი მხარე – ნების გამომვლენი და ნების მიმღები – მონაწილეობს, აშკარა გახდება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გამოვლენილი ნების სწორად გაგებას მეორე მხარის მიერ. მრავალი გარემოებით შეიძლება იყოს გამოწვეული, რომ ის, რაც იგულისხმა ნების გამომვლენმა, სხვაგვარად გაიგო მისმა მიმღებმა. აქედან წარმოიშობა გამოვლენილ ნებათა კონფლიქტი, რომელიც საჭიროებს სწორად გადანყევტას. ამ კონფლიქტის გადანყევტის სამართლებრივ საშუალებას წარმოადგენს ნების გამოვლენის განმარტება.

70. ნების გამოვლენის განმარტება ემსგავსება კანონის განმარტებას: ორივე შემთხვევაში ხდება ბუნდოვანი, საეჭვო აზრის დაზუსტება. მაგრამ თუ კანონის განმარტებას ზოგადი ხასიათი აქვს, ე.ი. სავალდებულოა და გამოიყენება ყველას მიმართ და მიზნად ისახავს კანონის ბუნდოვანი ადგილების ერთიანი გაგების უზრუნველყოფას, გარიგების (ხელშეკრულების) განმარტების მიზანი უფრო ვიწროა – გარიგების (ხელშეკრულების) მონაწილე მხარეებს შორის ურთიერთობის გარკვევა. ამიტომ ასეთ განმარტებას ძალა აქვს მხოლოდ გარიგების მონაწილეებისათვის.

71. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის თანახმად, ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად, და არა მარტოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან. ცხადია, რომ ეს „გონივრული განსჯა“ უნდა ემყარებოდეს გარკვეულ კრიტერიუმებს, კერძოდ, ნების გამოვლენის განმარტება უნდა განხორციელდეს ნების მიმღების შემეცნების (გაგების) შესაძლებლობათა გათვალისწინებით. ამგვარი განმარტების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ყველა ხელშესახები გარემოება, რომელიც ამ შემთხვევას ახასიათებს.

72. ხელშეკრულების გამონათქვამების განმარტების დროს უნდა დადგინდეს მხარის შინაგანი ნების შესაბამისობა მის გამოხატულებასთან. ხელშეკრულების განმარტების მიზანი მისი შინაარსის დადგენაა. განმარტებას შეიძლება საჭიროებდეს, როგორც მთელი ხელშეკრულება, ასევე მისი რომელიმე ნაწილი ან თუნდაც რომელიმე პუნქტი (პირობა). ხელშეკრულების პირობები იმგვარად უნდა იქნეს განმარტებული, რომ ყველა მათგანს მიეცეს მნიშვნელობა და არა რომელიმე მათგანს წაერთვას ძალა.

73. ხელშეკრულების გამონათქვამების სხვადასხვანაირობა გულისხმობს, რომ ხელშეკრულების ცალკეული გამონათქვამები შეიძლება სხვადასხვანაირად იქნეს გაგებული. გამონათქვამთა საგულდაგულო შერჩევის მიუხედავად, დოკუმენტი ყოველთვის ერ-

თნაირად ვერ იქნება აღქმული მისი ნამკითხველების მიერ. განონათქვამების შინაარსის დადგენა უნდა მოხდეს ხელშეკრულების საერთო ტექსტით ან ხელშეკრულების იმ ნაწილებით, რომლებიც განსამარტავ გამონათქვამებს შეიცავენ.

74. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორის პრეტენზიას, რომ სააკვლაციო სასამართლოს გარიგებაში მხარეთა მიერ გამოვლენილი ნების განმარტების საფუძველზე უნდა დაედგინა, რომ მოსარჩელემ და ს. ც-ძემ სესხად გაცემული 11 000 აშშ დოლარის დაბრუნების საგარანტიოდ გააფორმეს იპოთეკის ხელშეკრულება. სინამდვილეში, მხარეები უძრავი ნივთის გასხვისებას მიზნად არ ისახავდნენ, რომ მოსარჩელე კვლავ რჩებოდა სადავო უძრავი ქონების მესაკუთრედ.

75. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლის მიხედვით სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი. ხოლო 286-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით უძრავი ნივთი შეიძლება ისე იქნეს გამოყენებული (დატვირთული) მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რომ უზრუნველყოფილ კრედიტორს მიეცეს უფლება, სხვა კრედიტორებთან შედარებით პირველ რიგში მიიღოს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება ამ ნივთის რეალიზაციით ან მის საკუთრებაში გადაცემით (იპოთეკა).

76. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ იურიდიულ ლიტერატურასა და კანონმდებლობაში ცნობილია ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის სხვადასხვა საშუალება. მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებები ვალდებულების ჯეროვანი შესრულების საშუალებებია. ისინი იყოფიან უზრუნველყოფის სანივთო და ვალდებულებით-სამართლებრივ საშუალებებად. სანივთო უზრუნველყოფის საშუალებებს მიეკუთვნება გირავნობა და იპოთეკა. სანივთო უზრუნველყოფის საშუალებების თავისებურება ისაა, რომ ისინი გარანტირებულს ხდიან ვალდებულების შესრულებას მისი დარღვევის შემთხვევაში და სწორედ ამ მიზანმიმართულებით ხასიათდებიან. სანივთო უზრუნველყოფის საშუალებები მთლიანად შესრულების ფუნქციით არიან დატვირთული და არ წარმოადგენენ რაიმე დამატებით საჯარიმო ხასიათის დატვირთვებს მოვალისათვის. ამიტომაცაა, რომ ისინი ყველაზე გავრცელებული უზრუნველყოფის საშუალებებია სამოქალაქო ბრუნვაში. (შდრ. ლ. ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი, 2012, 44. Wiegand in Staudinge BGB Komm, §1204, Rn.3.4.). საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის არსი მდგომარეობს იმაში, რომ თუ მოვალე არ ასრულებს, ანდა

არაჯეროვნად ასრულებს ვალდებულებას, კრედიტორს აქვს იმის შესაძლებლობა, რომ სხვადასხვა ზომის გამოყენებით აიძულოს მოვალე შეასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულება.

77. ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებები შეიძლება გათვალისწინებული იქნეს როგორც კანონით, ისე ხელშეკრულებით. ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებათა არსებობა დამოკიდებულია რაიმე ვალდებულების არსებობაზე, რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაც ისინი არსებობენ. ვალდებულება, რომლის უზრუნველყოფაც ხდება, წარმოადგენს მთავარ (ძირითად) ვალდებულებას, ხოლო მისი შესრულების უზრუნველყოფის საშუალებები დამატებით (აქცესორულ) ვალდებულებებს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნის უზრუნველყოფის ერთ-ერთ მეტად გავრცელებულ საშუალებას წარმოადგენს იპოთეკა.

78. იპოთეკის ლეგალური დეფინიცია მოცემულია სსკ-ის 286-ე მუხლის 1 ნაწილში, რომლის თანახმადაც, უძრავი ნივთი შეიძლება მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ისე იქნეს გამოყენებული (დატვირთული), რომ უზრუნველყოფილ კრედიტორს მიეცეს უფლება, სხვა კრედიტორებთან შედარებით პირველ რიგში მიიღოს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება ამ ნივთის რეალიზაციით ან მის საკუთრებაში გადაცემით (იპოთეკა).

79. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სსკ-ის 286-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული იპოთეკა უზრუნველყოფის სანივთო საშუალებებს განეკუთვნება. ერთი მხრივ, ის განმტკიცებულია სანივთო სამართალში, ხოლო მეორე მხრივ, წარმოადგენს რეგისტრირებულ სანივთო უფლებას ინდივიდუალიზებულ და კონკრეტულ უძრავ ნივთზე. იპოთეკა, როგორც სანივთო უფლება, აფუძნებს სანივთო პასუხისმგებლობას, რომელიც დგება მესაკუთრის ბრალის მიუხედავად (შდრ. ლ. ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი, 2012, გვ.63. Luke, Sachenrecht, 2.Aufl.,2010, §18,Rn. 674).

80. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების არსებითი პირობებია გარიგების საგანი, ფასი და გამყიდველის მიერ მყიდველისათვის საკუთრების გადაცემის ნება. როგორც მოცემულ საქმეზეა დადგენილი, რომ ს. ც-ძე არც კი დაუფლებია სადავო უძრავ ქონებას. არამედ, როგორც კი, 11 000 აშშ დოლარი დაიბრუნა, სადავო ბინა გადაფორმდა დ. თ-ძეზე. თავის მხრივ, დ. თ-ძე შესაგებელში არ უარყოფს, რომ მოსარჩელე ვალის გამო ყიდდა ბინას და იგი მოსარჩელის შვილიშვილის ნათლიაა.

81. ამასთან, მნიშვნელოვანია კასატორის მითითება იმაზე, რომ

პირველი ინსტანციის სასამართლოში კრედიტორის მიერ მიცემული განმარტების მიხედვით სადავო ბინა მოპასუხის სახელზე მოსარჩელის მითითებით გადააფორმა, რაც მხარეთა შეთანხმების საფუძველზე განხორციელდა (ამ გადაწყვეტილების პ.24; ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 23 ივლისის სხდომის ოქმი).

82. ამდენად, საკასაციო პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ 2012 წლის 24 აპრილს, მოსარჩელეს და ს. ც-ძეს შორის გაფორმებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების მიუხედავად მოსარჩელე დარჩა უძრავი ქონების მესაკუთრედ, ვინაიდან რეალურად მხარეებს არ გამოუფლენიათ ნასყიდობის გარიგების დადების ნება. მოგვიანებით, სესხის – 11 000 აშშ დოლარის ს. ც-ძის მიერ მიღების შემდეგ, სადავო უძრავი ქონება გასხვისდა დ. თ-ძეზე 30 000 აშშ დოლარად, მხოლოდ ამ ნასყიდობის მხარეებს წარმოადგენენ უძრავი ქონების ნამდვილი მესაკუთრე – მოსარჩელე და მყიდველი დ. თ-ძე. დადგენილია, რომ 2012 წლის 20 ნოემბერს, დ. თ-ძემ შეიძინა უძრავი ქონება ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე და ბინა საჯარო რეესტრში დ. თ-ძის საკუთრებად დარეგისტრირდა 2016 წლის 11 ნოემბერს და დღემდე საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია მის სახელზე.

83. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სამოქალაქო სამართლით განმტკიცებული მხარეთა ავტონომიურობის პრინციპი ყველაზე ნათლად ხელშეკრულების თავისუფლებაში გამოიხატება. ხელშეკრულების თავისუფლება ეფუძნება მხარეთა სურვილს, დაამყარონ კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობა. ხელშეკრულების თავისუფლება ორი ნაწილისაგან შედგება: ა) ხელშეკრულების დადების თავისუფლება; ბ) ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლება.

84. ხელშეკრულების შინაარსის თავისუფალი განსაზღვრა გულისხმობს იმასაც, რომ სსკ-ის 319-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების მიხედვით, „კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას“. (შდრ: ირმა გელაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი III მუხლი 319, ველი 8, თბილისი, 2019); ეს კი იმას ნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსით განმტკიცებული ხელშეკრულების სახეები არ არის ამომწურავი. ხელშეკრულების მხარეებს, როგორც წესი უფლება აქვთ დამოუკიდებლად აირჩიონ ხელშეკრულების ტიპიც და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულების შინაარსი. (იხ: სერგი ჯორბენაძე, ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამარ-

თალში, თბილისი, 2017, გვ. 103).

85. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ხელშეკრულება მხარეთა შეთანხმების შედეგია. შეთანხმება გულისხმობს მხარეთა თანმხვედრი ნების გამოვლენას, რომელიც მიმართულია ერთი და იმავე სამართლებრივი მიზნის მიღწევისაკენ. სახელშეკრულებო სამართალში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ხელშეკრულების დადების მომენტის განსაზღვრას, რადგან სწორედ ამ მომენტიდან წარმოეშვებათ მხარეებს სახელშეკრულებო უფლებები და იბოჭებიან ნაკისრი ვალდებულებებით. (შდრ: ეკატერინე ბალიშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი III მუხლი 327, ველი3, თბილისი, 2019).

86. საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს იმჯგულის ხელშეკრულების არსებითი პირობების შესახებ. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სსკ-ის 327 I მუხლის მიხედვით, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები ყველა მის არსებით პირობებზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხია, თუ რას მოიზრებს ხელშეკრულების არსებითი პირობა (*essentialia negotii*). სსკ-ის 327 II მუხლის მიხედვით, „არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება, ანდა რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ“. ხელშეკრულების არსებითი პირობების ჩამონათვალს კანონი იშვიათი გამონაკლისის გარდა, (რადგან თითოეული ტიპის ხელშეკრულებას აქვს კანონით განერილი „მინიმალური შინაარსი“, რომლესაც ქმნიან ის პირობები, რომლებზეც შეთანხმების გარეშე ხელშეკრულება არ დაიდება), არ განსაზღვრავს. არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების მხოლოდ ის პირობები, რომელზეც მხარეთა შეთანხმების მიღწევის გარეშე, ხელშეკრულება დადებულად არ ჩაითვლება. (შდრ: ლადო ჭანტურია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი III, მუხლი 327, გვ.90, თბილისი, 2001).

87. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად, ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი. მყიდველი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება. ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას მნიშვნელოვანია გარიგების, როგორც სანივთო, ისე – სახელშეკრულებო თავისებურებების გათვალისწინება, რამდენადაც სახელშეკრულებო წესების დაცვა იწვევს სანივთო უფლების გადაცემას. უძრავი ნივთის კანონით დადგენილი

რეჟიმიდან გამომდინარე, როგორც სანივთო, ისე – ვალდებულე-
ბითი სამართალი შეიცავს შესაბამის დანაწესებს ნასყიდობის ხელ-
შეკრულების ნამდვილობისათვის, კერძოდ, სამოქალაქო კოდექ-
სის 183-ე და 323-ე მუხლების ანალიზის საფუძველზე, შეიძლება
ითქვას, რომ უძრავი ნივთის გასხვისება უნდა მოხდეს წერილო-
ბით დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. რაც შეეხება ქო-
ნების რეესტრში რეგისტრაციას, საკასაციო სასამართლომ არაერთ
გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ საჯარო რეესტრი არ წარმო-
ადგენს გარიგების ფორმას, არამედ, იგი სანივთო უფლების გადა-
ცემის ფაქტის რეგისტრაციას ემსახურება და იცავს, როგორც შემ-
დენის ინტერესებს, ისე – მესამე პირის ინტერესებს, ვინაიდან მოძ-
რავი ნივთისაგან განსხვავებით (სკ-ის 158.1), უძრავი ნივთის მესა-
კუთრედ მიიჩნევა პირი, რომელიც ასეთად რეგისტრირებულია სა-
ჯარო რეესტრში (სკ-ის 185-ე მუხლი; შეადრ: სუსგ №ას-734-2020,
17.11.2020, პ.14.2)).

88. მოხმობილი ნორმებიდან გამომდინარე, ნასყიდობის ხელ-
შეკრულების არსებით პირობებს წარმოადგენს გარიგების საგანი,
ფასი და გამყიდველის მიერ მყიდველისათვის საკუთრების გადა-
ცემის ნება, რაც მოცემულ შემთხვევაში დამსტურებულია.

89. საქმეში წარმოდგენილია მარტივი წერილობითი ფორმის
ხელშეკრულება, რომლის თანახმად, დ. თ-ძე თ. გ-ს (ხელშეკრუ-
ლებაში მითითებულია თ. ბ-ძე) უძრავი ქონების შესაძენად ბეს სა-
ხით გადაუხდოდა 8 000 აშშ დოლარს, 2012 წლის 20 ივლისამდე უნ-
და გადაეხადა კიდევ 12 000 აშშ დოლარი, ამის შემდეგ კი ყოველ-
თვიურად 1000-1000 აშშ დოლარი, სულ 30 000 აშშ დოლარი. თან-
ხის გადახდის შემდეგ ბინა უნდა აღერიცხა დ. თ-ძის საკუთრება-
ში. ხელშეკრულების დადებისთანავე მოპასუხემ მოსარჩელეს გა-
დაუხადა 8000 აშშ დოლარი. მხარეთა განმარტებით მოცემული
ხელშეკრულება შედგენილი იქნა 2012 წლის მაისის თვეში (12 მაი-
სის შემდგომ პერიოდში, ზუსტი თარიღი უცნობია).

90. განსახილველ შემთხვევაში, სადავოა რა უძრავი ქონების ნას-
ყიდობის ფასის სრულად გადახდის ვალდებულების შესრულება
მოპასუხის მიერ, სწორედ მოვალეს ეკისრება ფულადი ვალდებუ-
ლების შესრულების მტკიცების ტვირთი (სსკ-ის 429-ე მუხლი; შე-
ადრ: სუსგ №ას-860-860-2018, 16.11.2018)).

91. განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხემ შესაგებელში მიუ-
თითა, რომ ქონების ნასყიდობაზე შეთანხმებისას, თუ ეცოდინე-
ბოდა, რომ უძრავი ქონება რეგისტრირებული იყო ს. ც-ძის საკუთ-
რებად, ხოლო სხვენი რეგისტრირებული იყო მოსარჩელის საკუთ-
რებად, ის ნასყიდობის საგანს შეთანხმებულ ფასად არ იყიდდა.
სხვენის რეგისტრაციის ფაქტს მოსარჩელეც ადასტურებს და გან-

მარტავს, რომ ხოლო სხვენი 2012 წლის 10 მაისიდან რეგისტრირებულია თ. გ-ის საკუთრებად. თუმცა ამ ფაქტების შესახებ დ. თ-ძემ კარგად იცოდა.

92. დ. თ-ძეს თ. გ-სათვის 2012 წლის მაისის თვეში ბეს სახით უნდა გადაეხადა 8000 აშშ დოლარი, 2012 წლის 20 ივლისამდე უნდა გადაეხადა კიდევ 12 000 აშშ დოლარი, ამის შემდეგ ყოველთვიურად 1000-1000 აშშ დოლარი, სულ 30 000 აშშ დოლარი. ნასყიდობის საფასურის გადახდა უნდა დასრულებულიყო 2013 წლის მაისის თვეში. დ. თ-ძემ ნაკისრი მოვალეობა შეასრულა ნაწილობრივ, კერძოდ 2012 წლის მაისში გადაიხადა 8000 აშშ დოლარი. აღნიშნულის შემდეგ მან ვალდებულება დაარღვია და შეთანხმებისამებრ თანხა აღარ გადაიხადა. მან ნაცვლად 2012 წლის 20 ივლისამდე 12 000 აშშ დოლარის გადახდისა, გადაიხადა მხოლოდ 1000 აშშ დოლარი. 20 ივლისამდე გადასახდელად დარჩენილი 11 000 აშშ დოლარი შეთანხმებულ ვადაში ვერ გადაიხადა. თუმცა, მათ შორის ხელშეკრულება არ მოშლილა. მან 2012 წლის 20 ნოემბრამდე გადაიხადა 11 000 აშშ დოლარი, შემდეგში კიდევ გადაიხადა 500 აშშ დოლარი და 100 ევრო (120 დოლარი). აღნიშნულის შემდეგ მან ვალდებულების შესრულება შეწყვიტა, რითაც დაარღვია ნასყიდობის საფასურის სრული და ჯეროვანი გადახდის ვალდებულება. მას გადასახდელი 9380 აშშ დოლარი დარჩა. განსახილველ საქმეში, მოპასუხემ თავისი მტკიცებების ტვირთის ფარგლებში, ვერ შეძლო იმის დადასტურება, რომ ნასყიდობის საგანს გააჩნდა ნაკლი და ამის გამო, წარმოეშვა შეთანხმებული ფასის შემცირების მოთხოვნის უფლება.

93. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იურიდიულად დაუსაბუთებელია გასაჩივრებული გადანყვეტილება (სსსკ-ის 393-ე მუხლი). აღნიშნული გარემოება სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმების საფუძველია.

94. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადანყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადანყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები. წინამდებარე გადანყვეტილებაში განვითარებული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების კანონით გათვალისწინებული წინაპირობები.

95. განსახილველ შემთხვევაში, სარჩელი 9380 აშშ დოლარის გადახდის დაკისრების ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს.

96. ვინაიდან სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, სსსკ-ის 55-ე მუხლის მიხედვით, მოსარჩელის მიერ საკასაციო საჩივარზე გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება, რომლის გადახდისაგან იგი კანონის საფუძველზე გათავისუფლებული იყო, უნდა დაეკისროს მოპასუხეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა:

1. თ. გ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. თ. გ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს. დ. თ-ძეს თ. გ-ის სასარგებლოდ დაეკისროს 9380 აშშ დოლარის გადახდა.
4. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.
5. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 3 აგვისტოს განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება დარჩეს ძალაში, რომლითაც ყადაღა დაედო დ. თ-ძის საკუთრებაში რიცხულ უძრავ ქონებას, მდებარე ქ. ბათუმი, ... ქ. №20, ბინა №30. მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი ...
6. დ. თ-ძეს, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის სახით დაეკისროს 469 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა.
7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

იძულებით დაღებულ ბარიზაჟანი

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-10-2020

24 ივნისი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატის

შემადგენლობა: მ. ერემაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. კაკაბაძე,
ლ. მიქაბერიძე

დავის საგანი: ჩუქების ხელშეკრულებების ბათილად ცნობა,
უძრავ ქონებაზე მესაკუთრედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „ლ-ო“ (შემდეგში: მოსარჩელე, საწარმო, აპელანტი) სამე-
ნარმეო რეესტრში რეგისტრირებულია 1997 წლის 18 ნოემბრიდან.
2007 წლისათვის მისი პარტნიორები იყვნენ: დ. ნ-ძე – 33.3% (შემ-
დეგში: საწარმოს ამჟამინდელი დირექტორი), მ. შ-ა – 16.5%, ი. შ-ა
– 49.8%, ხოლო დირექტორი – მ. შ-ა (შემდეგში: მეორე დირექტო-
რი). საწარმოს საქმიანობას წარმოადგენდა საკუთრებაში არსებუ-
ლი ფართების იჯარით გაქირავება და სხვა ბიზნეს საქმიანობის
განხორციელება.

2. საწარმოს, 1996 წლის 20 სექტემბრიდან, სარგებლობაში ჰქონ-
და ქ. ქუთაისი, ... №53ა-ში (სასურსათო მაღაზია) მდებარე ს. რ-ის
მუშათა მომარაგების სავაჭრო-საწარმოო გაერთიანების ს-ის გან-
ყოფილების ბალანსზე რიცხული კვების ობიექტი №2, შენობის ქვეშ
არსებული 440 კვ.მ და მასთან დამაგრებული 60 კვ.მ მიწის ნაკვე-
თით, სულ 500კვ.მ მიწის ნაკვეთი.

3. ქუთაისის მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის არბიტრის, გ.
ფ-ის (შემდეგში: არბიტრი) 2001 წლის 08 იანვრის გადაწყვეტილე-
ბით, დაკმაყოფილდა საწარმოს თავდაპირველი დირექტორის პრე-
ტენზია და ქუთაისში, ... №53ბ-ში აგებული შენობა-ნაგებობები (შემ-
დეგში: საიჯარო ქონება) საერთო ფართობით 364.7 კვ.მ ცნობილ იქნა
საწარმოს საკუთრებად, ხოლო 741 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომელ-
ზეც განლაგებულია ეს შენობა-ნაგებობები, ცნობილ იქნა საწარ-
მოს მფლობელობაში.

4. შპს „ს. რ-ის“ ფილიალის, ს-ის №2 სამოქალაქო ნაგებობათა
დისტანციის დირექტორს – თ. ხ-ასა და საწარმოს თავდაპირველ
დირექტორს შორის 1998 წლის 22 დეკემბერს, გაფორმდა №117

ხელშეკრულება, სადგურ ქუთაისის ტერიტორიაზე, დროებითი ნაგებობის აშენების უფლებით, 500 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის 5 წლის ვადით იჯარით გაცემის შესახებ. ხელშეკრულების დაზუსტების შედეგად, საწარმოს გადაეცა 700 კვ.მ მიწის ნაკვეთი იჯარით, 2005 წლის ბოლომდე.

5. ქ. ქუთაისის მერიის მიწის მართვისა და განკარგვის საკონკურსო კომისიის 2006 წლის 20 ნოემბრის დადგენილებით, მიზანშეწონილად ჩაითვალა საწარმოსთვის მიწის ნაკვეთის იჯარის ხელშეკრულების გაგრძელება 2007 წლის ბოლომდე, რაზეც უნდა გაფორმებულიყო შესაბამისი ხელშეკრულება.

6. საწარმოს მეორე დირექტორმა, იჯარის ხელშეკრულების გაგრძელებასთან დაკავშირებით, საკითხის გადაწყვეტამდე, 2007 წლის 12 თებერვალს პრეტენზიით მიმართა ქუთაისის მუდმივმოქმედ არბიტრაჟს იმ მოტივით, რომ მას იჯარით ჰქონდა აღებული 700 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ფაქტიურად ფლობდა 744 კვ.მ და მოითხოვა მისი საკუთრებაში გადაცემა.

7. არბიტრის მიერ, 2007 წლის 12 თებერვალს მიღებული გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა საწარმოს მეორე დირექტორის, პრეტენზია და ქ. ქუთაისში, ... №53ბ-ში აგებული შენობა-ნაგებობები 723.51 კვ.მ განთავსებული 744 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, ცნობილ იქნა საწარმოს საკუთრებაში.

8. 2007 წლის 31 ოქტომბრის №2 კრების ოქმის და 2007 წლის 10 ნოემბრის №3 კრების ოქმის მიხედვით, საწარმოს პარტნიორთა კრებაზე მიღებულია გადაწყვეტილება საწარმოს კუთვნილი ქონების, ... 53ბ-ში არსებული 744 კვ.მ, ასევე 680 კვ.მ მიწის ნაკვეთების ნაწილის, მათზე არსებული შენობა-ნაგებობებით სახელმწიფოზე ჩუქების შესახებ.

9. საწარმოს მეორე დირექტორსა და ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარე – ა. ხ-ს შორის, 2007 წლის 16 ნოემბერს, საწარმო ნესით გაფორმდა უძრავი ქონების საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ხელშეკრულებები (რეესტრში რეგისტრაციის №1-10333 და №1-10334), უძრავ ქონებაზე, მდებარე: ქ. ქუთაისი, ... №53ბ-ში 744 კვ.მ მიწის ნაკვეთის, მასზე არსებული შენობა-ნაგებობების და ქ. ქუთაისში, ... №53ა-ში მდებარე 680 კვ.მ მიწის ნაკვეთის, მასზე არსებული შენობა-ნაგებობებით.

10. ქ. ქუთაისის მერმა ნ. შ-ამ 2007 წელს, სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხეების – ქუთაისის მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის, საწარმოსა და სხვათა მიმართ და მოითხოვა, ქუთაისის მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა, საჯარო რეესტრის ჩანაწერების გაუქმება და უძრავი ქონებების ქალაქის ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში აღდგენა.

თველი ერთეულის საკუთრებად აღრიცხვა.

11. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 20 ნოემბრის განჩინებით, ქ. ქუთაისის მერიის სარჩელი საწარმოს მიმართ, მოთხოვნის გამოხმობის გამო, დარჩა განუხილველად, იმ მიზეზით, რომ საწარმომ წარადგინა ხელშეკრულებები, სადავო ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის (ჩუქების) თაობაზე.

12. დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის უფროსი გამომძიებლისთვის მიცემული, მოწმის სახით დაკითხული მ. შ-ას ჩვენების მიხედვით, იგი თანახმა იყო, არბიტრის უკანონო გადაწყვეტილებით დარეგისტრირებული მიწის ნაკვეთი შენობიანად დაებრუნებინა სახელმწიფოსთვის.

13. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 9 ივნისის განაჩენით, არბიტრი ცნობილ იქნა დამნაშავედ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (1999 წლის რედაქცია), სსკ-ის 180-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2006 წლის 28 აპრილის მდგომარეობით), სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2007 წლის 01 აგვისტოს რედაქცია). აღნიშნული განაჩენით დადგინდა, რომ არბიტრის დანაშაულებრივი ქმედების შედეგად, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები აღირიცხა კერძო პირების, მათ შორის საწარმოს საკუთრებად.

14. უძრავი ქონებები მდებარე, ქ. ქუთაისი, ... №53ა, ნაკვეთი №1, ს/კ № ... (ნაკვეთის წინა ნომერი ...), დაზუსტებული ფართობი 680 კვ.მ და ქ. ქუთაისი, ... №53ბ, ს/კ №... (ნაკვეთის წინა ნომერი ...), დაზუსტებული ფართობი 744.00 კვ.მ. შენობა-ნაგებობით, 2008 წლის იანვრიდან ირიცხება ქუთაისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად.

15. საწარმოს მეორე დირექტორი გარდაიცვალა 2014 წლის 7 აპრილს.

16. სასამართლოს სხდომაზე დაკითხულმა ი. (შემდეგში: საწარმოს მეორე დირექტორის შვილი) და მ. შ-ებმა (შემდეგში: საწარმოს მეორე დირექტორის მეუღლე) და გ. ჭ-ემ განაცხადეს, რომ 2007 წელს საწარმოს მეორე დირექტორს იბარებდნენ პროკურატურაში და სთხოვდნენ მილიონ ლარს. ურეკავდნენ კიდევ და ემუქრებოდნენ დაჭერით, თითქოს სახელმწიფო მიწა ჰქონდა მისაკუთრებული. ეს მუქარა რეალურად მიაჩნდათ, ამიტომ მოიწვიეს საწარმოს პარტნიორთა კრება და მიიღეს გადაწყვეტილება სადავო ქონების სახელმწიფოსთვის ჩუქების თაობაზე.

17. მოწმის სახით დაკითხულმა ნოტარიუსმა, ე. გ-მა (შემდეგში: ნოტარიუსი) განმარტა, რომ კარგად ახსოვს, ხელშეკრულების გასაფორმებლად მისული იყო საწარმოს მეორე დირექტორი და ქუ-

თაისის საკრებულოს მაშინდელი თავმჯდომარე ა. ხ-ი. მხარეებმა წარმოადგინეს ყველა საჭირო დოკუმენტი, გამოხატეს ნება თავისუფლად, დააბეჭდინეს ოპერატორს, წაიკითხეს ერთად და მოაწერეს ხელი, რაც დარეგისტრირდა რეესტრში და გადაეცა მხარეებს. მას რაიმე საეჭვო არ შეუნიშნავს მათ მიერ ნების გამოხატვის ნამდვილობაში, არც ფსიქოლოგიურ ზეწოლას ჰქონია ადგილი. სანოტარო მოქმედების განხორციელებისას ოთახში მონაწილე პირების გარდა, სხვა პირები არ ყოფილან და ვერც იქნებოდნენ, მათ შორის პროკურორიც.

18. სანარმოს სარჩელის საფუძვლები და მოთხოვნა (დაზუსტებული)

18.1. სანარმომ სარჩელი აღძრა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, მოპასუხეების ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა (შემდეგში: მოპასუხე, მეორე კასატორი, საკრებულო) და ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის (შემდეგში: მოპასუხე, პირველი კასატორი, მერია) წინააღმდეგ, მოითხოვა:

18.1.1. სანარმოსა და საკრებულოს შორის, 2007 წლის 16 ნოემბერს გაფორმებული უძრავი ქონების საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ხელშეკრულებების ბათილად ცნობა (რეესტრში რეგისტრაციის №1-10333 და №1-10334);

18.1.2. სანარმოს მესაკუთრედ ცნობა, შემდეგ უძრავ ქონებებზე: 1. ქ. ქუთაისი, ..., №53ა, ნაკვეთი №1, დაზუსტ. ფართ. 680 კვ.მ. ს/კ: ..., ნაკვეთის წინა ნომერი ...; 2. ქ. ქუთაისი, ..., №53ბ, დაზუსტ. ფართ. 744 კვ.მ., ნაკვეთის წინა ნომერი ..., ფართი 723.51 კვ.მ;

18.2. სანარმოს სარჩელის მიხედვით, 2007 წლისთვის სანარმოს პარტნიორებს სანარმოს ამჟამინდელი დირექტორი და სანარმოს მეორე დირექტორის მეუღლე და შვილი წარმოადგენდნენ. იმავე წლის 29 აგვისტოს, სანარმოს მეორე დირექტორის შვილმა, დედას (სანარმოს მეორე დირექტორის მეუღლეს) აჩუქა თავისი წილი მთლიანად და გავიდა საზოგადოებიდან. ამასთან, პარტნიორებმა მიიღეს გადაწყვეტილება სანარმოს მეორე დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლებისა და სანარმოს დირექტორად ე. ლ-ძის დანიშვნის თაობაზე, თუმცა აღნიშნული გადაწყვეტილების რეგისტრაცია ვერ მოხერხდა, ვინაიდან, პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე იყო აღძრული, რის გამოც, სანარმოს მეორე დირექტორსა და მის ვაჟს პროკურატურის თანამშრომლები მილიონი ლარის გადახდას სთხოვდნენ, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში დაჭერით და სანარმოს ქონების წართმევით ემუქრებოდნენ.

18.3. მოსარჩელემ წინამდებარე გადაწყვეტილების მე-8 და მე-9 პუნქტებში ასახულ გარემოებებზე მითითებით განმარტა, რომ ქონების გადაცემა გამოძიებლების კატეგორიული მოთხოვნის,

დაშინებისა და მუქარის საფუძველზე გადაწყდა. კრების ოქმი №2 სანოტარო წესით დამოწმდა, რომელიც ორი ეგზემპლარი იყო, საიდანაც ერთი მხარის შედგენილი, ხოლო მეორე საგამოძიებო ორგანოს მიერ იყო შედგენილი, ნოტარიუსმა ერთი და იმავე ნომრით დაარეგისტრირა. სანოტარო მოქმედებები საგამოძიებო ორგანოების წარმომდგენლების თანდასწრებით და ზენოლით განხორციელდა.

18.4. მოსარჩელის განმარტებით, საკრებულოს 2008 წლიდან იჯარით აქვს გაცემული სადავო უძრავი ქონებები და მიღებული აქვს საკმაოდ სოლიდური შემოსავალი.

18.5. მოსარჩელის მტკიცებით, გარიგება ამორალურია, ამასთან, ხანდაზმულობის ათწლიანი ვადა არ არის გასულა.

19. მოპასუხეთა პოზიცია

19.1. მოპასუხეებმა, წარდგენილი შესაგებლებითა და სხდომაზე დაფიქსირებული პოზიციით სარჩელი არ ცნეს.

19.2. საკრებულოს წარმომადგენლის განმარტებით, საწარმოს მეორე დირექტორმა თავად მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს და მოითხოვა წარმომადგენლის გამოყოფა თვითმმართველი ერთეულისთვის უძრავი ქონებების უსასყიდლოდ გადაცემისთვის, ხოლო 2007 წლის 16 ნოემბრის ხელშეკრულებით, სადავო ქონებები საკუთრებაში გადაეცა საკრებულოს. სადავო ქონებების გადაცემის შესახებ ხელშეკრულებების ბათილად ცნობაზე საწარმოს სარჩელი ჰქონდა შეტანილი, რომელიც მისივე შუამდგომლობის საფუძველზე გამოითხოვა. მესამე პირისგან, იძულებისა და ზენოლის ფაქტების დამადასტურებელი მტკიცებულებები საწარმოს არ წარუდგენია.

19.3. საკრებულოს წარმომადგენლის განმარტებით გასულია ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობისთვის კანონით დადგენილი სპეციალური ვადა, რის გამოც მოთხოვნა ხანდაზმულია. ამასთან, მოსარჩელის განმარტებით, იძულებით იყო დადებული ხელშეკრულება, რა შემთხვევაშიც, სადავო, იძულების განხორციელებიდან 1 წლის განმავლობაში უნდა გაეხადა გარიგება.

19.4. მერიის წარმომადგენლის განმარტებით 2004 წლის 9 იანვრის მონაბობით, საწარმოს საკუთრებაში გადაეცა გარკვეული უძრავი ქონება (შენობა-ნაგებობები), თუმცა აღნიშნული ობიექტის მიმდებარედ, უნებართვოდ დაიკავა 657 კვ.მ. მიწის ნაკვეთი.

19.5. სადავო ქონებები კანონის დარღვევით დაარეგისტრირდა საწარმოს საკუთრებაში, რაც დადგენილია 2008 წლის 9 ივნისის განაჩენით, ხოლო მოწმეთა განმარტებები ზენოლის თაობაზე, გასაზიარებელი არაა, ვინაიდან მოწმეები დაინტერესებულ პირებს წარმოადგენენ.

20. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

20.1. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით საწარმოს სარჩელი მოპასუხეების წინააღმდეგ არ დაკმაყოფილდა;

20.2. საქალაქო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 50-ე, 54-ე, 86-ე, 319-ე, 524-ე, 525-ე, 128-ე-130-ე და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (სსსკ) 102-ე, 199¹-ე მუხლებით.

21. საწარმოს სააპელაციო საჩივარი

21.1. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საწარმომ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება, 2007 წლის 16 ნოემბერს, საწარმოს დირექტორსა და ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარეს შორის, სანოტარო წესით გაფორმებული უძრავი ქონებების, მდებარე: ქ. ქუთაისი, ... №53 ბ-ში 744 კვ.მ მიწის ნაკვეთის, მასზე არსებული შენობა-ნაგებობების და ქ. ქუთაისში, ... №53 ა-ში მდებარე 680 კვ.მ მიწის ნაკვეთის, მასზე არსებული შენობა-ნაგებობების საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ხელშეკრულებების (რეესტრში რეგისტრაციის №1-10333 და №1-10334) ბათილად ცნობა, ამ ქონებაზე, საწარმოს საკუთრების უფლების აღიარება და საკუთრების უკანონოდ სარგებლობით მიყენებული ზიანის – 3 000 000 ლარის ანაზღაურება მოითხოვა.

22. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

22.1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილებით საწარმოს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით, საწარმოს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ:

22.1.1. ბათილად იქნა ცნობილი, 2007 წლის 16 ნოემბერს, საწარმოს დირექტორსა და საკრებულოს თავმჯდომარეს შორის, სანოტარო წესით გაფორმებული, №... საკადასტრო კოდის უძრავი ქონების – ქ. ქუთაისი, ... №53 ბ-ში მდებარე, 744 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული შენობა-ნაგებობების საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ხელშეკრულება (რეესტრში რეგისტრაციის №1-10333) და ამ ქონებაზე აღიარებულ იქნა საწარმოს საკუთრების უფლება;

22.2. სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლის თაობაზე გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებებს

დააფუძნა:

22.2.1. პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე, მოწმის სახით დაკითხულმა სანარმოს მეორე დირექტორის მეუღლემ განაცხადა, რომ ქუთაისის საოლქო პროკურორის დაჟინებული მოთხოვნით ჩაიტარა ფსიქიატრიული ექსპერტიზა, რაც მისთვის ძალიან შეურაცხმყოფელი იყო, რადგან თავად პროფესიით ექიმი. ამასთან, ეუბნებოდნენ, რომ თუ ქონებას არ გადასცემდნენ, მის მეუღლეს (სანარმოს მეორე დირექტორს) და ვაჟიშვილს პრობლემებს შეუქმნიდნენ, ხოლო საქმის მოგვარებაში სთხოვდნენ ერთ მილიონ ლარს. მიუხედავად იმისა, რომ ერთ-ერთი პარტნიორი – სანარმოს ამჟამინდელი დირექტორი ქონების უსასყიდლოდ გადაცემის წინააღმდეგი იყო, ბოლოს ოჯახმა მაინც გადაწყვიტა თავიანთი წილის გასხვისება. იცის, რომ ნოტარიუს ე. გ-თან მის მეუღლესთან ერთად იმყოფებოდა მისი შვილი ი. შ-ა, მისი მძლოლი, ასევე პროკურორები. სადავო ქონება რა გზით გახდა შპს „ლ-ოს“ საკუთრება, მისთვის უცნობია. ცნობილია 2007 წელს, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში არსებულ დავასთან დაკავშირებით, თუმცა შედეგი არ ახსოვს. მ. შ-ას ანალოგიური შინაარსის განმარტება აქვს მიცემული საგამოძიებო ორგანოსთვის.

22.2.2. მოწმის სახით დაკითხულმა გ. ჭ-ძემ განაცხადა, რომ იგი მუშაობდა სანარმოს მეორე დირექტორთან მძლოლად. იცის, რომ მას იბარებდნენ პროკურატურაში, თუმცა საუბრების ზუსტი შინაარსი არ იცის. სანარმოს მეორე დირექტორი იყო ცუდად, რადგან მისი გადმოცემით სთხოვდნენ ფულს და ქონებას, ემუქრებოდნენ შვილის დაჭერით. თუ რომელ ქონებაზე იყო საუბარი, არ იცის. მართალია, ნოტარიუსთან პირადად მიიყვანა სანარმოს მეორე დირექტორი, მისი მეუღლე და შვილი, თუმცა შიგნით არ შესულა და არ იცის, იქ ვინ იმყოფებოდა. გარეთ ხალხი იყო, მაგრამ კონკრეტულად ვინ, არ ახსოვს.

22.2.3. მოწმის სახით დაკითხულმა ნოტარიუსმა განმარტა, რომ სადავო საკითხთან დაკავშირებით, მან დეტალური ჩვენება მისცა გენერალურ პროკურატურაში გამომძიებელს. პირის მიერ ნების გამოვლენის და შემომწმების ვალდებულება მას კანონით აქვს, ამიტომ შეამონმა და გაარკვია კიდევაც. კარგად ახსოვს, რომ ხელშეკრულების გასაფორმებლად მისული იყო სანარმოს მეორე დირექტორი და ქუთაისის საკრებულოს მაშინდელი თავმჯდომარე ა. ხ-ი. მხარეებმა წარადგინეს ყველა საჭირო დოკუმენტი, გამოხატეს ნება თავისუფლად, დააბეჭდინეს ოპერატორს, წაიკითხეს ერთად და მოაწერეს ხელი, რაც დარეგისტრირდა რეესტრში და გადაეცა მხარეებს. მას რაიმე საეჭვო არ შეუნიშნავს მათ მიერ ნების გამოხატვის ნამდვილობაში, არც ფსიქოლოგიურ ზენოლას ჰქონია

ადგილი, რასაც შეამჩნევდა და აუცილებლად შეიკავებდა თავს სანოტარო მოქმედების განხორციელებისაგან. სანოტარო მოქმედების განხორციელებისას ოთახში მონაწილე პირების გარდა, სხვა პირები არ ყოფილან და ვერც იქნებოდნენ, მათ შორის პროკურორიც. შენობის გარეთ თუ ვინ იდგა, არ იცის. ანალოგიური შინაარსის განმარტება აქვს მას მიცემული საგამოძიებო ორგანოსთვის.

22.3. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელემ მიუთითა, რომ უძრავ ქონებაზე საკუთრება გააჩნდა მართლზომიერად და ამ ქონების გაჩუქებაზე ნება გამოავლინა პროკურატურის თანამშრომელთა მხრიდან განხორციელებული მუქარისა და იძულების გამო, მისი და ოჯახის წევრების მიმართ რეპრესიული ღონისძიებების თავიდან ასარიდებლად, რასაც ადასტურებდა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

22.3.1. ჩუქების ხელშეკრულებები მოსარჩელემ გააფორმა 2007 წლის 16 ნოემბერს მას შემდეგ, რაც ამავე წლის 2007 წლის 22 აგვისტოს მის მიმართ განხორციელდა სასამართლო ბრძანებით დოკუმენტების ამოღება, იმ საფუძველით, რომ საწარმოს ხელმძღვანელის მიერ, თითქოსდა ადგილი ჰქონდა ქ. ქუთაისში, ... №53 ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთის მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრებას;

22.3.2. ხელშეკრულების გაფორმებამდე, გამოძიების მიმდინარეობისას საწარმოს მეორე დირექტორს მუდმივად იბარებდნენ პროკურატურაში. გამოძიებას გააჩნდა გარკვეული პრეტენზიები მის მიმართ, სთხოვდნენ ქონების დაბრუნებას, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი და მისი ოჯახის წევრების მიმართ გამოყენებული იქნებოდა სისხლისსამართლებრივი პასუხისგების ფორმები;

22.3.3. საწარმოს პარტნიორმა, და იმავდროულად საწარმოს მეორე დირექტორის მეუღლემ, რომელიც არის პროფესიით ექიმი, ჩუქების გაფორმებამდე რამდენიმე დღით ადრე, 2007 წლის 2 ნოემბერს, გამოძიებლების მოთხოვნით ჩაიტარა ფსიქიატრიული გამოკვლევა, რათა დასაჩუქრებულს ჰქონოდა სათანადო მტკიცებულება, რომ მისი, როგორც პარტნიორის მხრიდან ჩუქებაზე ნების გამოვლენისას, ფსიქიურად ჯანმრთელი იყო;

22.3.4. საწარმოს ქონებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიმღები არბიტრის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა;

22.4. მოპასუხის განმარტებით, ჩუქების ხელშეკრულების საგანი, მოსარჩელეს არ შეუძენია, არამედ, არბიტრის უკანონო ქმედების შედეგად დაისაკუთრა, რაც დადასტურდა არბიტრის წინააღმდეგ გამოტანილი განაჩენით.

22.5. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველებს, სსკ-ის 54-ე, 978-ე-979-

ე მუხლები წარმოადგენდა.

22.6. განსახილველ შემთხვევაში, უპირველესად გამოსაკვლევი იყო, სადავო ხელშეკრულებების დადებისას დაცული იყო, თუ არა პირის ნების გამოვლენის თავისუფლების უზრუნველყოფისათვის შესაბამისი პირობები, ხომ არ ჰქონდა ადგილი პროკურატურის მხრიდან მოსარჩელეზე ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ან იძულებას და ჩუქება, ხომ არ განაპირობა შექმნილმა ვითარებამ. ამასთან ჩუქება, ხომ არ იყო ამორალური გარიგება და „საყოველთაოდ მიღებული ქცევის სტანდარტის“ საწინააღმდეგო, ვინაიდან, სამართალურთიერთობის საფუძველი მორალურად ყოველთვის გამართლებული უნდა იყოს. აღნიშნული პრინციპი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი სამართალურთიერთობის არსებობისას, როდესაც ამავე ურთიერთობის მხარეებს შორის ნდობისა და კეთილსინდისიერების სტანდარტი მაღალია. იმ სამართალურთიერთობაში, რომელშიც სახელმწიფო მონაწილეობს, ნდობისა და კეთილსინდისიერების ხარისხი განსაკუთრებულად მაღალია. უფრო მეტიც, მიუხედავად სამართალურთიერთობის კერძოსამართლებრივი ბუნებისა, კერძო სამართლის სუბიექტების მხრიდან კონტრაჰენტი ძლიერი მხარის – სახელმწიფოს, ქმედებების მიმართ კანონიერი ნდობის პრინციპი მოქმედებს. შესაბამისად, სახელმწიფოს მონაწილეობით დადებული გარიგებების მიმართ კანონშესაბამისობისა და მორალური სტანდარტების დაცვის პრეზუმფიცია არსებობს, რომელიც შეცილებისთანავე ქარწყლდება და მტკიცების ტვირთი მოპასუხეზე გადადის.

22.7. ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე და სამოქალაქო საქმეთა განხილვისას მოქმედი დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების მიხედვით, განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელეს უნდა დაემტკიცებინა სადავო გარიგებების ბათილობის წინაპირობების – იძულების არსებობა, ხოლო მოპასუხეს უნდა დაედასტურებინა, რომ მოსარჩელის მიმართ რაიმე იძულებას, ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ადგილი არ ჰქონია.

22.8. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, იძულების დადასტურება პირდაპირი მტკიცებულებებით ძალიან რთულია. ამ დროს, გათვალისწინებული უნდა იყოს მხარის ობიექტური შესაძლებლობა, წარმოუდგინოს სასამართლოს იძულების მამტკიცებელი პირდაპირი მტკიცებულებები, მით უმეტეს, ისეთ ვითარებაში, როდესაც, მოსარჩელის განმარტებით, იძულება ხორციელდება პროკურატურის მხრიდან. ცხოვრებისეული გამოცდილება აჩვენებს, რომ იძულების განმახორციელებელი პირები ყოველთვის იკავებენ თავს, მათ მიერ გამოვლენილი არასათანადო მოპყრობის ფაქტების დაფიქსირებისა და გამხელისაგან, მით უმეტეს, მაშინ,

როდესაც შესაძლებელია მათი ქცევა აღიქმებოდეს დანაშაულის ჩადენად, დანაშაულის ფაქტის დაფარვად. იძულების განმარტებითი პირი ყოველთვის მოქმედებს გააზრებულად და ფრთხილად, მისთვის საინტერესო მიზნის მიღწევის პროცესში, რის გამოც, ძალიან რთული ხდება საჭირო მტკიცებულებების მოპოვება.

22.9. კერძო პირთან დადებული გარიგების თაობაზე, გამოხატული ნების ნამდვილობაზე მტკიცების ტვირთის სახელმწიფოზე გადასვლისას, უნდა შემოწმდეს სარჩელში მითითებული ფაქტების უარსაყოფად შესაგებელში დაფიქსირებული გარემოებები და წარდგენილი მტკიცებულებები. აღსანიშნავია, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხე, იძულებისა და მუქარის ფაქტების თაობაზე სათანადოდ არ შედავებია და არც რაიმე მტკიცებულებები წარმოუდგენია.

22.10. მოპასუხემ შედავებისას, მხოლოდ სადავო ქონებაზე საკუთრების უფლების წარმოშობის მართლზომიერებაზე მიუთითა და განმარტა, რომ საკუთრების უფლება უკანონო გზით იყო მოპოვებული, რაც არბიტრის მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენითაც დასტურდებოდა. აღნიშნულის საპასუხოდ სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სისხლის სამართლებრივ საქმეზე დადგენილ ფაქტებს, სამოქალაქოსამართლებრივ დავებზე პრედიუდიციული მნიშვნელობა არ ენიჭებოდა, ამასთან აღსანიშნავი იყო, რომ მოხმობილ სისხლის სამართლის საქმესა და მიმდინარე სამოქალაქო დავაში მხარეები ერთი და იმავე პირებს არ წარმოადგენდნენ. (იხ. სსსკ-ის 106-ე მუხლი). უდავოა, რომ სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით შესწავლილი და სამართლებრივად შეფასებული არა იყო და ვერც იქნებოდა კერძოსამართლებრივი მნიშვნელობის მქონე საკითხები, მათ შორის, იმ გარიგებების (ჩუქების ხელშეკრულებები) ნამდვილობა, რაზეც მოპასუხის მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი იყო დაფუძნებული.

22.11. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მოპასუხის პოზიცია, რომ სანარმოს საკუთრების უფლების წარმოშობის უკანონობას სადავო ქონებებზე ადასტურებდა, თავდაპირველად, მერიის მიერ წარდგენილ სარჩელზე სანარმოს მიერ შეტანილი შესაგებელი, უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია. მერიის თავდაპირველ სარჩელზე, სანარმომ შესაგებელი წარადგინა 2008 წლის სექტემბერში, მაშინ, როდესაც თითქმის ერთი წლით ადრე, 2007 წლის 16 ნოემბერს, უკვე გაფორმებული იყო ჩუქების ხელშეკრულებები და ქონება უკვე აღრიცხული იყო მუნიციპალიტეტის საკუთრებაში.

22.12. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ

გარემოებაზე, რომ მეორე სადავო ქონებაზე (ფართი 744 კვ.მ), საწარმოს საკუთრების უფლება წარმოიშვა არბიტრაჟის გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც სათანადო წესით არ შედავებულა და გაბათილებულა. ასეთ შემთხვევაში, დასახელებული წესით მიღებული გადაწყვეტილების გაუქმება/ბათილობა, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, სამოქალაქო საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით არის შესაძლებელი, სხვაგვარად სასამართლოს ჩარევა დაუშვებელია. პირველ სადავო ქონებაზე და მასზე არსებულ შენობა-ნაგებობებზე, საწარმოს საკუთრების უფლების მოპოვების საფუძველად მითითებულია ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებები, რაც ასევე არ შედავებულა სათანადო წესით.

22.13. სააპელაციო სასამართლომ, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, განმარტა, რომ იმ პირობებში, როდესაც, სადავო ჩუქების ხელშეკრულებები შესაბამისი წესით არ შედავებულა/გაბათილებულა, დაუსაბუთებელი იყო მოპასუხის მტკიცება, რომ მოსარჩელის მორალურ ვალდებულებას წარმოადგენდა სადავო ქონების სახელმწიფოსთვის დაბრუნება.

22.14. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, იმის გათვალისწინებით, რომ შესაგებელში, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტების უარსაყოფად, იძულებასთან დაკავშირებით, რაიმე სახის მსჯელობა არ დაფიქსირებულა, მოპასუხემ ვერ შეძლო ჩუქების დადების ფაქტი მოსარჩელის მიერ თავისუფალი ნების გამოვლენის საფუძველზე, ყოველგვარი იძულების გარეშე. აღნიშნულის საპირისპიროდ, მოსარჩელემ, წარმატებით დაძლია მტკიცების ტვირთი.

22.15. მოსარჩელის მიმართ განხორციელებული იძულება კერძოდ: საწარმოს მეორე დირექტორის მიმართ უძრავი ქონების მითვისების ფაქტზე გამოძიების დაწყება და მისი ოჯახის წევრების სისტემატური დაბარება საგამოძიებო ორანოებში, საწარმოს მეორე დირექტორის მეუღლის და იმავდროულად საზოგადოების პარტნიორის იძულება ფსიქიატრიული შემონმების ჩატარებაზე, არბიტრის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება – სრულიად საკმარისი საფუძველი იყო იმისათვის, რომ მოსარჩელეს მუქარა რეალურ საფრთხედ აღექვა.

22.16. სწორედ აღნიშნულმა გარემოებებმა შეუქმნა, საწარმოს მეორე დირექტორსა და პარტნიორებს, მისი და მისი ოჯახის წევრების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემისა და დაპატიმრების რეალური და მაღალი ხარისხით ვარაუდი საფრთხის შესახებ, რომლის თავიდან აცილებაც, მხოლოდ სადავო უძრავი ქონებების სახელმწიფოსთვის გადაცემით შეეძლოთ. აღნიშნულ ვარა-

უდს ამყარებდა, სადავო ქონებების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის შედეგად გამოძიების დაწყებისგან და მუქარის ადრესატების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის დაწყებისგან თავის შეკავება.

22.17. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ნათელი იყო, რომ ჩუქების ხელშეკრულების გაფორმება განპირობებული იყო უძრავი ქონების დათმობის სანაცვლოდ, მოსალოდნელი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის, ასევე სანარმოს მეორე დირექტორისა და მისი ოჯახის წევრების მიმართ რეპრესიული ღონისძიებების თავიდან არიდების სურვილით და არა ავტონომიური, თავისუფალი, ნამდვილი ნების გამოვლენით, რისი დადასტურებაც, შესაძლოა, ყოველთვის ვერ მოხერხდეს უშუალო მტკიცებულებებით, თუმცა, მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების ერთობლივად შეფასებით, ასევე, მონინააღმდეგე მხარის მიერ, ასეთი მითითებების სანინააღმდეგოდ დასაბუთებული არგუმენტების წარუდგენლობით, აღნიშნული შესაძლებელია.

22.18. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სახეზე იყო სსკ-ის 978-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები.

22.19. სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელის მიერ მითითებულ, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველზე, სსკ-ის 54-ე მუხლზე და საკასაციო სასამართლოს პრაქტიკაზე მიუთითა „სსკ-ის 54-ე მუხლის დანაწესით, ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს. სამართლებრივ სახელმწიფოში მართლწესრიგის არსებობას უზრუნველყოფს, როგორც კანონი, ასევე, მორალური ქცევის სტანდარტი. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში კერძო ავტონომიისა და თავისუფალი კონტრაპირების პრინციპი მოქმედებს, გარიგება, რომელიც საზოგადოებაში „საყოველთაოდ მიღებულ ქცევის სტანდარტს ეწინააღმდეგება, ამორალურ გარიგებად მიიჩნევა და ბათილობის სამართლებრივ შედეგებს უკავშირდება“.

22.20. სსკ-ის 54-ე მუხლის საკანონმდებლო დანაწესის მიზანს, სწორედ იმგვარი გარიგებების თავიდან აცილება წარმოადგენს, რომლებიც ფორმალურად კანონსანინააღმდეგო არ არის, თუმცა, თავისი არსით, საზოგადოებრივ მართლწესრიგს არღვევს და სამოქალაქო ბრუნვის სუბიექტთა თანაცხოვრებას აუარესებს, რაც შედეგობრივად, სამოქალაქო ბრუნვას აფერხებს“ (იხ. სუსგ №ას-212-201-2017, 15.05.2017წ.).

22.21. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ჩუ-

ქების ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებაზე, მის ცალმხრივ ხასიათზე მიუთითა და განმარტა, რომ მესაკუთრის ასეთი გარიგების დადების სურვილის არსებობისას, ლოგიკურია, უნდა არსებობდეს გამჩუქებლის ჯანსაღი დამოკიდებულება დასაჩუქრებულის მიმართ და იმგვარი პირადი კეთილგანწყობა, რომელიც დამსაჩუქრებლის მხრიდან მადლიერების სურვილს აღძრავს. აგრეთვე, უნდა არსებობდეს დამსაჩუქრებლის შესაბამისი ფინანსური მდგომარეობაც. მხოლოდ ამ გარემოებათა ობიექტური შეფასებით შეიძლება იყოს პრეზუმირებული, რომ ჩუქება ნამდვილი ნების გამოვლინებაა.

22.22. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, განსახილველ შემთხვევაში არც ჩუქების დადების წინაპირობები დასტურდებოდა და ვერც ასეთი პრეზუმფციის გაქარწყლება შეძლო მოპასუხემ სარწმუნო მტკიცებულებებით.

22.23. ამავე კონტექსტში, სააპელაციო სასამართლომ, საკასაციო სასამართლოს განჩინება მოიხმო, სადაც აღნიშნულია, რომ „სსკ-ის 319-ე მუხლი ადგენს სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპს, რაც იმას ნიშნავს, რომ კერძოსამართლებრივი გარიგების მონაწილეები კანონის ფარგლებში უფლებამოსილი არიან, თავისუფლად დადონ ისეთი ხელშეკრულებები, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას, ანუ მოქმედებს პრინციპი „ნებადართულია, რაც აკრძალული არ არის“ (იხ. სუსგ. №ას-212-201-2017, 15.05.2017)“.

22.24. სასამართლოს შეფასებისა და კვლევის საგანი იყო, მორალურად რამდენად შეიძლება მიჩნეულიყო ისეთი გარიგება, როდესაც სახელმწიფო უსასყიდლოდ იღებდა გარკვეულ მომსახურებას, ქონებას და ა.შ., ანუ პრაქტიკულად, რატომ შეიძლება კერძო სამართლის პირმა „დაასაჩუქროს“ სახელმწიფო, რამდენად შეესაბამება აღნიშნული იმ ზოგად მორალურ კატეგორიას, რომ სახელმწიფოს, რომელსაც აქვს ვალდებულება საკუთარი რესურსებით თითოეული პირის უფლება და ინტერესი დაიცვას, ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა აჩუქოს რაიმე ქონება, უსასყიდლოდ მოემსახუროს“.

22.25. განსახილველ შემთხვევაში, ჩუქების უსასყიდლო ბუნება, კიდევ ერთი დამატებითი არგუმენტია, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს სახელმწიფოს, როგორც ძლიერი მხარისა და ფიზიკური პირის მიერ გამოვლენილი ნების ნამდვილობას. ამასთან, მოპასუხის მტკიცების საპასუხოდ, სააპელაციო სასამართლო იმასაც განმარტავს, რომ ჩუქების, როგორც უსასყიდლო გარიგების დროს, არ არსებობს შემძენის კეთილსინდისიერების პრეზუმფცია და მტკიცების ტვირთი შემძენს უბრუნდება.

22.26. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, მოსარჩელემ წარმატებით დაამტკიცა, რომ სადავო გარიგებები ეწინააღმდეგებოდა ზნეობის ნორმებს.

22.27. სსკ-ის 54-ე მუხლის საფუძველზე გარიგების ზნეობის საწინააღმდეგოდ მიჩნევის შემთხვევაში, გარიგებით მიღებული სარგებლის დაბრუნება კრედიტორმა მოვალეს შესაძლებელია მოსთხოვოს უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებით.

22.28. სააპელაციო სასამართლომ, ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მიუთითა, რომელშიც საერთაშორისო სასამართლომ განმარტა, რომ თუ საპროცესო შეთანხმების უკანონობა არ დასტურდება, ქონებრივი პასუხისმგებლობა, რომელიც აღნიშნული საპროცესო შეთანხმების შედეგად დადგა, არ შეიძლება ცალკე იქნეს გამოყოფილი და როგორც პასუხისმგებლობის დამოუკიდებელი სახე, უკანონოდ მიჩნეული („ნ-ლი და ტ-ძე საქართველოს წინააღმდეგ“; „გალსთიანი სომხეთის წინააღმდეგ“).

22.29. შესაბამისად, ევროსასამართლოს მითითებული პრაქტიკის განზოგადების შედეგადაც, ცხადია, რომ, იმ შემთხვევაში, თუ ქონებრივი პასუხისმგებლობა საპროცესო შეთანხმების არსებითი შემადგენელი ნაწილი, ან მისი თანმდევი შედეგია, სადავო (ჩუქების) ხელშეკრულება, მაინც არ შეიძლება მართლზომიერად იქნეს მიჩნეული, მაშინაც კი როცა მოსარჩელე ცალსახად მიუთითებს, რომ მის ქონებრივ პასუხისმგებლობას და მორალურ ვალდებულებას სახელმწიფოსათვის ქონების უსასყიდლოდ გადაცემა წარმოადგენდა, ეს კი, თავის მხრივ სახელმწიფოსათვის დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას ემსახურებოდა.

23. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის შედავება სარჩელის ხანდაზმულობისა და შეცილების ვადასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ შეცილება და ხანდაზმულობა სხვადასხვა სამართლებრივი ცნებებია.

23.1. იძულებით დადებული გარიგების შეცილების ვადა ერთი ნელია, რომელიც აითვლება იმ მომენტიდან, როდესაც დამთავრდება პირის იძულების მომენტი. მნიშვნელოვანია, რომ იძულების მომენტის დასრულება უკავშირდება პირის სუბიექტურ აღქმას, რომ მის პიროვნებას ან ქონებას, მისი ოჯახის წევრებს ან ახლო ნათესავებს აღარ ემუქრებათ რეალური საფრთხე.

23.2. აღნიშნული, იძულებულ პირის სუბიექტური თვალთახედვიდან უნდა იქნეს შეფასებული (იხ. A. Arnold in Ermann BGB Kommentar 14. Aufl. Band. I. Köln 2014 §124 Rn 4) და არა იძულების განხორციელების მომენტიდან. ამასთან, მატერიალური უფლების შეცილების ვადა ვრცელდება, მხოლოდ საცილო გარიგებებზე, მოცემულ შემთხვევაში კი უცილოდ ბათილი გარიგებაა სახეზე, მისი

ამორალურობის გამო, რომელზე შეცილების ვადაც სსკ-ის დადგენილი არაა, რის გამოც მის მიმართ შეცილების საერთო ხანდაზმულობის – 10 წლიანი ვადა უნდა იქნეს გამოყენებული.

23.3. ამდენად, ხანდაზმულობაზე მოპასუხის შედაგებას სამართლებრივად ვარგისი საფუძველი არც ამ თვალსაზრისით გააჩნია და იგი დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა (იხ. სუსგ-ები: №ას-225-215-2016; №ას-761-729-2016, №271-271-2018).

23.4. ზემოაღნიშნულის გარდა, სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, შესაგებელში წარდგენილი მსჯელობა ურთიერსაინააღმდეგოა, ვინაიდან, მოპასუხე, ერთის მხრივ აღნიშნავს, რომ მოსარჩელე არ წარმოადგენდა ნამდვილ მესაკუთრეს, მეორეს მხრივ კი მიიჩნევდა, რომ ასეთი პირის მიერ გამოვლენილი ნება ჩუქებაზე ნამდვილი იყო.

23.5. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე, ადგილი ჰქონდა ნების გამოვლენის იმგვარ ნაკლს, რომელიც იწვევდა მისი იურიდიული შედეგის გაბათილებას.

23.6. ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულების არანამდვილობა წარმოშობს კონდიქციური მოთხოვნის უფლებას. კონდიქციური სარჩელის საგანია დაზარალებულის მოთხოვნა, უსაფუძვლოდ გამდიდრების საფუძველზე მიღებულის ნატურით დაბრუნების შესახებ. უსაფუძვლო გამდიდრების დროს სუბიექტები არიან კრედიტორი და მოვალე. მოვალედ განიხილება ის პირი, რომელმაც სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მიიღო ქონებრივი სარგებელი. შესაბამისად, ვინც გამდიდრდა, ან დაზოგა თავისი ქონება, იწოდება „შემძენად“.

23.7. განსახილველ შემთხვევაში მოპასუხემ, ანუ მიმღებმა, ვერ დაადასტურა უფლების არსებობა გადაცემულ სადავო ქონებაზე, რაც სსკ-ის 54-ე, 978-ე, 981.1 და 979.1 მუხლების შესაბამისად სადავო უძრავ ქონებებზე (№... და ...) ჩუქების ხელშეკრულებების ბათილად ცნობის და ამ ქონებაზე საჯარო რეესტრში მოსარჩელის საკუთრების უფლების აღდგენის თაობაზე, სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველია.

23.8. სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა უსაფუძვლოდ მიღებული 3 000 000 ლარის დაკისრების თაობაზე:

23.8.1. მოსარჩელე, მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველად მიუთითებდა, რომ სარგებლობის მთელი პერიოდის განმავლობაში, მოპასუხემ უძრავი ნივთის იჯარით გაცემით უსაფუძვლოდ მიიღო 3 000 000 ლარი, რაც უნდა აუნაზღაუროს მას.

23.8.2. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ ქ. ქუთაი-

სის მუნიციპალიტეტი ქონების იძულებით გადაცემაში, არათუ არ მონაწილეობდა, არამედ სარჩელიც კი წარადგინა ქონებაზე საკუთრების წარმოშობის საფუძვლის ბათილობის მოთხოვნით.

23.8.3. ამდენად, მოპასუხე სარჩელის წარდგენამდე ქონების არაუფლებამოსილ, კეთილსინდისიერ მფლობელს წარმოადგენდა, რაც სამოქალაქო კოდექსის 163-ე მუხლის შესაბამისად, გამორიცხავს მისი მხრიდან მიღებული სარგებლის დაბრუნებას.

23.8.4. ანალოგიური მსჯელობაა განვითარებული სკ-ის 981.1 მუხლშიც, რომლის მიხედვითაც, მიღებული სარგებელი დაბრუნებას ექვემდებარება იმ შემთხვევაში, თუ მიმღებმა მიღებისას იცოდა, ან უხეში გაუფრთხილებლობის გამო მისთვის უცნობი იყო სამართლებრივი საფუძვლის ხარვეზის არსებობა და ამის შესახებ მოგვიანებით შეიტყობს, ან გადაცემის თაობაზე მოთხოვნა მიღებულია სასამართლო წარმობაში, მაშინ მიმღებს ეკისრება პასუხისმგებლობა ხარვეზის თაობაზე ცნობების მიღების ან სასამართლო წარმობაში გადაცემის დროიდან – 979-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 980-ე მუხლის, ასევე ქვემოთ მოყვანილი წესების საფუძველზე“.

23.8.5. ვინაიდან, სანარმო ითხოვს სარჩელის წარდგენის დრომდე იმ სარგებელს, რომელიც მოპასუხემ მისი ქონების იჯარიდან მიიღო, თუმცა მოპასუხისათვის სარჩელის წარდგენის დრომდე უცნობი იყო ჩუქების სამართლებრივი საფუძვლის ხარვეზის თაობაზე, სკ-ის 163.1 და 981.1 მუხლების შესაბამისად, არ არსებობდა აღნიშნული თანხის დაკისრების წინაპირობა, რაც გამორიცხავდა ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

24. მერიისა (პირველი კასატორი) და საკრებულოს (მეორე კასატორი) საკასაციო საჩივრის მოთხოვნის საფუძველები.

24.1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მოპასუხეებმა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

24.2. კასატორების განმარტებით, სასამართლოს მსჯელობა დაუსაბუთებელია ვინაიდან, საქმეში არსებული მტკიცებულებები ადასტურებს, რომ ორივე სადავო ქონება სანარმოს საკუთრებად აღირიცხა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საფუძველზე.

24.3. გასათვალისწინებელია გარემოება, რომ საქმეზე მოწმის სახით დაკითხულმა ნოტარიუსმა არ დაადასტურა სანარმოს ხელმძღვანელ პირებზე ზენოლის ფაქტი. ამასთან, გაიზიარა, სანარმოს მეორე დირექტორის მეუღლისა და ვაჟიშვილის ჩვენებები, რომელთა არაკეთილსინდისიერება და ჩვენების სანდოობის დაბა-

ლი ხარისხი არ გაითვალისწინა.

24.4. კასატორების განმარტებით, მოსარჩელე იძულების ფაქტზე უთითებდა, რომელსაც წინა ხელისუფლების დროს ჰქონდა ადგილი, თუმცა ხელისუფლების ცვლილება 2012 წელს მოხდა, რის გამოც გაშვებულია გარიგების შეცილების 1 წლიანი ვადა.

24.5. კასატორების განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა გარემოება, რომ სადავო ქონება საწარმომ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მოიპოვა, რის გამოც დასახელებული ქონება უსაფუძვლოდ მიღებულს წარმოადგენდა და ექვემდებარებოდა დაბრუნებას.

25. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

25.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 24 იანვრისა და 13 თებერვლის განჩინებებით ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივრები წარმოებაშია მიღებული, ხოლო 2020 წლის 20 მაისის განჩინებით საკასაციო საჩივრები დასაშვებადაა ცნობილი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზების, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და საკასაციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად, მიიჩნევს, რომ მოპასუხეთა საკასაციო საჩივრები დასაბუთებულია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

26. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი

ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო სასამართლოს შეფასებით კასატორებს დასაბუთებული საკასაციო შედეგება აქვთ წარმოდგენილი.

27. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, მხარეთა წარმომადგენლების მონაწილეობით ჩატარდა ზეპირი მოსმენა, 2020 წლის 26 ივნისს.

28. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ დავის იურიდიულ კვალიფიკაციას (სამართლებრივ შეფასებას) სასამართლო დამოუკიდებლად ახდენს, რა დროსაც იგი არ არის შებოჭილი დისპოზიციურობის ან შეჯიბრებითობის პრინციპებით. სასამართლო ვალდებულია, შეამოწმოს მოთხოვნის ყველა საფუძველი, ანუ, მან უნდა დაადგინოს ის ნორმა/ნორმები, რომლებიც შეიცავენ იმ სამართლებრივ შედეგს, რომლის მიღწევაც სურს მოსარჩელეს.

29. „საკასაციო სასამართლომ არაერთ საქმეში განმარტა, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ, რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემომწმებაც სასამართლოს პრეროგატივაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი წანამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას (იხ. სუსგ-ები. №ას-664-635-2016, 02.03.2017წ.; №ას-15-29-1443-2012, 09.12.2013წ.; შდრ. სუსგ საქმე №ას-973-1208-04);

30. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ განსახილველ შემთხვევაში მხარეთა შორის არსებულ დავის საგანს წარმოადგენს ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა, უძრავ ქონებებზე, რომელიც მოსარჩელე საწარმომ, დირექტორის მეშვეობით, 2007 წელს გადასცა მოპასუხეს (საკრებულოს) და ქონების დაბრუნება.

31. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის ფარგლებით არის შეზღუდული, ამასთან, საკასაციო პრეტენზიის შეფასებისას, ხელმძღვანელობს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებით და კასაციის საფუძვლების კვლევისას, უფლებამოსილია შეამოწმოს მხარეთა მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოს მთავარ სხდომამდე გაცხადებული პოზიციები, რომლებიც ასახულია, როგორც მხარეთა სარჩელსა და შესაგებებელში, ასევე – მათ მიერ წარდგენილი სხვადასხვა მტკიცებულების სახით და დაფიქსირებულია სხდომის ოქმებში, სასამართლოს მთავარ სხდომამდე (შდრ. №ას-33-33-2018).

32. საკასაციო პალატა მიუთითებს მოცემულ საქმის ფაქტობრივი გარემოებებზე: შპს „ლ-ო“ სამენარმეო რეესტრში რეგისტრირებულია 1997 წლის 18 ნოემბრიდან. 2007 წლისათვის მისი პარტნიორები იყვნენ: დ. ნ-ძე – 33.3%, მ. შ-ა – 16.5%, ი. შ-ა – 49.8%, ხოლო დირექტორი – მ. შ-ა. საწარმოს საქმიანობას წარმოადგენდა საკუთრებაში არსებული ფართების იჯარით გაქირავება და სხვა ბიზნეს საქმიანობის განხორციელება.

33. საწარმოს, 1996 წლის 20 სექტემბრიდან, სარგებლობაში ჰქონდა ქ. ქუთაისი, ... №53ა-ში (სასურსათო მაღაზია) მდებარე ს. რ-ის მუშათა მომარაგების სავაჭრო-საწარმოო გაერთიანების ს-ის განყოფილების ბალანსზე რიცხული კვების ობიექტი №2, შენობის ქვეშ არსებული 440 კვ.მ და მასთან დამაგრებული 60 კვ.მ მიწის ნაკვეთით, სულ 500კვ.მ მიწის ნაკვეთი.

34. ქუთაისის მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის არბიტრის, გ. ფ-ის 2001 წლის 08 იანვრის გადაწყვეტილებით, დაკმაყოფილდა საწარმოს თავდაპირველი დირექტორის პრეტენზია და ქუთაისში, ... №53ბ-ში აგებული შენობა-ნაგებობები, საერთო ფართობით 364.7 კვ.მ ცნობილ იქნა საწარმოს საკუთრებად, ხოლო 741 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომელზეც განლაგებულია ეს შენობა-ნაგებობები, ცნობილ იქნა საწარმოს მფლობელობაში.

35. შპს „ს. რ-ის“ ფილიალის, ს-ის №2 სამოქალაქო ნაგებობათა დისტანციის დირექტორს – თ. ხ-ასა და საწარმოს თავდაპირველ დირექტორს შორის 1998 წლის 22 დეკემბერს, გაფორმდა №117 ხელშეკრულება, სადგურ ქუთაისის ტერიტორიაზე, დროებითი ნაგებობის აშენების უფლებით, 500 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის 5 წლის ვადით იჯარით გაცემის შესახებ. ხელშეკრულების დაზუსტების შედეგად, საწარმოს გადაეცა 700 კვ.მ მიწის ნაკვეთი იჯარით, 2005 წლის ბოლომდე.

36. ქ. ქუთაისის მერიის მიწის მართვისა და განკარგვის საკონკურსო კომისიის 2006 წლის 20 ნოემბრის დადგენილებით, მიზანშეწონილად ჩაითვალა საწარმოსთვის მიწის ნაკვეთის იჯარის ხელ-

შეკრულების გაგრძელება 2007 წლის ბოლომდე, რაზეც უნდა გაფორმებულიყო შესაბამისი ხელშეკრულება. საწარმოს მეორე დირექტორმა, იჯარის ხელშეკრულების გაგრძელებასთან დაკავშირებით, საკითხის გადაწყვეტამდე, 2007 წლის 12 თებერვალს პრეტენზიით მიმართა ქუთაისის მუდმივმოქმედ არბიტრაჟს იმ მოტივით, რომ მას იჯარით ჰქონდა აღებული 700 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ფაქტიურად ფლობდა 744 კვ.მ და მოითხოვა მისი საკუთრებაში გადაცემა.

37. არბიტრის მიერ, 2007 წლის 12 თებერვალს მიღებული გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა საწარმოს მეორე დირექტორის, პრეტენზია და ქ. ქუთაისში, ... №53ბ-ში აგებული შენობა-ნაგებობები 723.51 კვ.მ განთავსებული 744 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, ცნობილ იქნა საწარმოს საკუთრებად.

38. 2007 წლის 31 ოქტომბრის №2 კრების ოქმის და 2007 წლის 10 ნოემბრის №3 კრების ოქმის მიხედვით, საწარმოს პარტნიორთა კრებაზე მიღებულია გადაწყვეტილება საწარმოს კუთვნილი ქონების, ... 53ბ-ში არსებული 744 კვ.მ, ასევე 680 კვ.მ მიწის ნაკვეთების ნაწილის, მათზე არსებული შენობა-ნაგებობებით სახელმწიფოზე ჩუქების შესახებ.

39. საწარმოს მეორე დირექტორსა და ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარე – ა. ხ-ს შორის, 2007 წლის 16 ნოემბერს, საწარმოს წესით გაფორმდა უძრავი ქონების საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ხელშეკრულებები (რეესტრში რეგისტრაციის №1-10333 და №1-10334), უძრავ ქონებაზე, მდებარე: ქ. ქუთაისი, ... №53ბ-ში 744 კვ.მ მიწის ნაკვეთის, მასზე არსებული შენობა-ნაგებობების და ქ. ქუთაისში, ... №53ა-ში მდებარე 680 კვ.მ მიწის ნაკვეთის, მასზე არსებული შენობა-ნაგებობებით.

40. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 9 ივნისის განაჩენით, არბიტრი ცნობილ იქნა დამნაშავედ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (1999 წლის რედაქცია), სსკ-ის 180-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2006 წლის 28 აპრილის მდგომარეობით), სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2007 წლის 01 აგვისტოს რედაქცია). აღნიშნული განაჩენით დადგინდა, რომ არბიტრის დანაშაულებრივი ქმედების შედეგად, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები აღირიცხა კერძო პირების, მათ შორის საწარმოს საკუთრებად.

41. ქ. ქუთაისის მერმა ნ. შ-ამ 2007 წელს, სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხეების – ქუთაისის მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის, საწარმოსა და სხვათა მიმართ და მოითხოვა, ქუთაისის მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის გადაწ-

ყვეტილებების ბათილად ცნობა, საჯარო რეესტრის ჩანაწერების გაუქმება და უძრავი ქონებების ქალაქის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად აღრიცხვა.

42. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 20 ნოემბრის განჩინებით, ქ. ქუთაისის მერიის სარჩელი სანარმოს მიმართ, მოთხოვნის გამოხმობის გამო, დარჩა განუხილველად, იმ მიზეზით, რომ სანარმომ წარადგინა ხელშეკრულებები, სადავო ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის (ჩუქების) თაობაზე

43. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, სსკ-ის 524-ე მუხლზე „ჩუქების ხელშეკრულებით მჩუქებელი უსასყიდლოდ გადასცემს დასაჩუქრებულს ქონებას საკუთრებად მისი თანხმობით“, ჩუქება ცალმხრივი გარიგებაა და იგი მჩუქებლის მიღება სავალდებულოების იურიდიული შედეგია (სკ-ის 51-ე (1) მუხლის თანახმად, ნების გამოვლენა, რომელიც მოითხოვს მეორე მხარის მიერ მის მიღებას, ნამდვილად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა იგი მეორე მხარეს მიუვა). საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ნება, როგორც იურიდიული მოქმედების ამსახველი ინსტრუმენტი, მხოლოდ გარეგანი გამოხატულების ფორმით არ შეიძლება შეფასდეს ნამდვილად, არამედ, ნამდვილი იურიდიული ძალმოსილება გააჩნია მხოლოდ იმგვარ ნებას, როდესაც შინაგანი და გარეგანი გამოხატულება იურიდიულ თანხვედრაშია, ანუ, გარეგანი ფორმირება სრულად უნდა ასახავდეს ნების გამომვლენის სურვილს. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ნების ნამდვილობის თვალსაზრისით სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის წინაპირობებიც.

44. სამოქალაქო კოდექსის 85-ე მუხლის მიხედვით (გარიგების დადების მიზნით იმ პირის იძულება (ძალადობა ან მუქარა), რომელმაც დადო გარიგება, ანიჭებს ამ პირს გარიგების ბათილობის მოთხოვნის უფლებას მაშინაც, როცა იძულება მომდინარეობს მესამე პირისაგან), საცილო გარიგება ბათილია მისი დადების მომენტიდან, თუ გარიგება დადებულია მხოლოდ იძულების წყალობით. იძულებით დადებული გარიგების შემთხვევაში საქმე გვაქვს ნების ნაკლის საფუძველზე დადებულ გარიგებასთან, სადაც ნების თავისუფლება აშკარად არის ხელყოფილი.

45. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ იძულებით დადებული გარიგება თავის თავში ყოველთვის მოიცავს ამორალურობის ელემენტს, რომელიც იძულების, როგორც საზოგადოებისაგან დასაგმობი ქმედების საშუალებით გარიგების დადებაში გამოიხატება. თუმცა, თუ მართლსაწინააღმდეგო იძულებით განხორციელებულ ზეგავლენას დაემატება კონკრეტული გარემოებები, რომლებიც გარიგებას აქცევს ამორალურად, მისი ბათილობა შესაძლებელია ამორალურობის საფუძველით.

46. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ თუ ამორალურობის მომენტს მხოლოდ და მხოლოდ და მხოლოდ ნების თავისუფლების დაუშვებელი მოდრეკა განაპიროს, მაშინ სახეზე გვაქვს მხოლოდ იძულება 85-ე მუხლის გაგებით და არა ამორალურობის მოტივით არანამდვილი გარიგება. 85-ე მუხლის გვერდით 54-ე მუხლის მე-3 ვარიანტის გამოყენებისთვის აუცილებელია, ნების მართლსაწინააღმდეგო დათრგუნვიდან გამომდინარე, უზნეობას დაემატოს ამორალურობის დამოუკიდებელი ელემენტი (ი.ხ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი-1, გვ-500).

47. საკასაციო პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ მორალურად გაუმართლებელი გარიგება თავისთავად მართლსაწინააღმდეგოდ განიხილება და სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის შესაბამისად, უცილოდ ბათილია, ისეთ შემთხვევაში, თუკი სასამართლო დაადგენს გარიგების ბათილობის ერთ საფუძველს, სხვა დამოუკიდებელი საფუძვლის მოძიება და კვლევის საჭიროება დღის წესრიგში აღარ დგება (მაგ: საცილო გარიგებები, მოტყუება, იძულება, შეცდომა).

48. ერთ-ერთ საქმეზე, სადაც გარიგების უსასყიდლო ხასიათზეა ყურადღება გამახვილებული, საკასაციო სასამართლომ განმარტა: „სსკ-ის 54-ე მუხლის დანაწესით, ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს. სამართლებრივ სახელმწიფოში მართლწესრიგის არსებობას უზრუნველყოფს, როგორც კანონი, ასევე, მორალური ქცევის სტანდარტი. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში კერძო ავტონომიისა და თავისუფალი კონტრაქტირების პრინციპი მოქმედებს, გარიგება, რომელიც საზოგადოებაში „საყოველთაოდ მიღებულ ქცევის სტანდარტს“ ეწინააღმდეგება, ამორალურ გარიგებად მიიჩნევა და ბათილობის სამართლებრივ შედეგებს უკავშირდება. სსკ-ის 54-ე მუხლის საკანონმდებლო დანაწესის მიზანს სწორედ იმგვარი გარიგებების თავიდან აცილება წარმოადგენს, რომლებიც ფორმალურად კანონსაწინააღმდეგო არ არის, თუმცა, თავისი არსით, საზოგადოებრივ მართლწესრიგს არღვევს და სამოქალაქო ბრუნვის სუბიექტთა თანაცხოვრებას აუარესებს, რაც შედეგობრივად, სამოქალაქო ბრუნვას აფერხებს“. (იხ. სუსგ №ას-212-201-2017, 15.05.2017წ.).

49. საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთ განჩინებაში განმარტა: „სსკ-ის 319-ე მუხლი ადგენს სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპს, რაც იმას ნიშნავს, რომ კერძოსამართლებრივი გარიგების მონაწილეები კანონის ფარგლებში უფლებამოსილი არიან, თავისუფლად დადონ ისეთი ხელშეკრულებები, რომლებიც კანონით

გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას ანუ მოქმედებს პრინციპი ნებადართულია, რაც აკრძალული არ არის, დასახელებული ნორმის დეფინიციიდან გამომდინარე, სახელშეკრულებო თავისუფლებაც კანონისმიერ ჩარჩოშია მოქცეული და აქედან გამომდინარე, როდესაც სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მხარეა სახელმწიფო, განსაკუთრებით მაღალი სტანდარტით უნდა შემონმდეს და შეფასდეს გარიგების „ძლიერი“ კონტრაჰენტის ქცევა/ქმედება რამდენად შეესაბამება სსკ-ის 54-ე მუხლის წინაპირობათაგან ისეთ სპეციფიკურ დანაწესს, როგორიცაა ზნეობის ნორმები. ასეთ ვითარებაში სასამართლოს კვლევისა და შეფასების საგანია, თუ რამდენად მორალურად შეიძლება იქნეს მიჩნეული ისეთი გარიგება, როდესაც სახელმწიფო უსასყიდლოდ ღებულობს გარკვეულ მომსახურებას, ქონებას საკუთრებაში და ა.შ. ანუ პრაქტიკულად რატომ შეიძლება კერძო სამართლის პირმა „დაასაჩუქროს“ სახელმწიფო, რამდენად შეესაბამება აღნიშნული იმ ზოგად მორალურ კატეგორიას, რომ სახელმწიფოს, რომელსაც აქვს ვალდებულება საკუთარი რესურსებით თითოეული პირის უფლება და ინტერესი დაიცვას, ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა აჩუქოს რაიმე ქონება, უსასყიდლოდ მოემსახუროს“ (იხ. სუსგ №ას-212-201-2017, 15.05.2017გ.).

50. მოცემულ შემთხვევაში, მსჯელობის საგანს წარმოადგენს ქონების განკარგვის შესაბამისობა საზოგადოებაში დამკვიდრებულ მორალურ (ზნეობრივ) სტანდარტებთან. სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი გამოყოფს „სამი სახის ფასეულობას“, რომელთა დარღვევა იწვევს გარიგების ბათილობას: კანონით დადგენილი წესი და აკრძალვა; საჯარო წესრიგი; ზნეობის ნორმები. საკასაციო პალატა ზნეობრივი სტანდარტების განმარტების მიზნით მოიშველიებს დოქტრინაში განვითარებულ შეხედულებებს: სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის მიზანი არის ზოგადად მართლწესრიგსა და სამოქალაქო სამართალს შორის კავშირის უზრუნველყოფა და იმის დაფიქსირება, რომ გარიგების ნამდვილობა არ არის მხოლოდ სამოქალაქო კოდექსის ნორმებზე დამოკიდებული. ნორმით გათვალისწინებული შეზღუდვები გამოიყენება ყველა, როგორც ცალმხრივი, ისე ორმხრივი და მრავალმხრივი გარიგების მიმართ. მუხლის მოქმედება ვრცელდება გარიგებებზე და არა მხოლოდ ნების გამოვლინებებზე (მაგალითად: ოფერტსა და აქცეპტზე). დამკვიდრებული შეხედულების თანახმად, გარიგება ეწინააღმდეგება ზნეობის ნორმებს, როდესაც იგი არსებითად არღვევს ერთ-ერთი მხარის ინტერესებს და არათანაბარ პირობებში აყენებს მას. ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს სარგებლის ამორალური ხასიათი და კრედიტორის სურვილი, მიიღოს მაქსიმალური სარგებელი დადე-

ბული ხელშეკრულებიდან. ზნეობის შესაბამისი გარიგება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სოციალური სამართლიანობის პრინციპს, ხელშეკრულების მხარეს არ უნდა აყენებდეს შეუსაბამოდ რთულ მდგომარეობაში. ამ საკითხის კვლევისას შემომწმების საგანი არის არა გარიგების მონაწილეთა ქცევა ზნეობასთან მიმართებაში, არამედ გარიგების შინაარსის მიმართება ზნეობასთან. გარიგების მოტივის ამორალურობა ასევე შეიძლება, გახდეს მთლიანად გარიგების ამორალურად მიჩნევის საფუძველი. გარიგების ბათილობა არ შეიძლება იმაზე იყოს დამოკიდებული, იცოდნენ თუ არა გარიგების მონაწილეებმა, რომ ზნეობის საწინააღმდეგოდ მოქმედებდნენ.

51. „სსკ-ის 54-ე მუხლის თაობაზე მსჯელობისას, დოქტრინაში გამოთქმული არაერთი მოსაზრებისა და სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით, უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებული ნორმა ზოგადდებუნიციური ხასიათისაა, ბლანკეტურ, მითითებით მოწესრიგებას წარმოადგენს... მარტოოდენ 54-ე მუხლი სხვა ნორმების, რომლებიც მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს შეიცავენ, მითითების გარეშე არ უნდა იქნეს გამოყენებული, ხოლო ზნეობის ნორმების საწინააღმდეგოდ გარიგების შინაარსის შესაფასებლად, შესაძლებელია დამოუკიდებლად იქნეს გამოყენებული დასახელებული მუხლი, როდესაც გარიგების ამორალურობას უკავშირდება სადავო საკითხი, თუმცა, ასეთ ვითარებაში, დამატებით შესაძლოა კონტრაპუნქტთა ქმედებების შეფასება მოხდეს სსკ-ის მე-8 მუხლის მესამე ნაწილით განმტკიცებული კეთილსინდისიერების მასშტაბითაც, რათა დადგინდეს არა მხარეების სუბიექტური დამოკიდებულება გარიგებისადმი (მისი კონკრეტული პირობისადმი), არამედ ობიექტური გარემოებების შეფასების საფუძველზე, რაც გარიგების შინაარსის ზნეობის ნორმებთან შესატყვისობას ეხება, გაირკვეს ამორალურია თუ არა მხარეთა შეთანხმება. სსკ-ის 54-ე მუხლის საფუძველზე გარიგების ზნეობის საწინააღმდეგოდ მიჩნევის შემთხვევაში, გარიგებით მიღებული სარგებლის დაბრუნება კრედიტორმა მოვალეს შესაძლებელია მოსთხოვოს უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების ..., საფუძველზე“ (იხ. სუსგ №ას-212-201-2017, 15.05.2017წ.; შდრ. სუსგ-ებს: №ას-225-215-2016; №ას-761-729-2016).

52. საკასაციო პალატა მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებებზე (იხ. GALSTYAN v. ARMENIA, (Application no. 9043/05) 15.11.2007; CASE OF GUSINSKIY v. RUSSIA (Application no. 70276/01) 19.05.2004; CASE OF NATSVLISHVILI AND TOGONIDZE v. GEORGIA (Application no. 9043/05) 29.04.2014). ევროსასამართლოს განმარტებით სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის ეტაპზე სამოქალაქო სამარ-

თლებრივი გარიგების დადება, რომელიც დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურებას არ ემსახურება, მაღალი ალბათობით, ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგს არ წარმოადგენს, რადგან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება გარიგების გაფორმების მაპროვოცირებელი გარემოებაა, რაც ნების გამოვლენის თავისუფლებას იმთავითვე გამოორიცხავს.

53. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება აგებულია მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპზე. სსსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამავე კოდექსის 102-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოების მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს განცხადება და შესაგებდეს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. დასახელებული ნორმების თანახმად, სამოქალაქო პროცესში მხარეები ვალდებული არიან, სათანადო მტკიცებულებების წარდგენის გზით დაადასტურონ მათი პოზიციის გასამყარებლად მითითებული გარემოებების არსებობა. კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, რომელიც ადგენს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციფიკურ წესს, მოსარჩელეს ევალება სასარჩელო განცხადებაში ასახული ფაქტების მტკიცება, ხოლო მოპასუხე მოვალეა, სარჩელისაგან თავდაცვის მიზნით, ქმედითად უარყოს მოსარჩელის არგუმენტები, წარადგინოს იმგვარი მტკიცებულებები, რომლებიც გააქარწყლებს მოსარჩელის მიერ დასახელებულ ფაქტებს.

54. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მხარეთა სტატუსის სამართლებრივი თავისებურების გათვალისწინებით, კერძოდ იმ ფაქტობრივი მდგომარეობით, რომ დასაჩუქრებული სახელმწიფოა, რომელიც მისი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, გარიგების ე.წ. „ძლიერ მხარედ“ გვევლინება ურთიერთობაში, ამასთან, სწორედ დასაჩუქრებულმა მიიღო სარგებელი მოსარჩელის ხარჯზე, მტკიცების ტვირთიც სწორედ მას ეკისრება, გამჩუქებლის

მიერ, გარიგების ბათილობაზე მითითების გამო. საკასაციო სასამართლომ არაერთ გადანყვეტილებაში/განჩინებაში განმარტა, რომ მსგავსი კატეგორიის დავებზე სასამართლო პრაქტიკა მტკიცების ტვირთის ზოგადისგან განსხვავებულ წესს ადგენს იმ შემთხვევებისთვის, როდესაც პროცესის მონაწილე მხარეს სახელმწიფო წარმოადგენს. აღნიშნული მიდგომა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ უდავოა, კეთილსინდისიერებისა და ნდობის პრინციპი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნებისმიერი სამართალურთიერთობის არსებობისას. ამგვარი სტანდარტის უპირველეს ფუძემდებელს და გარანტს კი სახელმწიფო წარმოადგენს, რომელიც შეიძლება თავადაც იყო კერძოსამართლებრივი ურთიერთობის კონტრაჰენტი. ამიტომ, სახელმწიფოს მონაწილეობით დადებული კერძოსამართლებრივი გარიგებების შეცილების (შედავების) შემთხვევაში, სწორედ სახელმწიფომ უნდა ამტკიცოს კერძო პირთან დადებული გარიგების ნამდვილობა, მისი კანონთან და ზნეობის ნორმებთან შესაბამისობა. აღნიშნული დასკვნა ეფუძნება, სახელმწიფოს, როგორც გარიგების ძლიერი მხარის, ვალდებულებას, განსაკუთრებული პასუხისმგებლობით დაიცვას თითოეული პირის ქონებრივი უფლებები (იხ. სუსგ №ას-1230-2018, 114.12.20185.).

55. სსსკ-ის 105-ე მუხლი ადგენს სასამართლოს მხრიდან მხარეთა მიერ მითითებული გარემოებების შეფასების პირობებს, კერძოდ, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადანყვეტილებაში.

56. განსახილველ შემთხვევაში, საწარმომ, სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხეებისთვის საწარმოს კუთვნილი უძრავი ქონებების საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ხელშეკრულებების ბათილად ცნობასა და ზიანის სახით 3 380 001 ლარის ანაზღაურების შესახებ იმ ფაქტობრივ გარემოებებს დააფუძნა, რომ საწარმოს მეორე დირექტორსა და მისი ოჯახის წევრებზე სახელმწიფოს მხრიდან (პროკურატურის) განხორციელდა იძულება, სადავო ქონებების უსასყიდლოდ გადაცემის მიზნით. მოსარჩელემ სარჩელში გარკვეულ გარემოებებზე მიუთითა, ამავე გარემოებების დამტკიცების მიზნით კი დაიკითხნენ მოწმეები, მოწმის სახითაა დაკითხული, აგრეთვე, ნოტარიუსი, რომელიც სადავო გარიგებების დადებას ნოტარიულად აფორმებდა. სასამართლო სხდომაზე და-

კითხულმა მოწმეებმა – მოსარჩელე სანარმოს მეორე დირექტორის მეუღლემ, ვაჟიშვილმა და მძღოლმა განაცხადეს, რომ 2007 წელს სანარმოს მეორე დირექტორს იბარებდნენ პროკურატურაში და სთხოვდნენ მილიონ ლარს. ურეკავდნენ კიდევ და ემუქრებოდნენ დაჭერით, თითქოს სახელმწიფო მინა ჰქონდა მისაკუთრებული. ეს მუქარა რეალურად მიაჩნდათ, ამიტომ მოიწვიეს სანარმოს პარტნიორთა კრება და მიიღეს გადაწყვეტილება სადავო ქონების სახელმწიფოსთვის ჩუქების თაობაზე. მძღოლის განმარტებით, დირექტორისგან იცის, რომ სთხოვდნენ ფულს და აიძულებდნენ სადავო ქონების სახელმწიფოსთვის გადაფორმებას. აგრეთვე, ამავე ქონებების გადაფორმებისას, სწორედ მან მიიყვანა ნოტარიუსთან, დირექტორი და მისი ოჯახის წევრები, თუმცა სანოტარო ბიუროში არ შესულა და არ იცის იყო თუ არა შიგნით ვინმე. ამასთან, მისივე განმარტებით, გარეთ იყო ხალხი, თუმცა, ვინ არ იცის. პირველი ინსტანციის სხდომაზე, მოწმედ დაკითხულმა ნოტარიუსმა განმარტა, რომ სადავო ქონებების თაობაზე, არსებული გარიგებების დადების დროს მხარეებმა ნება თავისუფლად გამოავლინეს, რაიმე საეჭვო არ შეუნიშნავს, ასეთის შემთხვევაში აუცილებლად უნარს იტყოდან სანოტარო მოქმედების შესრულებაზე.

57. განსახილველ შემთხვევაში მხარეთა შორის დადებული ჩუქების ხელშეკრულების ნამდვილობა ეჭვქვეშ დგას იმ საფუძველით, რომ გამჩუქებელი, არბიტრის მიმართ აღძრული და კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის, პროკურატურაში დაბარებისა და სხვა გარემოებების გამო, იძულებული გახდა, მიეღო ქონების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ დათმობის გადაწყვეტილება. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქმეში არსებული გარემოებებით არ დგინდება, მოსარჩელის მიერ მითითებული და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით გაზიარებული, იძულების შედეგად სადავო ქონებებზე გარიგების დადება.

58. საკასაციო სასამართლო, მოსარჩელის იმ პრეტენზიებზე გამახვილებს ყურადღებას, რომელიც ამ უკანასკნელის მოსაზრებით, იძულების დამადასტურებელ გარემოებებს წარმოადგენს. კერძოდ, მოსარჩელე უთითებდა, რომ სადავო ქონებების რეგისტრაციის საფუძველად მითითებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიმღების, არბიტრის – გ. ფ-ის მიმართ სადავო გარიგებების დადებამდე დაიწყო სისხლის სამართლებრივი დევნა. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე არ ეხებოდა მოსარჩელეს და ასეთის არსებობის შემთხვევაშიც, სისხლის სამართლის საქმის აღძვრის კანონით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, ლეგიტიმური ქმედების განხორციელება არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს მუქარად. აღსანიშ-

ნავია, რომ დასახელებული სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული, არბიტრის გამამტყუნებელი გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ არბიტრმა სადავო სანარმოს, აგრეთვე სხვა პირებს (სწორედ აღნიშნული პირების მიმართ წარადგინა 2007 წელს მერიამ სარჩელი და მოითხოვა უკანონოდ რეგისტრირებული ქონებების დაბრუნება, ამავე სარჩელის ფარგლებში გააჩნდა მერიას იგივე მოთხოვნები მოსარჩელე სანარმოს მიმართ, რომელიც განუხილველი დარჩა, მოსარჩელის მიერ მოთხოვნის გახმოვანების გამო, სხდომაზე წარდგენილი ჩუქების ხელშეკრულებების საფუძველზე, ხოლო, დანარჩენი მოპასუხეების მიმართ სარჩელი დაკმაყოფილდა და ქონებები დაუბრუნდა სახელმწიფოს) დანაშაულებრივი ქმედების შედეგად გადასცა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები, თუმცა, ამავე საქმით არ დადგენილა მოსარჩელე სანარმოს დირექტორის ან სხვა პირების დანაშაულებრივი ქმედება, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო კვლავ განმარტავს, რომ დასახელებულ საქმეზე მითითება და მტკიცება, რომ ერთ-ერთი გარემოება, რის საფუძველზეც მოსარჩელე სანარმოს დირექტორი აიძულეს დაეთმო სადავო ქონებები, უსაფუძვლოა. საკასაციო სასამართლო, დამატებით მიუთითებს, რომ სხვა პირის მიმართ, ან თუნდაც, გარიგების მონაწილე პირის მიმართ, ჩუქების ხელშეკრულების დადებამდე, პარალელურად სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, ავტომატურად, ქონების დათმობის გამომწვევ ფაქტორად ვერ მიიჩნევა. განსახილველ შემთხვევაში, სასამართლოს ექმნება ღრმა რწმენა, რომ გამჩუქებლის მოტივი, განპირობებული იყო სხვადასხვა გარემოებებით, მათ შორის იმ გარემოებით, რომ არბიტრის მიმართ კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით დადგინდა, არბიტრის დანაშაულებრივი ქმედების შედეგად სხვადასხვა სანარმოების მიერ გარკვეული ქონებების საკუთრებაში მიღება, ამავე სანარმოების მიმართ აღძრული სარჩელი კი, ხსენებული ქონების დაბრუნების მოთხოვნით დაკმაყოფილდა, ხოლო, იმავე საქმეზე მოსარჩელის მიმართ შეწყდა საქმის წარმოება, იმ მოტივით, რომ სადავო ქონებები უკვე მოსარჩელის (ამჟამინდელი კასატორი) სახელზე იყო სადავო ჩუქების ხელშეკრულების მიხედვით გადაცემული.

59. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სარჩელში მითითებული საფუძვლით, ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნის პირობებში, სასამართლო ბუნებრივია, მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებების გათვალისწინებით იკვლევს, ჩუქების ხელშეკრულების დადებამდე არსებულ მხარეთა ურთიერთობას, აგრეთვე თავად გამჩუქებლის ნების ნამდვილობის წინაპირობებსა და იმ შესაძლო მიზეზებს, თუ რამ განაპირობა უსასყიდლოდ

სახელმწიფოსთვის ქონების დათმობა. აღსანიშნავია, რომ სადავო ქონებები, სანარმოს, არა საკუთრების უფლებით, არამედ დროებითი სარგებლობით ჰქონდა გადაცემული, ამასთან, 1998 წლის 28 ოქტომბრის „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის წესის შესახებ“ კანონის მიხედვით, არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის განკარგვაზე გადაწყვეტილებას იღებდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, რომელსაც სადავო ქონების პრივატიზების შესახებ გადაწყვეტილება არ მიუღია, ამავდროულად კანონით კერძო არბიტრაჟს საკუთრების უფლების რეგისტრაციისთვის საჭირო გადაწყვეტილების მიღება არ შეეძლო. სადავო ქონებები, სწორედ არბიტრის გადაწყვეტილების საფუძველზე საკუთრების უფლებით რეგისტრირებული სანარმოს სახელზე, რასაც ადასტურებს, საქმეში არსებული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 23 ოქტომბერს გაცემული წერილიც. დასახელებული საკითხი დადენილია, აგრეთვე, არბიტრის წინააღმდეგ, სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული გამამტყუნებელი განაჩენით, რომელიც, თუმცა, არ წარმოადგენს პრეიუდიციულ გარემოებას, სასამართლოს, როგორც საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულება, მაინც შეუძლია შეაფასოს, მტკიცებულებათა შეფასების ზოგადი სტანდარტის გათვალისწინებით. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სადავო ქონებების სახელმწიფოსთვის დაბრუნება ემსახურებოდა მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას.

60. საკასაციო სასამართლო, კასატორების პრეტენზიაზე, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სარჩელის მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმას წარმოადგენს სსკ-ის 89-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც სადავო საკითხზე, შეცვლების ვადა ერთ წელს შეადგენს, რის გამოც სარჩელს ხანდაზმულობის მოტივით უნდა ეთქვას უარი, არ იზიარებს და განმარტავს, რომ სწორედ სსკ-ის 54-ე და 976-ე მუხლების მიხედვით უნდა შეფასდეს, მოთხოვნის დამფუძნებელ სხვა ნორმებთან ერთად, სარჩელის საფუძვლიანობა (უცილოდ ბათილი გარიგებების მიმართ, განსხვავებით საცილო გარიგებებისგან, სპეციალური ხანდაზმულობის ვადები არაა კანონით დადგენილი, ისევე, როგორც სპეციალურ ხანდაზმულობის ვადას არ ითვალისწინებს უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებით რეგულირებული ურთიერთობები, შესაბამისად გამოიყენება საერთო ვადა), რაც მოსარჩელემ, საქმეზე წარდგენილი მტკიცებულებებით ვერ შეძლო. შესაბამისად, მოთხოვნის წარდგენის ხანდაზმულობის შესახებ კასატორების პრეტენზია დაუსაბუთებელია, ვინაიდან, სსკ-ის 54-ე და 976-ე მუხლებზე დაფუძნებული მოთხოვნის შესახებ კანონმდე-

ბელი სპეციალურ ხანდაზმულობის ვადას არ უთითებს, რის გამოც გამოიყენება ხანდაზმულობის, საერთო, 10 წლიანი ვადა (იხ. №ას-501-475-2015).

61. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორების მოთხოვნა დასაბუთებულია, ხოლო, სააპელაციო სასამართლოს შეფასება და დასკვნა, რომლითაც დაკმაყოფილდა სარჩელი დაუსაბუთებელია.

62. პროცესის ხარჯები:

„სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 5.1. მუხლის „უ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კასატორები სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ ანგარიშსწორებისაგან გათავისუფლებული არიან. ამასთანავე, წინამდებარე გადაწყვეტილებით სრულად იქნა უარყოფილი სარჩელი, ხოლო, ამავე კოდექსის 55-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო და საკასაციო საჩივარზე გადასახდელობა იმ ბაჟს რომლის გადახდისაგან გათავისუფლებული არიან მოპასუხეები, აკისრებს მოსარჩელეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს საოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

ბ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის პირველი, მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-7, მე-8 პუნქტები და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. შპს „ლ-ოს“ სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

4. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-6 პუნქტი;

5. გაუქმდეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2016 წლის 28 დეკემბრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც ყადაღა დაედო ქ. ქუთაისის თვითმმართველი ერთეულის უძრავ ქონებაზე, მდებარე – 1. ქ. ქუთაისი, ... №53ა, ნაკვეთი 1; დაზუსტებული ფართობი 680 კვ.მ; ნაკვეთის

წინა ნომერი ...; შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: შენობა-ნაგებობები, ს/კ: ...; 2. ქ. ქუთაისი, ... №53ბ, დაზუსტებული ფართობი 744 კვ.მ; ნაკვეთის წინა ნომერი ...; შენობა-ნაგებობის ფართობი 723.51 კვ.მ; ს/კ: ...;

6. შპს „ლ-ოს“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს საკასაციო საჩივრების განხილვისთვის გათვალისწინებული სახელმწიფო ბაჟის – 8 000 (რვა ათასი) ლარის გადახდა;

7. გადანყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

იძულებით დადგენილი გარიგებანი

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-146-2020

29 დეკემბერი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: მ. ერემაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი)
ვ. კაკაბაძე,
ლ. მიქაბერიძე

დავის საგანი: გარიგების ბათილად ცნობა, მესაკუთრედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

1. მოსარჩელის მოთხოვნა

1.1. 2017 წლის 21 ივნისს ლ. ლ-მა (შემდგომში „მოსარჩელე“) სარჩელი აღძრა სასამართლოში სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (შემდგომში „მოპასუხეები“, „აპელანტები“, „კასატორები“ ან „საკასაციო საჩივრის ავტორები“) მიმართ და მოითხოვა საკუთრების უფლების მიტოვების შესახებ 2011 წლის 9 სექტემბრის ცალმხრივი გარიგების ბათილად ცნობა, ქ. თბილისში, დ. მ-ში მდებარე 922 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (შემდგომში „სადავო ქონება“ ან „სადავო უძრავი ქონება“) (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: ...) საკუთრების უფლების აღდგენა და საჯარო რეესტრში მესაკუთრედ რეგისტრაცია.

1.2. სარჩელი ეფუძნება შემდეგ გარემოებებს:

1.2.1. ქ. თბილისში, დ. მ-ში მდებარე სადავო უძრავი ქონების თავდაპირველ მესაკუთრეს წარმოადგენდა ვ. ჯ-ძე (შემდგომში:

„მოსარჩელის ბიძა“). აღნიშნული ქონებით დაინტერესდა პროკურატურა და ამ ტერიტორიაზე მდებარე სახელმწიფო მიწების უკანონოდ დაუფლების ფაქტზე მიმდინარეობდა სისხლის სამართლის საქმეთა წარმოება. აღნიშნულის გამო რუსთავის საოლქო პროკურატურაში პერიოდულად დაკითხვაზე იბარებდნენ მოსარჩელის ბიძას. ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემის მიზნით, მასზე მიმდინარეობდა ზენოლა და მუქარა, თუმცა ვ. ჯ-ძეს არ სურდა მიწის ნაკვეთის დათმობა და ქონების გადარჩენის მიზნით, მან 2010 წლის 7 სექტემბერს თავისი ცოლის ძმის შვილს, მოსარჩელეს, საკუთრებაში გადაუფორმა აღნიშნული მიწის ნაკვეთი იმ იმედით, რომ პროკურატურა აღარ ჩამოართმევდა მას. თუმცა პროკურატურის მხრიდან ახლა უკვე უძრავი ქონების ახალ მესაკუთრეზე განხორციელდა იძულება, რათა მას საკუთრების უფლება მიეტოვებინა მიწის ნაკვეთზე. საბოლოოდ, მუქარამ და დაპატიმრების შიშმა შედეგი გამოიღო და 2011 წლის 9 სექტემბერს საკუთარი განცხადების საფუძველზე მოსარჩელემ მიატოვა საკუთრების უფლება სადავო უძრავ ქონებაზე. ამავე პერიოდში (2011 წლის 15 ივნისს) დააკავეს ვ. ჯ-ძის შვილები და მათ მიმართ მიმდინარეობდა სისხლის სამართლის საქმისწარმოება, რის გამოც მოსარჩელე და მისი ბიძა სრულად აღმოჩნდნენ პროკურატურის მუქარისა და შიშის მარნუხებში.

1.2.2. მოსარჩელემ სასარჩელო მოთხოვნა სამოქალაქო კოდექსის 54-ე, 85-ე-87-ე მუხლებს დააფუძნა.

2. მოპასუხეების პოზიცია

მოპასუხეებმა წარდგინილი შესაგებლებით სარჩელი არ ცნეს და განმარტეს, რომ სადავო უძრავი ქონებით პროკურატურის დაინტერესების დამადასტურებელი მტკიცებულება მოსარჩელეს არ წარუდგენია, ხოლო იბარებდნენ თუ არა დაკითხვაზე მოსარჩელის ბიძას და პროკურატურის მუშაკთა მხრიდან ხორციელდებოდა თუ არა მის მიმართ რაიმე სახის იძულება, საკუთრების მიტოვების შესახებ მოსარჩელის ნების გამოვლენასთან არანაირი კავშირი არ აქვს. ასეთის არსებობის შემთხვევაშიც კი, ეს გარემოებები რაიმე მტკიცებულებით არ დასტურდება. კერძოდ, საქმეში არ მოიპოვება დოკუმენტი, რაც საკუთრების მიტოვებისას მოსარჩელის ნების გამოვლენის თავისუფლების შეზღუდვაზე მიუთითებს. ამასთან, მოსარჩელეს გაშვებული აქვს სამოქალაქო კოდექსის 89-ე მუხლით განსაზღვრული გარიგების შეცილების ერთწლიანი ვადა.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი 2011 წლის 9 სექტემბრის

ცალმხრივი გარიგება სადავო უძრავ ქონებაზე მოსარჩელის საკუთრების უფლების მიტოვების შესახებ და განისაზღვრა აღნიშნულ უძრავ ქონებაზე მოსარჩელის საკუთრების უფლების რეგისტრაცია.

4. მოპასუხეების სააპელაციო საჩივარი

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოპასუხებმა, მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

5. სააპელაციო სასამართლოს განჩინება და დასკვნები

5.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 27 ნოემბრის განჩინებით მოპასუხეთა სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

5.2. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

5.2.1. სადავო უძრავი ქონება თავდაპირველად წარმოადგენდა მოსარჩელის ბიძის საკუთრებას;

5.2.2. აღნიშნულ ქონებაზე 2010 წლის 7 სექტემბერს მოსარჩელის ბიძასა და მოსარჩელეს შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება და მოსარჩელის ბიძის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება დარეგისტრირდა მოსარჩელის საკუთრებად. ნასყიდობის საგნის ღირებულება განისაზღვრა 4 600 ლარით;

5.2.3. ამჟამად მიწის ნაკვეთი აღრიცხულია სახელმწიფოს სახელზე;

5.2.4. ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურაში მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის №042118025 საქმეზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 2008 წელს ყალბი მიღება-ჩაბარების აქტების გამოყენებით სხვადასხვა მოქალაქეების მიერ ქ. თბილისში, ხ. მ-ის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფოს კუთვნილი მიწის ნაკვეთების უკანონოდ დაუფლების ფაქტზე. მოცემულ საქმეზე 2011 წლის 8 სექტემბერს ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის მიერ მოწმის სახით დაიკითხა მოსარჩელის ბიძა.

5.2.5. 2011 წლის 9 სექტემბერს მოსარჩელემ განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა სადავო უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების მიტოვების რეგისტრაცია.

5.2.6. საქართველოს მთავარი პროკურატურის 2016 წლის 10 მა-

ისის წერილში მითითებულია შემდეგი: „...2011 წლის 8 სექტემბერს მოწმის სახით დაიკითხა ვ. ჯ-ძე, რომელმაც მიუთითა, რომ მან არ იცოდა ვინ და რის საფუძველზე დაარეგისტრირა მის სახელზე მიწის ნაკვეთი, რომელიც მას არასდროს გააჩნდა. აღნიშნულის გამო იგი აპირებდა მასზე უკანონოდ დარეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიტოვებას სახელმწიფოს სასარგებლოდ. საჯარო რეესტრის მონაცემებით ვ. ჯ-ძემ ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთი 2010 წლის 7 სექტემბერს ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე საკუთრებაში გადასცა სხვა პირს, რომელმაც 2011 წლის 9 სექტემბერს განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრს და სახელმწიფოს სასარგებლოდ ნებაყოფლობით მიატოვა ვ. ჯ-ძისგან შეძენილი მიწის ნაკვეთი. აგრეთვე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა სამმართველოს წარმოებაშია სისხლის სამართლის №092110814001 და №092100758 საქმეები ბ. მ-ისა და დენდროლოგიური პარკის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთების თაღლითურად დაუფლების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით. მითითებულ სისხლის სამართლის საქმეში დ. მ-ში მდებარე 922 კვ.მ მიწის ნაკვეთთან – საკ. კოდ ... დაკავშირებით გამოძიება არ მიმდინარეობს/მიმდინარეობდა. გარდა ამისა, ვ. ჯ-ძე აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეებში არ ფიგურირებს...“;

5.2.7. ამავე წერილში მითითებულია, რომ სადავო მიწის ნაკვეთზე სახელმწიფოს სასარგებლოდ საკუთრების იძულებით მიტოვების ფაქტზე ამჟამად საქართველოს პროკურატურაში გამოძიება არ მიმდინარეობს;

5.2.8. სისხლის სამართლის საქმეზე, რომლის ფარგლებშიც მოწმის სახით დაიკითხა უძრავი ქონების ყოფილი მესაკუთრე (მოსარჩელის ბიძა), რაიმე სახის სამართლებრივი შედეგი არ დამდგარა, არც რაიმე სახის საგამოძიებო მოქმედება განხორციელებულა სახელმწიფო ქონების უკანონოდ დაუფლების ფაქტისა და შესაძლო დანაშაულის ჩამდენ პირთა გამოვლენის მიზნით;

5.2.9. მოსარჩელის ბიძა დღემდე ფლობს და სარგებლობს სადავო უძრავი ქონებით.

5.3. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 184-ე მუხლზე და საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე დაასკვნა, რომ მოსარჩელის მიერ სადავო უძრავ ქონებაზე საკუთრების მიტოვების შესახებ გამოვლენილი ნება არ იყო ნამდვილი. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნულ დასკვნას საფუძველად დაუდო ის გარემოება, რომ თავ-

დაპირველმა მესაკუთრემ, მოსარჩელის ბიძამ, სადავო ქონება პროკურატურის ორგანოებიდან მის მიმართ გამოხატული ზენოლისა და მუქარის გამო საკუთრებაში გადასცა ცოლის ძმისშვილს (მოსარჩელეს), რომელმაც ნათესავის მიმართ მოსალოდნელი სისხლისსამართლებრივი დევნის აცილების მიზნით, საკუთრების უფლება მიატოვა მითითებულ ქონებაზე. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ გარეგნულად გამოვლენილი ნება არ ასახავდა მის ნამდვილ შინაგან ნებას და ცალსახად ნაკლის მქონედ უნდა მიჩნეულიყო, რადგან იგი გამოვლენილი იყო არა საკუთრების მიტოვების, არამედ ნათესავისა და ნამდვილი მესაკუთრისთვის მოსალოდნელი სისხლისსამართლებრივი დევნის აცილების მიზნით. აღნიშნული დასკვნის გასამყარებლად სასამართლომ მიუთითა საქმის მასალებით დადგენილ იმ გარემოებაზეც, რომ ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურაში მიმდინარეობდა გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 2008 წელს ყალბი მიღება-ჩაბარების აქტების გამოყენებით სხვადასხვა მოქალაქეების მიერ ქ. თბილისში, ხ. მ-ის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფოს კუთვნილი მიწის ნაკვეთების უკანონოდ დაუფლების ფაქტზე, რის გამოც, არაერთხელ დაიკითხა მოსარჩელის ბიძა. ხოლო მას შემდეგ, რაც მოსარჩელემ სადავო ქონებაზე მიატოვა საკუთრების უფლება, ზემოთმითითებულ სისხლის სამართლის საქმეზე მოსარჩელის ბიძის მიმართ რაიმე შედეგი არ დამდგარა და იგი აღნიშნულ საქმეში აღარც ფიგურირებს.

5.4. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლით და აღნიშნა, რომ მოსარჩელის მიერ საკუთრების უფლების მიტოვების ნების გამოვლენის ამორალურად შეფასებისათვის საკმარისია ის გარემოებაც, რომ სახელწიფომ სისხლის-სამართლებრივი ინსტიტუტები გამოიყენა არა მათი ლეგიტიმური შინაარსით, არამედ უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების მოპოვების მიზნით.

5.5. ამდენად, სასამართლოს მოსაზრებით, სახეზეა სამოქალაქო კოდექსის 86-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული იძულება, რაც მოსარჩელეს მის მიერ გამოვლენილი ნების ბათილობის მოთხოვნის უფლებას ანიჭებს. ამასთან, სააპელაციო პალატის მითითებით, გარიგების დადების მიზნით პირის იძულება მართლსაწინააღმდეგო მოქმედებაცაა, რადგან ამ დროს ირღვევა საჯარო წესრიგი და სამოქალაქო ბრუნვის ფუნდამენტური პრინციპები (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი). შესაბამისად, სააპელაციო პალატამ დაასკვნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მიწის ნაკვეთის სახელმწიფო საკუთრებაში გა-

დასვლით შეილახა მესაკუთრის საკუთრების უფლება და სახეზეა სამოქალაქო კოდექსის 54-ე და 85-ე-86(1)-ე მუხლებით გათვალისწინებული ორივე შემადგენლობა, თუმცა ვინაიდან სსკ 85-ე მუხლით გათვალისწინებული შეცილების ერთნლიანი ვადა გასულია, გამოყენებული უნდა იქნეს სსკ 54-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი.

5.6. სააპელაციო სასამართლომ მოიხმო უცილოდ ბათილ გარეგებებთან დაკავშირებით უზენაესი სასამართლოს მყარად დადგენილი პრაქტიკა და აღნიშნა, რომ მოცემული ტიპის დავებში გამოიყენება ხანდაზმულობის საერთო – ათწლიანი ვადა, რაც წინამდებარე დავაში მოსარჩელეს დაცული აქვს.

5.7. სასამართლომ შეაფასა მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოებების მტკიცების სტანდარტიც და აღნიშნა, რომ იძულება, მიუხედავად სახელმწიფო იძულების მექანიზმების არამართლზომიერად გამოყენების თაობაზე, იმგვარ ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენს, რომლის დადასტურება შესაძლოა ვერ მოხერხდეს ერთმნიშვნელოვნად ამის ამსახველი მტკიცებულებით. ამიტომ, თუ ასეთს აქვს ადგილი, შესაძლოა არ არსებობდნენ იძულების უშუალო მოწმეები, რაიმე ნერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებები, რის გამოც, მხარეს არ ექნება მათი წარდგენის ობიექტური შესაძლებლობა. შესაბამისად, ამ გარემოების დადგენისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული რამდენიმე დადგენილი ფაქტობრივი გარემოება, რომლის არსებობა, სალი და ლოგიკური აზროვნების შედეგად გამოორიცხავს შეცილებული გარიგების დადების შემთხვევებს. შესაბამისად, სასამართლომ საქმეზე წარდგენილი მტკიცებულებების ურთიერთშეჯერების შესაბამისად დაასკვნა, რომ მოსარჩელის განცხადება საკუთრების უფლების მიტოვების შესახებ არ გაფორმებულა თავისუფალი ნების ფორმირების პირობებში, რაც სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველს ქმნიდა.

6. მოპასუხეთა საკასაციო საჩივრები

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 27 ნოემბრის განჩინება საკასაციო ნესით გაასაჩივრეს მოპასუხეებმა, გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და სარჩელის უარყოფის მოთხოვნით.

6.1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივრის მოთხოვნა და საფუძვლები:

6.1.1. სააპელაციო სასამართლომ მოცემული საქმე არასწორად განიხილა ერთპიროვნულად და დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის მოთხოვნა, რომლის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლემ შეიძლება ერთპიროვნულად განიხილოს ამ კოდექსის მე-14

მუხლით განსაზღვრული საქმეები, ქონებრივ-სამართლებრივი დავა, რომლის ღირებულება არ აღემატება 20 000 ლარს, სააპელაციო საჩივარი პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების განჩინების თაობაზე, აგრეთვე შრომისსამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავები. მოცემულ შემთხვევაში, მართალია, მოსარჩელის მიერ აღძრულია აღიარებითი სარჩელი და მას მიკუთვნებითი მოთხოვნის გარეშე სასამართლო არ განიხილავს, თუმცა აღნიშნული არ გულისხმობს იმას, რომ აღიარებითი სასარჩელო მოთხოვნა დამოუკიდებლად შეფასებას არ საჭიროებს. მით უფრო, თუკი მხედველობაში იქნება მიღებული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლისა და 41-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესი (თუ არაქონებრივ დავასთან ერთად განიხილება მისგან წარმოშობილი ქონებრივ-სამართლებრივი დავა, დავის საგნის ფასი განისაზღვრება უფრო მაღალი ღირებულების მოთხოვნის მიხედვით). აღნიშნული მუხლების მიხედვით, დავის საგანი შეიძლება იყოს როგორც ქონებრივი, ასევე არაქონებრივი, ხოლო ის ფაქტი, რომ წინამდებარე დავაში სარჩელის ფასი გამოითვლება მოსარჩელის მიერ მითითებული უძრავი ქონების ფასიდან, წინამდებარე დავას მხოლოდ ქონებრივ დავად არ აქცევს. შესაბამისად, ვინაიდან სახეზეა როგორც ქონებრივი, ასევე არაქონებრივი დავა, სააპელაციო სასამართლომ საქმის ერთპიროვნულად განხილვით დაარღვია სსსკ 25-ე მუხლის მე-3 ნაწილის პირველი წინადადების მოთხოვნა, რაც გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

6.1.2. სასარჩელო მოთხოვნაში არასწორადაა ფორმულირებული საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნა, ვინაიდან აღნიშნული უფლების რეგისტრაციას ახდენს საჯარო რეესტრი ადმინისტრაციული წარმოების გზით და არა სასამართლო. შესაბამისად, შუძღვებელია რეგისტრაციის განხორციელება ისე დადგინდეს, რომ რეგისტრაციაზე უფლების მქონე პირი საქმეში მხარედაც არ იყოს მითითებული.

6.1.3. როგორც პირველი, ისე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები შეეხება ვ. ჯ-ძის ნების გამოვლენას, ხოლო მოსარჩელეა სხვა პირი. შესაბამისად, სასამართლოს უნდა შეეფასებინა მოსარჩელის სათანადოობის საკითხი და გაეცა პასუხი კითხვაზე, არის თუ არა იგი სათანადო მხარე საქმეში. თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელესა და ვ. ჯ-ძეს შორის სადავო ქონებაზე დადებულია მოჩვენებითი გარიგება, მაშინ რატომ დადგა შედეგი მოსარჩელის მიმართ, ხოლო თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელემ ნამდვილად შეიძინა ქონება, ვ. ჯ-ძის მიერ აღნიშნული ქონების დღემდე ფლობა რატომ ადასტუ-

რებს პროკურატურის ორგანოების მხრიდან მოსარჩელის მიმართ იძულებას.

6.1.4. მიუხედავად საქმეში მტკიცებულებების არარსებობისა, სასამართლომ დაადგინა მოსარჩელესა და ვ. ჯ-ძეს შორის ნათესაური კავშირის არსებობა, შესაბამისად, სასამართლომ არასწორად დაასკვნა, რომ ვ. ჯ-ძის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შიში იყო ის ფსიქოლოგიური ფაქტორი, რამაც მოსარჩელე აიძულა საკუთრება მიეტოვებინა სადავო ქონებაზე. ამგვარი რამ თავად მოსარჩელესაც არ მიუთითებია სარჩელში, ხოლო თუნდაც მიეთითებინა, ვინაიდან ზემოაღნიშნული გარემოება (მოსარჩელისა და ვ. ჯ-ძის ნათესაური კავშირის არსებობა) არ დადასტურებულა, სასამართლო არ უნდა დაყრდნობოდა მხოლოდ საკუთარ მოსაზრებას აღნიშნულის შესახებ და ვ. ჯ-ძის პროკურატურაში გამოკითხვაზე დაბარება არ უნდა მიეჩნია მოსარჩელის ნების გამოვლენაზე ზემოქმედებად. ამასთან, თუნდაც დასტურდებოდა, რომ მოსარჩელესა და ვ. ჯ-ძეს შორის არსებობდა ნათესაური კავშირი, აღნიშნული მაინც არ არის საკმარისი იძულების ფაქტის დასადგენად. ამავე დროს, ვერ იქნება გაზიარებული სასამართლოს პოზიცია, რომ აღნიშნულის მტკიცების ტვირთი მოპასუხეს ეკისრებოდა.

6.1.5. სასამართლომ ბათილად ცნო გარიგება შემდავებლის ამორალური ქმედების გამო, თუმცა მოპასუხედ დასახელებული პირი – სამინისტრო ამ გარიგებაში არც კი მონაწილეობს, ნებასაც კი არ ავლენს, შესაბამისად, რაც არ გამოვლენილა, ვერ იქნება ამორალური.

6.2. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივრის მოთხოვნა და საფუძვლები:

6.2.1. სასამართლომ არასწორად მიიჩნია დადგენილად ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მოსარჩელის მიერ გამოვლენილი ნება სახელმწიფოს სასარგებლოდ ქონებაზე საკუთრების უფლების მიტოვების შესახებ წარმოადგენდა მართლსაწინააღმდეგო და ამორალურ გარიგებას, რაც სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის საფუძველზე გარიგების ბათილად ცნობის საფუძველი იყო. აღნიშნული დასკვნა სასამართლომ გააკეთა საქმეში სათანადო და იძულების განხორციელების დამადასტურებელი მტკიცებულებების არარსებობის პირობებში.

6.2.2. სასამართლომ დაადგინა, რომ 2008 წელს სახელმწიფოს კუთვნილი მიწის ნაკვეთების უკანონოდ დაუფლების ფაქტზე ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურაში მიმდინარე გამოძიების ფარგლებში 2011 წლის 8 სექტემბერს დაიკითხა ვ. ჯ-ძე, ხოლო მეორე დღეს, 9 სექტემბერს, მოსარჩელემ სადავო უძრავ ქონებაზე

საკუთრების მიტოვების შესახებ განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს. სწორედ, მოვლენათა ამ ქრონოლოგიის გამო ჩამოუყალიბდა სასამართლოს რწმენა, რომ სადავო გარიგება მორალურ გარიგებად ვერ შეფასდებოდა და ნების თავისუფალი განვითარების შედეგი არ იყო. თუმცა, სასამართლო არგუმენტირებულად ვერ მსჯელობს აღნიშნული გარიგების ამორალურობასთან დაკავშირებით და მას სათანადოდ არ შეუფასებია საქმეში არსებული 2011 წლის 8 სექტემბრის მონმის დაკითხვის ოქმი. აღნიშნული ოქმის შესაბამისად, ვ. ჯ-ძე აღიარებდა, რომ წარმოდგენილ მიღება-ჩაბარების აქტს პირველად ხედავდა, მასში არსებული ხელმოწერა მას არ ეკუთვნოდა და არც შპს „გ-სთვის“ მიუმართავს საკადასტრო აზომვითი ნახაზის დამზადების მიზნით. სწორედ ამ ვითარებით იყო განპირობებული ის გარემოებაც, რომ სადავო მონის ნაკვეთის მესაკუთრემ მალევე მიიღო გადაწყვეტილება მისი სახელმწიფოს სასარგებლოდ მიტოვების შესახებ.

6.2.3. სამოქალაქო კოდექსის 85-ე-86-ე მუხლების შესაბამისად, იძულება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს გარიგების ბათილობის საფუძვლად, როდესაც უშუალოდ მისი ზეგავლენით ხდება გარიგების დადება. ამასთან, იძულება უნდა გამოიხატებოდეს ძალადობაში, რაც ფიზიკურ იძულებას გულისხმობს, ან მუქარაში, როდესაც იძულების განხორციელების ფაქტით გამონვეული შიში აიძულებს პირს მოახდინოს სხვისი ნების შესატყვისი საკუთარი ნების გამოვლენა. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც მესაკუთრე ნებაყოფლობით უარს აცხადებს საკუთარ ქონებაზე, ხოლო სახელმწიფო ავტომატურად ხდება მიტოვებული უძრავი ქონების მესაკუთრე, ნების გამოვლენის ნაკლთან დაკავშირებით მტკიცების ტვირთი თავად მესაკუთრეს ეკისრება. განსახილველ დავაში კი, მოსარჩელემ სათანადო მტკიცებულებების წარდგენის გზით ვერ დაადასტურა ქონებაზე საკუთრების მიტოვებისას მის მიერ გამოვლენილ ნებაზე უარყოფითად ზემოქმედების ფაქტი, რაც საფუძველს აცლის მოთხოვნას სადავო გარიგების ამორალურად მიჩნევისა და ბათილობის შესახებ.

6.2.4. მიუხედავად იმისა, რომ სარჩელში მთლიანად ვ. ჯ-ძის მიმართ განხორციელებულ იძულებაზე იყო მითითება, სასამართლომ მაინც არ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მხრიდან დარღვეული იყო იძულებით დადებული გარიგების ბათილად ცნობის თაობაზე სასარჩელო მოთხოვნის სსკ-ის 89-ე მუხლით განსაზღვრული ერთწლიანი ხანდაზმულობის ვადა. შესაბამისად, ამ საფუძვლითაც არ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობა.

7. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

7.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქ-

მეთა პალატის 2020 წლის 17 თებერვლის განჩინებით საკასაციო საჩივრები წარმოებაში იქნა მიღებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად.

7.2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 30 სექტემბრის განჩინებით საკასაციო საჩივრები დასაშვებად იქნა ცნობილი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზებისა და საკასაციო საჩივრების სამართლებრივი დასაბუთებულობის არსებითად განხილვის გზით შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მოპასუხეთა საკასაციო განაცხადები ნაწილობრივ დასაბუთებულია და ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

8. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებაში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

9. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, კასატორებს ნაწილობრივ დასაბუთებული შედავება აქვთ წარმოდგენილი.

10. საკასაციო სასამართლო, პირველ რიგში, ჩამოთვლის იმ ძირითად პრეტენზიებს, რაზეც მოპასუხეები მიუთითებენ საკასაციო საჩივრებში და შემდგომ თანმიმდევრობით შეაფასებს მათ.

11. კერძოდ, კასატორთა მოსაზრებით: 1) სააპელაციო სასამართლომ წინამდებარე საქმე არასწორად განიხილა ერთპიროვნულად, რითაც დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის მოთხოვნები; 2) არ იმსჯელა მოსარჩელის სათანადოობაზე; 3) მტკიცებულებათა არარსებობის პირობებში არასწორად დაასკვნა, რომ მოსარჩელესა და ვ. ჯ-ძეს შორის არსებობდა ნათესაური კავშირი და ამ საკითხის გადაწყვეტისას მხარეთა შორის არასწორად გაანალიზა მტკიცების ტვირთი; 4) სათანადო მტკიცებულებათა არარსებობის მიუხედავად დაადგინა სადავო ქონებაზე საკუთრების უფლების მიტოვებისას მოსარჩელის მიმართ იძულების ან მუ-

ქარის განხორციელების ფაქტის არსებობა; 5) არასწორად შეაფასა მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხი; 6) ყურადღება არ მიაქცია სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირებას, რა სახითაც დაკმაყოფილდა სარჩელი და განისაზღვრა მოსარჩელის საკუთრების უფლების რეგისტრაცია მაშინ, როდესაც აღნიშნული უფლების რეგისტრაციას ახდენს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, რომელიც მოცემულ საქმეში საპროცესო მხარედაც კი არ არის მითითებული.

12. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორთა ზემოთ ჩამოთვლილ პრეტენზიათაგან ხუთი მათგანი უსაფუძვლოა და არ არსებობს მათი გაზიარების ფაქტობრივ-სამართლებრივი წინაპირობა.

12.1. პირველი პრეტენზიის მიხედვით, ვინაიდან სახეზეა როგორც ქონებრივი, ასევე მისგან გამომდინარე არაქონებრივი დავა, სააპელაციო სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლი და საქმე არ უნდა განეხილა ერთპიროვნულად.

12.1.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოთვლის იმ დავებს, რომელთა ერთპიროვნულად განხილვის შესაძლებლობაც აქვს სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს. ესენია: სსსკ მე-14 მუხლით განსაზღვრული მაგისტრატ მოსამართლეთა მიერ განსჯადი სამოქალაქო საქმეები (ა)ქონებრივი დავები, თუ სარჩელის ფასი არ აღემატება 5000 ლარს; ბ) უდავო და გამარტივებული წარმოების საქმეები, გარდა შვილად აყვანის, აგრეთვე გამარტივებული წესით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის და ქონების უპატრონოდ ცნობის საქმეებისა, თუ მოთხოვნის ან ქონების ღირებულება აღემატება 5000 ლარს; გ) საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დავები, გარდა შვილად აყვანის, მშობლის უფლების ჩამორთმევის, მამობის დადგენის და განქორწინების საქმეებისა, თუ მეუღლეებს შორის არსებობს დავა ბავშვის მიკუთვნების თაობაზე), ქონებრივ-სამართლებრივი დავა, რომლის ღირებულება არ აღემატება 20 000 ლარს, სააპელაციო საჩივარი პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების განჩინების თაობაზე, აგრეთვე შრომის სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავები. სწორედ მითითებულ ნორმაზე დაყრდნობით თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 5 ივნისის განჩინებით დადგინდა მოცემული საქმის ერთპიროვნულად განხილვა.

12.1.2. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორთა მოსაზრებას, რომ სახეზეა როგორც ქონებრივი, ასევე მისგან გამომ-

დინარე არაქონებრივი დავა, რაც მოცემული დავის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის ფარგლებში მოქცევას გამო-რიცხავდა.

12.1.3. საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლზე, რომლითაც დადგენილია დავის საგნის ფა-სის განსაზღვრის წესი. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტის მიხედვით, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების ცნო-ბის შესახებ სარჩელის დავის საგნის ფასი უძრავი ნივთის საბაზრო ღირებულებით განისაზღვრება; ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწი-ლის თანახმად, თუ არაქონებრივ დავასთან ერთად განიხილება მისგან წარმოშობილი ქონებრივ-სამართლებრივი დავა, დავის საგ-ნის ფასი განისაზღვრება უფრო მაღალი ღირებულების მოთხოვ-ნის მიხედვით.

12.1.4. განსახილველ შემთხვევაში, წარდგენილი სარჩელითა და საქმეში არსებული მტკიცებულებებით დგინდება, რომ დავის საგ-ნის ფასი როგორც მოსარჩელის, ასევე სასამართლოების მიერ გან-საზღვრულია ნასყიდობის ხელშეკრულებაში მითითებული სადა-ვო ქონების ღირებულების მიხედვით და იგი შეადგენს 4 600 ლარს. აღსანიშნავია, რომ ეს გარემოება მოპასუხეებს არც პირველი და არც სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებში სადავოდ არ გა-უხდიათ, მათ არც რაიმე მტკიცებულება წარუდგენიათ, რაც ნას-ყიდობის ხელშეკრულებაში მითითებული ქონების ღირებულები-საგან განსხვავებულ თანხაზე მიუთითებდა, არც სააპელაციო სა-სამართლოში საქმის ერთპიროვნულად განხილვისას გამოუთქვამთ პრეტენზია მითითებულ პროცესუალურ საკითხზე.

12.1.5. ამრიგად, გამომდინარე იქიდან, რომ მოცემული დავის საგნის ფასი არ აღემატება 20 000 ლარს, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატამ აღნიშნული დავა მართებულად მოაქცია სსსკ 25.3 მუხლის მოქმედების ფარგლებში. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე უფლებამოსილი იყო ერ-თპიროვნულად განეხილა იგი.

12.2. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორთა მო-საზრებას მოსარჩელის არასათანადოობის შესახებ და მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველ ნაწილ-ზე, რომლის მიხედვით, ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. საქმის განხილვას სასამარ-თლო შეუდგება იმ პირის განცხადებით, რომელიც მიმართავს მას თავისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესების და-საცავად. ამავე კოდექსის 79-ე მუხლის თანახმად კი, სასამართლო საქმის განხილვას შეუდგება დაინტერესებული პირების განცხა-დებით. ამრიგად, მოსარჩელეა პირი, რომელიც მიმართავს სასა-

მართლოს მხოლოდ საკუთარი დარღვეული ან სადავოდ გამხდარი უფლების დაცვის მოთხოვნით. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ სადავო უძრავი ქონება სახელმწიფოს საკუთრებაში გადასვლამდე რეგისტრირებული იყო მოსარჩელის საკუთრებად. მითითებულ ქონებაზე მოსარჩელის მიერ საკუთრების უფლების მიტოვების შესახებ განცხადების რეგისტრაციის შემდეგ კი, ქონება გადავიდა სახელმწიფოს საკუთრებაში. წარდგენილი სარჩელით სწორედ საკუთრების უფლების მიტოვების შესახებ გარიგების, როგორც ამორალური გარიგების ბათილობასა და მითითებული ქონების საკუთრებაში დაბრუნებას ითხოვს მოსარჩელე. შესაბამისად, ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა მართებულად მიიჩნიეს იგი სათანადო პროცესუალურ მხარედ და მართებულად დაასკვნეს, რომ სადავო გარიგება ეხებოდა მის უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს.

12.3. საკასაციო პალატა ასევე არ იზიარებს კასატორთა პრეტენზიას იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლომ მტკიცებულებათა არარსებობის პირობებში არასწორად დაადგინა მოსარჩელესა და ვ. ჯ-ძეს შორის ნათესაური კავშირის არსებობის ფაქტი და ამ საკითხის გადაწყვეტისას მხარეთა შორის არასწორად გაანალიზა მტკიცების ტვირთი.

12.3.1. საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრვენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამავე კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

12.3.2. ამასთან, სასამართლოს, როგორც ნეიტრალური არბიტრის როლი მტკიცების პროცესში შემოიფარგლება მტკიცების საგნის სწორად განსაზღვრით, მხარეთა შეჯიბრებითობის ხელმძღვანელობით, წარმოდგენილი მტკიცებულებების დასაშვებობა-განკუთვნიადობის შემოწმებითა და შეკრებილ მტკიცებულებათა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით დადგენილი წესით შესწავლა-ანალიზით, სწორედ მათ საფუძველზე ყალიბდება მოსამართლის შინაგანი რწმენა და იგი საფუძვლად დაედება მი-

ღებულ გადაწყვეტილებას (სუსგ №ას-839-805-2016, 2017 წლის 6 მარტი).

12.3.3. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა საქმეში არსებულ არაერთ მტკიცებულებაზე დაყრდნობით (მაგ. ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის 2011 წლის 8 სექტემბრის ოქმი ვ. ჯ-ძის მოწმის სახით დაკითხვის შესახებ; 2011 წლის 9 სექტემბრის ცალმხრივი გარიგება მოსარჩელის მიერ სადავო უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების მიტოვების შესახებ და სხვ.) მართებულად დაადგინეს მოსარჩელესა და ვ. ჯ-ძეს შორის ნათესაური კავშირის არსებობის ფაქტი. ამ გარემოების გაბათილება კი მოპასუხეებმა ვერ შეძლეს საპირისპირო ან/და წონადი არგუმენტების წარდგენით. კასატორთა მხოლოდ მითითება, რომ სააპელაციო პალატა აღნიშნული საკითხის დადგენისას დაეყრდნო საკუთარ მოსაზრებას, ვერ მიიჩნევა იმგვარ დასაბუთებულ საკასაციო შედეგად, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი ზემოთმითითებული გარემოების გაბათილების შესაძლებლობას მისცემდა სასამართლოს.

12.3.4. კასატორების მორიგი პრეტენზიის მიხედვით, საქმეში არსებული არცერთი მტკიცებულება არ ადასტურებს სადავო ქონებაზე საკუთრების უფლების მიტოვებისას მოსარჩელის მიმართ იძულების ან მუქარის განხორციელების ფაქტს. როდესაც მესაკუთრე ნებაყოფლობით უარს აცხადებს საკუთარ ქონებაზე, ხოლო სახელმწიფო ავტომატურად ხდება მიტოვებული უძრავი ქონების მესაკუთრე, ნების გამოვლენის ნაკლთან დაკავშირებით მტკიცების ტვირთი თავად მესაკუთრეს ეკისრება, რაც მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელემ სათანადოდ ვერ გასწია.

12.3.5. მითითებული პრეტენზიის ფაქტობრივი და სამართლებრივი მართებულობის საკითხის შემოწმებამდე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობის შემოწმებისას, სასამართლო იკვლევს, თუ რამდენად ვლინდება სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებების ის ერთობლიობა, რომლებიც სასარჩელო მოთხოვნის, ან მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლის წარმატებას განაპირობებს. სასამართლო ვალდებულია, განსაზღვროს მოთხოვნის ფარგლები (ისე რომ არ გასცდეს მას), მოძებნოს დავის მომწესრიგებელი შესატყვისი სასამართლის ნორმა (სპეციალური ან ზოგადი წესი) და დაადგინოს იმ გარემოებათა არსებობა/არარსებობა (ფაქტობრივი გარემოებები), რომლებიც ამ ნორმის გამოყენებისთვის აუცილებელ წინაპირობებს წარმოადგენენ. საკასაციო სასამართლომ არაერთ საქმეზე განმარტა: „სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ

რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემონიშნებაც სასამართლოს პრეროგატივაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველის რომელიმე ფაქტობრივი წინამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას (იხ. სუსგ-ები: №ას-15-29-1443-2012; №ას-973-1208-04; №ას-664-635-2016).

12.3.6. განსახილველ შემთხვევაში, სადავო გარიგების კონტრაქტითა სახელმწიფო, რომლის მონაწილეობით დადებული ხელშეკრულებების მიმართ იმთავითვე ნაჯარაუდევია კანონშესაბამისობის, ანუ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სსკ-ის 54-ე მუხლით დადგენილი სამი დამოუკიდებელი წინაპირობის (გარიგება არ არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, არ ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს) დაცვის მოლოდინი იმ მხარის მიერ, რომელიც ძლიერ მხარესთან შედის სახელშეკრულებო ბოჭვაში. მიუხედავად იმისა, რომ სსკ-ის 319-ე მუხლი ადგენს სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპს (რაც იმას ნიშნავს, რომ კერძოსამართლებრივი გარიგების მონაწილეები კანონის ფარგლებში უფლებამოსილი არიან, თავისუფლად დადონ ისეთი ხელშეკრულებები, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას, ანუ მოქმედებს პრინციპი ნებადართულია, რაც აკრძალული არ არის), დასახელებული ნორმის დეფინიციიდან გამომდინარე, სახელშეკრულებო თავისუფლებაც კანონისმიერ ჩარჩოშია მოქცეული და აქედან გამომდინარე, როდესაც სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის მხარეა სახელმწიფო, განსაკუთრებით მაღალი სტანდარტით უნდა შემოწმდეს და შეფასდეს გარიგების „ძლიერი“ კონტრაქტის ქცევა/ქმედება რამდენად შეესაბამება სსკ-ის 54-ე მუხლის წინაპირობათაგან ისეთ

სპეციფიკურ დანაწესს, როგორცაა – ზნეობის ნორმები. ასეთ ვითარებაში სასამართლოს კვლევისა და შეფასების საგანია, თუ რამდენად მორალურად შეიძლება იქნეს მიჩნეული ისეთი გარიგება, როდესაც სახელმწიფო უსასყიდლოდ ღებულობს გარკვეულ მომსახურებას, ქონებას საკუთრებაში და ა.შ. ანუ პრაქტიკულად რატომ შეიძლება კერძო სამართლის პირმა მიატოვოს ქონება და „დაასაჩუქროს“ სახელმწიფო, რამდენად შეესაბამება აღნიშნული იმ ზოგად მორალურ კატეგორიას, რომ სახელმწიფოს, რომელსაც აქვს ვალდებულება საკუთარი რესურსებით თითოეული პირის უფლება და ინტერესი დაიცვას, ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა აჩუქოს რაიმე ქონება (იხ. სუსგ საქმე №ას-212-201-2017, 15 მაისი, 2017 წელი).

12.3.7. სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის თაობაზე მსჯელობისას, დოქტრინაში გამოთქმული არაერთი მოსაზრებისა და სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით, უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებული ნორმა ზოგადდეფინიციური ხასიათისაა, ბლანკეტური, მითითებით მოწესრიგებას ნარმოადგენს და მარტოოდენ 54-ე მუხლი სხვა ნორმების, რომლებიც მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს შეიცავენ, მითითების გარეშე არ უნდა იქნეს გამოყენებული, ხოლო ზნეობის ნორმების სანინაალმდეგოდ გარიგების შინაარსის შესაფასებლად, შესაძლებელია დამოუკიდებლად იქნეს გამოყენებული დასახელებული მუხლი, როდესაც გარიგების ამორალურობას უკავშირდება სადავო საკითხი, თუმცა, ასეთ ვითარებაში, დამატებით შესაძლოა კონტრაჰენტთა ქმედებების შეფასება მოხდეს სსკ-ის მე-8 მუხლის მესამე ნაწილით განმტკიცებული კეთილსინდისიერების მასშტაბითაც, რათა დადგინდეს არა მხარეების სუბიექტური დამოკიდებულება გარიგებისადმი (მისი კონკრეტული პირობისადმი), არამედ ობიექტური გარემოებების შეფასების საფუძველზე, რაც გარიგების შინაარსის ზნეობის ნორმებთან შესაფუძვლებლობას ეხება, გაირკვეს ამორალურია თუ არა მხარეთა შეთანხმება. სსკ-ის 54-ე მუხლის საფუძველზე გარიგების ზნეობის სანინაალმდეგოდ მიჩნევის შემთხვევაში, გარიგებით მიღებული სარგებლის დაბრუნება კრედიტორმა მოვალეს შესაძლებელია მოსთხოვოს უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების საფუძველზე (იხ. სუსგ №ას-212-201-2017, 15 მაისი, 2017 წელი; სუსგ №ას-225-215-2016, 25 მაისი, 2016 წელი; №ას-761-729-2016, 31 მაისი, 2017 წელი).

12.3.8. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე საკუთრების უფლების მიტოვებას სახელმწიფოს მხრიდან მასზე განხორციელებულ იძულებას უკავშირებს, რაც ქვედა ინსტანციის სასამართლოების განმარტებით, ეწინააღმდეგება ზნეობის ნორმებს, მართლსა-

წინააღმდეგოა და მიუთითებს გარიგების ბათილობის ისეთ სამართლებრივ წინაპირობაზე, როგორცაა გარიგების შინაარსის ამორალურობა.

12.3.9. საკასაციო სასამართლოს მიერ არაერთ საქმეზე განმარტებულია შემდეგი: იძულება მაშინ შეიძლება ჩაითვალოს გარიგების ბათილობის საფუძვლად, როდესაც მისი ზეგავლენით მოხდა გარიგების დადება. იძულება შეიძლება გამოიხატოს ძალადობით ან მუქარით. ძალადობა ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ იძულებას გულისხმობს, ხოლო, მუქარის შემთხვევაში, მომავალში იძულების განხორციელების ფაქტით გამოწვეული შიში აიძულებს პირს, გამოავლინოს სხვისი ნების შესატყვისი ნება. ამასთან, გარიგების ბათილობას იწვევს არა ყოველგვარი იძულება, არამედ ისეთი, რომელსაც თავისი ხასიათით შეუძლია, გავლენა მოახდინოს პირზე, რომელიც აფიქრებინებს მას, რომ მის პიროვნებას ან ქონებას რეალური საფრთხე ემუქრება. ამდენად, იძულება მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს ზემოქმედებაუნარიანად, თუკი რეალური საფრთხის მაუწყებელია. თუ საფრთხე მოჩვენებითია, მაშასადამე, იძულებაც არარსებულია. იძულების შეფასებისას, გასათვალისწინებელია პირთა ასაკი, სქესი და ცხოვრებისეული გამოცდილებები, ასევე, უნდა შეფასდეს იძულების განმახორციელებელი პირიც, რათა გამოკვლეული იქნეს, თუ რა შესაძლო ფაქტორებმა, რა ინსტრუმენტებმა მოახდინა იძულება კონკრეტულ პირზე.

12.3.10. საკასაციო სასამართლოს დიდმა პალატამ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა: „პირის იძულება, ნების სანინააღმდეგოდ დათმოს საკუთრება მესამე პირის/პირების სასარგებლოდ, თავისი ხასიათით, წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, ვინაიდან ასეთი ქმედება არღვევს საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით, ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლითა და სსკ-ის 170-ე მუხლით გარანტირებულ მესაკუთრის უფლებას, თავისუფლად ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს საკუთრებას“ (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-664-635-2016, 193-ე პუნქტი). სხვა დავებში საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ იძულება არა ფაქტის, არამედ სამართლებრივი შეფასების საკითხია... სამოქალაქო კოდექსის 85-ე-89-ე მუხლებით განსაზღვრული გარიგების იძულებით დადება სამართლებრივი კატეგორიაა და სასამართლო ნორმით გათვალისწინებული შედეგის განსაზღვრისას ხელმძღვანელობს მხარის მიერ მითითებული ფაქტებითა და ამ ფაქტების დადასტურების მიზნით წარდგენილი მტკიცებულებებით, რომლებიც ნორმით გათვალისწინებულ შემადგენლობას უნდა ქმნიდეს (იხ. სუსგ საქმე №ას-89-

83-2015, 23 ოქტომბერი, 2015 წელი).

12.3.11. ამასთან, აღსანიშნავია, რომ უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკა სახელმწიფოს მონაწილეობით დადებული კერძოსამართლებრივი გარიგებების სადავოობისას მტკიცების ტვირთის ზოგადისგან განსხვავებულ წესს ადგენს. აღნიშნული მიდგომა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ უდავოა, კეთილსინდისიერებისა და ნდობის პრინციპი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნებისმიერი სამართალურთიერთობის არსებობისას. ამგვარი სტანდარტის უპირველეს ფუძემდებელს და გარანტს კი სახელმწიფო წარმოადგენს, რომელიც შეიძლება თავადაც იყო კერძოსამართლებრივი ურთიერთობის კონტრაჰენტი. ამიტომ, სახელმწიფოს მონაწილეობით დადებული კერძოსამართლებრივი გარიგებების შეცვლების (შედავების) შემთხვევაში, სწორედ სახელმწიფომ უნდა ამტკიცოს კერძო პირთან დადებული გარიგების ნამდვილობა, მისი კანონთან და ზნეობის ნორმებთან შესაბამისობა. აღნიშნული დასკვნა ეფუძნება სახელმწიფოს, როგორც გარიგების ძლიერი მხარის, ვალდებულებას, განსაკუთრებული პასუხისმგებლობით დაიცვას თითოეული პირის ქონებრივი უფლებები. საკასაციო სასამართლოს მიერ არაერთ საქმეზე გაკეთებული განმარტებით, სამოქალაქო ბრუნვის მნიშვნელოვანი თავისებურება ის არის, რომ ყოველი მხარე იმ ტვირთის მატარებელი შეიძლება იყოს, რომლის ზიდავაც მას შეუძლია. როცა დასტურდება, რომ იგი უძღურია ზიდოს ეს ტვირთი, პასუხისმგებლობის საკითხიც იხსნება (იხ. სუსგ საქმე №ას-15-15-2016, 1 მარტი, 2016 წელი). სახელმწიფოს მონაწილეობით დადებული გარიგებების მიმართ, თუკი მოსარჩელე კონკრეტულ ფაქტებზე მითითებით აცხადებს, რომ მასზე განხორციელდა იძულება (ფიზიკურად ან ფსიქოლოგიურად), პრეზუმირებულია, რომ იძულება განხორციელდა და სახელმწიფოს უბრუნდება მტკიცების ტვირთი, რომ იძულებას ადგილი არ ჰქონია, მანვე უნდა დაამტკიცოს, რატომ არის შეუძლებელი ამგვარი პრეზუმფციის დაშვება, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გარიგების შინაარსის დეტალურ კვლევასა და გაანალიზებას მოითხოვს (იხ. სუსგ საქმე №ას-212-201-2017, 15 მაისი, 2017 წელი). ამგვარ მყარ პრეზუმფციებს ეფუძნება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაც (მგ. იხ. საქმეები „გუსინსკი რუსეთის წინააღმდეგ“, „ნაცვლიშვილი და ტოგონიძე საქართველოს წინააღმდეგ“, „გალსთიანი სომხეთის წინააღმდეგ“).

12.3.12. განსახილველ შემთხვევაში, სწორედ, სახელმწიფოს ეკისრება იმის მტკიცების ვალდებულება, რომ მასსა და ფიზიკურ პირს შორის დადებული გარიგება (ამ შემთხვევაში, ქონებაზე საკუთრების უფლების მიტოვება) არ ეწინააღმდეგებოდა მორალურ

იმპერატივებს და სუსტი მხარის ინტერესებს.

12.3.13. ზემოაღნიშნული განმარტებებისა და საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლივი შეფასების შედეგად საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ განსახილველ დავაში მოსარჩელემ წარმატებით გაართვა თავი სასარჩელო მოთხოვნის მტკიცების ტვირთის რეალიზებას და დაადასტურა, რომ უძრავი ქონების მიტოვებაზე განაცხადი მან იძულებისა და შიშის ქვეშ გააკეთა და არა თავისუფალი ნების პირობებში. კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ:

ა) სადავო მიწის ნაკვეთის თავდაპირველი მესაკუთრე იყო მოსარჩელის ბიძა, ვ. ჯ-ძე;

ბ) ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურაში მიმდინარეობდა გამოძიება სისხლის სამართლის №042118025 საქმეზე სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 2008 წელს ყალბი მიღება-ჩაბარების აქტების გამოყენებით სხვადასხვა მოქალაქეების მიერ ხეხილსანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფოს კუთვნილი მიწის ნაკვეთების უკანონოდ დაუფლების ფაქტზე;

გ) 2010 წლის 7 სექტემბერს ვ. ჯ-ძემ ხეხილსანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი (შემდგომში წინამდებარე საქმეში სადავოდ გამხდარი მიწის ნაკვეთი) ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე გადასცა საკუთარი ცოლის ძმისშვილს, ანუ მოსარჩელეს;

დ) 2011 წლის 8 სექტემბერს ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის მიერ №042118025 სისხლის სამართლის საქმეზე მოწმის სახით დაიკითხა ვ. ჯ-ძე, რომელმაც უარყო სადავო მიწის ნაკვეთის მის სახელზე რეგისტრაციის ფაქტი და განაცხადა, რომ იგი აპირებდა მასზე უკანონოდ დარეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიტოვებას სახელმწიფოს სასარგებლოდ;

ე) მეორე დღეს, 2011 წლის 9 სექტემბერს მოსარჩელემ განაცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და სადავო უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების მიტოვების რეგისტრაცია მოითხოვა;

12.3.14. ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთშეჯერებისა და გაანალიზების შედეგად, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ მოსარჩელის ბიძისთვის პატიმრობის შეფარდების შიში იყო ის ფსიქოლოგიური ფაქტორი, რომელმაც აიძულა მოსარჩელე მიეღო ქონების მიტოვების გადაწყვეტილება. ამ დასკვნას ამყარებს ის გარემოებაც, რომ ქონების მიტოვებისა და ამ ქონების სახელმწიფოსათვის საკუთ-

რებაში აღრიცხვის შემდეგ ზემოთმითითებულ სისხლის სამართლის საქმეზე მოსარჩელის ბიძის მიმართ რაიმე სახის საგამოძიებო მოქმედება აღარ განხორციელებულა. უფრო მეტიც, აღნიშნულ საქმეზე არც რაიმე სამართლებრივი შედეგი დამდგარა. საქართველოს მთავარი პროკურატურის 2016 წლის 10 მაისის წერილში მითითებულია, რომ ხ. მ-ისა და დენდროლოგიური პარკის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთების თაღლითურად დაუფლების ფაქტზე წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეებზე (№092110814001 და №092100758 საქმეები) გამოძიება არ მიმდინარეობს/მიმდინარეობდა და ვ. ჯ-ძე აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეებში არ ფიგურირებს.

12.3.15. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა უარყოფს კასატორთა პრეტენზიას მტკიცების ტვირთის არასწორად განაწილების თაობაზე და თვლის, რომ მოპასუხეებმა მოსარჩელის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს სარწმუნო და მყარი არგუმენტები ვერ დაუპირისპირეს და მათი დამაჯერებლად გაქარწყლება ვერ შეძლეს.

12.4. რაც შეეხება საკასაციო საჩივრის ავტორთა პრეტენზიას მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე, საკასაციო პალატა ვერც აღნიშნულს გაიზიარებს და მიუთითებს, რომ ანალოგიური შინაარსის დავებზე უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილია მყარი სასამართლო პრაქტიკა, რომლის თანახმად, მატერიალური უფლებების შეცილების ვადა ვრცელდება მხოლოდ საცილო გარიგებებზე. მოცემულ შემთხვევაში კი, ვინაიდან გარიგების ბათილად ცნობის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სსკ-ის 54-ე, 976-ე და 979-ე მუხლები, სახეზეა უცილოდ ბათილი გარიგება მისი ამორალურობის გამო, რომელზეც შეცილების ვადა სამოქალაქო კოდექსით დადგენილი არაა და მის მიმართ გამოიყენება ხანდაზმულობის საერთო – ათწლიანი ვადა (იხ. სუსგ საქმე №ას-225-215-2016, 25 მაისი, 2016 წელი; №ას-761-729-2016, 31 იანვარი, 2017 წელი).

12.5. საკასაციო სასამართლო ასევე შეაფასებს კასატორთა მორიგი პრეტენზიის საფუძვლიანობას, რომელიც სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირებას ეხება. საჩივრის ავტორთა მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ ყურადღება არ მიაქცია პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის იმგვარ ფორმულირებას, რომლითაც განისაზღვრა მოსარჩელის საკუთრების უფლების რეგისტრაცია მაშინ, როდესაც აღნიშნული უფლების რეგისტრაციას ახდენს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, რომელიც მოცემულ საქმეში საპროცესო მხარედაც კი არ არის მითითებული.

12.5.1. აღნიშნული პრეტენზიის შემოწმების მიზნით, საკასაციო

სასამართლო პირველ რიგში მიუთითებს საქმის მასალებით დადგენილ შემდეგ გარემოებებზე:

ა) მოსარჩელის მიერ წარდგენილ სარჩელში მოთხოვნა ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: ბათილად იქნეს ცნობილი საკუთრების უფლების მიტოვების შესახებ 2011 წლის 9 სექტემბრის გარიგება; აღდგენილ იქნეს და საჯარო რეესტრში დარეგისტრირდეს მოსარჩელის საკუთრების უფლება;

ბ) საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა სრულად და სარეზოლუციო ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „ბათილად იქნეს ცნობილი 2011 წლის 9 სექტემბრის ლ. ლ-ის ცალმხრივი გარიგება ქ. თბილისში, დ. მ-ში მდებარე 922 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდი: ... საკუთრების უფლების მიტოვების შესახებ (დამონშების თარიღი: 09.09.2011, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო) და ქ. თბილისში, დ. მ-ში მდებარე 922 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდი: ... დარეგისტრირდეს ლ. ლ-ის საკუთრების უფლება“;

გ) საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა სააპელაციო სასამართლომ.

12.5.2. საკასაციო პალატა იზიარებს კასატორთა მოსაზრებას იმის შესახებ, რომ საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის საკითხი არასწორად განსაზღვრა სასამართლომ.

12.5.3. ზოგადად, საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს ყოველი კონკრეტული საქმის განმხილველი სასამართლოს კომპეტენციის ფარგლებს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულია სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით განსახილველ საქმეთა ჩამონათვალი (სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავები მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის, დავები საზოგადოებრივ და რელიგიურ ორგანიზაციებს შორის და სხვ. (სსსკ მე-11 მუხლი)), ხოლო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს ადმინისტრაციული წესით სასამართლოს განსჯად საქმეთა კატეგორიებს. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრი-

ვი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით კი, ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

12.5.4. მითითებულ ნორმათა ანალიზიდან გამომდინარე, საკაცო პალატა მიიჩნევს, რომ კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

12.5.5. ამასთან, საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობისთვის დამახასიათებელ კიდევ ერთ ნიშანზე – მიმართულია თუ არა დავა ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ.

12.5.6. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მოთხოვნა საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შესახებ არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს კერძოსამართლებრივ მოთხოვნად, ვინაიდან იგი მიმართულია ადმინისტრაციული ორგანოს, კერძოდ, საჯარო რეესტრის მიმართ, შესაბამისად, წარმოადგენს საჯაროსამართლებრივ მოთხოვნას.

12.5.7. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ თავის მხრივ, სასამართლო სანივთო უფლებათა მარეგისტრირებელ ორგანოს არ წარმოადგენს. ამგვარი ფუნქციით აღჭურვილია საჯარო რეესტრი („საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად), რომელიც სარეგისტრაციო წარმოებას იწყებს დაინტერესებული პირის განცხადების ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე („საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის მე-8 მუხლი). შესაბამისად, იმ ვითარებაში, როდესაც სასამართლო გადაწყვეტილებით დადგინდება ქონებაზე საკუთრების უფლების აღდგენა, აღნიშნული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლით საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს წარმოეშობა მითითებული უფლების რეგისტრაციის საფუძველი.

12.5.8. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკაცო სასამართლო იზიარებს კასატორთა პრეტენზიას სასარჩელო მოთხოვნის არასწორ ფორმულირებასთან დაკავშირებით და თვლის, რომ მოთხოვნის ამ ნაწილში არსებობს საკასაციო საჩივრების დაკმაყოფილების, გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა

და ახალი გადაწყვეტილების მიღების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველი.

12.6. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში განსახილველად დაბრუნების საფუძველები. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი არ არსებობს, რადგან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 27 ნოემბრის განჩინება, რომლითაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილება, და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება:

2.1. ლ. ლ-ის სარჩელი სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ გარიგების ბათილად ცნობისა და საკუთრების აღდგენის შესახებ დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2.2. ბათილად იქნეს ცნობილი 2011 წლის 9 სექტემბრის ლ. ლ-ის ცალმხრივი გარიგება, ქ. თბილისში, დ. მ-ში მდებარე 922 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე ს/კ:..., საკუთრების მიტოვების შესახებ (დამოწმების თარიღი: 9.09.2011, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო) და აღდგენილ იქნეს მონარჩელის საკუთრების უფლება ამავე ქონებაზე;

2.3. ლ. ლ-ის სასარჩელო მოთხოვნა, საკუთრების უფლების დარეგისტრირების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;

3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

აუცილებელი თანხმობის გარეშე დადებული გარიგება

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1412-1332-2017

14 ნოემბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიჭიაშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ხელშეკრულებისა და პარტნიორთა კრების ოქ-
მის ბათილად ცნობა, სასაქონლო ნიშანზე რეგისტრირებული უფ-
ლების აღდგენა

აღწერილობითი ნაწილი:

**1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძ-
ვლები:**

1.1. შპს „ს-ოს“ პარტნიორმა გ. გ-ემ (შემდგომში – მოსარჩელე, მოწინააღმდეგე მხარე ან კომპანიის 25%-იანი წილის მფლობელი პარტნიორი) სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ტ-ოს“ (შემდგომში – მოპასუხე, აპელანტი ან კასატორი), შპს „ს-ოს“, მ. ა-ის, მ. ლ-ის, ე. ა-იას, გ. ე-ისა და ლ. ჩ-ის (შემდგომში – თავდაპირველი თანამოპა-სუხეები, ფიზიკური პირები, ასევე წოდებული, როგორც კომპანი-ის 75%-იანი წილის მფლობელი პარტნიორები), ასევე, დამოუკი-დებული მოთხოვნის გარეშე მესამე პირის – ე. გ-ის (შემდგომში – მესამე პირი, იხ. 04.08.2016წ. საოქმო განჩინება) მიმართ და მოით-ხოვა შპს „ს-ოს“ დირექტორ ე. გ-ესა და შპს „ტ-ოს“ დირექტორ ი. კ-ეს შორის 2014 წლის 24 ოქტომბერს დადებული სასაქონლო ნიშნის („მ-ო M-O“) გადაცემის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, სასა-ქონლო ნიშანზე („მ-ო M-O“) შპს „ს-ოს“ რეგისტრირებული უფლე-ბის აღდგენა. მოსარჩელემ ასევე მოითხოვა შპს „ს-ოს“ პარტნიორ-თა 2015 წლის 16 ნოემბრის კრების ოქმის ბათილად ცნობა.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: და-არსების დღიდან, 1995 წლიდან, შპს „ს-ო“ სატელევიზიო ე-ში მა-უნწყებლობისათვის იყენებს სასაქონლო ნიშანს – „მ-ო M-O“, მისი სატელევიზიო და რადიომაუნწყებლობა სტაბილურად ხორციელდე-ბა საქართველოს ტერიტორიაზე. მოსარჩელე კომპანიის 25%-იანი წილის მფლობელი პარტნიორია. 2014 წლის 24 ოქტომბრის ხელ-შეკრულებით შპს „ს-ოს“ დირექტორმა შპს „ტ-ოს“ უსასყიდლოდ,

პარტნიორთა წინასწარი თანხმობის გარეშე, გადასცა უფლებები სასაქონლო ნიშანზე და ეს უკანასკნელი ნიშნის მფლობელადაა რეგისტრირებული საქპატენტში. შპს „ტ-ო“ სამენარმეო რეესტრში რეგისტრირებულია 2014 წლის 17 ოქტომბრიდან, მისი 100%-იანი წილის მფლობელი პარტნიორი და დირექტორი არის ი. კ-ე. ეს უკანასკნელი 2011 წლის 12 იანვრიდან 2013 წლის 11 ოქტომბრამდე იყო შპს „ს-ოს“ დირექტორი და, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ფლობდა მოსარჩელის კუთვნილ 25%-იან წილს. კომპანიის წესდებას დირექტორის უფლებამოსილებებთან დაკავშირებით 2011 წლიდან მოყოლებული ცვლილება არ განუცდია და ი. კ-ისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო ლოგოს გადაცემის თაობაზე პარტნიორთა წინასწარი თანხმობის არსებობა. მოსარჩელემ პარტნიორთა კრებაზე არაერთხელ დააყენა საკითხი სასაქონლო ნიშნის კომპანიის სახელზე რეგისტრაციის შესახებ, თუმცა, მისი მოთხოვნა დარჩა რეაგირების გარეშე და კრებას გადაწყვეტილება არ მიუღია. შპს „ს-ოს“ მენეჯმენტისათვის ცნობილია მოსარჩელის სურვილი, კომპანიას კუთვნილი სასაქონლო ნიშანი (რომლის მეშვეობითაც ახდენს საზოგადოება ტელეკომპანიის იდენტიფიცირებას და რომელიც, მრავალი წლის განმავლობაში გამოყენების გამო, გაიგივებულია კომპანიასთან) დაუბრუნდეს საკუთრებაში, თუმცა არ მიმართავს შესაძლო სამართლებრივ მექანიზმებს დარღვეული უფლების აღსადგენად. სადავო საკითხთან დაკავშირებით 2015 წლის 16 ნოემბრის კრებაზე წარდგენილ იქნა პარტნიორთა 100%, თუმცა, ლოგოს გასხვისების გადაწყვეტილება 100%-იანი თანხმობით არ მომხდარა, მოსარჩელემ, რომელიც არ ეთანხმება შპს „ს-ოს“ დირექტორ ე. გ-ის გადაწყვეტილებას კომპანიის ლოგოს გასხვისების თაობაზე, საკუთარი პოზიცია დააფიქსირა ზემოხსენებულ კრებაზე, თავად კრების ოქმი ეწინააღმდეგება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9¹ მუხლის მე-9 პუნქტის მოთხოვნებს და ბათილია.

2. მოპასუხეების პოზიცია:

2.1. შპს „ს-ომ“ სარჩელი ცნო;

2.2. შპს „ტ-ომ“ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ შპს „ს-ოს“ დირექტორის მიერ დადებული სადავო გარიგება მოწონებული იქნა საზოგადოების კაპიტალის 75%-იანი წილის მფლობელი პარტნიორის მიერ, არც ერთ სხვა პარტნიორს სადავოდ არ გაუხდია გარიგება. მოსარჩელეს არასდროს გამოუხატავს ინტერესი შპს „ტ-ოს“ მიმართ. შესაგებლის თანახმად, კომპანიის ლოგო შეემქნა ი. კ-ემ და მას სრული უფლება ჰქონდა, მისი უსასყიდლოდ გადაცემა მოეთხოვა. გარდა ამისა, შპს „ტ-ო“ სასაქონლო ნიშნის კეთილსინდისიერი შემქნია. შპს „ს-ოს“ მიმართ გადახდისუუნარობის საქმის

ნარმოება დაწყებულია კომპანიის 50 000 000 ლარამდე დავალიანების გამო და, გაურკვეველია, ლოგოს დაბრუნება რა გავლენას იქონიებს მასზე. გარდა ამისა, გ. გ-ეს არ აქვს აღიარებითი სარჩელის მიმართ ნამდვილი იურიდიული ინტერესი;

2.3. გ. ე-ემ სარჩელი ცნო;

2.4. ლ. ჩ-ემ სარჩელი ცნო;

2.5. მ. ა-მა სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ სასაქონლო ნიშნის გადაცემა და შემდეგ პარტნიორთა კრებაზე ამ გადაწყვეტილების მოწონება მოხდა იმ მოტივით, რომ შპს „ტ-ოს“ მფლობელსა და დირექტორს, ი. კ-ეს მ-ოს სხვა დამფუძნებელ პარტნიორებთან ერთად მნიშვნელოვანი პირადი წვლილი აქვს შეტანილი შპს „ს-ოს“, როგორც ცნობადი სამაუწყებლო ბრენდის (სასაქონლო ნიშნის) შექმნასა და ჩამოყალიბებაში. გარიგების მოწონება არ საჭიროებდა საზოგადოების კაპიტალის 100% წილის მფლობელთა გადაწყვეტილებას;

2.6. მ. ლ-მა სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ შპს „ს-ო“ გაკოტრების პირას მდგომი ორგანიზაცია იყო, ლოგო ბიზნესის მხრივ არ იყო მომგებიანი და მისი გასხვისება საზოგადოებას ზიანს არ მოუტანდა, გარიგება დადებულია კანონიერად და არ არსებობს მისი ბათილად ცნობის საფუძვლები. მოსარჩელეს არ წარუდგენია მტკიცებულება, თუ რას შეადგენს კომპანიის ლოგოს ღირებულება, რაც შეეხება საკითხის გადაწყვეტას, იგი არ საჭიროებდა კომპანიის პარტნიორთა 100%-იან თანხმობას;

2.7. ამავე საფუძვლებზე მითითებით სარჩელი არ ცნო არც ე. ა-იამ და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი 2014 წლის 24 ოქტომბერს შპს „ს-ოს“ დირექტორ ე. გ-ესა და შპს „ტ-ოს“ დირექტორ ი. კ-ეს შორის დადებული სასაქონლო ნიშნის („მ-ო M-O“) გადაცემის ხელშეკრულება და აღდგა სასაქონლო ნიშანზე შპს „ს-ოს“ რეგისტრირებული უფლება, ასევე ბათილად იქნა ცნობილი შპს „ს-ოს“ პარტნიორთა 2015 წლის 16 ნოემბრის კრების ოქმი (დამოწმების თარიღი: 08.12.2015; რეგ. №151331345).

4. აპელანტის მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „ტ-ომ“, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის უარყოფა.

5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

1.1. საკასაციო განაცხადის მოცულობა და საკასაციო განხილვის ფარგლები (კასატორის პრეტენზიები):

საკასაციო საჩივრის ფარგლებში პალატის შეფასების საგანს წარმოადგენს მენარმე სუბიექტთა შორის სასაქონლო ნიშნის გადაცემის შესახებ ხელშეკრულების, ასევე, საწარმოს პარტნიორთა მხრიდან გარიგების მოწონების შესახებ გამოვლენილი მრავალმხრივი ნების კანონიერება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე (საკასაციო სასამართლო ამომწებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია, თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), გასაჩივრებული განჩინების კანონიერებას პალატა სწორედ კასატორის პრეტენზიის ფარგლებში შეამოწმებს. საკასაციო საჩივრის შესწავლით ირკვევა, რომ მხარე პრეტენზიას, როგორც მატერიალური სამართლის ნორმების გამოყენება/განმარტების, ისე – მტკიცებულებათა საპროცესო წესების დარღვევით შეფასების კუთხით აცხადებს, კერძოდ:

1.1.1. სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებული განჩინებით შემოიფარგლება კონკრეტული ნორმების ციტირებით, მათი ყოველგვარი განმარტების გარეშე. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9¹ მუხლის მე-7 პუნქტსა და შპს „ს-ოს“ წესდების 6.5 პუნქტზე მითითებით, პალატამ ჩათვალა, რომ ე. გ-ეს პარტნიორთა თანხმობის გარეშე არ შეეძლო სადავო გარიგების დადება, რადგანაც ეს გარიგება მნიშვნელოვნად სცდებოდა საზოგადოების ჩვე-

უღებრივ საქმიანობას, თუმცა ამ ნორმათა გამოყენება არასწორია, რადგანაც საქმეში წარმოდგენილ იქნა პარტნიორთა 2015 წლის 16 ნოემბრის კრების ოქმი, სადაც აღნიშნულია, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში და შემდგომ – გასხვისებისას არსებობდა პარტნიორთა თანხმობა, ისინი მონაწილეობდნენ საზოგადოების ლოგოს გასხვისების პროცესში და შესაბამისად, მათთვის ეს ფაქტი ცნობილი იყო, სწორედ გასხვისების მოწონების თაობაზე იყო შემდგომში მოწვეული კრება, რომელმაც უმრავლესობით – 75%-ით დაადასტურა გარიგება. ამ საკითხის შეფასებისას, სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 101-ე და 102-ე მუხლებით;

1.1.2. სააპელაციო პალატამ არასწორად იხელმძღვანელა „გადახდისუუნარობის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით, 26-ე მუხლით და არასწორადვე განმარტა, რომ 2015 წლის 16 ნოემბრის მდგომარეობით საწარმო გადახდისუუნარობის რეჟიმში იმყოფებოდა, სამეურვეო ქონების დაცვასა და გასხვისებაზე პასუხისმგებლობა მეურვეს ეკისრებოდა და სწორედ მისი თანხმობით უნდა დადებულიყო გარიგება, ასევე, მიღებულიყო გადაწყვეტილება დადებული გარიგებების თაობაზე. სასამართლომ ნორმის განმარტებისას შეცვალა მისი შინაარსი, რადგანაც კანონი არ ამბობს „დადებულ გარიგებაზე რაიმე გადაწყვეტილების მიღების შესახებ“, გარიგებას წარმოადგენს 2014 წლის 24 ოქტომბერს დადებული ლოგოს გადაცემის ხელშეკრულება და არა 2015 წლის 16 ნოემბრის პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება ამ გარიგების მოწონების თაობაზე. ამ კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებით არც გარიგება დადებულია და არც დადებული გარიგება არ შეწყვეტილა. პალატამ არასწორადვე განმარტა „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლი, რადგანაც არასწორად იქნა შეფასებული საქმის მასალები;

1.1.3. სააპელაციო სასამართლომ სასაქონლო ნიშნის შემძენი კომპანიის დირექტორის მიერ შპს „ს-ოს“ დირექტორად მუშაობის გამო, მიიჩნია, რომ შემძენს უნდა სცოდნოდა გამსხვისებელი კომპანიის დირექტორის უფლებამოსილების შეზღუდვის ფაქტი, რადგანაც აქსიომას არ წარმოადგენს დირექტორის ინფორმირებულობა უფლებამოსილების შეზღუდვასთან დაკავშირებით, ამასთანავე, ი. კ-ე სადავო ხელშეკრულების დადებამდე ერთი წლით ადრე იყო გათავისუფლებული შპს „ს-ოს“ დირექტორობიდან. აღსანიშნავია, რომ სასაქონლო ნიშნის („მ-ო M-O“) რეგისტრაცია შპს „ს-ოს“ სახელზე განხორციელებულია სწორედ ი. კ-ის მიერ, რომელსაც იმ დროსაც არ გააჩნდა პარტნიორთა თანხმობა და ეს საკითხი

შემდგომში არ გაუპროტესტებიათ კომპანიის პარტნიორებს.

1.2. ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სავალდებულობა წინამდებარე განჩინების მიმართ:

საკასაციო სასამართლოს წინამდებარე განჩინების მიმართ სა- მოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილით გან- საზღვრული (სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და და- საბუთებული პრეტენზია (შედავება)) სავალდებულო ძალა გააჩ- ნიათ სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარე- მოებებს, რომელთა წინააღმდეგაც კასატორს არ მიუთითებია პრო- ცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც შესაძლოა დაშვებული იყო საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარე- მოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამარ- თლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება, კერძოდ:

1.2.1. შპს „ს-ო“ სამენარმეო რეესტრში დარეგისტრირდა 2002 წლის 9 ივლისს (ს/კ №2...). 2014 წლის 24 დეკემბერს მომზადებული ამონაწერის მიხედვით, საწარმოს პარტნიორები იყვნენ:

- გ. გ-ე - 25%;
- მ. ა-ი - 25%;
- ლ. ჩ-ე - 15%;
- გ. ე-ე - 15%;
- მ. ლ-ი 15%;
- ე. ა-ია - 5%;
- დირექტორი: ე. გ-ე;

1.2.2. 2016 წლის 29 ივნისის ამონაწერის მიხედვით, საწარმოს პარტნიორები არიან:

- გ. გ-ე - 55%;
- მ. ლ-ი - 15%;
- ე. ა-ია - 5%;
- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მ. ფ. გ.“ - 25%;

1.2.3. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2007 წლის 23 თებერვლის №104/1 გადაწყვეტილებით, შპს „ს-ოზე“ გაი- ცა ტელემარეკლამების ლიცენზია; 2008 წლის 2 დეკემბერს მიღე- ბულ იქნა №87 გადაწყვეტილება ლიცენზიის მოდიფიცირებისა და 2007 წლის 23 თებერვლის №104/1 გადაწყვეტილებაში ცვლილე- ბის შეტანის შესახებ და შპს „ს-ოს“ მიენიჭა საერთო ტელემარე- კლამების განხორციელების ნებართვა; 2014 წლის 7 აპრილის

№168/1 გადაწყვეტილებით, შპს „ს-ოს“ მიეცა რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია;

1.2.4. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ 2015 წლის 15 სექტემბრის ინფორმაციით, სადავო სასაქონლო ნიშანი („მ-ო M-O“, ს/№ 65208/03, წარდგენის თარიღი: 2011.12.05; განმცხადებელი: შპს „ს-ო“; მფლობელი: შპს „ტ-ო“ 2014.11.05-დან. რეგისტრაციის თარიღი: 29.12.2011წ; რეგისტრაციის ნომერი: 221888; კლასები: 35 – რეკლამა; მართვა საქმიან სფეროში, ადმინისტრირება საქმიან სფეროში; საოფისე სამსახური. 38 – კავშირგაბმულობა. სასაქონლო ნიშანი: მ-ო-24. ს/№ 81350/03 წარდგენის თარიღი: 23.03.2015წ; მფლობელი: შპს „ტ-ო“; რეგისტრაციის თარიღი: 17.04.2015წ; რეგისტრაციის ნომერი 25789; კლასი: 38 კავშირგაბმულობა) 2014 წლის 24 ოქტომბერს შპს „ს-ოს“ დირექტორ ე. გ-ესა და შპს „ტ-ოს“ დირექტორ ი. კ-ეს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცა შპს „ტ-ოს“. (ს/კ №4...; რეგისტრაციის თარიღი: 17.10.2014; პარტნიორი და დირექტორი ი. კ-ე);

1.2.5. შპს „ს-ოს“ პარტნიორთა კრების ოქმების თანახმად, ი. კ-ე 2011 წლის 12 იანვრიდან 2013 წლის 11 ოქტომბრამდე იყო შპს „ს-ოს“ დირექტორი. პარტნიორთა 2013 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, ი. კ-ის ნაცვლად, საზოგადოების დირექტორად დაინიშნა ე. გ-ე;

1.2.6. 2015 წლის 18 სექტემბერს შპს „ს-ოს“ დირექტორმა მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შესახებ. სასამართლოს 2015 წლის 6 ოქტომბრის განჩინებით განცხადება მიღებულ იქნა წარმოებაში, 2015 წლის 14 დეკემბრის განჩინებით დაიწყო გადახდისუნარობის საქმის წარმოება, ხოლო, 2016 წლის 15 მარტის განჩინებით, შეწყდა;

1.2.7. შპს „ს-ოს“ პარტნიორთა 2015 წლის 16 ნოემბრის კრების ოქმის მიხედვით (დამონემების თარიღი: 08.12.2015; რეგ. №151331345), საზოგადოების 75% წილის მფლობელმა პარტნიორებმა მოიწონეს შპს „ს-ოს“ დირექტორის მიერ სასაქონლო ნიშნის („მ-ო M-O“) შპს „ტ-ოსთვის“ უსასყიდლოდ გადაცემა, რასაც არ დაეთანხმა საზოგადოების კაპიტალის 25%-ის მფლობელი პარტნიორი გ. გ-ე;

1.2.8. შპს „ს-ოს“ წესდების 6.5 მუხლის მიხედვით, მიმდინარე მმართველობის ჩვეულებრივი საქმეების შესრულება ეკისრება დირექტორს საკუთარი პასუხისმგებლობით, გარდა იმ საქმეებისა, რომლის შესახებ საჭიროა პარტნიორთა კრების წინასწარი გადაწყვეტილება, კერძოდ, იმ საქმეებისა, რომელთა მნიშვნელობა სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას.

1.3. საკასაციო სასამართლოს შეფასებები და სამართლებრივი დასკვნები:

საკასაციო სასამართლოს განმარტების დოქტრინალური მნიშვნელობიდან, ასევე, განსახილველი დავის სწორად გადაწყვეტის მიზნიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ უნდა შეფასდეს:

ა) პარტნიორის სამართლებრივი შესაძლებლობა, სასამართლოში აღძრას სარჩელი კომპანიის სასარგებლოდ;

ბ) აღიარებითი სარჩელის მიმართ იურიდიული ინტერესის არსებობა;

გ) აუცილებელი თანხმობის გარეშე დადებული გარიგების ინსტიტუტი.

საკასაციო სასამართლო დასმულ საკითხებს შეაფასებს ცალ-ცალკე:

1.3.1. მხარეთა შორის დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ მოსარჩელე სასაქონლო ნიშნის გამსხვისებელი კომპანიის პარტნიორია, რომელსაც გააჩნია წილი სამენარმეო საზოგადოებაში და მისი დაინტერესება საკითხით ლეგიტიმურია, რამდენადაც, კომპანიაში წილის ფლობა წარმოადგენს არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს (სსკ-ის 147-ე და 152-ე მუხლები). ევროკონვენციის დამატებითი ოქმის პირველი მუხლი, ასევე, მოიცავს სანარმოს წილებზე საკუთრების უფლებას, კერძოდ, აღნიშნული საკითხი განიხილა ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ 1982 წელს საქმეში: *Bramelid and Malmström v. Sweden* (განაცხადის No 8588/79, 8589/79; 1982) და თავდაპირველად შეაფასა ის საკითხი, წარმოადგენდა თუ არა „აქციები“ მფლობელობას კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის ფარგლებში. წილებს სანარმოში გარკვეული ეკონომიკური და ქონებრივი ღირებულება გააჩნდა, შესაბამისად, ევროკომისიამ დაასკვნა, რომ წილები წარმოადგენს „მფლობელობას“ კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის ფარგლებში. ზემოხსენებული საქმე (*Bramelid and Malmström v. Sweden*) მნიშვნელოვანია არა მარტო იმის გამო, რომ იგი აღიარებს წილზე საკუთრების უფლების კონვენციით გარანტირებული საკუთრების უფლების ფარგლებში მოქცევას, არამედ იმიტომაც, რომ ნათლად აჩვენებს აღნიშნული მუხლის გამოყენების შესაძლებლობას კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებს შორის. სადავო სასაქონლო ნიშანი (მ-ო M-O), თავის მხრივ წარმოადგენს საკუთრების უფლების ობიექტს, რამდენადაც, სასაქონლო ნიშანზე უფლება საკუთრებით სარგებლობის უფლების ფარგლებში ექცევა და მისი მოპოვება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ ეს არ ლახავს კეთილსინდისიერი მესამე პირების უფლებებს. ერთ-ერთ საქმეზე, რომელიც აპლიკანტის საავტორო უფლების დარღვევას

შეეხებოდა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ევროკონვენციის დამატებითი ოქმი (საკუთრების უფლება) ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებით გამოყენებადი იყო (იხ: Eur. Court H.R.: *Melnychuk v. Ukraine*, Judgment of 7 July, 2005). ევროსასამართლოს პრაქტიკის თანახმად, ინტელექტუალური საკუთრება დამატებითი ოქმის პირველი მუხლის დაცვის ქვეშაა. დიდმა პალატამ მიიჩნია, რომ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მოთხოვნაც ამავე ნორმის მოქმედების ქვეშ არის, რადგანაც ის ქონებრივი ხასიათის ინტერესებს წარმოშობს. ამასთან, ისიც უდავოა, რომ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია ნამდვილი ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არღვევს მესამე პირთა კანონიერ უფლებებს. აქედან გამომდინარე, რეგისტრაციის მოთხოვნასთან დაკავშირებული უფლებები პირობითია. მხარე, რომელიც მიმართავს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მოთხოვნით, უნდა ელოდოს, რომ მის მოთხოვნას შეისწავლიან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, იმის დასადგენად, აკმაყოფილებს თუ არა ეს მოთხოვნა მატერიალურ და პროცედურულ პირობებს. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ რეგისტრირებული უფლების გაუქმების შედეგად ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის დამატებითი ოქმის დარღვევას არ ჰქონდა ადგილი მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელ კომპანიას ჰქონდა ეროვნული კანონმდებლობით აღიარებული ქონებრივი უფლებები, რომლებიც შეიძლება გაუქმებულიყო გარკვეული პირობების არსებობისას (იხ. Eur. Court H.R. Grand Chamber: *Anheuser-Busch Inc. v. Portugal*, Judgment of 11 January, 2007). განსახილველ შემთხვევაში, დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ ქონებრივი ღირებულების მქონე ნივთის/აქტივის დაბრუნების თაობაზე, მიუხედავად საკითხის მოსარჩელის მიერ ინიცირებისა, შპს „სოს“ პარტნიორებს გადანყვეტილება არ მიუღიათ და არც კომპანიას არ უსარგებლია სარჩელის უფლებით, ეს გარემოებები კი (პარტნიორის საკუთრების უფლება კომპანიაში, ასევე, კომპანიის მხრიდან მოთხოვნის წარუდგენლობა), გამართლებულს ხდის გ. გ-ის მიერ დერივატიული სარჩელის აღძვრის შესაძლებლობას („მწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 46.5 მუხლი). ამდენად, პარტნიორის მიერ საზოგადოების სასარგებლოდ აღძრული სარჩელი დასაშვებია და იურიდიულად გამართლებულია;

1.3.2. საკასაციო სასამართლოს არაერთ გადანყვეტილებაში განიმარტა, რომ მოთხოვნის მიმართ პირის იურიდიული ინტერესის არსებობა სამართლის საკითხს წარმოადგენს და შედავების მიუხედავად, ის ყოველთვის ექვემდებარება სასამართლოს მხრიდან შემოწმებას. იურიდიული ინტერესის არსებობის შემთხვევაში კი,

მისი ნამდვილობა განსაზღვრავს სარჩელის წარმატებულობას (იხ. სუს დიდი პალატის გადაწყვეტილება №ას-664-635-2016, 2 მარტი, 2017 წელი, ასევე, სუს-გებები: №ას-937-887-2015, 10.11.2015; №ას-17-14-2015, 01.07.2015წ.; №ას-1069-1008-2015, 16.12.2015წ.; №ას-869-819-2015, 11.12.2015წ.; №ას-773-730-2015, 08.09.2015წ.; №ას-181-174-2016, 06.05.2016წ.; №ას-1025-967-2015, 23.12.2015წ.; №ას-323-308-2016, 03.06.2016წ.; №ას-407-390-2016, 10.6.2016წ.; №ას-375-359-2016, 17.06.2016წ., ასევე, ევროსასამართლოს გადაწყვეტილებები: *Apostol v. Georgia*; *Hornsby v.Greece*). სარჩელის ფორმალური საფუძვლიანობის შესწავლის შედეგად პალატა მიდის დასკვნამდე, რომ მოსარჩელის ინტერესს წარმოადგენს შპს „ს-ოსათვის“ ლოგოს დაბრუნება, რომლის მეშვეობითაც ეს უკანასკნელი ახორციელებდა სამწარმოო საქმიანობას და ცნობილი იყო მომხმარებლისათვის. თავის მხრივ, მოსარჩელე განმარტავს, რომ დირექტორს, რომელმაც შპს „ტ-ოს“ უსასყიდლოდ გადასცა დავის საგანი, არ გააჩნდა ხსენებული გარიგების ერთპიროვნულად დადების უფლებამოსილება. აღნიშნულით მხარე პრაქტიკულად, მოითხოვს ქონებრივ რესტიტუციას და სურს დაადასტუროს, რომ ლოგოზე უფლება კომპანიას არ დაუკარგავს, რადგანაც გასხვისებას საფუძვლად მართლსაწინააღმდეგო – არაა ნება ედო. რაც შეეხება პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებას, ამ კრებაზე კომპანიის 75% წილის მფლობელმა პარტნიორებმა მოიწონეს გარიგება. მოხმობილი ფაქტების სამართლის ნორმებთან სუბსუმირების შედეგად საკასაციო სასამართლო მიდის დასკვნამდე, რომ მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმებს სამოქალაქო კოდექსის 170-ე (1) და 172-ე (1) მუხლები წარმოადგენს (მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას. მესაკუთრეს შეუძლია, მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება), რაც შეეხება აღიარებით მოთხოვნას, თუკი დადგინდება კომპანიის მიერ ლოგოზე საკუთრების უფლების არსებობა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლის ფარგლებში კრების ოქმის ბათილად ცნობის მიმართ მოსარჩელის იურიდიული ინტერესი მიჩნეული იქნება ნამდვილად, რადგანაც, ფორმალური თვალსაზრისით, სწორედ ამ კრების გადაწყვეტილებით მიენიჭა სადავო გარიგებას იურიდიული ძალმოსილება.

1.3.3. საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის არგუმენტებს ქვემდგომი სასამართლოს მხრიდან კანონის მოთხოვნათა დარღვევის თაობაზე (სსსკ-ის 393.2 მუხლი) და მიიჩნევს, რომ შპს „ს-ოს“ დირექტორ ე. გ-ეს საწარმოს მხრიდან არ ჰქონდა მინიჭებული ლოგოს უსასყიდლოდ გასხვისების შესახებ გარიგების დამოუკიდებლად დადების უფლებამოსილება. საქმეში წარმოდგენილი კომპანიის წესდების მე-2 მუხლის 2.2. პუნქტით განსაზღვრულია საზოგადოების საქმიანობის საგანი, მას განეკუთვნება სატელევიზიო გადაცემების მომზადება და ეთერში გაშვება, ვიქტორინებისა და ლატარიების მოწყობა და სხვა, სწორედ ამ პუნქტში ჩამოყალიბებული საქმიანობა განიხილება საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობად, უფრო მეტიც, სადავოს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ შპს „ტ-ო“ მრავალი წლის განმავლობაში ახორციელებდა მაუწყებლობას და ამ მიზნით არსებობდა კიდევაც უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებული შესაბამისი სამართლებრივი აქტები (იხ. სამოტივაციო ნაწილის პ.პ. 1.2.3.), ამდენად, საზოგადოების ლოგოს გასხვისება, უდავოა, რომ სცდება ჩვეულებრივ საქმიანობას მიკუთვნებულ უფლებათა სპექტრს, რის გამოც, ქვემდგომმა სასამართლოებმა სწორად დაასკვნეს, რომ ამ ტიპის გარიგების დადების უფლებამოსილება კანონითა და საწარმოს წესდებით შეზღუდული ჰქონდა კომპანიის დირექტორს (იხ. სამოტივაციო ნაწილის პ.პ. 1.2.8.). საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გარდა მრავალმხრივი შეთანხმების (წესდების) შესაბამისი დებულებისა, ქვემდგომმა სასამართლოებმა სწორად იხელმძღვანელეს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9¹ მუხლის მე-7 პუნქტით, რომლის თანახმადაც, ყველა გადაწყვეტილება, რომელთა მნიშვნელობა სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას, მოითხოვს ყველა პარტნიორის მონაწილეობით ჩატარებული კრების გადაწყვეტილებას. უნდა აღინიშნოს, რომ ამავე კანონის 47-ე მუხლის თანახმად, საწარმოს პარტნიორები მმართველობით უფლებამოსილებას ახორციელებენ პარტნიორთა საერთო კრების მეშვეობით, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი. პარტნიორთა კრების კომპეტენცია, კრების ჩატარების წესი და გადაწყვეტილების მიღების პროცედურა განისაზღვრება ამ კანონით ან/და საწარმოს წესდებით. დირექტორის კომპეტენცია და პასუხისმგებლობის მოცულობა განისაზღვრება ამ კანონით ან/და საწარმოს წესდებით.

1.3.4. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საწარმოსა და მის ხელმძღვანელებს შორის ურთიერთობა კორპორაციის წინაშე ხელმძღვანელთა მრავალმხრივ და მრავალფეროვან მოვალეობებს მოიცავს. კორპორაციული მართვის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს საწარმოთა ხელმძღვანელების საქმიანობაზე პარტნი-

ორთა მხრიდან კონტროლის გამართული სისტემის არსებობა, რათა არ მოხდეს ხელმძღვანელთა მხრიდან სამართავად მინდობილი ქონების ბოროტად გამოყენება, რომლის საფრთხეც რეალურია. კორპორაციული მართვა წარმოადგენს სხვადასხვა, ერთმანეთთან დაკავშირებული ელემენტების სისტემას და იგი კონტროლის განხორციელების შედეგად გამოვლენილ დარღვევაზე ხელმძღვანელი ორგანოების შესაბამისი პასუხისმგებლობის ელემენტებსაც მოიცავს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის ინსტიტუტის მთავარი მიზანი საწარმოს ქონების დაცვა, ზიანის თავიდან აცილებაა. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „თ“, „ი“ და „კ“ ქვეპუნქტების მიხედვით, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის რეგისტრაცია ხდება სამენარმეო რეესტრში. აღნიშნული ემსახურება მესამე პირების ინფორმირებულობას. მესამე პირებს, კონტრაჰენტებს, შესაძლებლობა აქვთ, ჰქონდეთ ინფორმაცია ამა თუ იმ მენარმე სუბიექტის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ კანონი ითვალისწინებს შეზღუდული უფლებამოსილების რეესტრში დარეგისტრირების შესაძლებლობას, ეს ერთი მხრივ, ვერ ამოწურავს უფლებამოსილების შესაძლო შეზღუდვის თაობაზე სრულ ინფორმაციას და, მეორე მხრივ, თავისთავად არ გულისხმობს კონტრაჰენტის მიერ უფლებამოსილების შეზღუდვის ზუსტი ფარგლების ცოდნის აუცილებლობას. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის (ძველი რედაქციის) კონსტიტუციურობაზე მსჯელობისას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ გარიგება, რომელიც დადებულია საწარმოს ხელმძღვანელის/წარმომადგენლის მონაწილეობით, როგორც წესი, უნდა გათანაბრდეს წარმომადგენლის უფლებამოსილების ფარგლებში დადებულ გარიგებასთან. კეთილსინდისიერ კონტრაჰენტს არ შეიძლება, დაეკისროს ვალდებულება, გაერკვეს, მართლაც აქვს თუ არა წარმომადგენელს კონკრეტული გარიგების დადების უფლებამოსილება. ამგვარად, სამოქალაქო ბრუნვის ინტერესებიდან გამომდინარე, კეთილსინდისიერი კონტრაჰენტის ინტერესების დაცვის მიზნით, სანამ საპირისპირო დადასტურდება, უნდა არსებობდეს პრეზუმფცია, რომ კონტრაჰენტმა არ იცოდა შეზღუდული უფლებამოსილების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა შესაძლებლობას აძლევს მენარმეს, სამენარმეო რეესტრის ამონაწერში მიუთითოს ხელმძღვანელი პირის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ, მხოლოდ ამონაწერი არ არის საკმარისი წარმომადგენლის უფლებამოსილების ფარგლების დასადგენად. მენარმის გადანყვეტილებით ხელმძღვანელის/წარმომადგენლის უფლებამოსი-

ლება შეიძლება, შეიზღუდოს ზოგადად (მაგალითად, გარიგების საგნის ან მისი მოცულობის მიხედვით) ან კონკრეტულ გარიგებასთან მიმართებით. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამონაწერი არ შეიცავს ინფორმაციას წარმომადგენლის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ, ხელმძღვანელის/წარმომადგენლის უფლებამოსილება შეიძლება, ზოგადად, შეზღუდული იყოს წესდებით ან საწარმოს (პარტნიორების) გადაწყვეტილებით კონკრეტულ გარიგებასთან მიმართებით. შესაბამისად, უფლებამოსილების ფარგლების შემოწმების მიზნით, კონტრაჰენტი იძულებული იქნება, გაერკვეს საწარმოს შიდა პროცედურულ საკითხებში და უფლებამოსილებების განაწილებაში, შეისწავლოს საწარმოს წესდება ან საწარმოდან გამოითხოვოს რწმუნება, ცნობა, რომ წარმომადგენელი უფლებამოსილია, დადოს კონკრეტული გარიგება. სამეწარმეო რეესტრის ამონაწერში ან საწარმოს წესდებაში მოცემული ინფორმაცია წარმომადგენლის უფლებამოსილების შეზღუდვის თაობაზე და ის ფაქტი, რომ წესდება სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის საშუალებით საჯაროდ არის ხელმისაწვდომი, დამოუკიდებლად არ გულისხმობს, რომ კონტრაჰენტმა „იცოდა“ უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ. მართალია, კანონმდებლობა შესაძლებლობას აძლევს მენარმეს, ხელმძღვანელი/წარმომადგენელი პირის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება გახადოს საჯარო (სამეწარმეო რეესტრში გაკეთებული ჩანაწერის ან საკუთარი წესდების საჯაროდ გამოქვეყნების გზით), მაგრამ წარმომადგენლის შეზღუდული უფლებამოსილების შესახებ „ცოდნა“, რომელიც შემდგომ შესაძლოა გარიგების ბათილობის საფუძველი გახდეს, გულისხმობს არა ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, არამედ კონტრაჰენტის მიერ ინფორმაციის ფაქტობრივ ფლობას, გარიგების დადების მომენტისთვის კონტრაჰენტის ხელთ არსებულ ინფორმაციას. ნორმა არ გულისხმობს შემთხვევებს, როდესაც კონტრაჰენტს „შეეძლო სცოდნოდა“ უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ. სადავო ნორმაში სიტყვა „იცოდა“ მიემართება ისეთ შემთხვევებს, როდესაც კონტრაჰენტი ინფორმირებული იყო უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ. მაგალითისთვის, აქ შესაძლოა მოაზრებული იყოს ისეთი შემთხვევა, როდესაც კონტრაჰენტს უშუალოდ მენარმისგან (მისი პარტნიორებისგან) აქვს მიღებული შეტყობინება/ინფორმაცია ხელმძღვანელის/წარმომადგენლის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ. თუ ამგვარი შეტყობინების მიუხედავად, კონტრაჰენტი მაინც დადებს გარიგებას, ასეთი გარიგება შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №1/1/543 „შპს „მეტალინვესტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2014

ნლის 29 იანვარი). განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის შედავებას იმის თაობაზე, რომ შპს „ტ-ოს“ დირექტორმა გარიგების დადებისას არ იცოდა შპს „ს-ოს“ დირექტორის შეზღუდული უფლებამოსილების შესახებ. ამ მხრივ მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ლოგოს საკუთრებაში მიმღები კომპანიის დირექტორი გარიგების დადებამდე გარკვეული პერიოდის განმავლობაში სადავო საგნის გამსხვივებელი კომპანიის დირექტორის პოზიციაზე იყო დასაქმებული და ბუნებრივია, მისთვის კარგად იყო ცნობილი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლები. ამ ფაქტს ვერ აქარწყლებს მხარის აპელირება იმაზე, რომ გარიგების დადებამდე თითქმის ერთი წლის დატოვებული ჰქონდა თანამდებობა, რადგანაც კანონმდებლობით მენარმისათვის დადგენილი წინდახედულების ფარგლები და მისი ფიდუციური მოვალეობების საკანონმდებლო რეგლამენტაცია („მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.6 მუხლი), არ ათავისუფლებდა კასატორს, როგორც შპს „ს-ოს“ ყოფილ დირექტორს, შეემონებინა უფლებამოსილების ნაკლის საკითხი.

1.3.5. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ სახეზე გვაქვს აუცილებელი თანხმობის გარეშე დადებული გარიგება (სკ-ის 99-ე მუხლი), რის თაობაზე ინფორმირებული იყო ლოგოს საკუთრებაში მიმღები და ეს ფაქტი გარიგების ბათილობაზე მეტყველებს, თანახმად, სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილისა. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსი იცნობს შემდგომი მოწონების ინსტიტუტს, რომელიც, მსგავსად ბათილი გარიგების დადასტურებისა (სკ-ის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილი) გამოვლენილ ნებას იურიდიული ძალმოსილებით აღჭურავს, თუმცა, განსხვავებით დადასტურებისაგან, რომელიც სამართლებრივ შედეგებს დადასტურების მომენტიდან იძენს (სკ-ის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილი), მოწონებას უკუქცევითი ძალა აქვს და გარიგება ნების გამოვლენის მომენტიდანვე ნამდვილია (უნდა აღინიშნოს, რომ გარიგების დადასტურებისა და მოწონების სუბიექტებიც განსხვავებულია: პირველ შემთხვევაში, ამგვარად გარიგების მხარე გვევლინება, ხოლო, მეორე შემთხვევაში – მესამე პირი, რომლის ნებაზეცაა დამოკიდებული გარიგების ნამდვილობა) რამდენადაც, ამავე კოდექსის 101-ე მუხლისა და 102-ე მუხლის მე-2 ნაწილის დისპოზიციიდან გამომდინარე, შემდგომ თანხმობას (მოწონებას) უკუქცევითი ძალა აქვს გარიგების დადების მომენტიდან, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი, ხოლო, არაუფლებამოსილი პირის მიერ საგნის განკარგვა ხდება ნამდვილი, თუ უფლებამოსილი პირი მას მონიშნებს.

1.3.6. განსახილველ შემთხვევაში, უდავოა, რომ შპს „ს-ოს“ პარ-

ტნიორთა კრებამ 2015 წლის 16 ნოემბერს 75% წილის მქონე უმრავლესობით მოიწონა ამავე კომპანიის დირექტორის მიერ ლოგოს გასხვისების გარიგება, ხოლო, 25%-იანი წილის მქონე პარტნიორმა უარი განაცხადა გარიგების დადასტურებაზე. ამ კრების ოქმის ნამდვილობასთან მიმართებით, საკასაციო პალატა უარყოფს კასატორის არგუმენტს, რომლის თანახმადაც სასამართლომ არასწორად განმარტა „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის დებულებები. დადგენილია, რომ კომპანიებს შორის გარიგება 2014 წლის 24 ოქტომბერს დაიდო, ხოლო, 2015 წლის 6 ოქტომბრიდან 2016 წლის 15 მარტამდე კომპანიის მიმართ მიმდინარეობდა გადახდისუუნარობის საქმის წარმოება (იხ. სამოტივაციო ნაწილის პ.პ. 1.2.6.-1.2.7.), შესაბამისად, ბათილი განკარგვის დადასტურებაც, ხსენებული კანონის ფარგლებში უნდა შემოწმდეს. საკასაციო პალატა იზიარებს ქვემდგომი სასამართლოების სამართლებრივ დასკვნას იმის თაობაზე, რომ „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 21.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, გარიგების მოწონება ქონების მეურვის თანხმობით უნდა განხორციელდებულყო. ამგვარი თანხმობა კი, საქმის მასალებში არ მოიპოვება.

1.3.7. რაც შეეხება კასატორის პრეტენზიას სასამართლოს მხრიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით მტკიცებულებების შეფასების თაობაზე, პალატა აღნიშნავს, რომ იგი ზოგადი ხასიათის შედავებაა, რადგანაც მხარე ვერ აკონკრეტებს კონკრეტულად რომელ მტკიცებულებას მიეცა მცდარი შეფასება და ამ შესაძლო დარღვევამ რა უარყოფითი გავლენა იქონია გადაწყვეტილებაზე.

1.3.8. საბოლოოდ, პალატა ასკვნის, რომ ლოგოს უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ხელშეკრულების მოწონების დამადასტურებელი კრების ოქმი წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო გარიგებას, იგი დადებულია აუცილებელი თანხმობის გარეშე და სამოქალაქო კოდექსის 61.1 მუხლის თანახმად, მას სამართლებრივი ძალა არ გააჩნია, ამასთანავე, ვინაიდან თავად განკარგვითი გარიგება წარმოადგენს ასევე ბათილს, რის გამოც შპს „ტ-ოს“ არ დაუკარგავს ლოგოზე უფლება, მისი სარჩელი, როგორც პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის, ისე – 2015 წლის 16 ნოემბრის კრების ოქმის ბათილად ცნობის თაობაზე იურიდიულად გამართლებულია, თანახმად სამოქალაქო კოდექსის 170.1, 172.1 მუხლებისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლისა.

1.4. გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების პროცესუალურ-სამართლებრივი დასაბუთება:

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო

საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად (საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას), საკასაციო სასამართლო უცვლელად ტოვებს გასაჩივრებულ განჩინებას, რადგანაც მიიჩნევს, რომ იგი კანონიერია, ხოლო კასატორმა ამ განჩინების წინააღმდეგ ვერ წარადგინა ამავე კოდექსის 393-ე-394-ე მუხლებით განსაზღვრული დასაბუთებული შედავაება.

2. სასამართლო ხარჯები:

ვინაიდან, წინამდებარე განჩინებით საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, არ არსებობს კასატორის მიერ განეული ხარჯის მხარეთა შორის განაწილების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები, ამავე, კოდექსის 55-ე მუხლის შესაბამისად, ხსენებული ხარჯი უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-
მოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 55-ე, 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „ტ-ოს“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 13 ოქტომბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასა-
ჩივრდება.

2. სანდაზგმულობა

სანდაზგმულობის ვადის დანყება

ბანჩინება

საქართველოს სახელმწიფო სასჯელის

№ას-1543-1463-2017

18 მაისი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
ზ. ძლიერიშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება, იპოთეკის საგნის/მოვალის
სხვა ქონების რეალიზაცია

აღწერილობითი ნაწილი:

**1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძ-
ვლები:**

1.1. სს „თ-მა“ (შემდგომში – მოსარჩელე, აპელანტი, კასატორი, გამსესხებელი ან კრედიტორი) სარჩელი აღძრა სასამართლოში შ. ზ-ის (შემდგომში – მოპასუხე, მონინალმდგევე მხარე, მსესხებელი ან მოვალე) მიმართ და მოითხოვა მოვალისათვის საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების 9 547,72 აშშ დოლარის (საიდანაც ძირ თანხას წარმოადგენს 4 500,37 აშშ დოლარი, სარგებელს – 3 105 აშშ დოლარი (2013 წლის 3 იანვრიდან 2017 წლის 3 აპრილის ჩათვლით ძირი თანხის – 4 500,37 აშშ დოლარის წლიური 18%-ის დარიცხვით), პირგასამტეხლოს – 1 863 აშშ დოლარი, დაზღვევას – 79,35 აშშ დოლარი), 2017 წლის 4 აპრილიდან (დავალიანების შესახებ ცნობის გაცემიდან) თანხის სრულად დაფარვამდე წლიური 18%-ისა (სესხის ძირი თანხის – 4 500,37 აშშ დოლარის, რაც ყოველთვიურად 57,50 აშშ დოლარს შეადგენს) და პირგასამტეხლოს (2017 წლის 4 აპრილიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველდღიურად ძირი თანხის დავალიანების 0,03%-ის, რაც დღეში 1,35 აშშ დოლარს შეადგენს) დაკისრება, ასევე, დავალიანების დაფარვის მიზნით იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების (ქ. ბათუმში, კ. გ-ის ქ№40-ში მდებარე №05... შემდგომში – იპოთეკის საგანი) რეალიზაცია, ხოლო, თუკი იპოთეკის საგნის რეალიზაციით ამონაგები თანხა არ აღმოჩნდება საკმარისი ვალდებულების შესასრულებლად, კრედიტორმა ასევე მოითხოვა

ზღვევინების მიქცევა მოვალის სხვა ქონებაზეც.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: 2008 წლის 21 აპრილს მხარეთა შორის დაიდო საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც 2008 წლის 23 აპრილს დაიდო საბანკო კრედიტის ხელშეკრულებაც და მოპასუხეზე გაიცა სესხი 18 000 აშშ დოლარი წლიური 18%-იანი სარგებლის დარიცხვით. საბანკო კრედიტის მოქმედების ვადა განისაზღვრა 72 თვით (2014 წლის 3 მაისამდე). კრედიტის დაბრუნება უნდა წარმოებულყო ყოველთვიურად, თვის 3 რიცხვში ხელშეკრულებაზე დართული გრაფიკის შესაბამისად, ამასთანავე მხარეები წერილობით შეთანხმდნენ პირგასამტეხლოს გადახდის წესზე (ერთჯერადად 10 აშშ დოლარი და ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0,5%-ის ოდენობით). ხელშეკრულების დამატებით პირობად განისაზღვრა მსესხებლის სიცოცხლის დაზღვევა კრედიტის ხანგრძლივობით. საბანკო კრედიტის უზრუნველსაყოფად მხარეთა შორის 2018 წლის 21 აპრილს გაფორმდა იპოთეკის ხელშეკრულება და კრედიტორის სასარგებლოდ, იპოთეკით დაიტვირთა მსესხებლის კუთვნილი უძრავი ნივთი. მსესხებელმა დაარღვია კრედიტის გადახდის ვალდებულება და არაერთი გაფრთხილების მიუხედავად არ აბრუნებს თანხას.

2. მოპასუხის პოზიცია:

მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგებლით მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მან ვალდებულება 2008 წლის დეკემბრიდან დაარღვია, შესაბამისად, გამსესხებელს მოთხოვნის უფლება სწორედ 2008 წლის დეკემბრიდან წარმოემვა, რაც შეეხება იპოთეკას, იგი გაფორმებულია არა სადავო კრედიტის, არამედ, მოსარჩელესა და შპს „ა-ს“ შორის არსებული ვალდებულების ფარგლებში. ვინაიდან ვალდებულება 2008 წლის დეკემბერში დაირღვა, 2009 წლის იანვრიდან ბანკმა შეწყვიტა ხელშეკრულება და ამ დროიდან გასულია მოთხოვნის სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა. რაიმე გაფრთხილება მოპასუხეს კრედიტორისაგან არ მიუღია, შესაბამისად, გასულია, როგორც ძირი თანხის, ისე – პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების მოთხოვნის სამწლიანი ვადა. გარდა ამისა, სარჩელის დაკმაყოფილებას გამოირიცხავს სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლი, რადგანაც ზიანის დადგომაში კრედიტორსაც მიუძღვის ბრალი: ვალდებულების დარღვევიდან გასულია შვიდი წელი და ექვსი თვე, ასეთ შემთხვევაში, გამსესხებელი ვალდებულია წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულება, რომელიც მისი მხრიდან მოთხოვნას ადასტურებს.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 17 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

4. აპელანტის მოთხოვნა:

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ახალი გადაწყვეტილებით კრედიტორის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მსესხებელს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 1 673,72 აშშ დოლარის, 2017 წლის 4 აპრილიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე ამ თანხის წლიური 10%-ის, ასევე პირგასამტეხლოს, 2017 წლის 4 აპრილიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველდღიურად 1 673,72 აშშ დოლარის 0,03%-ის გადახდა. გადაწყვეტილების ნებაყოფლობით აღუსრულებლობის შემთხვევაში დადგინდა იპოთეკის საგნის რეალიზაცია, ხოლო, თუკი იპოთეკის საგნის რეალიზაციით მიღებული თანხა არ აღმოჩნდება საკმარისი ვალდებულების სრულად შესასრულებლად, განისაზღვრა მოვალის სხვა ქონების რეალიზაცია.

6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა, მოითხოვა მისი ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოპასუხისათვის დამატებით 7 874 აშშ დოლარის დაკისრება (საიდანაც ძირი თანხის დავალიანებას წარმოადგენს 2 908,53 აშშ დოლარი, სარგებლის დავალიანებას – 3 045,68 აშშ დოლარი, პირგასამტეხლოს – 1 863 აშშ დოლარი, ხოლო დაზღვევას – 56,79 აშშ დოლარი).

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმებისა და საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

1.1. საკასაციო განაცხადის მოცულობა და საკასაციო განხილვის ფაქტობრივი საფუძვლები (კასატორის პრეტენზიები):

სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე სააპელაციო პალატის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ მოვალეს საკასაციო საჩივარი არ წარმოუდგენია, რის გამოც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დაკმაყოფილებულ ნაწილში გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში და ამავე კოდექსის 266-ე მუხლის შესაბამისად, მასზე მხარეები პრეტენზიას ვერ განაცხადებენ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე (საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებას პალატა სწორედ კასატორის პრეტენზიის ფარგლებში შეამოწმებს. თავად საკასაციო საჩივრის შესწავლით დასტურდება, რომ კრედიტორი ძირითადად არ ეთანხმება გადაწყვეტილების დასაბუთებას მოთხოვნის ხანდაზმულობის ნაწილში, რამაც მისი აზრით, როგორც დავალიანების ძირი თანხის, ისე – სარგებლის, პირგასამტეხლოსა და დაზღვევის თანხის ოდენობის არასწორად განსაზღვრა გამოიწვია. საკასაციო საჩივრის თანახმად:

1.1.1. სასამართლოს მხრიდან დადგენილია, რომ სარჩელი თავდაპირველად 2016 წლის 28 ივლისის განჩინებით დარჩა განუხილველად. თუკი განუხილველად დატოვების თარიღი მის კანონიერ ძალაში შესვლის თარიღად იქნება მიჩნეული, სარჩელის განმეორებით 2017 წლის 28 იანვარს აღძვრის შემთხვევაში, ხანდაზმულობა თავდაპირველი სარჩელის აღძვრიდან იქნებოდა შეწყვეტილი, თანახმად სამოქალაქო კოდექსის 140-ე მუხლისა (2017 წლის 28 იანვარი იყო არასამუშაო დღე – შაბათი, საქმეში წარმოდგენილი საფოსტო ქვითრით ირკვევა, რომ კრედიტორმა სარჩელი ფოსტას მომდევნო სამუშაო დღეს – 30 იანვარს ჩააბარა, ხოლო სასამართლოში წარდგენილ იქნა 2 თებერვალს, შესაბამისად, მოსარჩელემ დაიცვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მოთხოვნა), შესაბამისად, სააპელაციო პალატის დასკვნა, რომ სარჩელი განმეორებით 2017 წლის 2 თებერვალს, თავდაპირველად აღძრული სარჩელის განუხილველად დატოვებიდან 6-თვიანი ვადის დარღვევითაა აღძრული, არასწორია. საქმეში არსებული საფოსტო ქვითრის შეფასებით დასტურდება, რომ ხანდაზმულობა შეწყდა 2016 წლის 24 მაისიდან და არახანდაზმული მოთხოვნაც ამ

თარიღიდან წინა სამი წლის დავალიანებაა;

1.1.2. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლი, რადგანაც საქმეში არსებული საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების ხელშეკრულების 7.4. პუნქტი სწორედ ფაქტობრივი დავალიანებისათვის პროცენტის დარიცხვის საკითხს აწესებს. ამ საკითხის არასწორად შეფასების გამო, მცდარია სასამართლოს მსჯელობა, როგორც ხელშეკრულების ვადაში დასარიცხი არახანდაზმული მოთხოვნის შესაბამისი სარგებლის, ისე – ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ გადასახდელი სარგებლის ოდენობის თაობაზე;

1.1.3. სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო, რაც არ ნიშნავს მის საერთოდ გაუქმებას. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე საკმაოდ ხანგრძლივი ვადის გათვალისწინებით, მოითხოვდა პირგასამტეხლოს სახით მხოლოდ 1 863 აშშ დოლარის მოპასუხისათვის დაკისრებას, რაც სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა, ხოლო დასარიცხი პირგასამტეხლო ვერ უზრუნველყოფს კრედიტორის დარღვეული უფლებების აღდგენასა და მიყენებული ზიანის კომპენსირებას.

1.2. ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სავალდებულოა წინამდებარე განჩინების მიმართ:

საკასაციო სასამართლოს წინამდებარე განჩინების მიმართ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული (სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება)) სავალდებულო ძალა გააჩნია სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელთა წინააღმდეგაც კასატორს არ მიუთითებია პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც შესაძლოა დაშვებული იყო საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება, კერძოდ:

1.2.1. 2008 წლის 21 აპრილს მოპასუხემ მოსარჩელისაგან ისესხა 18 000 აშშ დოლარი. ხელშეკრულება დაიდო 72 თვის ვადით (2014 წლის 3 მაისამდე). სესხის სარგებლობისათვის მოვალეს უნდა გადაეხადა სარგებელი, წლიური 18%. მოპასუხეს სესხი უნდა დაეფარა პერიოდულად, ყოველი თვის 3 რიცხვში, შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად. ბოლოს უნდა გადაეხადა 2014 წლის 5 მარტს.

ხელშეკრულების ვადის ამონურვის შემდგომ პროცენტის გადახდაზე მხარეები არ შეთანხმებულან;

1.2.2. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, მოვალეს უნდა გადაეხადა პირგასამტეხლო – 10 აშშ დოლარი და გადაცილებული თანხის 0,5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

1.2.3. სესხის უზრუნველსაყოფად, 2008 წლის 21 აპრილს მოვალემ იპოთეკით დატვირთა კუთვნილი უძრავი ქონება (ს/კ №05...);

1.2.4. მსესხებელმა ვალის დაფარვა შეწყვიტა 2008 წლის დეკემბრიდან;

1.2.5. კრედიტორმა ვალის დაბრუნების მოთხოვნით მსესხებლის მიმართ სარჩელი თავდაპირველად 2016 წლის 24 მაისს აღძრა, თუმცა, მოგვიანებით მან იგი გაიხმო და ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 28 ივლისის განჩინებით, სარჩელი დარჩა განუხილველად.

1.3. საკასაციო სასამართლოს შეფასებები და სამართლებრივი დასკვნები:

1.3.1. საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს კასატორის პრეტენზიას სააპელაციო პალატის მხრიდან მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხის არასწორად გამოკვლევა-შეფასების თაობაზე და მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში მან დასაბუთებული პრეტენზია წარმოადგინა, რაც ქმნის გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ გაუქმების საფუძველს (საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი). პალატა ყურადღებას გაამახვილებს მხარეთა სახელშეკრულებო ურთიერთობაზე: უდავოა, რომ მოთხოვნა სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს და დამფუძნებელ ნორმას სამოქალაქო კოდექსის 867-ე და 623-ე მუხლები წარმოადგენს. მხარეთა შეთანხმებით, სესხი უნდა დაბრუნებულიყო ნაწილ-ნაწილ, ყოველი თვის 3 რიცხვში ხელშეკრულებაზე დართული გრაფიკის შესაბამისად. ვალდებულების სრულად შესრულების ვადა იყო 2014 წლის 5 მარტი, ასევე დადგინილია, რომ მსესხებელმა თანხის გადახდა შეწყვიტა 2008 წლის დეკემბრიდან. თანხის დაკისრების შესახებ სარჩელის წინააღმდეგ მოვალის მხრიდან წარდგენილ იქნა არსებითი ხასიათის შედავება, რომლის დადასტურებაც აფერხებს მოთხოვნას, კერძოდ, მან მიუთითა ხანდაზმულობაზე. მოცემულ შემთხვევაში, ქვემდგომმა სასამართლომ სწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რომლის თანახმადაც ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად

შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია. დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების ფარგლებში თითოეული შესრულების მიმართ კანონით განსაზღვრული სამწლიანი ვადა აითვლება ინდივიდუალურად, თუმცა, ხანდაზმულობის საკითხის სწორად განსაზღვრისათვის ნიშნველოვანია დადგინდეს მოთხოვნის წარმოშობის და პრეტენზიის წარდგენის მომენტი. სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის ძალით, მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. განსახილველ შემთხვევაში, უდავოა, რომ კრედიტორმა მოთხოვნის წარმოშობის შესახებ შეიტყო ვალდებულების დარღვევისას – 2008 წლის დეკემბრიდან, თუმცა, შესაფასებელია თუ როდის წარადგინა მან პრეტენზია (აღძრა სარჩელი).

1.3.2. სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ კრედიტორმა სარჩელი თავდაპირველად 2016 წლის 24 მაისს აღძრა, თუმცა, მოგვიანებით მან იგი გაიხმო და ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 28 ივლისის განჩინებით სარჩელი დარჩა განუხილველად, პალატის შეფასებით, 2016 წლის 24 მაისს სასარჩელო ხანდაზმულობა არ შეწყვეტილა, რადგანაც მხარემ სარჩელი განმეორებით 2017 წლის 2 თებერვალს წარადგინა სასამართლოში (ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ უფლებამოსილი პირი შეიტანს სარჩელს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად (სკ-ის 138-ე მუხლი). ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა სარჩელის შეტანის საფუძველზე გრძელდება მანამ, სანამ ... პროცესი სხვაგვარად არ დასრულდება. თუ მხარეთა შეთანხმების შედეგად ან შემდგომი გაგრძელების შეუძლებლობის გამო პროცესი შეწყდება, მაშინ ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყდება მხარეთა ან სასამართლოს ბოლო საპროცესო მოქმედების დამთავრებასთან ერთად. თუ ერთ-ერთი მხარე პროცესს კვლავ განაგრძობს, შეწყვეტის შემდეგ დაწყებული ხანდაზმულობის ახალი ვადა ისევე შეწყდება, როგორც წყდება ხანდაზმულობის ვადის დენა სარჩელის შეტანით (სკ-ის 139-ე მუხლი). სარჩელის შეტანა ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას არ გამოიწვევს, თუ ... სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სარჩელი განუხილველად იქნება დატოვებული. თუ უფლებამოსილი პირი ექვსი თვის ვადაში შეიტანს ახალ სარჩელს, მაშინ ხანდაზმულობის ვადა შეწყვეტილად ითვლება პირველი სარჩელის შეტანის დროიდან (სკ-ის 140-ე მუხლი)). საკასაციო პალატა არ იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ხსენებულ დასკვნას და მიიჩნევს, რომ მას საფუძველად არ უდევს საქმის მასალების სრულყოფილი გამოკვლევა (სსსკ-ის 105-ე მუხლი). ამ მხრივ გასაზიარებელია კასატორის პოზიცია, რომ სარჩე-

ლის განუხილველად დატოვებიდან ექვსი თვე იწურებოდა 2017 წლის 28 იანვარს, არასამუშაო დღეს – შაბათს, შესაბამისად, მას მოქმედება შეეძლო განეხორციელებინა მომდევნო სამუშაო დღის – 2017 წლის 30 იანვრის ჩათვლით (სკ-ის 121-ე მუხლის თანახმად, კანონებში, სასამართლო გადაწყვეტილებებსა და გარიგებებში მითითებული ვადების მიმართ გამოიყენება ამ თავში გათვალისწინებული წესები. ამავე კოდექსის 127-ე მუხლის შესაბამისად კი, თუ ... ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს ან მოქმედების შესრულების ადგილას გამოცხადებულ სადღესასწაულო ანდა სხვა გამოსასვლელ დღეებს, მაშინ ამ დღის ნაცვლად გამოყენებულ უნდა იქნეს მომდევნო სამუშაო დღე). მართალია, საქმეში წარმოდგენილი სარჩელი სასამართლოში რეგისტრირებულია 2017 წლის 2 თებერვალს, თუმცა, სარჩელს ერთვის შპს „სკს“ ფოსტის შეტყობინების ბარათი, რომლის თანახმადაც კრედიტორმა სარჩელის ფოსტას ჩააბარა 2017 წლის 30 იანვარს. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხისა და შესაბამისად, არახანდაზმული მოთხოვნის მოცულობის სწორად განსაზღვრისათვის საჭიროა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა (დამატებით იხ. სუსგ №ას-898-860-2014, 9 ოქტომბერი, 2014 წელი).

1.3.3. პალატა არ იზიარებს კასატორის შედაგებას ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ პროცენტის დარიცხვის საკითხის არასწორად განსაზღვრის თაობაზე. სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ მხარეები ე.წ პროცენტის გადახდაზე არ შეთანხმებულან. ამ მხრივ გასაჩივრებული გადაწყვეტილება ემყარება სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლის სწორ განმარტებას და სრულად შეესაბამება საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ერთგვაროვან პრაქტიკას. (მრავალთა შორის იხ. მაგ: სუსგ №ას-1701-1685-2011, 22 ოქტომბერი, 2012 წელი). პალატა უარყოფს კრედიტორის არგუმენტს, რომლის თანახმადაც საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების ხელშეკრულების 7.4. პუნქტის დათქმა (საპროცენტო განაკვეთი ერიცხება კლიენტის {მსესხებელი} ფაქტობრივ დავალიანებას ბანკის {გამსესხებელი} მიმართ და იანგარიშება სარგებლის ფაქტიური დღეების შესაბამისად 365 დღეზე გაანგარიშებით) სწორედ სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლით განსაზღვრულ რეგულაციაზე მხარეთა შეთანხმებას ადასტურებს. საკითხის სწორად გადაწყვეტის მიზნით პალატა მხედველობაში იღებს საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების ხელშეკრულების შინაარსს, რომლის 1.1. პუნქტით კრედიტორი ადასტურებს, რომ იგი განიხილავს მოვალის განცხადებას საკრედიტო პროდუქტებზე და განაწვეტს საკუთარი შეხედულებით, ამავე ხელშეკრულების 1.3. პუნ-

ქტის თანახმად, ეს ხელშეკრულება არ წარმოადგენს საკრედიტო პროდუქტის შეპირებას, ხოლო ხელშეკრულების მე-2 მუხლით შეთანხმებულია ხელშეკრულების ძირითადი პირობები: ხელშეკრულების თანხა; მოქმედების ვადა; სარგებლის მაქსიმალური ოდენობა (წლიური ლიმიტი); პირგასამტეხლოს მაქსიმალური ოდენობა. ნიშნდობლივია, რომ ხელშეკრულების მე-4 მუხლის (საკრედიტო პროდუქტის მიღების წესი) 4.7. და 4.8. პუნქტების თანახმად, კრედიტორი უფლებამოსილია არ დააკმაყოფილოს კლიენტის განაცხადი საკრედიტო პროდუქტზე, ხოლო შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში, მხარეებს შორის უნდა გაფორმდეს შესაბამისი დამატებითი ხელშეკრულება, სადაც აისახება საკრედიტო პროდუქტებით სარგებლობის პირობები და მხარეთა უფლება-მოავალეობები. ამავე ხელშეკრულების მე-7 მუხლით განსაზღვრულია საპროცენტო განაკვეთები, მისი გადახდის წესი და 7.2. მუხლის თანახმად, კლიენტი ვალდებულია გადაიხადოს საპროცენტო სარგებელი ამ ხელშეკრულების ფარგლებში გაფორმებული დამატებითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ოდენობითა და პირობებით. მართალია ამავე მუხლის 7.4. პუნქტს ემყარება კასატორის პრეტენზია, თუმცა, ზემოხსენებული შეთანხმების ანალიზით საკასაციო სასამართლო მიდის დასკვნამდე, რომ 2008 წლის 21 აპრილის საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების შესახებ ხელშეკრულება წარმოადგენს არა სესხის ხელშეკრულებას (სკ-ის 327.1 მუხლის თანახმად, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით, ამასთანავე, სესხის ხელშეკრულების რეალური ბუნებიდან გამომდინარე (სკ-ის 623-ე მუხლი) მისი დადებულად მიჩნევა დამოკიდებულია თანხის გადაცემაზე), არამედ, სესხის წინარე ხელშეკრულებას (სკ-ის 327.3 მუხლის თანახმად, ხელშეკრულებით შეიძლება წარმოიშვას მომავალი ხელშეკრულების დადების ვალდებულება. ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებული ფორმა ვრცელდება ასევე წინარე ხელშეკრულებაზედაც). საკასაციო პალატა განმარტავს, რომ წინარე ხელშეკრულება თავისი სამართლებრივი ბუნებით განსხვავდება ძირითადი გარიგებისაგან. წინარე ხელშეკრულების შინაარსი, როგორც წესი, გამომდინარეობს ძირითადი ხელშეკრულების საგნიდან, მაგრამ ყველა შემთხვევაში იგი უნდა შეიცავდეს ძირითადი ხელშეკრულების დადების დავალდებულებას, ამასთანავე, წინარე ხელშეკრულება უნდა განსაზღვრავდეს იმ წინაპირობებს, რომლებიც აუცილებელია ძირითადი ხელშეკრულების დასადავად, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ბათილად ჩაითვლება. ამდენად, წინარე ხელშეკრულება კონტრაქტის იძულების სამართლებრივ ბერკეტს წარმოადგენს და მხა-

რეებს წარმოუშობს მოთხოვნის უფლებას მომავალში ხელშეკრულების დადების თაობაზე და სავალდებულოა, თავად ამ წინარე ხელშეკრულებიდან ირკვეოდეს მხარეთა არსებით პირობებზე შეთანხმების ფაქტი. რაც შეეხება ძირითად ხელშეკრულებას, დადგენილია, რომ იგი მხარეთა შორის 2008 წლის 23 აპრილს გაფორმდა და საქმეში წარმოდგენილი ხსენებული დოკუმენტი არ შეიცავს რაიმე შეთანხმებას სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლით განსაზღვრულ პირობებზე. პალატა ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სააპელაციო პალატამ 411-ე მუხლის საფუძველზე კრედიტორის მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა და ჩათვალა, რომ მას, როგორც საფინანსო ინსტიტუტს უდავოდ შეეძლო მიეღო შემოსავალი ვალდებულების დროულად შესრულების შემთხვევაში და ამ დაშვებით მოვალეს ზიანის სახით 2017 წლის 4 აპრილიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე დააკისრა დავალიანების წლიური 10%-ის გადახდა (გადაწყვეტილების თანახმად, ეროვნული ბანკის მონაცემებით 2016-2017 წლებისათვის სესხის საბაზო საპროცენტო განაკვეთის საშუალო არითმეტიკული დაახლოებით 10%-ს შეადგენდა). ამ ნაწილში მხარეთა მიერ პრეტენზია არ არის წარმოდგენილი და ბუნებრივია, არც საკასაციო პალატა არ შეაფასებს მის კანონიერებას.

1.3.4. რაც შეეხება კასატორის პრეტენზიას პირგასამტეხლოს განსაზღვრის ნაწილში სასამართლოს მხრიდან სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის არასწორად განმარტების თაობაზე, პალატა მას ნაწილობრივ იზიარებს და აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით პირგასამტეხლოს განაკვეთი არ შეუმცირებია: კრედიტორი მოითხოვდა (დაზუსტებული მოთხოვნის თანახმად) მოვალისათვის პირგასამტეხლოს – 1 863 აშშ დოლარისა და 2017 წლის 4 აპრილიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დავალიანების ძირი თანხის 0,03%-ის დაკისრებას. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით პალატამ პირგასამტეხლო განსაზღვრა სწორედ ხსენებული განაკვეთით, თუმცა, ჯამური თანხის ოდენობის შემცირება ისევე, როგორც ამ განჩინების სამოტივაციო ნაწილის 1.3.3. პუნქტში მითითებული ზიანის ჯამური ოდენობისა, გამოიწვია ხანდაზმულობის საკითხის არასწორად განსაზღვრამ.

1.3.5. რაც შეეხება დაზღვევის თანხის დავალიანებას, ამ მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ მართალია, გასაჩივრებული გადაწყვეტილება ამ მოთხოვნის ნაწილში არ შეიცავს მსჯელობას, თუმცა, საკასაციო საჩივრის შესწავლით დასტურდება, რომ კრედიტორი მხოლოდ ამ თანხის დაკისრების მოთხოვნას აყენებს იმგვარად, რომ მას რა-

იმე ფაქტობრივი პრეტენზია საჩივარში არ მიუთითებია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე კი, საკასაციო პალატა საკუთარი ინიციატივით ვერ შეამონმებს დაზღვევის თანხის დავალიანების დაკისრების ნაწილში სააპელაციო პალატის მხრიდან შესაძლო საპროცესო დარღვევების საკითხს.

1.4. საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების პროცესუალურ-სამართლებრივი დასაბუთება:

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, აუქმებს გასაჩივრებულ განჩინებას და რაღაც დავის გადანყვეტისათვის საჭიროა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, ამავე კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე (საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადანყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები) საქმეს ხელახლა განსახილველად უბრუნებს იმავე სასამართლოს, რომელმაც საქმეში არსებული მტკიცებულებების ყოველმხრივი კვლევის შედეგად უნდა განსაზღვროს არახანდაზმული მოთხოვნის მოცულობა და ამის შემდგომ განსაზღვროს სარჩელის საფუძვლიანობის საკითხი.

2. პროცესის ხარჯები:

ვინაიდან საკასაციო პალატის წინამდებარე განჩინებით საქმის წარმოება არ დასრულებულა, პალატა მიიჩნევს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად (თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით), ხარჯების საკითხი უნდა გადანყვეტეს შემაჯამებელი გადანყვეტილების მიღებისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სს „თ-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა

გადანყვითლება საქართველოს სახელით

№ას-52-2019

11 ივნისი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავეიძე**

დავის საგანი: ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. მ. ხ-ძე (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოსარჩელე, პირველი აპელანტი, პირველი კასატორი, დასაქმებული, მუსიკის მასწავლებელი ან მასწავლებელი) წლების განმავლობაში სსიპ ქ. თბილისის №26-ე საჯარო სკოლაში (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოპასუხე, მეორე აპელანტი, მეორე კასატორი, დამსაქმებელი, საჯარო სკოლა ან სკოლა) იყო დასაქმებული. მოსარჩელე, უკანასკნელად, 2011 წლის 3 იანვარს დადებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, 2016 წლის 3 იანვრამდე მუსიკის მასწავლებლად დაინიშნა. მისი ყოველთვიური შრომითი ანაზღაურება 242.87 ლარს (დარიცხული) შეადგენდა.

2. 2011 წლის 10 ოქტომბერს სკოლის დირექტორმა გამოსცა ბრძანება (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც გათავისუფლების შესახებ ბრძანება ან სადავო ბრძანება), რომლითაც მოსარჩელესთან 2011 წლის 10 ოქტომბრიდან შეწყდა შრომითი ურთიერთობა. გათავისუფლებას საფუძველად იმჟამად მოქმედი საქართველოს შრომის კოდექსის, შემდეგში სშკ-ის, 37-ე მუხლის

პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი და 38-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილები დაედო.

3. სადავო ბრძანების გამოცემის შემდეგ სკოლამ მოსარჩელეს ერთი თვის კომპენსაცია გადაუხადა.

4. მოსარჩელე 2015 წლის 25 ნოემბრიდან დღემდე ააიპ ქ. თბილისის ...-ე საბავშვო ბაგა-ბაღის (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც საბავშვო ბაღი) აღმზრდელის თანამემნის პოზიციაზე დასაქმებული. მისი თანამდებობრივი სარგო 2015 წლის ნოემბრიდან 2016 წლის იანვრის ჩათვლით 250 ლარი იყო, ხოლო 2016 წლის თებერვლიდან 275 ლარს შეადგენს.

5. მოსარჩელემ 2012 წლის 28 ნოემბერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს (შემდეგში ტექსტში ასევე მოხსენიებული, როგორც მინისტრი) წერილობითი განცხადებით მიმართა და საჯარო სკოლაში უწინდელ თანამდებობაზე აღდგენა და განაცდური ხელფასის ანაზღაურება მოითხოვა, იმ საფუძველით, რომ დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლებას სკოლამ საფუძვლად დაუდო მისი პოლიტიკური შეხედულებები. ამავე წერილში დასაქმებულმა აღნიშნა, რომ მან იმავე მოთხოვნით რამდენჯერმე მიმართა სკოლის დირექტორს, რომელმაც განუმარტა, რომ მისი სამუშაოზე აღდგენა მოხდებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც განათლების სამინისტრო ან სამინისტრო) შესაბამისი მითითების შემდეგ.

6. სამინისტრომ 2013 წლის 27 მარტს მოსარჩელის 2012 წლის 28 ნოემბრის წერილი განსახილველად გადასცა „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საგანმანათლებლო რესურსცენტრებისა და საჯარო სკოლების თანამშრომელთა პოლიტიკური შეხედულებების გამო სამსახურიდან გათავისუფლების საკითხების შემსწავლელ კომისიას“ (შემდეგში ტექსტში ასევე მოხსენიებული, როგორც კომისია). კომისიამ 2013 წლის 7 მარტს დაასკვნა, რომ მოსარჩელის განცხადება და თანდართული დოკუმენტები არ შეესაბამებოდა კომისიის დებულებას, რის გამოც, განმცხადებელს დაუდგინდა ხარვეზი და გამოსასწორებლად მიეცა 10 დღის ვადა დამატებითი დოკუმენტაციის, კერძოდ კი, განცხადებაში მითითებული ფაქტების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარსადგენად.

7. განათლების სამინისტრომ 2014 წლის 28 მაისისა და 2014 წლის 22 აგვისტოს წერილებით მოსარჩელეს აცნობა, რომ საჯარო სკოლაში მასწავლებლად აღდგენას ან სხვა რომელიმე სკოლაში დასაქმებას „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის შესაბამისად, სკოლის დირექტორი ახორციელებდა.

შესაბამისად, მოსარჩელეს საჯარო სკოლაში დასაქმების მოთხოვნით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის, ხოლო მხარეთა შორის წარმოშობილი შრომითი დავის გადასაწყვეტად კი, მითითებული კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, სამართლოსათვის უნდა მიემართა.

8. 2015 წლის 11 მარტს მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ, გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის, უწინდელ თანამდებობაზე (მუსიკის მასწავლებლის პოზიციაზე) აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნით, 2011 წლის 10 ოქტომბრიდან, გადაწყვეტილების აღსრულებამდე, მისი ყოველთვიური ხელფასის – 242.87 ლარის გათვალისწინებით. მოსარჩელე წინამდებარე გადაწყვეტილების 1-7 პუნქტებში აღწერილ ფაქტებზე მითითებით ამტკიცებდა, რომ მოპასუხემ სამსახურიდან უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად გაათავისუფლა. 1976 წლიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე – 2011 წლის 10 ოქტომბრამდე, დასაქმებული დაკისრებულ მოვალეობას კეთილსინდისიერად და ორგანიზებულად ასრულებდა, იყო შრომისმოყვარე და მის მიმართ რაიმე დისციპლინური სახედული არ ყოფილა გამოყენებული. სადავო ბრძანება დაუსაბუთებელი იყო, ვინაიდან მასში არ იყო ასახული, თუ კონკრეტულად რაში გამოიხატებოდა მოსარჩელის მიერ სამსახურებრივი მოვალეობების დარღვევა ან სხვა მიზეზი, რამაც მისი სამუშაოდან დათხოვნა განაპირობა. მოსარჩელის მტკიცებით, რეალურად, დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება პოლიტიკური ნიშნით იყო განპირობებული, სახელდობრ კი, იმ ფაქტით, რომ ერთ-ერთ გახმაურებულ საქმესთან (მკვლელობა) დაკავშირებით, მან თამამად გამოთქვა საკუთარი შეხედულება და ღიად გამოხატა უარყოფითი დამოკიდებულება.

9. მოპასუხემ წარადგინა როგორც მოთხოვნის გამომრიცხველი, ისე მისი განხორციელების ხელისშემშლელი (ხანდაზმულობის) შესაგებელი და განმარტა, რომ 2010 წლის 27 დეკემბრის რედაქციით მოქმედი სმკ-ის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი შრომითი ურთიერთობების შეწყვეტის საფუძველად შრომითი ხელშეკრულების მოშლას ითვალისწინებდა. საყურადღებო იყო, რომ განათლების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საგანმანათლებლო რესურსცენტრებისა და საჯარო სკოლების თანამშრომელთა პოლიტიკური შეხედულებების გამო სამსახურიდან გათავისუფლების საკითხების შემსწავლელმა კომისიამ არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა და არ ცნო ის პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებულად. შესაბამისად, მოსარჩელის პოზიცია პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე უსა-

ფუძვლო იყო.

გარდა აღნიშნულისა, 2011 წლის 25 იანვარს მოსარჩელეს სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, ჟურნალში აღმოჩენილი დარღვევების გამო, მითითება მიეცა. 2011 წლის 15 თებერვლის №12 ბრძანებით კი, ჟურნალში გაცდენების აღუნიშვნელობის გამო, საყვედური გამოეცხადა. სკოლის 2011 წლის შინაგანაწესის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დისციპლინური სახდელი გამოიყენება გადაცდომის გამოვლენისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს ერთი წლისა მისი ჩადენის დღიდან. მოსარჩელეს გათავისუფლების დროს – 2011 წლის 10 ოქტომბერს, დისციპლინური სახდელი დაკისრებული ჰქონდა.

2010 წლის 16 ივნისის წერილობითი განაცხადებით, მოსარჩელემ ოჯახური მდგომარეობის გამო, თანხმობა მხოლოდ 14 ერთსაათიანი გაკვეთილის ჩატარებაზე განაცხადა, ხოლო დარჩენილი 7 საათის სხვა პედაგოგისათვის გადაცემაზე იშუამდგომლა. მოგვიანებით, შიდა რეგულაციების საფუძველზე, მიზანშეწონილი გახდა მასწავლებელთათვის განაკვეთების სრულად შევსება. სწორედ აღნიშნულის გამო და პროფესიული უნარ-ჩვევების პრიორიტეტის გათვალისწინებით მიიღო დირექტორმა გადაწყვეტილება, მოსარჩელის მიერ დაკავებულ თანამდებობაზე სხვა მასწავლებელი დაენიშნა.

გარდა ამისა, სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმული იყო, ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში, სახელშეკრულებო მოთხოვნებისათვის გათვალისწინებული ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა უკვე გასული იყო.

10. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით, სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი გასაჩივრებული ბრძანება და მოსარჩელე აღდგენილ იქნა მუსიკის მასწავლებლის თანამდებობაზე; მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, 2011 წლის 10 ნოემბრიდან 2015 წლის 25 ნოემბრამდე, იძულებითი განაცდურის სახით მიყენებული ზიანის ანაზღაურება დაეკისრა, მისი ყოველთვიური ხელფასის – 242.87 ლარის გათვალისწინებით. სასარჩელო მოთხოვნა იძულებითი განაცდურის გადაწყვეტილების აღსრულებამდე ანაზღაურების ნაწილში უარყოფილ იქნა. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლი, ევროპის სოციალური ქარტიის 24-ე მუხლი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის, 115-ე, 54-ე, 408-ე, 409-ე, 411-ე და 412-ე მუხლები, სშკ-ის მოქმედი რედაქციის 38.8, 44-ე, 32-ე მუხლები, ასევე, სშკ-ის 2010 წლის 27 დეკემბრის რედაქციით მოქმედი 37.1. „დ“ ქვეპუნქტი და „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს

კანონის 12.3 და 43.1 „ზ“ მუხლები გამოიყენა.

11. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მხარეებმა. მოსარჩელემ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, ხოლო მოპასუხემ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის უარყოფა მოითხოვა.

12. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 2 აგვისტოს განჩინებით, სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

12.1. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხემ სააპელაციო საჩივრის ფარგლებში სადავოდ გახადა მხოლოდ სარჩელის ხანდაზმულობისა და მოსარჩელის სამუშაოზე აღდგენის შეუძლებლობის საკითხი. პალატამ სსკ-ის 138-ე-140-ე მუხლებზე მითითებით განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელემ თავისი უფლების დასაცავად განათლების სამინისტროს 2012 წლის 28 ნოემბერს მიმართა, ხოლო მისი განცხადება განსახილველად ამავე სამინისტროს პოლიტიკური შეხედულებების გამო სამსახურიდან გათავისუფლების საკითხების შემსწავლელ კომისიას გადაეცა, რის შესახებაც მოსარჩელეს 2013 წლის 27 მარტის წერილით ეცნობა, მასვე ეცნობა, რომ კომისიის სამუშაო ჯგუფმა 2013 წლის 7 მარტს შეისწავლა დასაქმებულის განცხადება, რომელიც არ შეესაბამებოდა კომისიის დებულებას;

12.2. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ, ხსენებული კომისიის შექმნის მიზნებიდან და საქმეში წარმოდგენილი კომისიის შემადგამებელ ანგარიშში ასახული კომისიის საქმიანობის შედეგებიდან გამომდინარე, მართებულად მიიჩნია, რომ კომისია წარმოადგენდა კომპეტენტურ ორგანოს, რომელიც სპეციალურად შეიქმნა სამსახურიდან გათავისუფლების საკითხების შესწავლისათვის (ასევე, კომისიის შექმნამდე სამინისტროში შესული განცხადებების შესწავლის მიზნით). პალატამ დაასკვნა, რომ მოსარჩელემ 2012 წლის 28 ნოემბერს სამინისტროს მიმართა, რითაც სარჩელის ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყდა, რის გამოც, ხანდაზმულობის ვადა სსკ-ის 141-ე მუხლის საფუძველზე, მითითებული თარიღიდან იწყებოდა და 2015 წლის 28 ნოემბერს იწურებოდა. რადგანაც განსახილველი სარჩელი 2015 წლის 11 მარტს იყო აღძრული, სარჩელი ხანდაზმულად ვერ მიიჩნეოდა;

12.3. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხემ ვერ უზრუნველყო მისი წილი ტვირთის იმგვარად რეალიზება, რომ დაედასტურებინა მოსარჩელის პირვან-

დედ სამუშაოზე აღდგენის დამაბრკოლებელი გარემოებები. მოპასუხის მიერ მხოლოდ იმ ფაქტზე მითითება, რომ დასაქმებულს არ ჰქონდა გამოცდა ჩაბარებული და ის პროფესიული და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართული არ ყოფილა, მოსარჩელისათვის სამუშაოზე აღდგენის მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველი ვერ გახდებოდა.

13. აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მხარეებმა. მოსარჩელემ გასაჩივრებული განჩინების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, ხოლო მოპასუხემ გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის უარყოფა მოითხოვა.

13.1. მოსარჩელის (დასაქმებულის) საკასაციო საჩივრის საფუძველები:

13.1.1. გასაჩივრებულ განჩინებით მოსარჩელეს უსაფუძვლოდ ეთქვა უარი იძულებითი განაცდურის სრულად დაკმაყოფილებაზე. სხვა სამსახურის დანყებას ხელი არ უნდა შეეშალა სასამართლოსთვის, რომ მოპასუხისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურება სრულ პერიოდზე დაეკისრებინა, ვინაიდან ამჟამინდელ სამუშაო ადგილზე ცვლაში მუშაობა ხელს არ შეუშლიდა მოსარჩელეს პარალელურად სკოლაში მუსიკის გაკვეთილები ჩაეტარებინა;

13.1.2. მოპასუხეს არც შესაგებელსა და არც საქმის განხილვის რომელიმე ეტაპზე არ ჰქონია პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელის მიერ სხვა სამსახურის დანყების შემდეგ, მოპასუხეს იძულებითი განაცდური არ უნდა დაჰკისრებოდა.

13.2. მოპასუხის (დამსაქმებლის) საკასაციო საჩივრის არგუმენტები:

13.2.1. სასამართლოებმა მოსარჩელის მიერ განათლების სამინისტროსადმი მიმართვა არასწორად მიიჩნიეს სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობისა და სამუშაოზე აღდგენის მოთხოვნის დაკმაყოფილების ვარგის საშუალებად და სარჩელის ხანდაზმულობის ვადის დინება უსაფუძვლოდ ჩათვალეს შეწყვეტილად;

13.2.2. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა არასწორად განმარტეს სსკ-ის 138-ე-140-ე მუხლები;

13.2.3. კასატორის განმარტებით, ის ფაქტი, რომ განათლების სამინისტრომ მოსარჩელეს წერილობით განუმარტა დავის მოსაწესრიგებლად სკოლისათვის ან სასამართლოსათვის მიმართვის უფლება, გამორიცხავს ამავე სამინისტროს მიერ შექმნილი კომისიის კომპეტენტურობას ხსენებული საკითხის მონესრიგებასთან

დაკავშირებით;

13.2.4. მოსარჩელემ კომისიას 2012 წლის 28 ნოემბერს მიმართა, მაშინ, როდესაც სსენებული კომისია რეალურად 2012 წლის 14 დეკემბერს შეიქმნა. შესაბამისად, სასამართლომ არასწორად გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია, რომ სკოლის დირექტორის მოქმედება კანონმდებლობით დადგენილ ვადაში სათანადო (კომპეტენტურ) ორგანოში იყო გასაჩივრებული. აღსანიშნავია, რომ კომისიას საჩივრის წარდგენის დროისათვის ამგვარი საკითხების განხილვის უფლებამოსილება არ გააჩნდა, ვინაიდან მისი დებულება მხოლოდ 2012 წლის 14 დეკემბრიდან ამოქმედდა;

13.2.5. სკოლის შინაგანაწესის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, დირექტორის გადაწყვეტილება შეიძლება, სამეურვეო საბჭოში გასაჩივრებულიყო, გადაწყვეტილების გაცნობიდან ორი კვირის ვადაში, რაც, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელეს არ შეუხსრულებია;

13.2.6. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა უსაფუძვლოდ არ გაიზიარეს სკოლის პოზიცია მოსარჩელის პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღდგენის შეუძლებლობასთან დაკავშირებით. კონკრეტულ შემთხვევაში, სასამართლო უნდა დაყრდნობოდა ერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკას და მოპასუხისათვის უნდა დაეკისრებინა მხოლოდ ერთი წლის შრომის ანაზღაურების კომპენსაციის გადახდა.

14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 17 აპრილის განჩინებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ-ის, 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, საკასაციო საჩივრები ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

მოსარჩელის საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელი, ხოლო მოპასუხის საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია. შესაბამისად, გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელი უარყოფილ უნდა იქნეს.

15. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ შემთხვევაში, დამსაქმებლის (მეორე კასატორის) პრეტენზიები, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეზე დადგენილი ფაქტები და არასწორად განმარტა კანონი, რასაც შედეგად მოჰყვა სამართლებრივად დაუსაბუთებე-

ლი დასკვნები სარჩელის საფუძვლიანობასთან დაკავშირებით, დასაბუთებულია, ხოლო მოსარჩელის პრეტენზიები უსაფუძვლოა და არ უნდა იქნეს გაზიარებული.

16. იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურს, კერძოდ, სადავო ბრძანების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენისა (უფლებრივი რესტიტუცია) და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნა სშკ-ის 38.8 (სასამართლოს მიერ დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ დამსაქმებლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილებით, დამსაქმებელი ვალდებულია, პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღადგინოს პირი, რომელსაც შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება, ან უზრუნველყოს ის ტოლფასი სამუშაოთი, ან გადაუხადოს მას კომპენსაცია სასამართლოს მიერ განსაზღვრული ოდენობით) და 44-ე (შრომითი ურთიერთობისას მხარის მიერ მეორე მხარისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით), ასევე, სსკ-ის 394.1 (მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია, მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის) და 408.1 (იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება) მუხლებიდან გამომდინარეობს.

17. განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხის ძირითადი საკასაციო პრეტენზია მდგომარეობს იმაში, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა არასწორად მიიჩნიეს სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყვეტილად და აქედან გამომდინარე, არასწორად დაასკვნეს, რომ სარჩელი ხანდაზმული არ იყო.

17.1. საკასაციო პალატა იზიარებს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მსჯელობას, რომ მხარეთა შორის შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის დროს მოქმედი შრომის კოდექსი სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების გასაჩივრების ხანდაზმულობის რაიმე სპეციალურ ვადას არ ითვალისწინებდა, შესაბამისად, მოსარჩელის მოთხოვნებზე ვრცელდება სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა (სსკ-ის 129-ე მუხლი).

განსახილველ შემთხვევაში, უდავოა, რომ მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან (10.10.2011 წ.) სარჩელის აღძვრამდე (11.03.2015 წ.) გასულია სამ წელზე მეტი დრო (3 წელი და

7 თვე).

დადგენილია, რომ მოსარჩელემ წარმოდგენილი სარჩელით აღძრული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, 2012 წლის 28 ნოემბერს, განცხადებით მინისტრს მიმართა.

შემდეგში, აღნიშნული განცხადება განსახილველად კომისიას გადაეცა, რომელიც 2012 წლის 14 დეკემბერს შეიქმნა. კომისიამ 2013 წლის 7 მარტს დაასკვნა, რომ მოსარჩელის განცხადება და თანდართული დოკუმენტები არ შეესაბამებოდა კომისიის დებულებას, რის გამოც, განმცხადებელს დაუდგინდა ხარვეზი, რომლის შევსების მიზნით დაევალა დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა და ხარვეზის გამოსასწორებლად 10 დღის ვადა მიეცა.

რაიმე მტკიცებულება, რომლითაც დადგინდებოდა, რომ მოსარჩელემ ხარვეზი შეავსო და კომისიამ მის განცხადებაზე არსებითად იმსჯელა, საქმეში წარმოდგენილი არ არის.

უდავოა, რომ განათლების სამინისტროს 2014 წლის 28 მაისისა და 2014 წლის 22 აგვისტოს წერილებით მოსარჩელეს ეცნობა, რომ მისი მოთხოვნების დაკმაყოფილება სამინისტროს კომპეტენციას სცილდებოდა.

17.2. სსკ-ის 138-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ უფლებამოსილი პირი შეიტანს სარჩელს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ან მის დასადგენად, ან/და შეეცდება, დაიკმაყოფილოს მოთხოვნა სხვა საშუალებით, როგორცაა სახელმწიფო ორგანოსათვის ან სასამართლოში განცხადებით მიმართვა მოთხოვნის არსებობის შესახებ, ან/და აღმასრულებელი მოქმედების განხორციელება. შესაბამისად, გამოიყენება 139-ე და 140-ე მუხლები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მითითებული ნორმის საფუძველზე ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტისათვის აუცილებელია, რომ მხარის მიერ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად არჩეული საშუალება ვარგისი იყოს შესაბამისი შედეგის მისაღწევად. სახელმწიფო ორგანოსათვის მიმართვისას აუცილებელია, რომ აღნიშნული ორგანო კომპეტენტური იყოს, ანუ სადავო სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგება ამ ორგანოსადმი მიმართვის გზით უნდა შეიძლებოდეს. თითოეულმა მხარემ თავად უნდა შეარჩიოს საკუთარი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად სწორი და ეფექტური საშუალება, ამ პირობის დარღვევით გამოწვეული შედეგები კი თავად მხარის რისკია (შდრ. სუსგ №ას-1586-1489-2012, 22.04.13).

17.3. განსახილველ შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანო (მინისტრი), რომელსაც მოსარჩელემ სარჩელის აღძვრამდე მიმართა, საკასაციო პალატის შეფასებით, წარმოადგენს არაუფლება-მოსილ ორგანოს, მოსარჩელის მოთხოვნებზე მსჯელობისა და დაკ-

მაყოფილების თვალსაზრისით.

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტების თანახმად, სკოლის დირექტორი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პირობებისა და წესის შესაბამისად, უზრუნველყოფს მასწავლებლებთან და სკოლის სხვა თანამშრომლებთან შრომითი ხელშეკრულებების დადებასა და შესრულებას; უფლებამოსილია, ვადამდე შეუწყვიტოს მასწავლებელს შრომითი ხელშეკრულება ხელშეკრულების პირობების დარღვევის, სააღმზრდელო საქმიანობისათვის შეუფერებელი ქმედების ჩადენის ან კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით არაკვალიფიციურობის დადასტურების შემთხვევაში.

იმავე კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საჯარო სკოლის დირექტორსა და სკოლის თანამშრომლებს შორის წარმოშობილ შრომით დავებს, როგორც სამოქალაქო დავებს, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილავს სასამართლო.

ამდენად, სკოლიდან გათავისუფლებული მასწავლებლის სამსახურში აღდგენასა და განაცდური ხელფასის ანაზღაურებაზე უფლებამოსილ ორგანოებს სკოლა და სასამართლო წარმოადგენს.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მოსარჩელემ არაუფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს მიმართა, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ხანდაზმულობის ვადის დენა არ შეწყვეტილა.

18. გარდა ამისა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ სააპელაციო სასამართლო მიიჩნევდა, რომ კომისიისადმი მოსარჩელის განცხადების გადაცემა კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიმართვას წარმოადგენდა, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული, სსკ-ის 140-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე, ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას მაინც არ გამოიწვევდა.

18.1. მითითებული ნორმის მიხედვით, სარჩელის შეტანა ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას არ გამოიწვევს, თუ მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, ან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სარჩელი განუხილველად იქნება დატოვებული. თუ უფლებამოსილი პირი ექვსი თვის ვადაში შეიტანს ახალ სარჩელს, მაშინ ხანდაზმულობის ვადა შეწყვეტილად ითვლება პირველი სარჩელის შეტანის დროიდან.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელის მხრიდან მის განცხადებაზე კომისიის მიერ დადგენილი ხარვეზის აღმოფხვრის ფაქტობრივი გარემოება საქმის მასალებით არ დასტურდება. ასევე, არ დასტურდება კომი-

სიის მიერ მოსარჩელის განცხადების არსებითად განხილვის ფაქტივ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოსარჩელის 2012 წლის 28 ნოემბრის განცხადება კომისიის მიერ 2013 წლის მარტ-აპრილში განუხილველად იქნა დატოვებული, რასაც ადასტურებს ასევე სამინისტროს 2014 წლის 28 მაისისა და 2014 წლის 22 აგვისტოს წერილებიც.

18.2. მართალია, სსკ-ის 140-ე მუხლში მითითებულია სასამართლოს მხრიდან სარჩელის განუხილველად დატოვებისა და არა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ, თუმცა საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული ნორმის დებულება უნდა განიმარტოს მისი ფუნქციური დანიშნულების გათვალისწინებით, იმავე კოდექსის 138-ე მუხლთან ერთობლივად, სახელდობრ, ამ უკანასკნელი სამართლებრივი ნორმით, ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის მიზნებისათვის მოთხოვნის არსებობის შესახებ ადმინისტრაციული ორგანოსთვის განცხადებით მიმართვა გაიგივებულია სარჩელის შეტანასთან. შესაბამისად, სსკ-ის 140-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას, პალატის მოსაზრებით, ასევე უნდა გავრცელდეს ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მოთხოვნის არსებობის შესახებ განცხადების განუხილველად დატოვების შემთხვევაზეც.

ვინაიდან 2013 წლის აპრილიდან მოსარჩელის მიერ სარჩელის აღძვრამდე, 2015 წლის 11 მარტამდე, გასულია 6 თვეზე გაცილებით მეტი დრო, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყვეტილად არ უნდა ჩაითვალოს.

სწორედ ასეთი შემთხვევისათვის ადგენს სსკ-ის 140-ე მუხლი, რომ სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში, ხანდაზმულობის ვადის დენა არ შეწყდება, მაგრამ, თუ პირი განუხილველად დატოვებიდან 6 თვის განმავლობაში აღძრავს ახალ სარჩელს, რომელსაც სასამართლო წარმოებაში მიიღებს და განიხილავს, ხანდაზმულობის ვადა შეწყვეტილად ითვლება პირველი სარჩელის წარდგენის მომენტიდან.

18.3. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელეს სამინისტროს 2014 წლის 28 მაისის წერილითაც განემარტა, რომ მისი მოთხოვნების განხილვა არ წარმოადგენდა სამინისტროს კომპეტენციას და მას საერთო სასამართლოებისადმი მიმართვის გზით უნდა დაეცვა საკუთარი სადავოდ გამხდარი უფლება, თუმცა დასაქმებულს არც ხსენებული წერილის მიღებიდან 6 თვის განმავლობაში მიუმართავს სარჩელით სასამართლოსთვის. ამდენად, საკასაციო პალატას მი-

აჩნია, რომ ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის საფუძველი არ არსებობს და, შესაბამისად, სარჩელი ხანდაზმულად უნდა იქნეს მიჩნეული.

19. ვინაიდან გამოვლინდა მოთხოვნის განხორციელების შემადგერხებელი გარემოება, კასატორების სხვა პრეტენზიებზე საკასაციო სასამართლო აღარ იმსჯელებს.

20. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო აუქმებს გასაჩივრებულ განჩინებას, რადგან მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სსკ-ის 138-ე მუხლი, რაც, სსსკ-ის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების თანახმად, გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264.3, 404-ე, 408-ე, 410-ე, 284-ე, 285-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. მ. ბ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. სსიპ ქ. თბილისის ... საჯარო სკოლის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 2 აგვისტოს განჩინება და მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
4. მ. ბ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
5. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ვალდებულებების უფლება ხანდაზმულობის ვადის
გასვლისას**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელმწიფო**

№ას-1288-2019

4 მარტი, 2021 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**
**შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავეიძე,
ე. გასიტაშვილი**

დავის საგანი: თანხის დაკისრება, იპოთეკის საგნის რეალიზაცია

აღწერილობითი ნაწილი:

1. ჟ. ო-ამ (შემდეგში: მოსარჩელე ან კასატორი) სარჩელი აღძრა ზ. ბ-ის (შემდეგში: მოპასუხე ან მოწინააღმდეგე მხარე) მიმართ, რომლითაც მოითხოვა მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ 16 000 აშშ დოლარის გადახდის დაკისრება და დავალიანების დაფარვის მიზნით, მოპასუხის კუთვნილი უძრავი ქონების მდებარე: ქალაქი თბილისი, სოფელი ..., ს/კ ... (შემდეგში – იპოთეკის საგანი) სარეალიზაციოდ მიექცევა.

2. სარჩელის საფუძველად მითითებულია, რომ 2012 წლის 15 აგვისტოს მოსარჩელემ მოპასუხეს ასესხა 11 000 აშშ დოლარი. რადგან იმ დროს, მოსარჩელეს არ გააჩნდა პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, გასესხების ნოტარიულად დაფიქსირებისათვის, სთხოვა მის ნაცნობს ა. ჩ-ს, რომელიც თან ახლდა, რომ სესხი გაცემულიყო მისი სახელით. ა. ჩ-ი, ისევე როგორც მოპასუხე, დათანხმდა და მათ შორის, გაფორმდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მოპასუხემ სესხის სახით მიიღო 11 000 აშშ დოლარი, თვეში 4% სარგებლისა და პირგასამტეხლოს – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0,1%-ის ოდენობით დარიცხვის პირობით. სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა მოპასუხის საკუთრებაში არსებული იპოთეკის საგანი. მიღებული თანხა მოპასუხეს უნდა დაებრუნებინა სამ თვეში, რაც არ გაუკეთებია. შესაბამისად, ვინაიდან სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებაში ოფიციალურად გამსესხებელი იყო ა. ჩ-ი, მოსარჩელემ მას ნოტარიუს მ. ო-ისაგან 2015 წლის 08 იანვარს აღებინა სააღსრულებო ფურცელი (სანოტარო მოქმედების №150011478) სესხის ძირითად თანხაზე. აღნიშნული სააღსრულებო ფურცელი წარდგენილ

იქნა აღსრულების ეროვნულ ბიუროში. ამასთან, მოპასუხემ სარჩელი შეიტანა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში (საქმე №2/5929-15, მხარეები – მოსარჩელე და მოპასუხე) და მოითხოვა ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის გაუქმება. პროცესის მსვლელობისას ა. ჩ-ის მხრიდან შეტანილ იქნა შეგებებული სარჩელი შემცირებული პირგასამტეხლოს – 5000 აშშ დოლარის გადახდის მოთხოვნით. აღნიშნულ საქმეზე მოსარჩელე იყო ა. ჩ-ის წარმომადგენელი. მას სასამართლოსთვის არ დაუმალავს, რომ სესხის თანხა იყო მისი და რეალური გამსესხებელი იყო თვითონ და არა ა. ჩ-ი. ამას დაეთანხმა მოპასუხეც. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 10 მარტის გადაწყვეტილებით (საქმე №2/5929-15) სააღსრულებო ფურცელი გაუქმდა, რის გამოც, მოსარჩელის თანხით დღემდე სარგებლობს მოპასუხე და არ აბრუნებს ნა-სესხებ თანხას.

3. მოპასუხემ წარმოადგინა, როგორც მოთხოვნის გამომრიცხველი ისე, განხორციელების შემაფერხებელი (ხანდაზმულობა) შესაგებელი, რომლითაც განმარტა, რომ მას სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულია სრულად აქვს შესრულებული. კერძოდ, მისმა მეუღლემ – ი. ხ-ამ სრულად გადაიხადა სესხის ძირითადი თანხა – 11 000 აშშ დოლარი. ამასთან, თუკი მოსარჩელე აღიარებს, რომ 2012 წლის 15 აგვისტოს სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების რეალური მხარე არის მოსარჩელე, ასეთ შემთხვევაში, მისი მოთხოვნა სსკ-ის 144-ე მუხლის საფუძველზე არის ხანდაზმული.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 21.06.2018წ. გადაწყვეტილებით სარჩელი თანხის დაკისრებისა და იპოთეკის საგნის რეალიზაციის თაობაზე, დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 12 000 აშშ დოლარის გადახდა, საიდანაც სესხის ძირი თანხაა – 11 000 აშშ დოლარი და პირგასამტეხლო – 1000 აშშ დოლარი. გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით სარეალიზაციოდ მიექცა იპოთეკის საგანი. აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა მოპასუხემ, მოითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 15 მაისის გადაწყვეტილებით: 1. სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; 2. გაუქმდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 1.1. პუნქტი, ასევე, სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტი და

ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. 3. მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა სესხის ძირი თანხა – 1500 აშშ დოლარი და პირგასამტეხლო – 136,35 აშშ დოლარი. 4. მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება 114.87 ლარის ოდენობით. 5. დანარჩენ ნაწილში პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი. 6. მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ დაეკისრა წარმომადგენლის დახმარებისათვის განუული ხარჯის ანაზღაურება 1102,67 ლარის ოდენობით; 7. მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ დაეკისრა ექსპერტიზის ხარჯის ნაწილის ანაზღაურება 313.26 ლარის ოდენობით, ასევე საფოსტო მომსახურებისთვის გადახდილი თანხის ნაწილის ანაზღაურება 6.55 ლარის ოდენობით.

6. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

7. 15.08.2012წ. ა. ჩ-სა და მოპასუხეს შორის გაფორმებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით მსესხებელმა სესხის სახით მიიღო 11 000 აშშ დოლარი, სამი თვის ვადით – 2012 წლის 15 ნოემბრამდე, ყოველთვიურად 4% სარგებლის დარიცხვით. პირგასამტეხლო განისაზღვრა ყოველ ვადაგადაცელებულ დღეზე თანხის – 0,1%-ის ოდენობით. ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად, იპოთეკით დაიტვირთა იპოთეკის საგანი.

8. 08.01.2015წ. ნოტარიუსმა გასცა სააღსრულებო ფურცელი, სადაც კრედიტორად მიეთითა – ა. ჩ-ი, ხოლო მოვალედ – მოპასუხე. აღსასრულებელი ვალდებულების მოცულობა განისაზღვრა შემდეგი სახით: სესხის ძირითადი თანხა – 11 000 აშშ დოლარი; პირგასამტეხლო – ყოველ ვადაგადაცელებულ დღეზე სესხის ძირითადი თანხის 0.1% (11 აშშ დოლარი დღეში) 2012 წლის 15 ნოემბრიდან აღსრულებამდე.

9. აღნიშნული სააღსრულებო ფურცელი გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 10.03.2016წ. გადაწყვეტილებით (საქმე №2/5929-15). გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში.

10. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 10.03.2016წ. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ: მოპასუხესა და ა. ჩ-ს შორის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა არ არსებობდა; 15.08.2012წ. სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების საფუძველზე მოპასუხისათვის სესხის სახით გადაცემული 11 000 აშშ დოლარი არ წარმოადგენდა ა. ჩ-ის კუთვნილ თანხას; სესხის თანხა ეკუთვნოდა მოსარჩელეს.

11. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 10.03.2016წ. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ფულადი ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება ა. ჩ-ს, როგორც კრედიტორს, არ გააჩნდა და გააუქმა ნოტარიუსის მიერ 08.01.2015წ. ა. ჩ-ის სასარგებლოდ გაცემული სააღსრულებო ფურცელი.

12. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილია და არც სააპელაციო საჩივარი შეიცავს საწინააღმდეგო მსჯელობას მასზე, რომ 15.08.2012წ. გაფორმებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების რეალურ მხარეს – გამსესხებელს წარმოადგენს მოსარჩელე. მოპასუხის მიერ 15.08.2012წ. სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ფულადი ვალდებულების შესრულების ანგარიშში გადახდილია 9500 აშშ დოლარი, კერძოდ, მოპასუხე, მის მიერ ვალდებულების შესრულების დასტურად მიუთითებდა საქმეში №2/5929-15 განთავსებულ აუდიო ჩანაწერზე, რომელშიც, მისივე განმარტებით, ასახულია მოსარჩელის და მოპასუხის მეუღლის კომუნიკაცია და მოსარჩელის მიერ სესხის და იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესრულების მიღების ფაქტი, წინამდებარე საქმის სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში განხილვის ეტაპზე მოპასუხის მიერ წარმოდგენილი იქნა ასევე, აუდიო ჩანაწერის ფონოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნა.

13. დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 12.03.2019წ. საოქმო განჩინებით დაკმაყოფილდა აპელანტის წარმომადგენლის, შუამდგომლობა და გამოთხოვილ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოდან სამოქალაქო საქმე №2/5929-15, რომელზეც არის მიღებული 2016 წლის 10 მარტის გადაწყვეტილება, სადაც მოსარჩელე, მოპასუხე შეგებებული სარჩელით არის ზ. ბ-ი; მოპასუხე, მოსარჩელე შეგებებული სარჩელით კი – ა. ჩ-ი, დავის საგანი ძირითადი სარჩელით – ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის (რეგისტრაციის №150011478) გაუქმება; დავის საგანი შეგებებული სარჩელით – პირგასამტეხლოს დაკისრება.

14. მოსარჩელემ მიიჩნია, რომ საქმეში №2/5929-15 არსებული აუდიო დისკი არის ფარული ჩანაწერი, რომელიც დაუშვებელი მტკიცებულებაა და წინამდებარე საქმეზე არ უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული. სააპელაციო სასამართლომ, აღნიშნა, რომ უწინარესად უნდა გარკვეულიყო, წარმოდგენს თუ არა აღნიშნული მტკიცებულება საქმეზე №2/5929-15 მიღებულ/დაშვებულ და შეფასებულ მტკიცებულებას, ეფუძნება თუ არა საქმეზე №2/5929-

15 მიღებული გადაწყვეტილებით დადგენილი რაიმე ფაქტობრივი გარემოება ამ ჩანაწერს. ამ თვალსაზრისით, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლზე, რომლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრება ხელშეუხებელია. ამ უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით და ყურადღება გაამახვილა ფარული ჩანაწერის, როგორც დაუშვებელი მტკიცებულების სამართლებრივ ბუნებაზე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგეში – სსსკ-ის) 103-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს იურიდიული ძალა არ აქვთ. ზოგადად, სამოქალაქო პროცესში მხარეთა საუბრის ამსახველი ჩანაწერი, თუ მხარემ მისი ჩანაწერის შესახებ არ იცოდა, დაუშვებელ მტკიცებულებას წარმოადგენს, რადგან იგი არღვევს საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებულ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას. თუმცა, მათი სასამართლოს მიერ დასაშვებ მტკიცებულებად ცნობა და გადაწყვეტილების მისაღებად მხედველობაში მიღება დასაშვებია, თუ აღნიშნული მტკიცებულების საქმეზე დართვას თავად კომუნიკაციის მონაწილე სუბიექტი ეთანხმება. ამასთან, თანხმობა უნდა ეხებოდეს არა მტკიცებულების ფორმალურ დასაშვებობას, არამედ იმას, რომ მტკიცებულების შინაარსი სასამართლომ გადაწყვეტილებას დაუდოს საფუძვლად. შესაბამისად, ნებისმიერი პირი უფლებამოსილია თავად გადაწყვიტოს მასთან დაკავშირებული ინფორმაციის, მათ შორის, მის მიერ არასაჯაროდ გამოთქმული აზრის გასაჯაროების საკითხი.

15. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ აღნიშნული აუდიო ჩანაწერი სამოქალაქო საქმეს №2/5929-15 ერთვის მტკიცებულების სახით და შეფასებულია სასამართლოს მიერ სარჩელზე მიღებულ არსებით გადაწყვეტილებაში. როგორც აღნიშნული საქმის მასალებით დგინდება, მტკიცებულების მატერიალურ დაუშვებლობასთან მიმართებით, ანუ ფარული ჩანაწერის, როგორც კანონის სანინაღმდეგოდ მოპოვებული მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის შესახებ, შედაგება არ განხორციელებულა. საქმეში №2/5929-15 წინამდებარე დავის მოსარჩელე ჟ. ო-ა წარმოადგენდა ა. ჩ-ის წარმომადგენელს. მან დაადასტურა ის ფაქტი, რომ ა. ჩ-ის სახელით გაცემული სესხი ფაქტობრივად იყო მის მიერ გაცემული თანხა და ის იყო სათანადო მოსარჩელე. ჟ. ო-ამ საქმის №2/5929-15 განხილვი-

სას სასამართლო სხდომაზე განმარტა, რომ ზ. ბ-ის წარმოდგენილ აუდიო ჩანაწერზე იყო უშუალოდ მისი, ჟ. ო-ას, ხმა. მან დაადასტურა ის გარემოება, რომ ჩანაწერზე არის მისი და ი. ხ-ას (ზ. ბ-ის მეუღლის) ხმა და გამოთქვა თანხმობა, სასამართლოს მოესმინა აღნიშნული ჩანაწერი (იხ.: საქმე №2/5929-15, 02.06.2015წ. სხდომის ოქმი, 13:44:25 – 13:46:05) ანუ, ჟ. ო-ა დაეთანხმა მტკიცებულების გამოკვლევას. იმავე სხდომაზე ჟ. ო-ამ განაცხადა, რომ მას ზ. ბ-თან აკავშირებდა მხოლოდ აღნიშნული სასესიო ურთიერთობა და მათ რაიმე სხვა ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა არ ჰქონდათ. ხოლო სასამართლოს კითხვაზე, მაშინ რა თანხის გადაცემაზე იყო საუბარი ფარულ ჩანაწერში, ჟ. ო-ამ განმარტა, რომ ვინაიდან ზ. ბ-ი მეუღლეს უმაღლავდა სესხის არსებობას, იგი უბრალოდ ყველაფერზე ეთანხმებოდა ი. ხ-ას, რასაც ამბობდა (იხ.: საქმე №2/5929-15, 02.06.2015წ. სხდომის ოქმი, 13:59:56-14:01:56). აუდიო ჩანაწერის შინაარსობრივ მხარეს და მისი შექმნის პროცესს განიხილავს ჟ. ო-ა 17.11.2015წ. სხდომაზეც და განმარტავს, რომ ჩანაწერი შექმნილია მის მანქანაში (იხ.: საქმე №2/5929-15, 17.11.2015წ. სხდომის ოქმი, 12:26:47-12:28:49).

16. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა 10.03.2016წ. გადაწყვეტილებაში მოცემულ მსჯელობაზე მასზედ, რომ: „...ხელშეკრულების დადებამდე და მის მერეც ზ. ბ-ი მოლაპარაკებებს აწარმოებდა ჟ. ო-ასთან, როგორც გამსესხებელთან და შემდგომ – კრედიტორთან. ზ. ბ-ისათვის სესხად მიღებული თანხების წარმომავლობაც კი იყო ცნობილი ჟ. ო-საგან, შესაბამისად, სარგებლის გადახდაც მისთვის ხდებოდა. ამ გარემოებას მხარეებიც ადასტურებენ. მხარეები, ასევე, სადავოდ არ ხდიან არც იმ გარემოებას, რომ მოსარჩელის მიერ მტკიცებულების სახით წარმოდგენილ აუდიო ჩანაწერში ისმის ჟ. ო-ას ხმა“. შესაბამისად, სასამართლომ უდავოდ დადასტურებულად ჩათვალა, რომ საქმეზე №2/5929-15 პროცესის სუბიექტთა ნების საფუძველზე აუდიო ჩანაწერი იქნა დასაშვებ მტკიცებულებად მიჩნეული, გამოკვლეული და სწორედ მას დაეფუძნა დასკვნა ჟ. ო-ას სათანადო მოსარჩელედ მიჩნევის და ამ საფუძველით, ა. ჩ-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ.

17. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო აუდიო ჩანაწერს მხარეთა თანხმობით გადაღებული აქვს მტკიცებულებათა დასაშვებობის ეტაპი, იგი ერთვის საქმეს №2/5929-15 და შეფასებულია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით.

18. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ დავაში, მართალია, წარმომადგენლის სახით, თუმცა, უშუალოდ მონაწილეობდა წინამდებარე დავის მოსარჩელე მხარე ჟ. ო-ა, რომელ-

მაც გამოთქვა თანხმობა სასამართლოს გამოეკვლია და შეეფასებინა მოსარჩელის მიერ წარდგენილი აუდიო ჩანაწერი და ცალსახად დაადასტურა, რომ აუდიო ჩანაწერში იყო მისი ხმა; აღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ სესხის ხელშეკრულებაში მითითებულ მხარეებს შორის რეალურად სამართლებრივი ურთიერთობა არ არსებობდა, ხელშეკრულების მხარეს წარმოადგენდა შ. ო-ა, რამაც განაპირობა ნოტარიუსის მიერ კრედიტორ ა. ჩ-ის სასარგებლოდ გაცემული სააღსრულებო ფურცლის გაუქმება და წარმოშვა რეალური კრედიტორის მიერ წინამდებარე დავის აღძვრის შესაძლებლობა.

19. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით დადგენილი წესით გამოკვლეული და შეფასებული უნდა იქნეს საქმეში №2/5929-15 წარმოდგენილი აუდიო ჩანაწერი დავის გადაწყვეტისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოების დადგენის მიზნით.

20. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ წინამდებარე დავაშიც აპელანტის მონინალმდევე მხარე ადასტურებდა და სადავოდ არ ხდიდა გარემოებას, რომ სადავო ჩანაწერში ისმის მოსარჩელის და ი. ხ-ას ხმა. მოპასუხის მიერ წარმოდგენილია სსმ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 12.03.2019წ. ფონოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნა, რომლითაც გაშიფრულია აუდიოჩანაწერის შინაარსი ტექსტის სახით, იდენტიფიცირებულნი არიან ჩანაწერში მონაწილე პირები და დადგენილია ჩანაწერის უწყვეტობა. რაც შეეხება უშუალოდ ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ საუბრის შინაარსს, ექსპერტიზის დასკვნაში საუბრის ეს მონაკვეთი გაშიფრულია შემდეგი სახით: „ი. ხ-ა: **ნუ ერთი სიტყვით; უბრალოდ მაინტერესებს, რო ანუ ზ-ს ეს თავი ფული თქვენგან აღებული აქვს თერთმეტი ათასი, ხო? შ. ო-ა: კი, კი. მაგი კი. ი. ხ-ა: თერთმეტი ათასი დოლარი. ესე იგი ცხრა ათას ხუთასი ეხლა მოცემული მაქვს. შ. ო-ა: აჰა. ი. ხ-ა: ნუ ხვალ ათას ხუთასს მოგცემთ და ეს თავი ფული გასტუმრებულია. შ. ო-ა: კი ბატონო. ი. ხ-ა: პროცენტი რამე აქვს გადახდილი? თვითონ როგორც მეუბნება მაქვსო გადახდილი. შ. ო-ა: კი, როგორ არა? კი, კი. გადახდილი აქ, მაგრამ მაგას ეხლა მე და ზ. დავიანგარიშებთ. მეც პროცენტს ვიხდი, თორემ მე ამით არ მიცხოვრია“. როგორც ექსპერტიზის დასკვნაში გაშიფრული აუდიო ჩანაწერის ტექსტური ვერსიის, ასევე CD დისკის უშუალოდ სასამართლოს მიერ გამოკვლევის და სსკ-ის 105-ე მუხლის შესაბამისად შეფასებით დგინდება, რომ მოპასუხის მეუღლის კითხვაზე: ზ. ბ-ს აღებული ჰქონდა თუ არა „თავი ფული“ 11 000 აშშ დოლარის ოდენობით, შ. ო-ამ ცალ-**

სახად და არაორაზროვნად დაადასტურა აღნიშნული. ყ. ო-ამ, ასევე, არაორაზროვნად დაადასტურა ის გარემოება, რომ 11 000 აშშ დოლარიდან მოვალეს მიცემული ჰქონდა 9 500 აშშ დოლარი და თუ მეორე დღეს მისცემდა 1500 აშშ დოლარს, „თავი ფული“ გასტუმრებული იქნებოდა. რაც შეეხება პროცენტს, ჩანანერში ყ. ო-ა განმარტავს, რომ ზ. ბ-ს გადახდილი აქვს პროცენტი, რასაც ის და ზ. შემდეგ თავად დაიანგარიშებდნენ (საქმე №2/5929-15).

21. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნულ აუდიო ჩანანერში გადმოცემული საუბრის შინაარსის გათვალისწინებით დადგენილად უნდა იქნეს მიჩნეული მოპასუხის მიერ 15.08.2012წ. სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ფულადი ვალდებულების შესრულების ანგარიშში 9500 აშშ დოლარის გადახდის ფაქტი. მოპასუხე, ასევე, მიუთითებდა მის მიერ 9500 აშშ დოლარის გარდა, დამატებით 1500 აშშ დოლარის გადახდაზე, თუმცა, აღნიშნული გარემოების დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება საქმეში წარმოდგენილი არ არის. შესაბამისად, მოპასუხემ ვერ დაადასტურა დამატებით 1500 აშშ დოლარის გადახდის ფაქტი. სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა გადანყევტილებამი მოცემულ მსჯელობა, რომ სარჩელი არ იყო ხანდაზმული.

22. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში – სსკ-ის) 623-ე მუხლის მიხედვით სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი. სსკ-ის 361-ე მუხლის მეორე ნაწილით, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ვინაიდან დადგენილია, რომ მოპასუხის მიერ 15.08.2012წ. სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ფულადი ვალდებულების შესრულების ანგარიშში გადახდილია 9500 აშშ დოლარი, სარჩელი საფუძვლიანია მოპასუხისთვის ძირი თანხის სახით 1500 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში. სსკ-ის 417-ე მუხლის თანახმად, პირგასამტეხლო წარმოადგენს მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრულ ფულად თანხას, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის. ამავე კოდექსის 418-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ პირგასამტეხლო. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე ითხოვდა სესხის ძირს – 11 000 აშშ დოლარს და პირგასამტეხლოს – 1000 დოლარს. გათვალისწინებით იმისა, რომ მოპასუხეს ძირი თანხის სახით ნაცვლად 11 000 აშშ დოლარისა, ეკისრება 1500 აშშ დოლარის გადახდა, შე-

საბამისი პროპორციით უნდა შემცირდეს დაკისრებული პირგასამტეხლო და ნაცვლად დაკისრებული 1000 აშშ დოლარისა, იგი უნდა განისაზღვროს 136,35 აშშ დოლარით.

23. სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ (მონინალმდევე მხარე), მოითხოვა მისი გაუქმება და პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადანყვეტილების ძალაში დატოვება. კასატორი, აგრეთვე, ასაჩივრებს სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 12 მარტის საოქმო განჩინებას (საქალაქო სასამართლოდან სამოქალაქო საქმის №2/5929-15 გამოთხოვის შესახებ) და 2019 წლის 3 მაისის საოქმო განჩინებას ექსპერტიზის 2019 წლის 12 მაისის დასკვნის საქმისათვის მტკიცებულებად დართვის შესახებ).

24. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მნიშვნელოვანი მატერიალური და საპროცესო სამართლებრივი დარღვევებით, რამაც საქმეზე არასწორი გადანყვეტილების მიღება განაპირობა. კასატორი მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ გადანყვეტილება დააფუძნა პირადი შეხვედრისას განხორციელებული საუბრების ფარულ აუდიოჩანაწერზე, რომელიც განხორციელდა მეორე მხარის ნებართვის გარეშე, ფარულად, არის ჩანერილი, ამიტომ იგი წარმოადგენს დაუშვებელ მტკიცებულებას. ამასთან ერთად, დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, თითქოსდა აუდიო ჩანაწერი შეფასებული იქნა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერაც. კასატორი აღნიშნავს, რომ საქმეში ამის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება, არ მოიპოვება. პირველი ინსტანციის სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია აუდიო ჩანაწერის არც დასაშვებობაზე და არც მის შინაარსზე. კასატორი მიუთითებს, რომ გასაჩივრებული გადანყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე – ფარული აუდიო ჩანაწერის კანონიერებასთან დაკავშირებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან (სუსგ №ას-1155-1101-2014, 04 მაისი, 2015 წელი; №ას-761-720-2015, 15 დეკემბერი, 2015 წელი) (იხ. საკასაციო საჩივარი).

25. საკასაციო საჩივრით გასაჩივრებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 12 მარტის საოქმო განჩინება თბილისის საქალაქო სასამართლოდან №2/5929-15 სამოქალაქო საქმის გამოთხოვის შესახებ, აგრეთვე, გასაჩივრებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 03 მაისის საოქმო განჩინება აპელანტის წარმომადგენლის შუამდგომლობის – საქმეზე მტკიცებულებად სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2019 წლის 12 მარტის დასკვნის დარ-

თვის შესახებ, დაკმაყოფილების თაობაზე. კასატორი მოითხოვს აღნიშნული საოქმო განჩინებების გაუქმებას.

26. კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული საოქმო განჩინებები მიღებულია კანონდარღვევით, რადგან პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, მოპასუხეს (აპელანტი) ან მის წარმომადგენელს არ დაუყენებია შუამდგომლობა თბილისის საქალაქო სასამართლოდან სამოქალაქო საქმე №2/5929-15 გამოთხოვისა და განსახილველ საქმეზე დართვის შესახებ. მოპასუხეს არანაირი საპატიო მიზეზი არ მიუთითებია, თუ რატომ არ დააყენა აღნიშნული შუამდგომლობა პირველ ინსტანციაში საქმის განხილვისას. შესაბამისად, არ არსებობდა სააპელაციო სასამართლოს მიერ აპელანტის შუამდგომლობის დაკმაყოფილების სამართლებრივი წინაპირობები, რის გამოც, სააპელაციო სასამართლოს მიერ დარღვეული იქნა სსსკ-ის 380-ე მუხლის დანაწესი. კასატორის მოსაზრებით, ასევე არ არის დასაბუთებული საქმეზე სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2019 წლის 12 მარტის დასკვნის დართვის შესახებ საოქმო განჩინება, რადგან საქსპერტო დასკვნა ეხება უკანონოდ გაკეთებულ აუდიო ჩანაწერს, რომლის მტკიცებულებად დართვა საქმეზე წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა უხეშ დარღვევას. ამ დარღვევების შედეგად კი, საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

სამოტივაციო ნაწილი:

27. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 10 ნოემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

28. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრების საფუძვლები და მიიჩნევს, რომ კასატორის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგი დასაბუთებით:

29. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

30. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ დადგინილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების პპ:7-11-ში მითითებული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

31. 15.08.2012წ. ა. ჩ-სა და მოპასუხეს შორის გაფორმებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით მსესხებელმა სესხის სახით მიიღო 11 000 აშშ დოლარი, სამი თვის ვადით – 2012 წლის 15 ნოემბრამდე, ყოველთვიურად 4% სარგებლის დარიცხვით. პირგასამტეხლო განისაზღვრა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე თანხის – 0,1%-ის ოდენობით. ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად, იპოთეკით დაიტივრთა იპოთეკის საგანი.

32. 08.01.2015წ. ნოტარიუსმა გასცა სააღსრულებო ფურცელი, სადაც კრედიტორად მიეთითა – ა. ჩ-ი, ხოლო მოვალედ – მოპასუხე. აღსასრულებელი ვალდებულების მოცულობა განისაზღვრა შემდეგი სახით: სესხის ძირითადი თანხა – 11 000 აშშ დოლარი; პირგასამტეხლო – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სესხის ძირითადი თანხის 0.1% (11 აშშ დოლარი დღეში) 2012 წლის 15 ნოემბრიდან აღსრულებამდე.

33. აღნიშნული სააღსრულებო ფურცელი გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 10.03.2016წ. გადაწყვეტილებით (საქმე №2/5929-15). გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში.

34. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 10.03.2016წ. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ: მოპასუხესა და ა. ჩ-ს შორის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა არ არსებობდა; 15.08.2012წ. სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების საფუძველზე მოპასუხისათვის სესხის სახით გადაცემული 11 000 აშშ დოლარი არ წარმოადგენდა ა. ჩ-ის კუთვნილ თანხას; სესხის თანხა ეკუთვნოდა მოსარჩელეს.

35. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 10.03.2016წ. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ფულადი ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება ა. ჩ-ს, როგორც კრედიტორს, არ გააჩნდა და გააუქმა ნოტარიუსის მიერ 08.01.2015წ. ა. ჩ-ის სასარგებლოდ გაცემული სააღსრულებო ფურცელი.

36. საკასაციო პალატა მიუთითებს სსსკ-ის 404-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესზე, რომლის თანახმად, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანი შეიძლება იყოს, აგრეთვე, სასამართლოს ის განჩინებები, რომლებიც წინ უსწრებს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას, იმისგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საერთო წესის მიხედვით, სასამართლოს ნებისმიერი განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს. თავისებურება მხოლოდ ისაა, რომ ზო-

გიერთი განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებისაგან დამოუკიდებლად (ცალკე) – კერძო საჩივრით (საჩივრით), ხოლო ზოგიერთი – მხოლოდ გადაწყვეტილებასთან ერთად. სასამართლოს იმ განჩინებების უსწორობასა და დაუსაბუთებლობაზე, რომლებიც შეიძლებოდა, გასაჩივრებულიყო კერძო საჩივრით, მაგრამ ამა თუ იმ მიზეზით არ გასაჩივრებულა, აგრეთვე – იმ განჩინებებზე, რომლებზეც კერძო საჩივრის შეტანა დაუშვებელია, შეიძლება მიეთითოს საბოლოო გადაწყვეტილების წინააღმდეგ შეტანილ სააპელაციო/საკასაციო საჩივარში. უნდა აღინიშნოს, რომ საბოლოო გადაწყვეტილების წინმსწრები განჩინებების ამ გადაწყვეტილებასთან ერთად გასაჩივრების მიზანი შეიძლება იყოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დაუსაბუთებლობის, მისი კანონის დარღვევით მიღების დადასტურება. შესაბამისად, თუ შემონმების შედეგად აღმოჩნდება, რომ საბოლოო გადაწყვეტილებასთან ერთად გასაჩივრებული წინმსწრები განჩინებები კანონის დარღვევითაა მიღებული, რამაც შემაჯამებელი გადაწყვეტილების იურიდიული დაუსაბუთებლობა გააპირობა, საკასაციო სასამართლო გააუქმებს როგორც შემაჯამებელ გადაწყვეტილებას, ისე, კანონის დარღვევით მიღებულ განჩინებებს. საკასაციო სასამართლოს ზემოხსენებული განმარტება შეესაბამება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ ერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკას (იხ. სუსგ №ას-217-209-2013, 20 სექტემბერი, 2013 წ.; №ას-555-526-2015 23 ოქტომბერი, 2015წ.).

37. საკასაციო საჩივრით გასაჩივრებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 12 მარტის საოქმო განჩინება თბილისის საქალაქო სასამართლოდან სამოქალაქო საქმე №2/5929-15 გამოთხოვის შესახებ, აგრეთვე, გასაჩივრებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 03 მაისის საოქმო განჩინება აპელანტის წარმომადგენლის შუამდგომლობის – საქმეზე მტკიცებულებად სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2019 წლის 12 მარტის დასკვნის დართვის შესახებ, დაკმაყოფილების თაობაზე.

38. კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული საოქმო განჩინებები მიღებულია კანონდარღვევით, რადგან პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, მოპასუხეს (აპელანტი) ან მის წარმომადგენელს არ დაუყენებია შუამდგომლობა თბილისის საქალაქო სასამართლოდან სამოქალაქო საქმე №2/5929-15 გამოთხოვისა და განსახილველ საქმეზე დართვის შესახებ. მოპასუხეს რაიმე საპატიო მიზეზი არ მიუთითებია,

თუ რატომ არ დააყენა აღნიშნული შუამდგომლობა პირველ ინსტანციაში საქმის განხილვისას. შესაბამისად, არ არსებობდა სააპელაციო სასამართლოს მიერ აპელანტის შუამდგომლობის დაკმაყოფილების სამართლებრივი წინაპირობები, რის გამოც, სააპელაციო სასამართლოს მიერ დარღვეული იქნა სსსკ-ის 380-ე მუხლის დანაწესი. კასატორის მოსაზრებით, ასევე არ არის დასაბუთებული საქმეზე სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2019 წლის 12 მარტის დასკვნის დართვის შესახებ საოქმო განჩინება, რადგან საქესპერტო დასკვნა ეხება უკანონოდ გაკეთებულ აუდიო ჩანაწერს, რომლის მტკიცებულებად დართვა საქმეზე წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა უხეშ დარღვევას. ამ დარღვევების შედეგად კი, საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

39. საკასაციო პალატამ კასატორის აღნიშნული პრეტენზიის ფარგლებში, შეისწავლა საქმის მასალები და დადგენილად მიჩნევს, რომ მოპასუხეს (აპელანტი) 2017 წლის 19 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოში წარდგენილ წერილობით შესაგებელში არ დაუყენებია შუამდგომლობა თბილისის საქალაქო სასამართლოდან სამოქალაქო საქმე №2/5929-15 გამოთხოვის შესახებ, ასევე, არ წარუდგენია მტკიცებულების სახით მოპასუხის მეუღლის მიერ თავისი საუბრის ჩანერის დამადასტურებელი სიდი დისკი. მტკიცებით შუამდგომლობაში მოპასუხემ მიუთითა მხოლოდ მონმეთა გამოძახების შესახებ. 2018 წლის 21 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვისას სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოპასუხე მხოლოდ ახსენებს ჩანაწერს, თუმცა, არ ითხოვს არც სხვა სამოქალაქო საქმის გამოთხოვას და არც სიდი დისკი აქვს წარდგენილი, მხოლოდ შუამდგომლობს მონმეთა დაკითხვის შესახებ, რაც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის საოქმო განჩინებით არ დაკმაყოფილდა.

40. 2018 წლის 01 აგვისტოს თავდაპირველი სააპელაციო საჩივრით აპელანტმა გაასაჩივრა, როგორც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 21 ივნისის ძირითადი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ, აგრეთვე, წინსმწრები განჩინებები, რომლითაც უარი ეთქვა მონმეთა დაკითხვისა და სიდი დისკის საქმეზე დართვაზე. აპელანტმა 2018 წლის 13 ნოემბერს წარადგინა დაზუსტებული სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვა გასაჩივრებული ძირითადი გადაწყვეტილების გაუქმებასთან ერთად, აუდიო ოქმის დართვის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ განჩინების გაუქმებაც. აპელანტმა მიუთითა სსსკ-ის 380-ე მუხლის დანაწეს-

ზე და აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის შუამდგომლობა მონმის დაკითხვისა და საქმეზე მტკიცებულების სახით აუდიო-დისკის დართვის შესახებ. აღნიშნული აუდიო მასალა ადასტურებს, რომ მოპასუხის მეუღლემ მოსარჩელეს დაუბრუნა სესხად მიღებული თანხა. აუდიო ფირზე აღბეჭდილია თანხის გადაცემის პროცესი და მხარეთა საუბარი ვალდებულების შესრულების შესახებ. აგრეთვე, მოპასუხის მიერ დასახელებულ მონმეებს უნდა დაედასტურებინათ ზ/აღნიშნული გარემოება, რაც პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, მხარეს უსაფუძვლოდ შეეზღუდა. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მხარეთა შეჯიბრებითობის გათვალისწინებით, უნდა მოახდინოს საქმეზე ახალი მტკიცებულების დართვა.

41. დაზუსტებულ სააპელაციო საჩივარში მოპასუხე აპელანტმა ასევე მიუთითა, რომ 2018 წლის 12 ნოემბერს განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა 2016 წლის 10 მარტის საქმეზე №2/5929-15 დართული აუდიო ჩანაწერის ასლის მიღება, ვინაიდან მხარეს ეგზემპლარი არ გააჩნია. ამ მასალის მიღების შემდეგ კი, აპირებს მიმართოს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს აუდიო ჩანაწერის ნამდვილობის დადგენის მიზნით ექსპერტიზის ჩასატარებლად და შუამდგომლობს საპატიო მიზეზის გამო, საექსპერტო დასკვნის ახალ მტკიცებულებად მიღების თაობაზე.

42. 2019 წლის 12 მარტს თბილისის სააპელაციო სასამართლოში გამართულ სასამართლო სხდომაზე, აპელანტმა შუამდგომლობით მიმართა სააპელაციო სასამართლოს, თბილისის საქალაქო სასამართლოდან საქმის №2/5929-15, რომელზეც 2016 წლის 10 მარტს მიღებული იქნა გადაწყვეტილება, გამოთხოვის შესახებ. აღნიშნული შუამდგომლობა დაკმაყოფილდა სააპელაციო სასამართლოს საოქმოდ განჩინებით.

43. 2019 წლის 03 მაისს თბილისის სააპელაციო სასამართლოში გამართულ სასამართლო სხდომაზე, აპელანტმა შუამდგომლობით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს 2019 წლის 12 მარტის დასკვნის საქმეზე მტკიცებულებად დართვა. აღნიშნული შუამდგომლობა დაკმაყოფილდა სააპელაციო სასამართლოს საოქმოდ განჩინებით.

44. საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, ყურადღება გაამახვილოს სამართალწარმოების ფუნდამენტურ პრინციპებზე: მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით რეგლამენტირებულია პროცესის შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე წარმართვა და დადგენილია, რომ მხარეებს აქვთ როგორც

ფაქტების მითითების, აგრეთვე, მტკიცებულებათა წარდგენის გზით საკუთარი პოზიციის დადასტურების შესაძლებლობა. გარდა ამისა, დემოკრატიულ საზოგადოებაში ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება მხარეთა თანასწორობის დაცვას (სსსკ-ის მე-5 მუხლი), რაც იმას ნიშნავს, რომ საქმის განხილვის თითოეულ ეტაპზე სასამართლო ინარჩუნებს ნეიტრალიტეტს და მოსამართლეს მიუკერძოებლად, მხოლოდ მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებისა და მტკიცებულებათა ობიექტური შეფასების გზით, უყალიბდება შინაგანი რწმენა დავის გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ამა თუ იმ ფაქტის არსებობის თაობაზე. საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ განსაზღვრავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს როლს საერთო სასამართლოების სიტემაში და ადგენს, რომ უზენაესი სასამართლო დადგენილი საპროცესო ფორმით ზედამხედველობს მართლმსაჯულების განხორციელებას საქართველოს საერთო სასამართლოებში. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესი, ადგენს უზენაესი სასამართლოს მხრიდან დავის ფაქტობრივი ნაწილის შეფასების ფარგლებს, კერძოდ, საკასაციო სასამართლო თავად ვერც ახალ ფაქტებს დაადგენს და ვერც ახალ განმარტებებს მიიღებს მხარეებისგან.

45. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთ გადანყვეტილებაში უთითებს, რომ ეროვნული სასამართლოს გადანყვეტილება უნდა პასუხობდეს მხარის მიერ სამართლებრივ და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილი არგუმენტების ძირითად ასპექტებს (იხ., გადანყვეტილება საქმეზე *Ruiz Torija v. Spain*, §§ 29-30). შესაბამისად, უფლება მოსმენაზე მოიცავს არა მხოლოდ სასამართლოს წინაშე არგუმენტების წარდგენის შესაძლებლობას, არამედ, სასამართლოს ვალდებულებას, გადანყვეტილების დასაბუთებაში მიუთითოს მიზეზები, რომელთა საფუძველზეც გაიზიარა ან უარყო შესაბამისი არგუმენტები. სასამართლომ შეიძლება აუცილებლად არ მიიჩნიოს იმგვარ არგუმენტებზე პასუხის გაცემა, რომლებიც აშკარად არარელევანტური, დაუსაბუთებელი ან სხვაგვარად დაუშვებელია მსგავსი არგუმენტების მიმართ არსებული სამართლებრივი დებულებების ან მყარად დადგენილი სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, თუმცა, ყველა გადანყვეტილება უნდა იყოს ნათელი და საქმეში მონაწილე მხარეებს შესაძლებლობას უნდა აძლევდეს გაიგონ, თუ რატომ გაითვალისწინა სასამართლომ მხოლოდ კონკრეტული გარემოებები და მტკიცებულებები (იხ., გადანყვეტილება საქმეზე *Seryavin and Others v. Ukraine* §§55-62). სასამართლოს აქვს ვალდებულება, სათანადოდ იმსჯელოს მხარეთა

მიერ წარდგენილ დოკუმენტებზე, არგუმენტებსა და მტკიცებულებებზე (იხ. *Kraska v. Switzerland*, §30; *Van de Hurk v. the Netherlands*, §59; *Perez v. France*, §80). ამასთან, მხარეებს უნდა ჰქონდეთ არა მხოლოდ იმის შესაძლებლობა, რომ იცოდნენ იმ მტკიცებულებათა შესახებ, რომლებიც მათ სჭირდებათ თავიანთი სარჩელის წარმატებისათვის, არამედ, ჰქონდეთ კომენტარის გაკეთების საშუალება ყველა იმ მტკიცებულებასთან და მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომლებიც წარდგენილია სასამართლოს აზრის ფორმირებაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით (იხ. *Milatova and others v. The Czech republic* §59; *Niderost-huber v. Switzerland*, §24; *K.S. v. finland* § 21; ასევე, სუსგ №ას-1191-1133-2014, 14 მაისი, 2015 წელი).

46. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზება უმეტესწილად დამოკიდებულია და გულისხმობს სასამართლოს მიერ დასაბუთებული, მტკიცებულებათა შეჯერების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების მიღებას. მტკიცების ტვირთის როლი განსაკუთრებით ვლინდება სამოქალაქო სამართალწარმოებაში, სადაც მხარეთა ნების ავტონომიას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. შესაძლებელია მხარის მოთხოვნა საფუძვლიანი იყოს, მაგრამ შეუძლებელია მხარემ მიიღოს თავისი სასარგებლო გადაწყვეტილება, თუ ვერ დაამტკიცებს თავისი სასარგებლო გარემოებებს საპროცესო სამართლით დადგენილი წესით. ამიტომაც, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ფაქტების მითითების ტვირთისა და ფაქტების დამტკიცების ტვირთის სწორი გადანაწილება მოდავე მხარეებს შორის.

47. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი. ამავე კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული შესაგებლები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა

იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. შეჯიბრებითობის პრინციპ-მა თავისი ასახვა ჰპოვა სსსკ-ის მთელ რიგ სხვა ნორმებში.

48. შეჯიბრებითობის პრინციპის შინაარსის ანალიზი საფუძველს გვაძლევს გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები: 1. შეჯიბრებითობის პრინციპი მოიცავს მხარეთა საქმიანობას მხოლოდ საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების სფეროში. საკითხი იმის შესახებ, რომ სასამართლო საქმის განხილვას (სამოქალაქო პროცესს) იწყებს მხოლოდ დაინტერესებული პირის მოთხოვნით, ან, რომ სასამართლო არ უნდა გასცდეს მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს და ა.შ. განეკუთვნება არა შეჯიბრებითობის, არამედ დისპოზიციურობის პრინციპის სფეროს. 2. მხარეთა მოთხოვნების თუ შესაგებლის ფაქტობრივი (და არა იურიდიული) დასაბუთება (გამართლება) ეკისრებათ თვითონ მხარეებს. 3. მხარეებმა თვითონ უნდა განსაზღვრონ, თუ რომელი ფაქტები დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს (შესაგებელს). ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული აგრეთვე სსსკ-ის 178-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტში, რომლის თანახმად, სარჩელში აღნიშნული უნდა იყოს გარემოებები, რომლებზეც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს, აგრეთვე, სსსკ-ის 201-ე მუხლში, რომლის თანახმად, თუ მოპასუხე სარჩელს არ ცნობს, მან უნდა მიუთითოს რა კონკრეტულ გარემოებებს ემყარება მისი შესაგებელი სარჩელის წინააღმდეგ. 4. მხარეებმა თვითონ უნდა მიუთითონ მტკიცებულებებზე, რომელთა საფუძველზე უნდა დამტკიცდეს (დადასტურდეს) მათ მიერ თავიანთი მოთხოვნის (შესაგებლის) დასაბუთების მიზნით მითითებული ფაქტები. ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული სსსკ 178-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტში, რომლის თანახმად სარჩელში აღნიშნული უნდა იყოს მტკიცებულებანი, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს (ე.ი. მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებულ გარემოებებს), აგრეთვე, სსსკ-ის 201-ე მუხლში, რომლის თანახმად, მოპასუხემ თავის პასუხში (შესაგებელში) უნდა მიუთითოს რა მტკიცებულებებით შეიძლება დამტკიცდეს ეს გარემოებები, ე.ი. მოპასუხის მიერ თავის შესაგებელში მითითებული გარემოებები.

49. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ კონცენტრირებულად შეჯიბრებითობის პრინციპი გამოხატულია სსსკ-ის 102-ე მუხლში, რომლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. შეჯიბრებაში გამარჯვებულად გამოცხადდება მხარე, რომელმაც უკეთ შეძლო დაერწმუნებინა სასამართლო თავისი მოთხოვნის (შესაგებლის) ფაქტობრივ დასაბუთებულობაში, ანუ მხარე, რომელმაც მიუთითა ფაქტებზე, რომლებიც იურიდიულად ამართლებენ მოთხოვნას (შესაგებელს) და წარმოუდგინა სასამართლოს

მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ ამ ფაქტებს.

50. საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს იმ საკითხზე, თუ რა როლი შეუძლია შეასრულოს სასამართლომ მხარეთა შეჯიბრების პროცესში. ფაქტიურად ესაა საკითხი, თუ რა ზომითაა გამოყენებული სამძებრო პრინციპის ელემენტები სამოქალაქო სამართალწარმოებაში. სსსკ-ის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის გარემოებათა გასარკვევად სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით მიმართოს ამ კოდექსში გათვალისწინებულ ღონისძიებებს. სამართლებრივი მნიშვნელობის საკითხია, თუ რა შინაარსის შეიძლება იყოს ეს ღონისძიებები.

51. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სამოქალაქო პროცესში დადგენილი უნდა იქნეს სამი სხვადასხვა ხასიათის, შინაარსისა და შედეგების მიხედვით ისეთი ფაქტები, როგორიცაა: 1) ფაქტები, რომლებსაც უკავშირდება მხოლოდ პროცესუალურ სამართლებრივი შედეგი (სარჩელის მიღება წარმოებაში, ან ასეთ მიღებაზე უარის თქმა); 2) ფაქტები, რომლებსაც უკავშირდება მატერიალურ სამართლებრივი შედეგი, ანუ მთავარი საძიებელი ფაქტები (სარჩელის დაკმაყოფილება, ან მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა); 3) მტკიცებულებები ფაქტები, რომელთა მეშვეობით ხორციელდება მთავარი, ანუ გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცება – დადასტურება.

52. შესაბამისად, სამოქალაქო პროცესში მტკიცების საგანია მატერიალურ სამართლებრივი მნიშვნელობის ფაქტები, რომლებზეც მიუთითებენ მხარეები თავიანთი მოთხოვნების (შესაგებლის) დასაბუთება-გამართლების მიზნით. რა კრიტერიუმით უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ მტკიცების საგნის განსაზღვრისას. სარჩელის აღძვრით მოსარჩელეს სურს გარკვეული შედეგის დადგომა (ნივთის მიკუთვნება, ვალის დაბრუნება, ზიანის ანაზღაურება, ხელშეკრულების მოშლა და ა.შ.), მისი ეს სურვილი აისახება სარჩელის იმ ელემენტში, რომელსაც სარჩელის საგანი ეწოდება. ამრიგად, სარჩელის საგანს ქმნის მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი. მაგრამ, მოსარჩელისათვის სასურველი შედეგის დადგომა, მისი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია მხოლოდ გარკვეული ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც კანონი უკავშირებს მოსარჩელის მატერიალურ სამართლებრივი მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ზუსტად იგივე უნდა განსაზღვროს იმ ფაქტების წრემ, რომლებსაც უკავშირდება მხარეთა მოთხოვნის (შესაგებლის) ფაქტობრივი დასაბუთებულობა. მიუთითონ ფაქტებზე, რომლებიც ასაბუთებენ მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს, არის თვითონ მხარეთა მოვალეობა.

53. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მხარეთა მიერ დაშვე-

ბული შეცდომა ფაქტების მითითების დროს, შეიძლება გამოიხატოს იმით, რომ „მათ არ მიუთითეს ყველა იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომელსაც აქვს მნიშვნელობა საქმეზე სწორი გადამწყვეტილების გამოტანისათვის. მხარეთა მიერ დაშვებულ შეცდომას სასამართლო ვერ გამოასწორებს: სასამართლო ვერ „გაამდიდრებს“, ვერ შეავსებს მხარეთა მიერ მითითებულ ფაქტებს, რადგან მხოლოდ მხარეებს შეუძლიათ განსაზღვრონ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს (სსსკ-ის მე-4 მუხლი)“.

(იხ. თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2005, გვ. 215.).

54. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება მტკიცების საგნის განსაზღვრის კრიტერიუმის შესახებ შემდეგი დასკვნის გაკეთება: მტკიცების საგანში შედიან მხარეთა მიერ მითითებული ფაქტები, რომლებიც სასამართლოს შეხედულებით სამართლებრივად ასაბუთებენ (ამართლებენ) მათ მოთხოვნებს და შესაგებელს. კრიტერიუმი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლო იმისათვის, რომ სწორად განსაზღვროს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებიდან, თუ რომელი ამართლებს სამართლებრივად მხარეთა მოთხოვნებს (შესაგებელს) და რომელი არა, ესაა სარჩელის საგანი (მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი), მოპასუხის შესაგებელი და მატერიალურ სამართლებრივი ნორმა.

55. „სამართლებრივი დავისას სამოქალაქო საქმის განმხილველ მოსამართლეს ორი ამოცანა აქვს დასაძლევ: პირველ რიგში, მან უნდა გამოარკვიოს, თუ რა მოხდა სინამდვილეში. მეორე რიგში კი, მოსამართლემ სამართლებრივად უნდა შეაფასოს ფაქტობრივი გარემოებები და დაადგინოს, არსებობს თუ არა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი. მოსარჩელემ სასამართლოს უნდა მიუთითოს ყველა იმ გარემოებაზე, რომლებიც კანონის მიხედვით ასაბუთებს სასარჩელო მოთხოვნას. თუ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ვერ აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნას, მაშინ სარჩელი უკვე ამ საფუძველზე არ უნდა დაკმაყოფილდეს. ასეთ შემთხვევაში მოსამართლეს არა აქვს უფლება, საკუთარი ინიციატივით მოიძიოს სასარჩელო მოთხოვნის დამადასტურებელი გარემოებები და შეაგროვოს მტკიცებულებები. თუ მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებულია ყველა იმ გარემოებაზე, რომლებიც კანონის მიხედვით ადასტურებენ მოთხოვნის არსებობას, მაშინ უკვე მოპასუხეზეა დამოკიდებული, ამ გარემოებების არსებობის უარყოფა“ (იხ. თომას ჰერმანი, მტკიცებულებითი სამართალი, GIZ, თბილისი, 2016, გვ.3-4). „მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებიდან ერთი ნაწილი უნდა დაამტკიცოს მოსარჩელემ, მეორე ნაწილი კი – მოპასუხემ. ამასთან ერთად, დამ-

ტიციების ტვირთის განაწილების საფუძველზე, მოსარჩელე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს და პირიქით, მოპასუხე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს. მტიციების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ინსტიტუტი მიუთითებს არა მარტო იმაზე, თუ რომელმა მხარემ რა ფაქტები უნდა დაამტკიცოს, არამედ იმაზეც, თუ რომელი ფაქტების დადგენის მოვალეობისაგან თავისუფლდება ესა თუ ის მხარე. შესაბამისად, მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხემ კი – ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს“ (იხ. ჰ. ბოელინგი, ლ, ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდისა, თბ., 2004, გვ.64). შეუძლია თუ არა სასამართლოს თავისი ინიციატივით შეიტანოს მტიციების საგანში და საფუძველად დაუდოს გადაწყვეტილებას ფაქტები, რომლებზეც მხარეები არ მიუთითებენ? იურიდიულ დოქტრინაში გაბატონებული მოსაზრების თანახმად, სასამართლოს ეს არ შეუძლია (იხ. დამატებით: თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2005, გვ. 87; ჰ. ბოელინგი, ლ, ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდისა, თბ., 2004, გვ.64).

56. სასამართლოს შეუძლია მხოლოდ მხარეთა ახსნა-განმარტების მოსმენის დროს, რაც შეიძლება მოხდეს მოსამზადებელ სხდომაზე (სსსკ-ის 205-ე მუხლი) ან მთავარ სხდომაზე (სსსკ-ის 218-ე მუხლი), შეკითხვების მიცემის საშუალებით კიდევ ერთხელ დააზუსტოს ფაქტიური გარემოებები, რომლებსაც ემყარება მხარეთა მოთხოვნა (შესაგებელი). ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული სსსკ-ის 128-ე მუხლში, რომლის თანახმად, სასამართლოს უფლება აქვს შეკითხვები მისცეს მხარეებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულად და ზუსტად განსაზღვრას. საგულისხმოა სსსკ-ის 219-ე მუხლის დანაწესი იმის შესახებ, რომ მხარეები შეზღუდული არიან, ახსნა-განმარტების მოსმენისას წარადგინონ ახალი მტიციებულეებები ან მიუთითონ ახალ გარემოებებზე, რომელთა შესახებაც არ ყოფილა მითითებული სარჩელსა თუ შესაგებელში ან საქმის მომზადების სტადიაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მათ შესახებ, თავის დროზე, საპატიო მიზეზით არ იყო განცხადებული. ამრიგად, ფაქტებზე თვითონ მხარეებმა უნდა მიუთითონ. სასამართლოს შეუძლია მხოლოდ მხარეთა გამოკითხვისა და შეკითხვების მიცემის გზით ხელი შეუწყოს გადაწყვეტილებისათვის მნიშ-

ვენელობის მქონე ფაქტების სრულად და ზუსტად განსაზღვრას.

57. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მხარეთა ნამდვილი შეჯიბრება რეალურად შეუძლებელი იქნებოდა, რომ არ იყვნენ ამ შეჯიბრებაში მონაწილე მხარეები თანასწორნი. მხარეთა პროცესუალური თანასწორობის განმსაზღვრელი ძირითადი ნიშნები და მიმართულებანი ჩამოყალიბებულია სსსკ-ის 4.1 მუხლში, რომლის თანახმად მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეთა პროცესუალური თანასწორობის პრინციპითაა გამსჭვალული საპროცესო კანონმდებლობის თითქმის ყოველი ნორმა, დანყებული საქმის მომზადების სტადიით და დამთავრებული გადანყვეტილების გამოტანით და მისი გასაჩივრებით. მაგალითად, სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ მოპასუხეს ეგზავნება ამ სარჩელისა და მასზე დართული დოკუმენტების ასლები. მოპასუხეს, თავის მხრივ, შეუძლია ცნოს სარჩელი, ან არ ცნოს, მაგრამ თუ არ ცნობს – უნდა წარმოუდგინოს სასამართლოს წერილობითი ფორმით შედგენილი პასუხი სარჩელზე და მასზე თანდართულ საბუთებზე. ამ წერილობით პასუხში მანვე უნდა აცნობოს სასამართლოს, თუ რა საპროცესო საშუალებებით აპირებს მოსარჩელისაგან თავის დაცვას. ისე, როგორც მოსარჩელეს, მოპასუხეს სრული უფლება აქვს არამართო გამოთქვას თავისი მოსაზრებები მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ფაქტების უარსაყოფად, არამედ, წარმოუდგინოს სასამართლოს ფაქტები და მტკიცებულებები, რომლებიც ამართლებენ მის შესაგებელს, აქარწყლებენ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, ადასტურებენ ამ მტკიცებულებების სიყალბეს ან არასარწმუნოობას და ა.შ. სასამართლო, ვერ გამოიტანს გადანყვეტილებას, თუ მან არ მოუსმინა ორივე დაპირისპირებულ მხარეს ან არ მისცა მათ შესაძლებლობა გამოიყენონ საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა უფლება და მექანიზმი თავიანთი პოზიციის გასამართლებლად, თავიანთი უფლებების დასაცავად.

58. „მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა სამოქალაქო საპროცესო სამართლის უმნიშვნელოვანესი პრინციპია, რაც პირველ რიგში, გულისხმობს მოსარჩელისა და მოპასუხისათვის თანაბარი პროცესუალური შესაძლებლობების მინიჭებას. შეჯიბრებითობის პრინციპი ეფუძნება მხარეთა თანაბარ შესაძლებლობას, აღიჭურვონ სათანადო საპროცესო ინსტრუმენტებით...“ (მდრ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადანყვეტილება საქმეზე №1/8/594; 2017 წლის 01 დეკემბრის გადანყვეტილება საქმეზე №2/6/746).

59. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სარჩელისაგან მოპასუხის თავდაცვის ისეთ ეფექტურ საშუალებას, როგორცაა შესაგებელი. შესაგებელი, როგორც მოპასუხის საპროცესო თავდაცვის საშუალება მნიშვნელოვანი ინსტიტუტია სამოქალაქო სამართალწარმოებაში, მასში ვლინდება წერილობითი შეჯიბრებითობის პრინციპი. იგი ასევე, ერთგვარი გამოხატულებაა დისპოზიციურობის (სსსკ-ის მე-3 მუხლი) პრინციპისა, რომელიც უზრუნველყოფს მხარეთა საპროცესო უფლებების ავტონომიურად განკარგვის შესაძლებლობას. საპროცესო ავტონომიის ფარგლებში მოპასუხის გადასაწყვეტია ცნობს თუ არა სარჩელს, დაასრულებს თუ არა საქმეს მორიგებით, ან რა სახის საპროცესო თავდაცვის საშუალებას გამოიყენებს, რაც გარკვეულწილად დავაში შესვლას და სარჩელში მითითებულ გარემოებებზე პასუხის გაცემას გულისხმობს. შესაბამისად, სარჩელის წარმატება იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად კვალიფიციურად დაიცავს თავს მოპასუხე სარჩელისაგან.

60. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ვიდრე საქმის არსებითად განხილვა დაიწყება სასამართლოში, მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს საქმის მომზადება, რომელიც, მათ შორის, მხარეთა წერილობითი პოზიციების გაცვლას მოიცავს. სწორედ ამ მიზანს ემსახურება, ერთი მხრივ, სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მოპასუხისათვის, ხოლო მეორე მხრივ, შესაგებლისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მოსარჩელისთვის ჩაბარება. სასამართლომ მკაცრად უნდა გააკონტროლოს ამ კონტექსტში მხარეთა საპროცესო უფლებების დაცვა (წერილობითი დოკუმენტაციის სრულყოფილად მიღება და პასუხის გასაცემად გონივრული ვადის დადგენა), წინააღმდეგ შემთხვევაში, სახეზე იქნება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 6.1 მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა. მოპასუხეს მისთვის გზავნილის (სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლები) ჩაბარების შემდეგ წარმოეშობა შესაგებლის წარდგენის ვალდებულება. შესაგებელი, ისევე როგორც სარჩელი, ყველა შემთხვევაში წერილობითი ფორმით (როგორც წესი ნაბეჭდი სახით) უნდა იყოს შედგენილი.

61. კანონმდებლის ამგვარი მოთხოვნა გამომდინარეობს წერილობითი სამართალწარმოების პრინციპიდან, რაც წინა ეტაპია ზეპირი სამართალწარმოებისა და რასაც ვერ ჩაანაცვლებს მხარეთა მოსმენის პრინციპი, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო პროცესი დაკარგავდა განსაზღვრულობის სახეს და მივიღებდით საპროცესო მოქმედებების ქაოსს. მხარეს უფლება აქვს წინასწარ, საქ-

მის არსებითად განხილვის დაწყებამდე იცოდეს, რაზე აფუძნებს მეორე მხარე თავის მოთხოვნას ან რა საპროცესო საშუალებებით აპირებს თავის დაცვას. მხარეებს უნდა მიეცეთ ეფექტური სამართლებრივი დაცვის საშუალება, რათა დაიცვან საკუთარი სამოქალაქო უფლებები, რაც სამართლიანი სასამართლოს უფლების მოთხოვნაა.

62. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ამგვარი მიდგომა სრულადაა შესაბამისობაში სამართლებრივი სიცხადის პრინციპთან. ამიტომაცაა კანონმდებელი ასეთი მკაცრი მოპასუხის მხრიდან თავისი საპროცესო მოვალეობის დარღვევის მიმართ და სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის წარუდგენლობის შედეგს უკავშირებს არა სამართალწარმოების გაგრძელებას, არამედ, ზეპირი მოსმენის გარეშე, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას. ამ თვალსაზრისით, სასამართლო პრაქტიკასა თუ დოქტრინაში შესაგებლის წარუდგენლობა სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობას უთანაბრდება (იგარაუდება, რომ მხარემ დაკარგა იურიდიული ინტერესი დავის მიმართ), ანუ სამართლებრივი შედეგი იგივეა, რაც მოპასუხის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობისას – მოსამართლე სარჩელში მითითებულ, დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვან ფაქტებს შეუდავებლად (დამტკიცებულად) მიიჩნევს. ამასთან, თუ სარჩელში მითითებული ფაქტები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილებდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსამართლე ნიშნავს სხდომას, ხოლო სხდომის ჩატარების შემთხვევაში, მოპასუხე ვერ განახორციელებს ფაქტობრივ შედავებას, მათ შორის მტკიცებულებათა წარდგენას (სსსკ-ის 232¹-ე მუხლი), შესაბამისად, მოპასუხეს მხოლოდ სამართლებრივი შედავების უფლება რჩება. ვინაიდან საქმის განხილვის და დავის გადაწყვეტის მთავარი ფიგურანტი მოსამართლეა, მას ჯერ კიდევ წერილობითი ფორმით წარდგენილი სარჩელიდან და შესაგებლიდან უნდა შეექმნას წარმოდგენა დავის სურათზე (ფაბულა), მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველზე (სარჩელით მოთხოვნილი შედეგის განმსაზღვრელი ნორმა), მოთხოვნის წინაპირობებზე (ნორმის შემადგენლობა), მტკიცების საგანსა (სადავო გარემოება, რომელიც უნდა დამტკიცდეს) თუ სარჩელის პერსპექტიულობაზე. იმის მიხედვით, რამდენად აკმაყოფილებს სარჩელი და შესაგებელი ფორმალური დასაბუთებულობის (გამართულობის) მოთხოვნებს, მოსამართლე ნიშნავს მოსამზადებელ ან მთავარ სხდომას. შესაბამისად, თუ მოსამართლე დანიშნავს მოსამზადებელ სხდომას, მან აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს მხარეთა საპროცესო უფლებები – დააზუსტონ/შეავსონ სარჩელში/შესაგებელში მითითებული გარემოებები (სსსკ-ის 83-ე მუხლი).

დასაბუთებულობის მოთხოვნა გამოიყენება შესაგებელთან მიმართებაშიც, ამ დროს, მონმდება როგორი შესაგებელი წარადგინა მოპასუხემ (მოთხოვნის შემწყვეტი, შემაფერხებელი, გამომრიცხავი). შესაგებლის შინაარსიდან უნდა მიხვდეს მოსამართლე, რომელია უდავო და რომელია სადავო მტკიცებების საგანში შემავალი ფაქტები. შესაგებლის ინსტიტუტი, სარჩელის ინსტიტუტთან ერთად ერთგვარი გზამკვლევაა მტკიცებების სტადიისა, რომელზე გადასვლაც არ ხდება, ვიდრე არ ამოინურება მხარეთა პოზიციების (სარჩელი; შესაგებელი; მოპასუხის მხრიდან არსებითი შედავების შემთხვევაში მოსარჩელის პასუხი და ა.შ.) ურთიერთგაცვლა და უდავო გარემოებების იდენტიფიცირება. საქმის განმხილველი მოსამართლის გადასაწყვეტია, თუ რა ფაქტობრივი აღწერილობა (ფაბულა) უნდა დაუდოს საფუძვლად საკუთარ მსჯელობას, თავის მხრივ, მთავარ როლს ფაბულის შექმნაში მხარეები ასრულებენ, რაც სრულად პასუხობს შეჯიბრებითობის პრინციპის მოთხოვნებს. ერთი მხრივ, რელევანტური ფაქტების დახარისხება ხდება სამართლის ნორმის მიხედვით, ხოლო მეორე მხრივ, ფაქტები განსაზღვრავენ, რომელია მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა. აქედან გამომდინარე, დავის გადაწყვეტაში სარჩელთან ერთად შესაგებლის, როგორც საპროცესო ინსტიტუტის როლი, უაღრესად მნიშვნელოვანია.

63. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შესაგებლის ზოგადი კლასიფიკაცია შემდეგია: მატერიალური და საპროცესო შესაგებელი; აბსტრაქტული (ზოგადი) და კონკრეტული შესაგებელი; მარტივი და კვალიფიციური (არსებითი) შესაგებელი. რა ტიპის შესაგებელს წარადგენს მოპასუხე, სრულად თავსდება ამ უკანასკნელის ნების ავტონომიის ფარგლებში. კონკრეტული შესაგებლის წარდგენის ვალდებულება გამომდინარეობს სსსკ-ის 201-ე მუხლის მე-4 ნაწილის შინაარსიდან (ივარაუდება, რომ შედავებული უნდა იყოს დავის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანი ფაქტები და არა სამართლებრივი მოსაზრებები, ე.ი. ისეთი ფაქტები, რომელთა არსებობა წარმოშობენ მოთხოვნას), წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები, დამტკიცებულად ითვლება. მოსამართლემ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს პირველ რიგში საპროცესო შესაგებელს, ხოლო ამის შემდეგ მატერიალურ შესაგებელს.

64. მატერიალური შედავება მიმართულია სარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი შედეგის მიღწევის წინააღმდეგ, რაც გულისხმობს მოპასუხის მხრიდან ისეთ ფაქტებზე (წინაპირობებზე) მითითებას, რომლებიც გამორიცხავენ, წყვეტენ ან აფერხებენ (განუხორციელებელს ხდიან) სარჩელით მოთხოვნილი შედეგის დად-

გომას.

65. საკასაციო პალატამ ერთ-ერთ საქმეზე აღნიშნა, რომ სსსკ-ის 201-ე მუხლის მეოთხე და მეხუთე ნაწილების თანახმად, „პასუხში (შესაგებელში) სრულყოფილად და თანამიმდევრობით უნდა იყოს ასახული მოპასუხის მოსაზრებები სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. თუ მოპასუხე არ ეთანხმება სარჩელში მოყვანილ რომელიმე გარემოებას, იგი ვალდებულია მიუთითოს ამის მიზეზი და დაასაბუთოს შესაბამისი არგუმენტაციით; წინააღმდეგ შემთხვევაში მას ერთმევა უფლება, შეასრულოს ასეთი მოქმედება საქმის არსებითად განხილვის დროს. მოპასუხე ვალდებულია, პასუხს დაურთოს მასში მითითებული ყველა მტკიცებულება. თუ მოპასუხეს საპატიო მიზეზით არ შეუძლია პასუხთან ერთად მტკიცებულებათა წარდგენა, იგი ვალდებულია, ამის შესახებ მიუთითოს პასუხში. წინააღმდეგ შემთხვევაში მოპასუხეს ერთმევა უფლება, შემდგომში წარადგინოს მტკიცებულებები). სამოქალაქო პროცესში მტკიცების საგანი, რომელიც წარმოადგენს სადავო მატერიალურსამართლებრივ ფაქტებს, რომელზეც მიუთითებენ მოსარჩელე და მოპასუხე, მოთხოვნის თუ შესაგებლის დასაბუთების ან გაქარწყლებისათვის, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ მტკიცებითი საქმიანობის გარეშე. სსსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილი ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ მოპასუხე ვალდებულია, საქმის მომზადების მიზნით აქტიურად იმოქმედოს, რაც, უპირველესად, სასამართლოსათვის სარჩელზე მისი წერილობითი მოსაზრებების წარდგენაში გამოიხატება. მოპასუხის მიერ ამ უფლების განუხორციელებლობა, სსსკ-ის 206-ე მუხლის შესაბამისად, ართმევს მას უფლებას, შეასრულოს ასეთი მოქმედება ამ საქმის არსებითად განხილვის დროს (ანუ, სასამართლოს სხდომაზე მხარისაგან მტკიცებულების მიღება აღარ ხდება). ამ შემთხვევისათვის სხვა რაიმე სპეციალურ შედეგს კანონი არ ადგენს“ (შდრ. სუსგ დიდი პალატის გადანყვეტილება საქმეზე №ას-664-635-2016, 02 მარტი, 2017, პ.201).

66. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შესაგებლის სახეებიდან განსაკუთრებული დატვირთვა გააჩნია კვალიფიციურ შედავებას. კვალიფიციური შედავება იურიდიულ დოქტრინაში განმარტებულია შემდეგნაირად: „მოპასუხე მოსარჩელის მოხსენების ნაცვლად წარმოადგენს მოვლენათა განვითარების მისეულ, განსხვავებულ ვერსიას, რომელიც ცალკეულ საკითხებში სადავოს ხდის მოსარჩელის მოხსენებას“ (შდრ. მოსამართლის მიერ გადანყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში, შ. შმიტი, ჰ. რიჰტერი, (GIZ), 2013წ., გვ.19.). კვალიფიციურ შედავებას არსებით შედავებადაც მოიხსენიებენ. ამგვარი შედავება, ერთი მხრივ, შე-

იძლება გამორიცხავდეს სარჩელის დაკმაყოფილებას უსაფუძვლო-ბის გამო, ხოლო მეორე მხრივ, ცვლიდეს მოსარჩელის მიერ შემო-თავაზებული სამართლებრივი ურთიერთობის კვალიფიკაციას, სა-იდანაც მოსარჩელეს დამატებითი მოხსენების (ფაქტების მითი-თების) გარეშე გაუჭირდება იმ შედეგის მიღწევა, რომელიც სარჩე-ლით აქვს მოთხოვნილი. კვალიფიციური (არსებითი) შედავება მო-სამართლეს ავალდებულებს მოიძიოს მოთხოვნის სხვა დამფუძ-ნებელი ნორმა, ასევე შეამოწმოს საგამონაკლისო ნორმები.

67. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მას შემდეგ, რაც მოსა-მართლე მოიძიებს მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმას, განსაზ-ღვრავს ნორმის ფაქტობრივ ელემენტებს (წინაპირობებს), ამ წი-ნაპირობებს მიუსადაგებს მოსარჩელის მიერ მოხსენებულ ფაქტებს და თითოეულ წინაპირობაზე გასცემს დადებით პასუხს, იგი ამონ-მებს რომელ ფაქტებს ხდის მოპასუხე სადავოდ (მოპასუხის სტა-დია). თუ მოპასუხეს არ აქვს წარდგენილი კვალიფიციური (არსები-თი) შედავება, არამედ მხოლოდ სამართლებრივად მნიშვნელოვა-ნი ფაქტების უარყოფით შემოიფარგლება, მოსამართლე გადადის მტკიცების სტადიაზე, რაც ნიშნავს სადავოდ გამხდარი ფაქტების დადგენის პროცესს. მოპასუხის მხრიდან არსებითი ხასიათის შე-დავების შემთხვევაში, მოსამართლემ ასევე უნდა მოიძიოს სამარ-თლებრივი ნორმა, რომელიც გამორიცხავს, წყვეტს ან აფერხებს მოთხოვნის განხორციელებას, ხოლო ნორმის წინაპირობების შე-მონება იმავე წესით ხორციელდება. აქაც მნიშვნელოვანია რას პასუხობს მოსარჩელე მოპასუხის არსებით შედავებას, არ არის გა-მორიცხული მოსარჩელემაც კვალიფიციური პასუხი გასცეს მოპა-სუხის ამგვარ განმარტებას. ამდენად, მოსამართლე ასე უწვევად გადადის მოსარჩელის სტადიიდან მოპასუხის სტადიაზე და პირი-ქით, ვიდრე არ დასრულდება მხარეთა განმარტებების ურთიერ-თგაცვლის პროცესი, რომლის შედეგადაც უნდა გაირკვეს უდავო და სადავო (მტკიცების საგანში შემავალი) ფაქტები.

68. შესაგებლის შინაარსობრივი მხარე, განსაკუთრებით ფაქ-ტობრივი ნაწილი გავლენას ახდენს მტკიცების ტვირთზე. სსსკ-ის 102.1 მუხლის ზოგადი დათქმიდან გამომდინარე, უფლების შემ-წყვეტი, შემაფერხებელი და გამომრიცხველი შესაგებლის მტკი-ცების ტვირთი ეკისრება მოპასუხეს.

69. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მოთხოვნის შემწყვეტი შესაგებლების შემონება მიმდინარეობს შემდეგ ეტაპებად: ა) მო-პასუხის მიერ, ასეთი შესაგებლის განხორციელების შემთხვევაში, უპირველესად უნდა იქნეს მოძიებული მატერიალურ-სამართლებ-რივი ნორმა, რომელიც შესაძლოა უპირისპირდებოდეს მოსარჩე-ლის (სამართლებრივ) მოთხოვნის უფლებას; აღნიშნული სამარ-

თლებრივი ნორმა, ისევე, როგორც მოსარჩელის სტადიაზე მოსაძიებელი მოთხოვნის საფუძველი, უნდა გამომდინარეობდეს კანონიდან. ბ) შემდეგ ეტაპზე მიმდინარეობს მოპასუხის ახსნა-განმარტებების შემოწმება ზუსტად ისე, როგორც მოსარჩელის განმარტებების შემოწმება ხდება მოსარჩელის სტადიაზე. კერძოდ, მოპასუხის შესაგებელი მოწმდება ზემოხსენებულ საპირისპირო ნორმასთან მიმართებით. ამრიგად, ამ ეტაპზე მოპასუხის განმარტებები უნდა ასაბუთებდეს ამ საპირისპირო ნორმის დისპოზიციის არსებობას და ამ კუთხით, უნდა იყოს გამართული. გ) მესამე ეტაპზე უნდა შემოწმდეს უკვე მოსარჩელის პასუხი, რამდენად სათანადოდ (საკმარისად) ედავება იგი საპირისპირო ნორმის შედეგის დამფუძნებელ გარემოებებს.

70. იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე სათანადოდ ახერხებს მოსარჩელის მიერ მითითებულ (არსებით) გარემოებებზე შედავებას საპირისპირო ნორმის წინაპირობების დასაბუთების გარეშე, მაშინ ამ გარემოებებთან დაკავშირებით გადაწყვეტილება უკვე მტკიცების სტადიაზე მიიღება იმისდა მიხედვით, (მტკიცების ტვირთის განაწილების გათვალისწინებით) დამტკიცდება თუ არა ეს სადავო გარემოებები; თუ მოპასუხე ვერ ახერხებს საპირისპირო ნორმის წინაპირობების დასაბუთებას და ვერც მოსარჩელის მიერ მითითებული და მოთხოვნის დამაფუძნებელი გარემოებების სათანადო შედავებას, სასამართლოს შეუძლია მოსარჩელის სასარგებლოდ დააკმაყოფილოს სარჩელი; თუ მოპასუხე სათანადოდ ახერხებს სასამართლებრივი შესაგებლის დასაბუთებას და თუ მოსარჩელე არ ხდის სადავოს მის შესაგებელს, მაშინ სასამართლო მიდის დასკვნამდე, რომ უარი უნდა ეთქვას სარჩელს საპირისპირო (მოთხოვნის გამომრიცხავი) ნორმის არსებობის გამო; თუ მოპასუხე სათანადოდ ახერხებს მოსარჩელის არსებითი გარემოებების შედავებას და ასევე, საპირისპირო ნორმის წინაპირობების საკმარისად დასაბუთებას, მაშინ მტკიცების სტადიაზე უნდა გაირკვეს, მტკიცდება თუ არა სადავო გარემოებები (მტკიცების ტვირთის გადანაწილების შესაბამისად). შემდეგ ეტაპზე, უნდა შემოწმდეს, ახერხებს თუ არა მოსარჩელე თავისი მოთხოვნის დამაფუძნებელი გარემოებების იმგვარ დასაბუთებას, რომელიც, ასევე, აქარწყლებს მოპასუხის მიერ დასაბუთებულ საპირისპირო მითითებებს (ნორმებს).

71. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლო საქართველოში სასამართლო სისტემის მნიშვნელოვანი რგოლია, რომელიც განიხილავს მხარეთა მიერ სადავოდ მიჩნეული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერებასა და დასაბუთებულობას. საქართველოს სამოქალაქო საპროცე-

სო კოდექსი განსაზღვრავს სააპელაციო წარმოების წესსა და ფარგლებს, ამავე დროს, იმპერატიულად ადგენს, რომ სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, სააპელაციო საჩივრის დასაბუთება შეამოწმოს მხოლოდ იმ ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით და იმ მტკიცებულებებით, რომლებიც წარდგენილი იყო და შემომდდა პირველი ინსტანციის სასამართლოში. ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების წარდგენა სააპელაციო სასამართლოში მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევებშია დასაშვები (არასრული (შეზღუდული) აპელაცია) (მდრ: სუს-ს დიდი პალატის 2016 წლის 17 მარტის განჩინება საქმეზე №ას-121-117-2016).

72. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს 2004 წლის 24 ნოემბერს, სტრასბურგში, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) მიერ შემუშავებული №6 დასკვნის 98-ე და 135-ე პარაგრაფებზე, რომლის თანახმად, „უნდა არსებობდეს გარკვეული შეზღუდვები ყოველი მხარისათვის წარმოადგინოს ახალი მტკიცებულება ან ახალი ფაქტობრივი გარემოებები სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას. აპელაცია არ უნდა იყოს და განიხილებოდეს, როგორც შეუზღუდავი შესაძლებლობა შესწორებების შეტანისა ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებში, რომელთა წარდგენაც მხარეს შეეძლო და უნდა წარედგინა პირველი ინსტანციის სასამართლოში. შეუზღუდავი აპელაცია აკნინებს პირველი ინსტანციის მოსამართლის როლს და ამ ფაქტმა შეიძლება პოტენციურად გამოიწვიოს პირველი ინსტანციის მოსამართლის მიერ საქმის მართვისა მიზანშეწონილობის დღის წესრიგში დაყენება. მხარეები უფლებამოსილი არიან მათი მოთხოვნისა თუ დაცვის „სამართლიან სასამართლო მოსმენაზე, რომელიც უნდა დასრულდეს გონივრულ მისაღებ ვადაში“ და არა განუსაზღვრელ შესაძლებლობებზე. ეს განსაკუთრებით ეხება მეორე ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმის განხილვას“.

73. ამდენად, ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ მხარეთა აქტიურობა უფლებებისა და ინტერესების დასაცავად უზრუნველყოფილი და ეფექტურია საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვის დროს, ხოლო სააპელაციო სასამართლოში მხარეთა აქტიურობა შეზღუდულია თვით სააპელაციო სამართალწარმოების შეზღუდვის გამო.

74. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსსკ-ის 380-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას შეიძლება მოყვანილი იქნეს ახალი ფაქტები და წარდგენილი იქნეს ახალი მტკიცებულებები. სააპელაციო სასამართლო არ მიიღებს ახალ ფაქტებსა და მტკიცებულებებს, რომლებიც მხარეს შეეძლო წარედგინა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვი-

სას, მაგრამ არასაპატიო მიზეზით არ წარადგინა.

75. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საპროცესო კოდექსით დადგენილი მოწესრიგება, რომელიც იმპერატიულად ადგენს ფორმალურ წესებს, სავალდებულოა არა მხოლოდ მხარეებისათვის, არამედ სასამართლოსათვისაც და ამ რეგულაციების შეცვლა ან განსხვავებული ინტერპრეტაცია მხარეთა ნებაზე ან სასამართლოს მიხედულებაზე ვერ იქნება დამოკიდებული.

76. საკასაციო პალატა განსახილველ საქმეზე დადგენილი გარემოებებისა და საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული საოქმო განჩინებები მიღებულია კანონდარღვევით, რადგან პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, მოპასუხეს (აპელანტი) არ დაუყენებია შუამდგომლობა თბილისის საქალაქო სასამართლოდან სამოქალაქო საქმე №2/5929-15 გამოთხოვისა და განსახილველ საქმეზე დართვის შესახებ. მოპასუხეს არანაირი საპატიო მიზეზი არ მიუთითებია, თუ რატომ არ დააყენა აღნიშნული შუამდგომლობა პირველ ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დარღვეული იქნა სსსკ-ის 380-ე მუხლის დანაწესი, რადგან არ არსებობდა აპელანტის შუამდგომლობის დაკმაყოფილების სამართლებრივი წინაპირობები.

77. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ უნდა დაკმაყოფილდეს კასატორის მოთხოვნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 12 მარტის საოქმო განჩინების – თბილისის საქალაქო სასამართლოდან სამოქალაქო საქმე №2/5929-15 გამოთხოვის შესახებ, აგრეთვე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 03 მაისის საოქმო განჩინების – სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2019 წლის 12 მარტის დასკვნის საქმეზე მტკიცებულებად დართვის შესახებ, გაუქმების თაობაზე.

78. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა აღარ იმსჯელებს კასატორის პრეტენზიაზე ფარული აუდიო ჩანაწერის, როგორც კანონსაწინააღმდეგო და დაუშვებელი მტკიცებულების დასაშვებობისა (სსსკ-ის 103.1 მუხლი) და შინაარსობრივი მხარის შესახებ (მესამე პირის მიერ მოვალის ნაცვლად ვალდებულების შესაძლო შესრულება (სსკ-ის 371-ე მუხლი)).

79. რაც შეეხება კასატორის (მოსარჩელის) მოთხოვნას სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საქმეებზე დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებისა და ზოგადად, მართლმსაჯულების განხორციელების საფუძ-

ველს წარმოადგენს, იმ საკითხის სწორად განსაზღვრა, თუ რა სამართლებრივი საფუძვლიდან გამომდინარეობს მხარეთა შორის წარმოშობილი დავა. ამ მიზნით, საქმის განმხილველმა სასამართლომ პირველყოვლისა, უნდა დაადგინოს მოთხოვნის მატერიალური საფუძველი [მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა]. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გამოარკვიოს მოძიებული ნორმის წინაპირობები, მისი აბსტრაქტული შემადგენლობა და შეამოწმოს განხორციელებულია თუ არა განსახილველ საქმეზე ყველა მათგანი. ამ ასპექტში, ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, სასამართლო შეზღუდულია სარჩელის ფაქტობრივი გარემოებებით: იგი ამონებს რომელ კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებზე მიუთითებს მოსარჩელე, ქმნიან თუ არა ისინი დამფუძნებელი ნორმის უკლებლივ ყველა წანამძღვარს. ამის შემდეგ მონმდება, მოპასუხის პოზიცია რამდენად აქარწყლებს წარმოშობილ წანამძღვრებს (პროცესუალური და მატერიალური თვალსაზრისით).

80. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციიდან გამომდინარე (საკასაციო სასამართლო ამონებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა),

81. საკასაციო პალატის შეფასების საგანი იქნება კასატორის შედავებების საფუძვლიანობა. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ემყარება კანონდარღვევას, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მნიშვნელოვანი მატერიალური და პროცესუალური ნორმების დარღვევით.

82. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ: არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; არასწორად განმარტა კანონი. საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება, გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

83. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო ვიდრე დადგენილი გარემოებების სამართლის ნორმებთან სუბსუმირებას შეუდგებოდეს, მიზანშეწონილად მიიჩნევს, ყურადღება გა-

ამახვილოს სამართალწარმოების ფუნდამენტურ პრინციპებზე: მოქმედი სსსკ-ის მე-4 მუხლით რეგლამენტირებულია პროცესის შეფჯობებითობის პრინციპის საფუძველზე წარმართვა და დადგენილია, რომ მხარეებს აქვთ მტკიცებულებათა წარდგენის გზით საკუთარი პოზიციის დადასტურების შესაძლებლობა, გარდა ამისა, დემოკრატიულ საზოგადოებაში ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება მხარეთა თანასწორობის დაცვას (სსსკ-ის მე-5 მუხლი), რაც იმას ნიშნავს, რომ საქმის განხილვის თითოეულ ეტაპზე სასამართლო ინარჩუნებს ნეიტრალიტეტს და მოსამართლეს მიუკერძოებლად, მხოლოდ მტკიცებულებათა ობიექტური შეფასების გზით უყალიბდება შინაგანი რწმენა დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ამა თუ იმ ფაქტის არსებობის თაობაზე. სასამართლო კი, ზემოთაღნიშნული ნეიტრალიტეტის პრინციპიდან გამომდინარე, ვერ უზრუნველყოფს მხარისათვის იურიდიული დახმარების გაწევას, რაც თანაბრობას დაარღვევს და სამართალწარმოებას მიკერძოებულს გახდის. ევროკონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით „მიუკერძოებლობის“ მოთხოვნა ორი ასპექტისაგან შედგება. პირველი, სასამართლო სუბიექტურად თავისუფალი უნდა იყოს პიროვნული ზრახვებისა და მიდრეკილებებისაგან. მეორე, იგი ასევე მიუკერძოებელი უნდა იყოს ობიექტური თვალსაზრისით, ანუ მან უნდა უზრუნველყოს საკმარისი გარანტიები ამ თვალსაზრისით ნებისმიერი კანონიერი ეჭვის გამოსარიცხად (იხ. გოტრინი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ, 1998 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება, Reports of Judgments and Decisions 1998-III, გვ. 10, 31, §58; მორისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, №38784/97, §58, ECHR 2002-I). რაც შეეხება სუბიექტურობას, მოსამართლე პიროვნულად მიუკერძოებლად უნდა იქნეს მიჩნეული, ვიდრე ამის საწინააღმდეგო არ დამტკიცდება (იხ. ჰაუსშიდტი დანიის წინააღმდეგ, 1989 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება, სერია A № 154, გვ. 21, §47; დაკტარასი ლიტვის წინააღმდეგ, №42095/98, §30, ECHR 2000-X). სამართლიანი სასამართლოს კონცეფცია თავის თავში მოიცავს სასამართლოს მხრიდან მხარისათვის საკუთარი პოზიციის დაცვის მოსამზადებლად ადეკვატური დროის განსაზღვრას და დაცვის მომზადების შესაძლებლობის მიცემას (იხ. Case If Galstyan v, Armenia, საჩივარი no26986/0).

84. განსახილველი დავის ფარგლებში საკასაციო სასამართლოს მიერ შეფასების საგანს წარმოადგენს კასატორისათვის (მოსარჩელე) სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოთხოვნის წინაპირობების არსებობა. ამ ტიპის სარჩელის წარმატებულობა, ბუნებრივია, უნდა შემოწმდეს მისი დამფუძნებელი ნორმის/ნორმების წინაპირობებთან მიმართებაში, რაც იმას ნიშნავს,

რომ უპირველესად, სასამართლომ სწორად უნდა განსაზღვროს მოთხოვნის მარეგულირებელი სამართლებრივი საფუძველი – კანონის ნორმა, გამოარკვიოს სარჩელში მითითებული ფაქტების შესაბამისობა დამფუძნებელი ნორმის აბსტრაქტულ ელემენტებთან (ფორმალური გამართულობა), დადებითი პასუხის შემთხვევაში, სარჩელსა და შესაგებელში გამოთქმული პოზიციების ურთიერთშეჯერებით გამოარკვიოს სადავო და უდავო ფაქტობრივი გარემოებები (მტკიცების საგანი) და გაანალიზოს მხარეთა შორის მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების დადასტურების ტვირთი (მტკიცების ტვირთი).

85. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემონმეზაც სასამართლოს ვალდებულებაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა, რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს.

86. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმის განმხილველი სამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა, საქმეზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯობრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში.

87. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოთხოვნის საფუძველი სამოქალაქო სამართალში, ზოგადად არის სამართლის ის ნორმა, რომელიც დამოუკიდებლად ან სხვა მოთხოვნის საფუძველზე

თან ერთობლიობაში აფუძნებს ამა თუ იმ მოთხოვნას ანუ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა კონკრეტულ უფლება-მოვალეობებს (იხ. ჰ. ბოელინგი, ლ. ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, მეორე გამოცემა, თბ., 2004, 38.) კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების დანიშნულებაა ურთიერთობაში მონაწილე სუბიექტების უფლებების განსაზღვრა და მათი განხორციელების უზრუნველყოფა. მოთხოვნა უფლების რეალიზაციის კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობაა. მოთხოვნა და მოთხოვნის საფუძველი სხვადასხვა ცნებებია და სასურველია მათი აღრევა თავიდან იქნეს აცილებული. ამ გამიჯვნას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმის გათვალისწინებით, რომ მოთხოვნათა შორის არჩევანის უფლება, მოსარჩელის უფლებამოსილებაა, ხოლო მოსარჩელის მიერ წარდგენილი მოთხოვნის დამფუძნებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა შორის ერთ-ერთის მისადაგება სასამართლოს უფლებამოსილება და ვალდებულებაცაა (იხ. ჰ. ბოელინგი, ლ. ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, მეორე გამოცემა, თბ., 2004, 42.).

88. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მოთხოვნა პირის ნებას დაქვემდებარებული და სხვა პირზე მიმართული უფლებაა, რომელიც მისი პროცესუალური განხორციელებისაგან მკვეთრად იმიჯნება. მოთხოვნა ძირითადად მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობის მატარებელია. მოთხოვნა საპროცესო-სამართლებრივი გაგებით, ყოველთვის მიმართულია სასამართლო გადაწყვეტილების დადგომისაკენ. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი არის სამართლის ნორმა, რომლის სამართლებრივი შედეგით გათვალისწინებულია სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე პირის მიერ რაიმე მოქმედების განხორციელებისა თუ მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავების ვალდებულება. თითოეული მოთხოვნის დამფუძნებელი სამართლის ნორმა განსაზღვრავს მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს, თუმცა, მისი განმარტება და ფაქტობრივ გარემოებებზე მისადაგება სასამართლოს უფლებამოსილებაა. მოთხოვნის საფუძველი ორი ნაწილისაგან შედგება: ა) ნორმის შემადგენლობა, რომელიც მოიცავს ცალკეულ ნინაპირობას და ბ) სამართლებრივი შედეგი, რომელიც კანონის საფუძველზე დადგება იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ნორმის შემადგენლობით განსაზღვრული ყველა ნინაპირობა.

89. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის განმსაზღვრელია სარჩელში მითითებული ფაქტები და გარემოებები. სარჩელის ინდივიდუალიზაცია სარჩელის ელე-

მენტების მეშვეობითაა შესაძლებელი. სსსკ-ის მე-3, მე-4, 83-ე და 178-ე მუხლების ანალიზით შესაძლებელია, დავასკვნათ, რომ სარჩელი შედგება ორი ელემენტისგან: სარჩელის საგნისა და სარჩელის საფუძვლისგან. სარჩელის საგანია მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისადმი (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი), ხოლო სარჩელის საფუძველი – კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). საქმის გარემოებათა ანალიზის საფუძველზე მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის დადგენა და მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის მოძიება კი, სასამართლოს ვალდებულებაა. სადავო ურთიერთობის შეფასებისას, ზემდგომი ინსტანციის სასამართლო არაა შებოჭილი ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი შეფასებებით, შესაბამისად, თუ ზემდგომი ინსტანციის სასამართლო გამოარკვევს, რომ ქვემდგომი სასამართლოს სამართლებრივი შეფასება არ გამომდინარეობს საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან, იგი ვალდებულია, ეს გარემოებები თავად შეაფასოს სამართლებრივად სწორად და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

90. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი წინამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას (მდრ., სუსგ №ას-1338-2018, 25 იანვარი, 2019 წელი, პ-17; №ას-1470-2018, 15 თებერვალი, 2019 წელი, პ-41). თავის მხრივ, მოთხოვნის საფუძვლის (საფუძვლების) ძიებისას, სასამართლოსათვის ამოსავალია ის კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას. სწორედ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები და გარემოებები განსაზღვრავენ სარჩელის მოთხოვნის შინაარსს. სასამართლომ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, უნდა გაარკვიოს, თუ საიდან გამომდინარეობს მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, კერძოდ, სახელშეკრულებო შეთანხმებებიდან, ზიანის მიყენებიდან (დელიქტი), უსაფუძვლო გამდიდრებიდან თუ კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველიდან.

91. საკასაციო პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სადავო ურთიერთობის სამართლებრივი შეფასება სასამართლოს ვალდებულებაა, მიუხედავად იმისა, ედავებიან თუ არა ამ შეფასებას მხარეები. ეს იმას ნიშნავს, რომ არც სააპელაციო და არც საკასაციო სასამართლო არაა შებოჭილი სააპელაციო თუ საკასაციო საჩივარში მითითებული კანონის დარღვევებით და ისინი ამონეშებენ გადან-

ყვეტილებას მატერიალურსამართლებრივი ნორმების სწორად გამოყენების თვალსაზრისით. თუ ასეთი შემთხვევების შედეგად სასამართლო იმ დასკვნას გამოიტანს, რომ საჩივრის მოთხოვნა გადანყვეტილების გაუქმების ან შეცვლის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს, მაგრამ არა საჩივარში მითითებული, არამედ მატერიალურსამართლებრივი ნორმის (კანონის) სხვა დარღვევის გამო, სასამართლომ უნდა გამოიტანოს შესაბამისი გადანყვეტილება. იმ შემთხვევაში კი, თუ არასწორი სამართლებრივი შეფასების შედეგად, ანუ კანონის (სსსკ-ის 393.2 მუხლის) დარღვევით მიღებული გადანყვეტილების ძალაში დატოვება შესაძლებელია სხვაგვარი სამართლებრივი შეფასებით, საკასაციო სასამართლოს შეუძლია, არ გააუქმოს გადანყვეტილება და განჩინებით ძალაში დატოვოს იგი (სსსკ-ის 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი) ან ახალი გადანყვეტილებით დაადგინოს სხვა სამართლებრივი შედეგი (სსსკ-ის 411-ე მუხლი).

92. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კასატორის მიერ წარმოდგენილია ნაწილობრივ დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად, გადანყვეტილება ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, რაც მისი გაუქმების აბსოლუტური საფუძველია, თუ გადანყვეტილება არ არის საკმარისად დასაბუთებული, ხოლო სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო მიიღებს გადანყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადანყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები. საკასაციო პალატა მიჩნევს, რომ სახეზე არაა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოსათვის საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, შესაბამისად, საკასაციო პალატა უფლებამოსილია თავად გადანყვიტოს დავა, შემდეგი დასაბუთებით:

93. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს ამ განჩინების პ.1,2-ში აღნიშნულ კასატორის მიერ სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებაზე და მიაჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნის ფაქტობრივი შემადგენლობა (აღწერილობა) განაპირობებს მის სამართლებრივ მოწესრიგებას სსკ-ის 623-ე, 417-ე და 301-ე მუხლების საფუძველზე.

94. იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურს, სესხის (ძირი თანხა) დაბრუნების მოთხოვნა – სსკ-ის 623-ე მუხლი [სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვარონულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს დააბრუნოს იმავე სა-

ხის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი], თანმიმდევრობით განხორციელებული უნდა იყოს მოთხოვნის საფუძვლის განმაპირობებელი შემდეგი წინაპირობები: მსესხებელს გადაცემული უნდა ჰქონდეს განსაზღვრული (სადავო) თანხა საკუთრებაში და უნდა კისრულობდეს განსაზღვრულ ვადაში, გადაცემული თანხის უკან დაბრუნების ვალდებულებას.

95. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სესხის ხელშეკრულება ხასიათდება შემდეგი თავისებურებებით: 1) სესხის ხელშეკრულება არის ქონების საკუთრებაში გადაცემის ტიპის ხელშეკრულება, თუმცა, იგი განსხვავდება ქონების საკუთრებაში გადაცემის ტიპის ისეთი ხელშეკრულებებისაგან, როგორცაა ნასყიდობა, გაცვლა, ჩუქება, სამისდღეშიო რჩენა. 2) სესხის ხელშეკრულება არის ცალმხრივი ხელშეკრულება. ხელშეკრულებათა კლასიფიკაცია ცალმხრივ და ორმხრივ ხელშეკრულებებად დამოკიდებულია არა იმაზე, თუ რამდენი პირის ნებაა გამოვლენილი (რამეთუ ხელშეკრულება ზოგადად გულისხმობს ორი ან მეტი პირის ნების გამოვლენას), არამედ იმაზე, თუ როგორაა განაწილებული უფლებამოვალეობები ხელშეკრულების მხარეებს შორის. სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი უფლებამოსილია მოითხოვოს სესხად გადაცემულის დაბრუნება, ხოლო მსესხებელი კი, ვალდებულია დააბრუნოს უკან სესხად მიღებული იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი. 3) სესხის ხელშეკრულება არის რეალური ხელშეკრულება. შესაბამისად, სესხის ხელშეკრულება დადებულად ითვლება, როცა გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ხელშეკრულების საგანს. მარტო შეთანხმება სესხის თაობაზე ჯერ კიდევ არ ნიშნავს ხელშეკრულების დადებას.

96. ერთ-ერთ საქმეში, რომელშიც სადავო იყო მხარეთა შორის სესხის ხელშეკრულების სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის საკითხი, საკასაციო პალატამ შემდეგი განმარტება გააკეთა: „სსკ-ის 623-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ სესხი რეალურ ხელშეკრულებათა რიგს განეკუთვნება, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობა არა მხოლოდ მის არსებით პირობებზე მხარეთა შეთანხმებით, არამედ ხელშეკრულების საგნის – გვაროვნული ნივთის მსესხებლისათვის გადაცემის მომენტიდან წარმოიშობა, შესაბამისად, მტკიცების საგანში შემავალი გარემოებაც, უპირველესად, ხელშეკრულების საგნის გადაცემა (ხელშეკრულების დადება)“ (მდრ: სუსგ №ას-1245-1168-2015, 20 მაისი, 2016 წელი). სხვა საქმეშიც საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სესხის ხელშეკრულება წარმოადგენს ცალმხრივ და რეალურ ხელშეკრულებას ანუ, იგი დადებულად ითვლება და მხარეს დაბრუნების ვალდებულება წარმოეშობა გამსესხებ-

ლის მხრიდან ხელშეკრულების საგნის მსესხებლის საკუთრებაში გადაცემის მომენტიდან (შდრ. სუსგ №ას-361-343-2015, 14 დეკემბერი, 2015 წელი).

97. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მარტოოდენ სესხის შესახებ შეთანხმება ხელშეკრულების საგნის გადაცემის გარეშე, არ ნიშნავს სესხის ხელშეკრულების დადებას. რადგან სესხის ხელშეკრულების ნამდვილობისა და სამართლებრივი ძალის აუცილებელი პირობაა გამსესხებლის მიერ მსესხებლისათვის ფულის ან სხვა გვაროვნული ნივთის მსესხებლის საკუთრებაში რეალურად გადაცემა, სადავობის შემთხვევაში, მოსარჩელემ (გამსესხებელმა) უნდა ამტკიცოს არა მხოლოდ სესხზე შეთანხმების არსებობა, არამედ სესხის საგნის რეალურად გადაცემის შესახებაც ფაქტობრივი გარემოებაც.

98. საგულისხმოა, რომ საკითხი იმის შესახებ თუ დავის მონაწილე რომელმა მხარემ უნდა ადასტუროს თანხის გადაცემის ანუ, ხელშეკრულების დადების შესახებ გარემოება, არ რეგულირდება მატერიალური სამართლის ნორმით. სესხის სახელშეკრულებო ურთიერთობის მომწესრიგებელი არცერთი ნორმა მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციალურ წესს არ გვთავაზობს, რის გამოც, გამოყენებულ უნდა იქნეს სსსკ-ის ზოგადი ნორმა მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის გადანაწილებისთვის [სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი], რომლის თანახმად, თანხის გადაცემის მტკიცების ტვირთი გამსესხებელს ეკისრება. ანუ გამსესხებლის ვალდებულება შემოიფარგლება სესხის თანხის გადაცემისა და გადაცემული თანხის ოდენობის მტკიცებით, ხოლო მსესხებლის მტკიცების ტვირთი კი შემოიფარგლება სესხის თანხის დაფარვით.

99. სსკ-ის 624-ე მუხლის თანახმად, სესხი ფორმასავალდებულო გარიგებას არ წარმოადგენს, მხარეები თავისუფალი არიან ხელშეკრულების ფორმის არჩევაში (სსკ-ის 68-ე მუხლი), თუმცა, უდავოა, რომ ფორმის არჩევის საკითხი მტკიცების ტვირთზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს იმ შემთხვევაში, თუ წერილობითი ხელშეკრულება პირდაპირ შეიცავს დათქმას თანხის მსესხებლისათვის გადაცემის თაობაზე. მოხმობილი ნორმიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას ისიც, რომ სესხის ხელშეკრულების დადების ფაქტი, სსსკ-ის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ნებისმიერი დასაშვები მტკიცებულებით, მათ შორის, მონმის ჩვენებით შეიძლება დადასტურდეს, თუმცა, ზეპირი სესხის დროს ნივთის გადაცემის დამტკიცების თვალსაზრისით, მხოლოდ ეს უკანასკნელი, კანონის თანახმად, არასაკმარისადაა მიჩნეული და საკასაციო პალატა გასესხებულ თანხის გადაცემის ფაქტობრივი გარემოების დამადასტურებელ დასაშვებ და საკმარის მტკიცებუ-

ლებად მიიჩნევს წერილობით საბუთს, მაგალითად, სავალო საბუთი, გადარიცხვის ქვითარი, სალაროს შემოსავლის ორდერი (შდრ: სუსგ №ას-398-371-2017, 06 ივნისი, 2017 წელი).

100. რაც შეეხება პირგასამტეხლოს, სსკ-ის 417-ე მუხლის თანახმად, პირგასამტეხლო არის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის. საკასაციო პალატამ არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ: „პირგასამტეხლოს მიზანია ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების დარღვევის თავიდან აცილება, ხოლო ვალდებულების დარღვევის პირობებში ე.წ. „პრეზუმირებული მინიმალური ზიანის“ ანაზღაურების უზრუნველყოფა, რაც, რაღა თქმა უნდა, არ წარმოადგენს ფაქტობრივი ზიანის ექვივალენტ ფულად თანხას და არც ფაქტობრივად დამდგარი ზიანის ანაზღაურებას ემსახურება“ (შეადრ: სუსგ №ას-1597-2019, 13 დეკემბერი, 2019 წელი).

101. სამოქალაქო კოდექსი აღიარებს და ეფუძნება „*pacta sunt servanda*-ს“ (ხელშეკრულება უნდა შესრულდეს) პრინციპს, რომლის თანახმად, ხელშეკრულების მხარემ, რომელმაც იკისრა ვალდებულება, უნდა შეასრულოს ხელშეკრულებით მისივე ნებით შეთანხმებული უფლება-მოვალეობები. შესრულების ვალდებულება, პირველ რიგში, ხელშეკრულებით გათვალისწინებული შედეგის დადგომას გულისხმობს. ამავდროულად, პირველადი ვალდებულების შეუსრულებლობისას წარმოიშობა ნაწარმოები შესრულების (ზიანის ანაზღაურება, პირგასამტეხლო) ვალდებულება. სსკ-ის 361-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ამ მოთხოვნათა შეუსრულებლობა ვალდებულების დარღვევაა. სამოქალაქო კანონმდებლობა ვალდებულების დარღვევის პრევენციისათვის ითვალისწინებს მოთხოვნის უზრუნველყოფის სანივთო და ვალდებულებით სამართლებრივ საშუალებებს, რომლებიც ვალდებულების შესრულებას ემსახურებიან და რომელთა შერჩევა მხარეთა ნებაზეა დამოკიდებული. ასეთ საშუალებათა რიგს განეკუთვნება ვალდებულების უზრუნველყოფის დამატებითი საშუალება – პირგასამტეხლო.

102. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ პირგასამტეხლო წარმოადგენს ვალდებულების შესრულების მიმართ მხარის შესაბამისი ინტერესის უზრუნველყოფის საშუალებას (სსკ-ის 417-ე მუხლი), რომლის გადახდის ვალდებულების წარმოშობა დაკავშირებულია ვალდებულების დარღვევასთან. ვალდებულების დარღვევის ხარისხის განსაზღვრა, პირგასამტეხლოს გონივრულობის დადგენის ერთ-ერთი უმთავრესი ნინაპირობაა (შდრ: ილონა გაგუა, ბიზ-

ნესდავები და სასამართლო პრაქტიკა, თბილისი, 2017 წელი, გვერდი 47).

103. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ პირგასამტეხლო წარმოადგენს ვალდებულების შესრულების მიმართ მხარის შესაბამისი ინტერესის უზრუნველყოფის საშუალებას, რომლის გადახდის ვალდებულების წარმოშობა დაკავშირებულია ვალდებულების დარღვევასთან. პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება დამოუკიდებელია ზიანის მიყენების ფაქტის მტკიცებისაგან ანუ, პირგასამტეხლოს მოთხოვნისათვის კრედიტორს არ ეკისრება მიყენებული ზიანის დამტკიცების ვალდებულება. პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება კრედიტორს ყოველთვის გააჩნია, მიუხედავად იმისა, განიცადა თუ არა მან ზიანი. მთავარია ვალდებულების დარღვევის ფაქტი. პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, მიუხედავად იმისა, რომ ისინი კრედიტორის ერთი და იმავე ინტერესის დაკმაყოფილებისაკენ არიან მიმართული, დამოუკიდებელ მოთხოვნებად რჩებიან (საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პირგასამტეხლოს თავისებურებებთან დაკავშირებით ყურადსაღებია გერმანიის საკანონმდებლო და პრაქტიკული მიდგომები საქართველოსათვის, როგორც რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემის ქვეყნისათვის. შესაბამისად, იხ., Gottwald, in MüKo BGB, 6. Aufl. Band II §340, Rn.15; Rieble in Staudinger BGB Komm, Buch 2, Neubearbeitung 2009, §340, Rn.71; BGH NJW 1975, S. 164f. Walchner in Dauner-Lieb/Langen BGB Komm. 2.Aaul., Rn.6; BGH NJW 1963, S.1197).

104. ამდენად, პირგასამტეხლო ეკისრება მხარეს იმ დროიდან, როდესაც უნდა ყოფილიყო შესრულებული დარღვეული ვალდებულება – ამ ვალდებულების შესრულებამდე. პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრისას ყურადღება ექცევა რამდენიმე გარემოებას. მათ შორის: ა) პირგასამტეხლოს, როგორც სანქციის ხასიათის მქონე ინსტრუმენტის ფუნქციას, თავიდან აიცილოს დამატებით ვალდებულების დამრღვევი მოქმედებები; ბ) დარღვევის სიმძიმესა და მოცულობას და კრედიტორისათვის წარმოქმნილი საფრთხის ხარისხს; გ) ვალდებულების დამრღვევი პირის ბრალეულობის ხარისხს; დ) პირგასამტეხლოს ფუნქციას, მოიცვას თავის თავში ზიანის ანაზღაურება. პირგასამტეხლოს ოდენობაზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა. პირგასამტეხლო დამატებითი (აქცესორული) ვალდებულებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი წარმოშობა და ნამდვილობა ძირითადი ვალდებულების არსებობაზეა დამოკიდებული (იხ: ირაკლი რობაქიძე, სახელმეკრულებო სამართალი (თანაავტორობით), გამომცემლობა „მერიდიანი“, 2014წ., 590).

105. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ქართულ კანონმდებლობაში პირგასამტეხლოს ორმაგი ფუნქცია აქვს: ერთი მხრივ, მას ვალდებულების ჯეროვანი შესრულების უზრუნველსაყოფად პრევენციული დატვირთვა აქვს ანუ, პირგასამტეხლოს დაკისრების რისკი ფსიქოლოგიურად ზემოქმედებს ვალდებულ პირზე და აიძულებს ვალდებულება ჯეროვნად შეასრულოს. პირგასამტეხლოს ფსიქოლოგიური ზემოქმედების ეფექტი სწორედ იმაში ვლინდება, რომ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ვალდებულ პირს რეპრესიული ხასიათის სანქცია ეკისრება. პირგასამტეხლოს მეორე ფუნქცია განცდილი ზიანის მარტივად და სწრაფად ანაზღაურებაში მდგომარეობს. იგი ერთგვარ სანქციასაც წარმოადგენს. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, სანქციად ქცეული პირგასამტეხლო ვალდებულ პირს უპირობოდ ეკისრება, მიუხედავად იმისა, განიცადა თუ არა კრედიტორმა ზიანი ამ დარღვევის შედეგად. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, პირგასამტეხლოს დაკისრების სამართლებრივ წინაპირობას წარმოადგენს ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების დარღვევა. პირგასამტეხლო უნდა დაანგარიშდეს არა ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან, არამედ მხარის მიერ ფაქტობრივად შეუსრულებელი ან არაჯეროვნად შესრულებული ვალდებულების ღირებულებიდან (შდრ: სუსგ-ები №ას-164-160-2016, 28.07.2016წ., №ას-971-2019, 28.10.2019წ.).

106. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ იურიდიულ ლიტერატურასა და კანონმდებლობაში ცნობილია ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის სხვადასხვა საშუალება. მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებები ვალდებულების ჯეროვანი შესრულების საშუალებებია. ისინი იყოფიან უზრუნველყოფის სანივთო და ვალდებულებით-სამართლებრივ საშუალებებად. სანივთო უზრუნველყოფის საშუალებებს მიეკუთვნება გირავნობა და იპოთეკა. სანივთო უზრუნველყოფის საშუალებების თავისებურება ისაა, რომ ისინი გარანტირებულს ხდიან ვალდებულების შესრულებას მისი დარღვევის შემთხვევაში და სწორედ ამ მიზანმიმართულებით ხასიათდებიან. სანივთო უზრუნველყოფის საშუალებები მთლიანად შესრულების ფუნქციით არიან დატვირთული და არ წარმოადგენენ რაიმე დამატებით საჯარიმო ხასიათის დატვირთვებს მოვალისათვის. ამიტომაცაა, რომ ისინი ყველაზე გავრცელებული უზრუნველყოფის საშუალებებია სამოქალაქო ბრუნვაში. (შდრ. ლ.ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი, 2012, 44.).

107. საკასაციო პალატა განმარტავს, ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის არსი მდგომარეობს იმაში, რომ თუ მოვალე არ ასრულებს, ანდა არაჯეროვნად ასრულებს ვალდებულებას,

კრედიტორს აქვს იმის შესაძლებლობა, რომ სხვადასხვა ზომის გამოყენებით აიძულოს მოვალე შეასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულება. ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებები შეიძლება გათვალისწინებული იქნეს როგორც კანონით, ისე ხელშეკრულებით. ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებათა არსებობა დამოკიდებულია რაიმე ვალდებულების არსებობაზე, რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაც ისინი არსებობენ. ვალდებულება, რომლის უზრუნველყოფაც ხდება, წარმოადგენს მთავარ (ძირითად) ვალდებულებას, ხოლო მისი შესრულების უზრუნველყოფის საშუალებები დამატებით (აქცესორულ) ვალდებულებებს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნის უზრუნველყოფის ერთ-ერთ მეტად გავრცელებულ საშუალებას წარმოადგენს იპოთეკა. იპოთეკის ლეგალური დეფინიცია მოცემულია სსკ-ის 286-ე მუხლის I ნაწილში, რომლის თანახმადაც, უძრავი ნივთი შეიძლება მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ისე იქნეს გამოყენებული (დატვირთული), რომ უზრუნველყოფილ კრედიტორს მიეცეს უფლება, სხვა კრედიტორებთან შედარებით პირველ რიგში მიიღოს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება ამ ნივთის რეალიზაციით ან მის საკუთრებაში გადაცემით (იპოთეკა).

108. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სსკ-ის 286-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული იპოთეკა უზრუნველყოფის სანივთო საშუალებებს განეკუთვნება. ერთი მხრივ, ის განმტკიცებულია სანივთო სამართალში, ხოლო მეორე მხრივ, წარმოადგენს რეგისტრირებულ სანივთო უფლებას ინდივიდუალიზებულ და კონკრეტულ უძრავ ნივთზე. იპოთეკა, როგორც სანივთო უფლება, აფუძნებს სანივთო პასუხისმგებლობას, რომელიც დგება მესაკუთრის ბრალის მიუხედავად (შდრ. ლ. ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი, 2012, გვ.63.).

109. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს, რომ როგორც გირავნობის, ისე, იპოთეკის შემთხვევაში, მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას წარმოადგენს განსაზღვრული ნივთი. მაგრამ, თუკი, გირავნობის დროს მოთხოვნის უზრუნველყოფა ხდება მოძრავი ნივთით ან არამატერიალური ქონებრივი სიკეთით, იპოთეკის დროს, მოთხოვნის უზრუნველყოფა ხდება მხოლოდ უძრავი ნივთით. სკ-ის 149-ე მუხლის თანახმად, უძრავ ნივთებს მიეკუთვნება მინის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით, მინაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობა-ნაგებობანი, რომლებიც მყარად დგას მინაზე. იპოთეკის უპირატესობა არა მხოლოდ იმაშია, რომ იპოთეკარს (კრედიტორს) კონკრეტული უძრავი ნივთიდან შეუძლია დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა, არამედ იმაშიც, რომ მას

სხვა კრედიტორებთან შედარებით პირველ რიგში შეუძლია მიიღოს დაკმაყოფილება (იხ. დამატებით: თ. შოთაძე, იპოთეკა, როგორც საბანკო კრედიტის უზრუნველყოფის საშუალება, თბილისი, 2012, 22). წარმოშობის საფუძვლების მიხედვით ერთმანეთისაგან განსხვავდება სახელშეკრულებო და კანონისმიერი იპოთეკა (იხ. დამატებით: ლ. ჭანტურია, საკუთრება, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება, თბილისი, 1999, 18. ბ. ზოიძე, ქართული სანივთო სამართალი, თბილისი, 2003, 330; თ. შოთაძე, სანივთო სამართალი, თბ., 2014, 366; თ. ზარანდია, სანივთო სამართლის საფუძვლები – ქონება, მფლობელობა, საკუთრება, თბილისი, 2016).

110. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ დემოკრატიული წესწყობილების უმთავრეს ამოცანას მართლმსაჯულების მხარეთა თანასწორობის საწყისზე განხორციელება წარმოადგენს, რაც სამართალში სამართლიანი სასამართლოს კონცეფციითაა დამკვიდრებული და იგი გარანტირებულია არა ერთი შიდასახელმწიფოებრივი თუ საერთაშორისო სამართლებრივი აქტით. საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულია რა სასამართლო წესით უფლების დაცვის საყოველთაო პრინციპი, მისი კონკრეტული რეალიზაცია ასახულია საპროცესო კანონმდებლობაში. სსსკ-ის მე-4 (1) მუხლი ადგენს სამართალწარმოების ისეთ ფუნდამენტურ პრინციპს, როგორიცაა შეჯიბრებითობა და განსაზღვრავს, რომ სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამ წესისაგან გამონაკლისი (ნორმის მე-2 ნაწილი) გამართლებულია, თუ ეს შესაბამისი საპროცესო მოქმედების მარეგულირებელი ნორმითაა გათვალისწინებული, ასევე, მხარეთა თანასწორობის საყოველთაო უფლების დაცვის მიზანს ემსახურება. შეჯიბრებითობა, როგორც სამართლიანი სასამართლოს ქვაკუთხედი, არაერთ საპროცესო ნორმაშია გადმოცემული და იგი, ბუნებრივია, მათ შორის მტკიცების ტვირთზე ახდენს გავლენას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილით აღიარებულია რა ფაქტზე მიმთითებული მხარის ვალდებულება, წარადგინოს ამ ფაქტის დამადასტურებელი განკუთვნილი მტკიცებულებები, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, ჩაერთოს ამ პროცესში, რამეთუ აქსიომატურია, რომ მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები (იხ. სსსკ-ის 83-ე, ასევე, 102-ე მუხლები). საკასაციო სა-

სამართლო ეთანხმება პრინციპს, რომ მოთხოვნის საფუძვლის განსაზღვრა სასამართლოს პრეროგატივაა და მხარის მიერ სარჩელის დამფუძნებელ ნორმად კანონის ამა თუ იმ დანაწესის მითითება არ არის გადაწყვეტილების მიღების პროცესში სასამართლოსათვის ხელისშემშლელი, ამგვარი მიდგომა გამომდინარეობს სამართალში დამკვიდრებული პრინციპიდან: „jura novit curia“ (სასამართლო იცის კანონი). საკასაციო სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში იქნა ასახული აღნიშნული მიდგომა (პრაქტიკის თვალსაზრისით მრავალთა შორის იხილეთ სუს-ს დიდი პალატის გადაწყვეტილება №ას-664-635-2016, 02 მარტი, 2017 წელი).

111. საკასაციო პალატას საქმეზე დადგენილი გარემოებებისა და მტკიცებულებების საფუძველზე მიაჩნია, რომ წარმოშობილია კასატორის (გამსესხებელი) მოთხოვნის უფლება მსესხებლის (მოპასუხე) მიმართ.

112. საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპების გათვალისწინებით, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სარჩელისაგან მოპასუხის თავდაცვის ისეთ ეფექტურ საშუალებას, როგორცაა შესაგებელი. განსახილველ საქმეზე დადგენილია, რომ მოპასუხემ წარადგინა როგორც მოთხოვნის შემწყვეტი, აგრეთვე მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგებელი (ხანდაზმულობა).

113. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოთხოვნის შემწყვეტი შესაგებლის წარდგენის დროს, მოპასუხე სადავოდ არ ხდის მოთხოვნის წარმოშობის წინაპირობებს, იგი ფაქტობრივად ეთანხმება მოსარჩელეს ვალდებულების წარმოშობის საფუძვლებში, თუმცა, მიიჩნევს, რომ სარჩელი უსაფუძვლოა მისი მხრიდან ვალდებულების სრულად შესრულების გამო (ასეთი მოცემულობის პირობებში მტკიცების საგანში შედის მხოლოდ ერთი გარემოება – „ვალდებულების შესრულება“, მოსარჩელემ უნდა მიუთითოს, რომ ვალდებულება არ შესრულებულა (მითითების ტვირთი), რომლის გაქარწყლება და დამტკიცებაც მოპასუხის მხარესაა.

114. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზება უმეტესწილად დამოკიდებულია და გულისხმობს სასამართლოს მიერ დასაბუთებული, მტკიცებულებათა შეჯერების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების მიღებას. მტკიცების ტვირთის როლი განსაკუთრებით ვლინდება სამოქალაქო სამართალწარმოებაში, სადაც მხარეთა ნების ავტონომიას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. შესაძლებელია მხარის მოთხოვნა საფუძვლიანი

იყოს, მაგრამ შეუძლებელია მხარემ მიიღოს თავისი სასარგებლო გადაწყვეტილება, თუ ვერ დაამტკიცებს თავის სასარგებლო გარემოებებს საპროცესო სამართლით დადგენილი წესით. ამიტომაც, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ფაქტების მითითების ტვირთისა და ფაქტების დამტკიცების ტვირთის სწორი გადანაწილება მოდავე მხარეებს შორის.

115. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადაწყვეტა სასამართლოში დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი, როგორც ეს ცნობილია, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. ე.ი. ისეთი ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც სამართლის ნორმა უკავშირებს გარკვეულ იურიდიულ შედეგს. ამრიგად, სასამართლო ვერ გადაწყვეტს ვერცერთ სამოქალაქო საქმეს, თუ მან წინასწარ არ დაადგინა გარკვეული ფაქტები. ამ ფაქტების დადგენა ხორციელდება უმთავრესად დამტკიცების გზით, შესაბამისი მტკიცებულებების გამოყენებით.

116. ფაქტების დამტკიცების პროცესი საკმაოდ დეტალურად რეგულირდება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით, კერძოდ, განსაზღვრულია მტკიცების საშუალებათა (მტკიცებულებათა) წრე, რომლებიც შეიძლება გამოიყენოს სასამართლომ ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად, ამ მტკიცებულებათა დასაშვებობა და განკუთვანადობა, მტკიცების ტვირთის (მოვალეობის) განაწილება მხარეთა შორის, ანუ რომელმა მხარემ რა გარემოება უნდა დაამტკიცოს, მტკიცებულებათა გამოკვლევის წესი, მტკიცებულებათა შეფასების ზოგადი წესები და ა.შ.

117. სასამართლო მტკიცების პროცესი – ესაა საქმიანობა, რომელსაც ახორციელებენ მხარეები და სასამართლო იმ ფარგლებში და წესით, რომლებიც განსაზღვრულია კანონით. მხარეები წარუდგენენ სასამართლოს მტკიცებულებებს იმ ფაქტების დადასტურების მიზნით, რომლებზეც ისინი ამყარებენ თავიანთ მოთხოვნებს და შესაგებელს. სასამართლო მტკიცებულებათა დასაშვებობის და განკუთვანადობის პრინციპების მოთხოვნათა დაცვით იღებს ამ მტკიცებულებებს და აფასებს მათ თავისი შინაგანი რწმენით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სასამართლო მტკიცების პროცესის სხვადასხვა მონაწილე სხვადასხვა ფუნქციას ასრულებს, მაგრამ ყველა მათგანის საქმიანობა მიმართულია ერთი მიზნისაკენ – გაირკვეს სიმართლე, დადგინდეს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის

მნიშვნელობის მქონე გარემოებები.

118. სასამართლო შემეცნების ფორმების თვალსაზრისით საქმის სწორად გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ: ა) გარემოებები, რომლებიც განაგრძობენ არსებობას სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს (ე.წ. ანწყოს ფაქტები) და ამიტომ შესაძლებელია მათი გრძნობადი აღქმის გზით დადგენა და ბ) გარემოებანი, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ წარსულში და ამიტომ მათი დადგენა უშუალო შემეცნების გზით შეუძლებელია. ასეთი ფაქტები შეიძლება დადგინდეს მხოლოდ გაშუალებული გზით, მტკიცებულების გამოყენებით.

119. სამოქალაქო სამართალწარმოებაში მტკიცების პროცესი, როგორც გაშუალებული შემეცნება, საკმაო სისრულითაა მოწესრიგებული კანონით. მაგალითად, სსსკ-ის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. კანონი განსაზღვრავს, თუ რომელმა მხარემ რომელი ფაქტობრივი გარემოებები უნდა დაამტკიცოს. კანონი განსაზღვრავს აგრეთვე, თუ რომელ მხარეს ეკისრება ფაქტების მითითებისა და ამ ფაქტების დამტკიცების ტვირთი, რომელი ფაქტები არ საჭიროებენ დამტკიცებას, მტკიცების რა საშუალებები დაიშვება და რა არ დაიშვება, როგორ და რა წესით ხდება მტკიცებულებათა შეგროვება, შემოწმება და შეფასება და ა.შ.

120. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლო მტკიცება წარმოადგენს სასამართლოსა და მხარეთა საქმიანობას, რომლის მიზანია საქმის სწორად გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების (ფაქტების) დადგენა. სასამართლო მტკიცების სუბიექტებად სამოქალაქო პროცესში გვევლინებიან მხარეები – მოსარჩელე, მოპასუხე, მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, მესამე პირი დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, თანამონაწილეები. სამოქალაქო პროცესში დადგენილი უნდა იქნეს სამი სხვადასხვა ხასიათის, შინაარსისა და შედეგების მიხედვით ისეთი ფაქტები, როგორიცაა: 1) ფაქტები, რომლებსაც უკავშირდება მხოლოდ პროცესუალურ სამართლებრივი შედეგი (სარჩელის მიღება წარმოებაში, ან ასეთ მიღებაზე უარის თქმა); 2) ფაქტები, რომლებსაც უკავშირდება მატერიალურ სამართლებრივი შედეგი, ანუ მთავარი საძიებელი ფაქტები (სარჩელის დაკმაყოფილება, ან მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა); 3) მტკიცებულებითი ფაქტები, რომელთა მეშვეობით ხორციელდება მთავარი, ანუ გადანყვეტილებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცება – დადასტურება.

121. მოსარჩელისათვის სასურველი შედეგის დადგომა, მისი სა-

სარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია მხოლოდ გარკვეული ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც კანონი უკავშირებს მოსარჩელის მატერიალურ სამართლებრივი მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ზუსტად იგივე უნდა განსაზღვროს იმ ფაქტების წრე, რომლებსაც უკავშირდება მხარეთა მოთხოვნის (შესაგებლის) ფაქტობრივი დასაბუთებულობა. მიუთითონ ფაქტებზე, რომლებიც ასაბუთებენ მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს, არის თვითონ მხარეთა მოვალეობა.

122. იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე სათანადოდ ახერხებს მოსარჩელის მიერ მითითებულ (არსებით) გარემოებებზე შედავებას საპირისპირო ნორმის წინაპირობების დასაბუთების გარეშე, მაშინ ამ გარემოებებთან დაკავშირებით გადაწყვეტილება უკვე მტკიცების სტადიაზე მიიღება იმისდა მიხედვით, (მტკიცების ტვირთის განაწილების გათვალისწინებით) დამტკიცდება თუ არა ეს სადავო გარემოებები; თუ მოპასუხე ვერ ახერხებს საპირისპირო ნორმის წინაპირობების დასაბუთებას და ვერც მოსარჩელის მიერ მითითებული და მოთხოვნის დამაფუძნებელი გარემოებების სათანადო შედავებას, სასამართლოს შეუძლია მოსარჩელის სასარგებლოდ დაკმაყოფილოს სარჩელი; თუ მოპასუხე სათანადოდ ახერხებს სამართლებრივი შესაგებლის დასაბუთებას და თუ მოსარჩელე არ ხდის სადავოს მის შესაგებელს, მაშინ სასამართლო მიდის დასკვნამდე, რომ უარი უნდა ეთქვას სარჩელს საპირისპირო (მოთხოვნის გამომრიცხავი) ნორმის არსებობის გამო; თუ მოპასუხე სათანადოდ ახერხებს მოსარჩელის არსებითი გარემოებების შედავებას და ასევე საპირისპირო ნორმის წინაპირობების საკმარისად დასაბუთებას, მაშინ მტკიცების სტადიაზე უნდა გაირკვეს, მტკიცდება თუ არა სადავო გარემოებები (მტკიცების ტვირთის განაწილების შესაბამისად). შემდეგ ეტაპზე უნდა შემოწმდეს, ახერხებს თუ არა მოსარჩელე თავისი მოთხოვნის დამაფუძნებელი გარემოებების იმგვარ დასაბუთებას, რომელიც ასევე აქარწყლებს მოპასუხის მიერ დასაბუთებულ საპირისპირო მითითებებს (ნორმებს). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ვალდებულებითი სამართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტიტუტს წარმოადგენს ვალდებულების შეწყვეტა. შეწყვეტის შემდეგ ვალდებულება აღარ არსებობს. მის მონაწილეებს ერთმანეთთან აღარ აკავშირებთ უფლებები და მოვალეობები. ვალდებულების შეწყვეტას იწვევს განსაზღვრული გარემოებები, რომლებსაც ვალდებულების შეწყვეტის საფუძველებს უწოდებენ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულია ვალდებულების შეწყვეტის სხვადასხვა საფუძველები. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობის მიზანი არის ვალდებულებით

გათვალისწინებული შესრულების მიღება მხარეების მიერ, ე.ი. შესრულებით მიიღწევა ის მიზანი, რასაც ვალდებულების მონაწილეები ისახავდნენ. ამის შემდეგ უკვე აღარ არსებობს ამ ურთიერთობის გაგრძელებისათვის სამართლებრივი საფუძველი. ვალდებულების შესრულება წარმოადგენს ვალდებულების შეწყვეტის ყველაზე გავრცელებულ საფუძველს. სსკ-ის 427-ე მუხლის თანახმად, ვალდებულებითი ურთიერთობა წყდება კრედიტორის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულებით (შესრულება).

123. სსკ-ის 427-ე მუხლის მიზნებისათვის ვალდებულების შეწყვეტის ქვეშ იგულისხმება, რომ ვალდებულებითი ურთიერთობა ვინრო ან/და ფართო გაგებით დასრულებულია, შეწყვეტილია და აღარ არსებობს (იხ. დამატებით: გიორგი სვანაძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, მუხლი 427, ველი 5, www.gccc.ge).

124. საკასაციო პალატა განმარტავს, იმისათვის, რომ სსკ-ის 427-ე მუხლის საფუძველზე, ვალდებულება კრედიტორის სასარგებლოდ შესრულებით შეწყდეს, სახეზე უნდა იყოს შესრულების მიზნით განხორციელებული ქმედება, რომელიც განხორციელებულია: ა) ჯეროვნად, ბ) კეთილსინდისიერად, გ) დათქმულ დროსა და ადგილას, დ) უფლებამოსილი პირის მიმართ. ჩამოთვლილი წინაპირობები კუმულატიურად უნდა იყოს დაკმაყოფილებული. ასეთი შესრულება ვალდებულების შეწყვეტას ნიშნავს და ასეთ შემთხვევაში, კრედიტორს არა აქვს უფლება, ხელმეორედ მოითხოვოს შესრულება (შდრ. სუსგ №ას-736-704-2016, 25 ნოემბერი, 2016 წელი).

125. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსკ-ის 429-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კრედიტორმა მოვალის მოთხოვნით შესრულების მთლიანად ან ნაწილობრივ მიღების შესახებ უნდა გაცეს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი. ვალდებულების შესრულების თაობაზე დავის წარმოშობის შემთხვევაში, მტკიცების ტვირთი მოვალეს აკისრია. მან უნდა დაამტკიცოს, რომ ვალდებულება შეასრულა და ამით ვალდებულება შეწყდა. მოვალეს ესაჭიროება სათანადო მტკიცებულება, რომ შეწყვეტის მიზნით ვალდებულების შესრულების ფაქტი დაამტკიცოს. კრედიტორი ასეთი დოკუმენტის გაცემით ადასტურებს, რომ მან შესრულება მიიღო, ვალდებულება შესრულდა და შეწყვეტილია. პრაქტიკაში ვალდებულების შესრულების ან/და მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის სხვადასხვა სახე არსებობს, როგორცაა: ქვითარი, მიღება-ჩაბარების აქტი, ხელწერილი, საბანკო გადარიცხვის ამონაწერი და სხვა.

126. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ „სასარჩელო მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმებს სამოქალაქო კოდექსის 623-ე, 625-ე და 420-ე მუხლები წარმოადგენდა, რომლის

ფარგლებშიც მოსარჩელე ვალდებულია სარჩელში მიუთითოს: ა) მხარეთა შორის სესხის სახელშეკრულებო ურთიერთობის წარმოშობა (თანხის მოვალისათვის გადაცემა); ბ) მხარეთა შეთანხმება სარგებელზე; გ) ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის სახელშეკრულებო საშუალებაზე – პირგასამტეხლოზე მხარეთა წერილობითი შეთანხმების არსებობა; დ) შესრულების ვადის დადგომა; ე) მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევა (მითითების ტვირთი), იმის მიხედვით კი, თუ რომელ გარემოებებს შეედავება დადგენილი წესით მოპასუხე (სსსკ-ის 201-ე და 219-ე მუხლები), სასამართლო განსაზღვრავს მტკიცების საგანს და გარდა უკანასკნელი ფაქტობრივი გარემოებისა, ყველა ზემოხსენებულის მტკიცება ეკისრება მოსარჩელეს (სსსკ-ის მე-4 და 102-ე მუხლები), რაც შეეხება ვალდებულების შესრულების მტკიცების ტვირთს, როგორც საპროცესო, ისე მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით იგი მოვალის ვალდებულებას წარმოადგენს (სსსკ-ის 102-ე მუხლი, ასევე, სკ-ის 429-ე მუხლი). მხარეთა შორის უდავოა, რომ სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლის შესაბამისად, მსესხებელმა ვალდებულების შესრულების ფაქტი ვერ დაამტკიცა. შესაბამისად, კრედიტორის მოთხოვნა სესხისა და სარგებლის (რომლის ოდენობაც სადავო არაა), ასევე, პირგასამტეხლოს დაკირების მოთხოვნის ნაწილში, წარმატებულია სამოქალაქო კოდექსის 420-ე, 623-ე და 625-ე (სესხის დადების დროს მოქმედი რედაქციის შესაბამისად) მუხლებიდან გამომდინარე“ (შდრ. სუსგ №ას-481-481-2018, 19 თებერვალი, 2019 წელი).

127. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი წერილობითი ფორმით უნდა იქნეს შედგენილი, რათა დავის შემთხვევაში, გამოყენებული იქნეს მოვალის მიერ, როგორც ვალდებულების შეწყვეტის დამადასტურებელი მტკიცებულება. ფორმა, ნების გამოვლენის განცხადების საშუალებაა. კრედიტორი და მოვალე შეიძლება შეთანხმდნენ ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის ელექტრონულ ფორმაზეც (ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელია ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებაც). მოვალეს შეუძლია მოითხოვოს არა მხოლოდ ვალდებულების მთლიანად შესრულების დამადასტურებელი, არამედ მისი ნაწილობრივ შესრულების/მიღების დამადასტურებელი დოკუმენტიც.

128. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ „მოვალის მიერ თანხის გადახდის ვალდებულების დარღვევის გამო, ნოტარიუსმა კრედიტორის მოთხოვნის საფუძველზე გასცა სააღსრულებო ფურცელი, რომლის თანახმად, დადგინდა სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული მსეს-

ხელის კუთვნილი უძრავი ქონების რეალიზაცია აუქციონზე. მოსარჩელე(მსესხებელი) განმარტავდა, რომ მის მიერ გადახდილი სადავო თანხა, თუმცა, პალატის მოსაზრებით, თანხის გადახდის დადასტურებისათვის მხოლოდ მხარის ახსნა-განმარტება თვითკმარ საფუძველს არ წარმოადგენს. ფულადი ვალდებულების შესრულებას გარკვეული თავისებურება ახასიათებს, რაც ვალდებულების შესრულების ფაქტის დადგენაში ვლინდება. მართალია, სესხის ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმები არ უთითებს გადახდის სავალდებულო ფორმაზე, თუმცა, იგი განმარტებულ უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლით მოცემულ კონტექსტში. დასახელებული მუხლი, რომელიც სისტემურად მოთავსებულია სსკ-ის მეექვსე კარში (ვალდებულების შეწყვეტა შესრულებით) არეგულირებს ფულადი ვალდებულების შესრულების წესს. შესაბამისად, მოვალეს უნდა წარმოედგინა უნაღდო ან ნაღდი ანაგარიშსწორების გზით თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (სამოქალაქო კოდექსის 429-ე, 386-ე მუხლები), რაც მის მიერ არ განხორცილებულა. ამდენად, მოსარჩელემ (მსესხებელმა) ვერ წარადგინა სადავო თანხის გადახდის დამადასტურებელი სათანადო, ზემოაღნიშნული ნორმით გათვალისწინებული მტკიცებულება, რის გარეშეც, მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების პერსპექტივა არ გააჩნია“ (მდრ. სუსგ №ას-1755-2018, 22 თებერვალი, 2019 წელი).

129. სხვა საქმეებშიც დადგენილი იქნა, რომ მხარეთა შორის წარმოშობილია სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობა. საკასაციო პრეტენზია შეეხებოდა სესხის სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი ვალდებულების შეუსრულებლობას. საკასაციო პალატამ სრულად გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება, რომ მოწინააღმდეგე მხარისათვის სადავო თანხის გადახდის დამადასტურებელი სათანადო მტკიცებულება მსესხებლის მიერ წარმოდგენილი არაა [სსსკ-ის 102-ე მუხლი]. სსკ-ის 429-ე მუხლი ადგენს ვალდებულების შესრულების მიღების წესს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის ფლობა აუცილებლობას წარმოადგენს მოვალისათვის, რადგან საპროცესო-სამართლებრივი თვალსაზრისით, ფულადი ვალდებულების შესრულების მტკიცების ტვირთი სწორედ მას ეკისრება. მან ვერ წარმოადგინა საკმარისი და საწმენო მტკიცებულება სადავოდ ქცეული თანხის ფარგლებში ფულადი ვალდებულების შესრულების შესახებ. [სსსკ-ის 105-ე მუხლი]“ (მდრ. სუსგ №ას-474-474-2018, 13 ივლისი, 2018 წელი; №ას-1425-1345-2017, 30 აპრილი, 2018 წელი; №ას-1452-1372-2017, 26 იანვარი, 2018

ნელი).

130. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ „სა-სესხო ვალდებულების შესრულების ნამდვილობისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ მოწმეთა ჩვენებები. მოწმეთა ჩვენებებთან ერთად აუცილებელია ისეთი მტკიცებულების არსებობა, რაც ერთობლივად მაღალი ალბათობით დაადასტურებდნენ სადავო ფაქტს (მაგალითად, უშუალოდ კრედიტორის წერილი, თუნდაც, მესამე პირისადმი მიმართული, რომელშიც მითითებული ინფორმაცია ვალდებულების შესრულების თაობაზე, ან/და კრედიტორის მოქმედებები, რომლებიც მიუთითებენ ვალდებულების მიღებაზე და სხვა). ამდენად, სასესხო ვალდებულებების შესრულების თაობაზე წერილობითი მტკიცებულებების არარსებობის პირობებში (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლი) მოწმეების ჩვენება დასაშვებია მხოლოდ სხვა მტკიცებულებებთან ერთად.“ (მდრ. სუსგ №ას-855-799-2017, 22 სექტემბერი, 2018 წელი);

131. მოსარჩელის (გამსესხებლის) მიერ სესხის ხელშეკრულების ნამდვილობის დადასტურების შემთხვევაში და ვალდებულების შეუსრულებლობის თაობაზე მისი მითითების პირობებში მოქმედებს პრეზუმფცია, რომ მოპასუხეს (მსესხებელს) ვალდებულება (სესხის დაბრუნება) შესრულებული არ აქვს. ამდენად, სესხის ხელშეკრულების ნამდვილობის დადასტურების ტვირთი აკისრია მოსარჩელეს (გამსესხებელს). მხოლოდ ამ შემთხვევაში მოქმედებს პრეზუმფცია მსესხებლის (მოპასუხეს) მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის თაობაზე. ამ პრეზუმფციის გაქარწყლების ტვირთი (ვალდებულების შესრულების ტვირთი) აკისრია მსესხებელს (მოპასუხეს). ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ იმას, რომ მოვალემ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება, არამედ იმას, ეს შესრულება რამდენად ითვლება კრედიტორის მიერ მიღებულიად. ამდენად, სასესხო ვალდებულებების შესრულების თაობაზე წერილობითი მტკიცებულებების არარსებობის პირობებში (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლი) მოწმეების ჩვენება დასაშვებია მხოლოდ სხვა მტკიცებულებებთან ერთად (მდრ: სუსგ №ას-872-830-2013, 17 ოქტომბერი, 2014 წელი).

132. საქმეზე დადგენილად ცნობილი გარემოებებისა და მტკიცებულებების საფუძველზე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსესხებელმა ვერ წარმოადგინა სესხის დაბრუნების (მოთხოვნის შეწყვეტა) დამადასტურებელი რელევანტური მტკიცებულება, შესაბამისად, სახეზე არაა სსკ-ის 427-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შეწყვეტის საფუძველი.

133. თუმცა საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ მოპასუხემ (მსესხებელი) წარმოადგინა არა

მხოლოდ მოთხოვნის შემწყვეტი, არამედ მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგებელიც (ხანდაზმულობა). სსკ-ის 144.1 მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ ვალდებული პირი უფლებამოსილია უარი თქვას მოქმედების შესრულებაზე.

134. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგებლის წარდგენისას, მოპასუხე შესაძლოა ეთანხმებოდეს სარჩელში გაყვლებულ მხარეთა შორის წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობას (სადავოდ არ ხდიდეს სარჩელში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს), ასევე, ეთანხმებოდეს ვალდებულების არსებობას და აღიარებდეს მისი მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობას, თუმცა, უარს აცხადებდეს მის შესრულებაზე, რადგან მოთხოვნა ხანდაზმულად მიაჩნდეს (სსკ-ის 144-ე მუხლი). მოთხოვნის შემაფერხებელ შესაგებელთან გვაქვს საქმე ასევე, როდესაც მოპასუხე უთითებს მოსარჩელის მხრიდან საპასუხო მოქმედების შესრულებაზე (სსკ-ის 369-ე მუხლი) ან შესრულების ვადის დაუდგომლობაზე (სსკ-ის 361.2 მუხლი, 368-ე მუხლი).

135. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დრო დიდ როლს თამაშობს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების დაცვის საკითხში. მხარეთა შორის გარკვეული სამართლებრივი ურთიერთობები შეიძლება იმდენად დიდი ხნის წინ წარმოიშვას, რომ გავლენა მოახდინოს მხარეთა უფლება-მოვალეობებზე. მართლწესრიგი ითვალისწინებს ხანდაზმულობის ინსტიტუტს, რომლის ერთ-ერთ სახესაც წარმოადგენს სასარჩელო ხანდაზმულობა. მისი არსებობა განპირობებულია ხელშეკრულების მხარეთა თანასწორობისა და მათი ინტერესების თანაბარი დაცვის საჭიროებიდან გამომდინარე. გონივრული სასარჩელო ხანდაზმულობის ვადების არსებობა უფლების რეალიზაციის აუცილებელი წინაპირობაა. განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ სამართლებრივი სტაბილურობის მოთხოვნა უფრო მეტად დაცვის ღირსია. სასარჩელო ხანდაზმულობა უფლების განხორციელებისათვის განსაზღვრულ ჩარჩოებს აწესებს. სასარჩელო ხანდაზმულობა წარმოადგენს მიზნის მიღწევის საშუალებას და არა თვითმიზანს.

136. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ უფლების წარმოშობა, ისევე როგორც მისი შეწყვეტა დაკავშირებულია განსაზღვრულ დროსთან. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა ამცნობს უფლების სუბიექტს მისი დარღვეული უფლების სასამართლოს გზით განხორციელების ვადის თაობაზე. სასარჩელო ხანდაზმულობა იმ სამართლებრივი მნიშვნელობის მატარებელია, რომ რაღაც ურთიერთობას ადგილი ჰქონდა იმდენად დიდი ხნის წინ, რომ ხანგრძლივი

დროის გასვლა პირდაპირ გავლენას ახდენს პირთა უფლებებზე (იხ. დამატებით: თენგიზ ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბილისი, 2005 წ., გვ. 133; ბესარიონ ზოიძე, ქართული სამოქალაქო კოდექსის შექმნის ისტორიიდან, ყურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა“, თბილისი, 2003 წ. გვ. 110.).

137. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა გულისხმობს დროის გარკვეულ მონაკვეთს, რომლის განმავლობაშიც პირს, რომლის უფლებაც დაირღვა, შესაძლებლობა აქვს, მოითხოვოს საკუთარი უფლებების სამართლებრივი გზით (იძულებით) განხორციელება ან დაცვა, ანუ კრედიტორს შეუძლია დაიკმაყოფილოს მოთხოვნა სამართლოსათვის მიმართვის გზით. ამ ვადის გასვლა კი გულისხმობს ამ პირთა მიერ ასეთი შესაძლებლობის გამოყენების უფლების მოსპობას, გაქარწყლებას. „მხარეთა სასარჩელო შესაძლებლობები ხშირად არის ვადით შეზღუდული. სამოქალაქო სამართალში სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ პირი კარგავს უფლების სასამართლო გზით დაცვის შესაძლებლობას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 30 აპრილის განწყვეტილება №1/3/161 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ო. ს-ი და ი. ხ-ი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“). ხანდაზმულობის ვადის გასვლა მოთხოვნას არ აუქმებს (წყვეტს), არამედ მოვალეს შესაძლებლობას ანიჭებს, უარი თქვას მოთხოვნის შესრულებაზე. ანუ მოთხოვნის უფლება ობიექტურად არსებობს, თუმცა იგი განუხორციელებელია. (შდრ: გიორგი სვანაძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი I, მუხლი 144-ე, ველი 1. თბილისი, 2017 წელი).

138. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო პალატამ აღინიშნა, რომ საპროცესო თავდაცვის საშუალებად მოპასუხემ ხანდაზმულობის ინსტიტუტი გამოიყენა შესაბამისად, საფუძვლიანად იქნა მიჩნეული მოპასუხის პოზიცია საზღაურის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზეც, რამდენადაც, სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ ვალდებული პირი უფლებამოსილია უარი თქვას მოქმედების შესრულებაზე“ (შდრ: სუსგ №ას-1437-1357-2018, 11 მაისი, 2018 წელი).

139. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სსკ-ის 128-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადა ვრცელდება სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე. ხანდაზმულობის ვადების დანესებით, კანონმდებლის მიზანია გამორიცხოს კრედიტორის უფლების განხორციელების არათანაზომიერად

ან ბოროტად გამოყენების საფრთხე. გარდა ამისა: ა) ხანდაზმულობის ვადა სასამართლოს უმსუბუქებს ფაქტების დადგენისა და შესწავლის პროცესს და ამ გზით, ხელს უწყობს დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანას; ბ) ხელს უწყობს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილიზაციას; გ) აძლიერებს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტების ურთიერთკონტროლსა და იძლევა დარღვეული უფლების დაუყოვნებლივ აღდგენის სტიმულიზაციას (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, თბილისი, 2007, გვ.63; შდრ. სუსგ 11.06.2012 საქმე №ას-547-515-2012).

140. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზოგადად, ვადებს დიდი მნიშვნელობა აქვს სამართლებრივ ურთიერთობებში წესრიგის შეტანისთვის. დროის ფაქტორი ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს პირთა შორის ურთიერთობების სამართლებრივ მოწესრიგებაში. გარკვეული დროის დადგომას ან ვადის გასვლას უკავშირდება კონკრეტული იურიდიული შედეგები – სამართლებრივი ურთიერთობების (შესაბამისად პირთა უფლებებისა ან/და მოვალეობების) წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა. მართლმსაჯულების უმნიშვნელოვანესი მიზანია ადამიანის უფლებების დაცვა, რაც შესაძლებელია საქმეზე მხოლოდ სწორი და ობიექტური გადაწყვეტილების მიღების გზით. მართლმსაჯულების შედეგი სამართლიანობის მიღწევა, აღდგენა, უზრუნველყოფა უნდა იყოს. „ადამიანებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია განცდა, რომ მათ სამართლიანად ეპყრობიან“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება №1/3/534 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ტ. მ-ი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 3.).

141. ზემოთ ჩამოთვლილი კანონიერი მიზნების არსებობას იზიარებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც. გადაწყვეტილებაში საქმეზე სტაბილური და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, სასამართლო განმარტავს: „... ხანდაზმულობის ვადები ემსახურება რამდენიმე მნიშვნელოვან მიზანს, კერძოდ, სამართლებრივ განსაზღვრულობას და საბოლოობას, პოტენციური მოპასუხეების დაცვას ძველი სარჩელებისგან, რომლებისგან თავის დაცვაც შეიძლება რთული აღმოჩნდეს და უსამართლობის თავიდან აცილებას, რომელიც შეიძლება წარმოიშვას, თუ სასამართლოები იძულებული გახდებიან გადაწყვიტონ საქმეები, რომლებიც შორეულ წარსულში მოხდა, იმ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რომლებიც შესაძლოა, დროის გასვლის გამო არასაიმედო ან არასრული იყოს“ (3.51). (Stubbings and Others v The United Kingdom, განაცხადის ნომერი №22083/93; №220095/93, 22 ოქტომბერი, 1996).

142. აღსანიშნავია, რომ ხანდაზმულობის ვადის გასვლით ის-პოზა სასამართლოს ან სხვა ორგანოს მეშვეობით პირის მოთხოვნის იძულებით განხორციელების შესაძლებლობა, მაგრამ არა სასამართლოსათვის ან სხვა ორგანოსათვის მიმართვის უფლება. ხანდაზმულობის ვადა სპობს უფლების იძულებით განხორციელების შესაძლებლობას მატერიალური და არა პროცესუალური თვალსაზრისით. საკასაციო პალატამ არაერთ საქმეზე განმარტა, რომ სასარჩელო ხანდაზმულობის ინსტიტუტი წარმოადგენს უფლების დაცვის მატერიალურ-სამართლებრივ საშუალებას, რადგან სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ მოთხოვნა მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არსებობს, თუმცა სასამართლო წესით ამ მოთხოვნის იძულებითი განხორციელება კონკრეტული წინაპირობის არსებობისას, არ ხდება (მდრ. სუსგ №ას-1428-2018, 27 დეკემბერი, 2018; №ას-369-350-2015, 30 ივლისი, 2015).

143. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სახელშეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულობაზე მითითების შედეგად წარმოშობილი საწინააღმდეგო უფლება მატერიალურ სამართლებრივი მნიშვნელობით შესაგებელია, რომელიც მოთხოვნის განხორციელებას ხანგრძლივად ან დროებით აფერხებს. „სახელშეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულობის მიზანია მოვალის დაცვა იმ პროცესის ნაწილად გახდომისაგან, რომელშიც პოზიციის დაცვა რთული ან შეუძლებელია მოთხოვნის სიძველის გამო“. (მდრ: სუსგ №ას-898-860-2014, 09 ოქტომბერი, 2015 წელი). ხანდაზმულობის ვადების გათვალისწინება სასამართლოს მიერ ხორციელდება არა საკუთარი ინიციატივით, არამედ მხოლოდ საქმის განხილვაში მონაწილე მხარეების (მხარის) მიერ აღნიშნულზე მითითების შემთხვევაში. მაგალითად, მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგებლების შემოწმება მიმდინარეობს მოპასუხის შედავების შემოწმების ეტაპზე. ამ ტიპის შედავების წარდგენის დროს მოპასუხე შესაძლოა ეთანხმებოდეს სარჩელში გაყლერებულ მხარეთა შორის წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობას (სადავოდ არ ხდიდეს სარჩელში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს), ასევე ეთანხმებოდეს ვალდებულების არსებობას და აღიარებდეს მისი მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობას, თუმცა, უარს აცხადებდეს მის შესრულებაზე, რადგან მოთხოვნა ხანდაზმულად მიაჩნდეს (სსკ-ის 144-ე მუხლი) (იხ. დამატებით: ჰაინ ბოელინგი, ლადო ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადანყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, მეორე გამოცემა, თბ., 2004, გვ.170; მოსამართლის მიერ გადანყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში მოკლე შეხვედრა რელაციის მეთოდში სამოქალაქო კოდექსის მიხედვით შე-

მუშავებული პრაქტიკული მაგალითებით, შტეფან შმიტი, ჰარალდ რიჰტერი, GIZ, 2013, გვ.20).

144. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სარჩელი აერთიანებს ორ ნაწილს: სარჩელის აღძვრისა და სარჩელის დაკმაყოფილების უფლებას. რადგან სასარჩელო ხანდაზმულობა არის დარღვეული უფლების იძულებითი განხორციელების ვადა, ის უკავშირდება სწორედ სარჩელის დაკმაყოფილების უფლებას. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლით ისპობა უფლების იძულებითი განხორციელების შესაძლებლობა მატერიალური და არა საპროცესო-სამართლებრივი თვალსაზრისით. შესაბამისად, სასარჩელო ხანდაზმულობის ინსტიტუტი მიჩნეული უნდა იქნეს მატერიალური სამართლის კუთვნილებად კანონმდებლობაში მისი ადგილისა და სამართლებრივი შედეგების გათვალისწინებით.

145. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადები ასევე მიიჩნევა საქმის სწორად გადაწყვეტის ერთ-ერთ ეფექტურ გარანტიად. კერძოდ: გადაწყვეტილება ეფუძნება მხარეთა მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს, შესაბამისად, მტკიცებულებათა უტყუარობა, მათი ვარგისიანობის, ნამდვილობის უტყუარად დადგენის შესაძლებლობა უმნიშვნელოვანესია სწორი და ობიექტური გადაწყვეტილების მისაღებად. სამართალწარმოებაში შეცდომის თავიდან აცილება უპირველესი მიზანია. ამასთან, ხანგრძლივი დროის გასვლამ შეიძლება გამოიწვიოს მტკიცებულებების შეცვლა ან მათი მოპოვების უკიდურესად გართულება, ზოგჯერ კი – განადგურება, რაც, საბოლოო ჯამში, გაართულებს სადავოდ გამხდარი მტკიცებულებების საიმედოობის დადგენას. როდესაც ხანგრძლივი დროა გასული იმ მოვლენიდან, რომელმაც სადავო გარემოებები წარმოშვა, მაღალია ალბათობა, რომ მტკიცებულებები, რომლებიც ადრე არსებობდა, შეიძლება დაკარგული ან სახეშეცვლილი იყოს, ასევე გაფერმკრთალდება მოწმეთა მენსიერება, რომელთა ჩვენებებს სასამართლო დავის გადაწყვეტისას უნდა დაეყრდნოს, გაიზრდება სავარაუდო, არასანდო მტკიცებულებათა რიცხვი. შედეგად, მეტი ალბათობით შეიქმნება ნიადაგი საქმის ფაქტობრივი გარემოებების არაობიექტური შეფასებისათვის. ხანდაზმულობის ვადა წარმოადგენს მცდელობას, დაიცვას მხარეები ასეთი საფრთხეებისაგან.

146. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სასარჩელო ხანდაზმულობა არ არის აბსტრაქტული სამართლებრივი კატეგორია. კანონმდებლობა ითვალისწინებს მისი დაწყებისა და დასრულების მომენტს. მოთხოვნის შემოწმებისას აუცილებელია განისაზღვროს ხანდაზმულობის კონკრეტული ვადის გამოყენებისა და მისი ათვლის საკითხი. ერთმანეთისაგან განასხვავებენ ხანდაზმულობის ვადის ათვლის ობიექტურ და სუბიექტურ მომენტებს. ხანდაზმუ-

ლობის ვადის დენის დაწყება დაკავშირებულია სუბიექტურ ფაქტორთან ანუ იმ მომენტთან, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლების დარღვევის შესახებ. ხანინალმდეგოს მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს ანევს. ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყების საფუძველია უფლების დარღვევა, რომელიც შესაძლოა კანონიდან გამომდინარეობდეს ან ხელშეკრულების საფუძველზე წარმოიშვას (შდრ: ნ. კვანტალიანი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 130-ე, ველი 2. თბილისი, 2017 წელი; ლადო ჭანტურია, საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011 წელი, გვერდი 123).

147. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის სწორი გამოთვლისათვის არსებითია, ზუსტად დადგინდეს მოთხოვნის წარმოშობის დრო. საკასაციო სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში/განჩინებაში განმარტავს: „ხანდაზმულობის ვადაში იგულისხმება დრო, რომლის განმავლობაშიც უფლებამოსილ პირს შეუძლია თავისი უფლების რეალიზაცია ან დაცვა. ხანდაზმულობის ინსტიტუტის სპეციფიკურობა ისაა, რომ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ მოთხოვნის უფლება ობიექტურად არსებობს, თუმცა, იგი იძულებით ვერ განხორციელდება, ანუ ამ უფლების რეალიზება სრული მოცულობით დამოკიდებულია მოთხოვნის ადრესატის ნება-სურვილზე (სსკ-ის 144.1 მუხლი). სსკ-ის 130-ე მუხლი ხანდაზმულობის დაწყებას მოთხოვნის წარმოშობის მომენტს უკავშირებს, ხოლო მოთხოვნის წარმოშობის მომენტად მიიჩნევა დრო, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. ამდენად, ხანდაზმულობის ვადის სწორად გამოთვლისათვის უმნიშვნელოვანესია მისი დენის დაწყების მომენტის განსაზღვრა. ხანდაზმულობის ვადის დასაწყისი შეესაბამება დღეს, როდესაც წარმოიშვა მოთხოვნის უფლება, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა, როდესაც მოთხოვნის წარმოშობის ვადის განსაზღვრა ზოგადი წესისაგან განსხვავებულადაა რეგულირებული, მისი წარმოშობა დაკავშირებულია მომენტთან, როდესაც პირმა გაიგო ან უნდა გაეგო უფლების დარღვევის თაობაზე (შდრ: სუსგ-ები №ას-1937-2018, 15 მარტი, 2019 წელი, პ-16; №ას-1343-1263-2017, 20 დეკემბერი, 2017 წელი; №ას-934-899-2016, 14.02.176.; №ას-68-68-2018, 03.04.2018წ.; №ას-382-2019, 14 მაისი, 2019 წელი.).

148. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სსკ-ის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენის დასაწყისი დაკავშირებულია ობიექტურ მომენტთან – უფლების დარღვევის ფაქტთან და სუბიექტურ მომენტთან – დრო, როდესაც უფლებამოსილი პირისათვის უფლების დარღვევის შესახებ გახდა ცნობილი ან გარემოებათა გათვალისწინებით უფლების დარღვევის ფაქტი უნდა შე-

ეტყო.

149. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ როგორც წესი, ივარაუდება, რომ პირი უფლების დარღვევის ფაქტს მისი დადგომისთანავე შეიტყობს ან საშუალო გულისხმიერების გამოჩენის შემთხვევაში შეეძლო შეეტყო ამ ფაქტის თაობაზე. აღნიშნულის საწინააღმდეგოს, ანუ უფლების დარღვევის დაგვიანებით შეტყობის მტკიცების ტვირთი კი უფლებადარღვეულ პირს ეკისრება. თუ დადგინდება, რომ პირმა თავისი დაუდევრობის გამო ვერ გაიგო უფლების დარღვევის შესახებ, მაშინ ხანდაზმულობის ვადის დენა დაიწყება იმ მომენტიდან, როცა საქმის გარემოებების მიხედვით, პირს უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ (შდრ: ნ. კვანტალიანი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 130-ე, ველი 5. თბილისი, 2017 წელი).

150. ვინაიდან სასამართლო მოთხოვნის ხანდაზმულობას მხოლოდ მოპასუხის მითითების საფუძველზე იკვლევს, მოთხოვნის ვადაში წარდგენა მოსარჩელის მტკიცების ტვირთს წარმოადგენს. „თუ ხანდაზმულობის წარმოშობის მომენტის დადგენა ობიექტურად შეუძლებელია, ყურადღება უნდა მიექცეს სუბიექტურ მომენტს. ამასთან, იგულისხმება, რომ ხანდაზმულობის წარმოშობის ობიექტური და სუბიექტური მომენტები თანმხვედრია, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე არ ეთანხმება ხანდაზმულობის წარმოშობის ობიექტური და სუბიექტური მომენტების თანხვედრას, მაშინ მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს ეკისრება იმის გასარკვევად, თუ როდიდან უნდა დაიწყოს ხანდაზმულობის ვადის დენა“ (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, თბილისი, 2007 წელი, გვერდი 64.).

151. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ხანდაზმულობის დაწყებისათვის, როგორც წესი, არ არის სავალდებულო, რომ კრედიტორმა მისთვის ცნობილ ფაქტებს სამართლებრივი შეფასება მისცეს. თუ კრედიტორი მცდარ დასკვნებს გამოიტანს, ფაქტებს მცდარად შეაფასებს, ხანდაზმულობის ვადის დინება მაინც იწყება. ხანდაზმულობის ვადების დაწყებისათვის მიზანშეწონილად უნდა იქნეს მიჩნეული ხანდაზმულობის საფუძველად არსებული ფაქტობრივი გარემოებების ცოდნა მისი სამართლებრივი შეფასების გარეშე, რადგან რთულია შესაბამისი განათლების არმქონე პირს მოეთხოვოს ნორმის ქმედების შემადგენლობის კომპონენტების შეფასება. სსკ-ის 130-ე მუხლი ხანდაზმულობის ვადის ათვლის სუბიექტური ფაქტორის განსაზღვრისას, პოზიტიურ ცოდნასთან ერთად ითვალისწინებს ბრალეულ არცოდნასაც. თუ დადგინდება, რომ პირმა თავისი დაუდევრობის გამო ვერ გაიგო უფლების დარღვე-

ვის თაობაზე, ხანდაზმულობის ვადის ათვლა დაიწყება იმ მომენტიდან, როცა საქმის გარემოებებიდან გამომდინარე პირს უნდა შეეცყო უფლების დარღვევის შესახებ (იხ. დამატებით: ზურაბ ახვლედიანი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი კომენტარი, ნიგნი პირველი, თბილისი, 1999 წელი, მუხლი 130, გვერდი 320.).

152. საკასაციო პალატა განსახილველ საქმესთან დაკავშირებით ყურადღებას გაამახვილებს 2016 წლის 19 სექტემბერს წარდგენილ სარჩელში მოსარჩელის მიერ მითითებულ გარემოებებზე, კერძოდ მოსარჩელე აღნიშნავს, რომ მოპასუხე ზ. ბ-ს 2012 წლის 15 აგვისტოს სესხად გადასცა 11000 აშშ დოლარი. იმის გათვალისწინებით, რომ გამსესხებელს (მოსარჩელე) სესხის ხელშეკრულების დადების დროს არ გააჩნდა პირადობის დამადასტურებელი მოწმობა გასესხების ნოტარიულად დაფიქსირებისათვის, სთხოვა თავის თანმხლებ პირს – ნაცნობ ა. ჩ-ს, რომ სესხი გაცემული ყოფილიყო ამ უკანასკნელის სახელით. ამას დათანხმდა მსესხებელიც და გაფორმდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მსესხებელმა მიიღო 11000 აშშ დოლარი თვეში 4% სარგებლისა და პირგასამტეხლოს 0,1%-ის დარიცხვით ყოველ გადაცილებულ დღეზე. სესხად მიღებული თანხა მოპასუხე ზ. ბ-ს უნდა დაებრუნებინა სამ თვეში. ვინაიდან სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებაში ოფიციალურად გამსესხებელი იყო ა. ჩ-ი, მოსარჩელემ მას 2015 წლის 08 იანვარს ააღებინა ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცელი. აღნიშნული სასამართლოში გასაჩივრებული იქნა მოპასუხე ზ. ბ-ის მიერ. მოსარჩელემ მიუთითა, რომ სააღსრულებო ფურცლის გაუქმების შესახებ დავაში იყო ა. ჩ-ის წარმომადგენელი, სადაც სასამართლოს განუცხადა, რომ რეალური გამსესხებული თავად იყო და არა მისი მარწმუნებელი, რასაც დაეთანხმა მოპასუხეც. ამის შედეგად სააღსრულებო ფურცელი გაუქმდა. შედეგად მოპასუხე ზ. ბ-ი დღემდე სარგებლობს მოპასუხის ფულადი თანხით და უარს აცხადებს დაბრუნებაზე (იხ. დავის საგნის მოკლე მიმოხილვა; მე-4 ფაქტობრივი გარემოება).

153. მოპასუხემ 2017 წლის 19 სექტემბერს წარადგინა როგორც მოთხოვნის დაკმაყოფილების გამომრიცხავი (სრულად აქვს გადახდილი აქვს სესხის თანხა), ასევე მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგებელი (მოთხოვნის ხანდაზმულობა), სადაც მიუთითა, „მოსარჩელე თავად აღიარებს იმ ფაქტს, რომ 2012 წლის 15 აგვისტოს სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების მხარეს თვითონ წარმოადგენდა, ასეთ შემთხვევაში კი, მოთხოვნა სსკ-ის 129-ე, 130-ე მუხლების თანახმად, არის ხანდაზმული“. მოთხოვნის ხანდაზმულობაზე მოპასუხემ მიუთითა აგრეთვე მის მიერ წარდგენილ სააპელაციო საჩივარშიც.

154. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 21 ივნისის მთავარ სხდომაზე მოსარჩელემ დაადასტურა, რომ თავად იყო სესხის ხელშეკრულების მხარე (გამსესხებელი).

155. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ „მტკიცებულებას წარმოადგენს მხარის ახსნა-განმარტების ის ნაწილი, რომელიც საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოების არსებობა-არარსებობას ადასტურებს. იმის მიუხედავად, თუ რა ფორმითაა წარმოდგენილი მხარეთა ახსნა-განმარტება – წერილობით თუ ზეპირი ფორმით. ამის ნათელი მაგალითია სსსკ-ის 127-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციური ჩანაწერი: საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენის პროცესი იწყება მხარეთა (მესამე პირთა, თანამონაწილეთა, კანონისმიერ წარმომადგენელთა) ახსნა-განმარტების მიღებით: მხარეები იძლევიან ახსნა-განმარტებებს მათთვის ცნობილი და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა შესახებ. რაც შეეხება ფაქტის აღიარებას (სსსკ-ის 131-ე მუხლი) კლასიკური გაგებით – ესაა მხარეთა ახსნა-განმარტების ერთ-ერთი სახესხვაობა, მტკიცებულება, რომელიც შესაძლოა საკმარისი აღმოჩნდეს საქმეზე გადანყვეტილების მისაღებად – იურიდიული შედეგის დასაადგენად. აღიარების, როგორც მტკიცებულების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ამ მტკიცებულებით ხდება ისეთი ფაქტის დადასტურება, რომელზეც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნას ან შესაგებელს. იგი გაკეთებულია მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ და ფაქტის ამლიარებლის ინტერესების საწინააღმდეგოდ. მაშასადამე, ფაქტს, რომელიც უნდა დაედასტურებინა ერთ მხარეს, ვთქვათ მოსარჩელეს თავისი მტკიცების ტვირთის ფარგლებში, ადასტურებს მოპასუხე ან პირიქით. სწორედ ამიტომ, ფაქტის აღიარება სამოქალაქო საპროცესო სამართლით უტყუარ მტკიცებულებადაა მიჩნეული, რადგან იგი ფაქტის ამლიარებლის ინტერესების საწინააღმდეგოდ და მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ არის განხორციელებული. შესაბამისად, დავის პროცესში აღიარებული ფაქტი სასამართლომ უნდა ამორიცხოვოს დავის საგნიდან და როგორც უდავო ფაქტი მტკიცებას არ საჭიროებს. ფაქტის აღიარების ასეთ მტკიცებულებად შეფასება ემყარება რწმენას, რომ იგი ნამდვილად არსებობს და თვით ის მხარეც არ ხდის სადავოდ, რომელსაც ამ და სხვა ფაქტების საფუძველზე მეორე მხარის უფლების დარღვევაში ედავებიან. ამასთან, აღიარების ამა თუ იმ ფაქტის უტყუარად დამდგენ და უდავო მტკიცებულებად მიჩნევისათვის აუცილებელია, რომ იგი იმ მხარემ განახორციელოს, რომელთან მიმართებითაც შემდგომში იქნება გამოყენებული“ (ილონა გაგუა, „მტკიცებულებები და

მტკიცების პროცესი კერძო ხასიათის სამართლებრივ დავებზე“, რედ: ზურაბ ძლიერიშვილი, ნუნუ კვანტალიანი, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, 2020 წელი, გვ. 36, 48-49).

156. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა არ ეთანხმება სააპელაციო პალატის შეფასებას, რომ სარჩელი არ არის ხანდაზმული (იხ. პ.12). საკასაციო პალატა სრულად იზიარებს მოპასუხის (მსესხებელი) მოსაზრებას, რომ განსახილველ შემთხვევაში, ხანდაზმულობის ვადის დენა დაიწყო 2012 წლის 16 ნოემბრიდან, სარჩელი აღძრულია 2016 წლის 19 სექტემბერს ანუ, გასულია სსკ-ის 129.1 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნა ხანდაზმულობის ვადა, რაც სსკ-ის 144.1 მუხლის საფუძველზე, წარმოადგენს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს.

157. საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს იმჯგულის ისეთ საპროცესო სამართლებრივ ინსტიტუტზე, როგორცაა საუარესოდ შემობრუნების დაუშვებლობა (non reformacio in pejus), რომლის თანახმადაც, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს მხოლოდ საკასაციო საჩივრის ფარგლებში და, უფლება მოსილია შეცვალოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ (სსსკ-ის 404.1 მუხლი). არ არის გამორიცხული, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების შემონგმებისას, საკასაციო სასამართლო მივიდეს იმ დასკვნამდე, რომ გადაწყვეტილება არასწორია იმ ნაწილშიც, რომელიც არაა გასაჩივრებული და კასატორის სასარგებლოდაა გამოტანილი. მიუხედავად ამისა, საკასაციო სასამართლო ვერ გააუქმებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას ამ ნაწილში.

158. საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 15 მაისის გადაწყვეტილება გასაჩივრებულია მხოლოდ მოსარჩელის (გამსესხებელი) მიერ. აღნიშნული გადაწყვეტილებით კი, სარჩელი დაკმაყოფილებულია მხოლოდ ნაწილობრივ, კერძოდ მე-3 პუნქტის მიხედვით, მოპასუხეს (მსესხებელი) მოსარჩელის (გამსესხებელი) სასარგებლოდ დაკისრებული აქვს სესხის ძირი თანხა – 1500 აშშ დოლარი და პირგასამტეხლო – 136, 35 აშშ დოლარი, მე-4 პუნქტის მიხედვით მოსარჩელისათვის სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება 114.87 ლარის ოდენობით, მე-9 პუნქტის მიხედვით კი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება 65.45 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის ოდენობით. ამ ნაწილში, გადაწყვეტილება მოპასუხის მიერ არც დამოუკიდებელი საკასაციო საჩივრით და არც შეგებებული საკასაციო საჩივრით (სსსკ-ის 405-ე მუხლი) არ არის გასაჩივრებული, ანუ სსსკ-ის 264-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ ნაწილში, სააპელაციო სასამართლოს გა-

დანყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში, საუარესოდ შემობრუნების დაუშვებლობის პრინციპის გათვალისწინებით კი, საკასაციო პალატა მოკლებულია სამართლებრივ შესაძლებლობას იმჯელოს ამ ნაწილში, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერებაზე.

159. ზემოაღნიშნული მსჯელობების გათვალისწინებით, ნაწილობრივ უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 15 მაისის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს.

160. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ კასატორის მონინალმდევე მხარემ 2019 წლის 11 ოქტომბერს განცხადებით მომართა საკასაციო სასამართლოს და სსსკ-ის 37 III მუხლის საფუძველზე მოითხოვა საკასაციო სამართალწარმოების ეტაპზე წარმომადგენლისათვის იურიდიული დახმარების განწვეის სანაცვლოდ გადახდილი 1000 ლარის ოდენობის სასამართლოსგარეშე ხარჯის, კასატორისათვის დაკისრება. განცხადებას თან ერთვის აღნიშნული თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

161. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ კასატორის მონინალმდევე მხარის აღნიშნული შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგი დასაბუთებით:

162. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის V თავი ეძღვნება პროცესის ხარჯებს. სსსკ-ის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, პროცესის ხარჯებს შეადგენს სასამართლო ხარჯები და სასამართლოსგარეშე ხარჯები. იმავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით განმარტებულია, თუ რას შეადგენს თითოეული მათგანი, კერძოდ, სასამართლო ხარჯებს შეადგენს სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები, ხოლო სასამართლოსგარეშე ხარჯებს წარმოადგენს ადვოკატისათვის განეული ხარჯები, დაკარგული ხელფასი (განაცდური), მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად განეული ხარჯები, აგრეთვე მხარეთა სხვა აუცილებელი ხარჯები.

163. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოგებული მხარის სასარგებლოდ წაგებული მხარისათვის პროცესის ხარჯების დაკისრების სამართლებრივი საფუძვლები მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე და 54-ე მუხლებში. ზოგადი პრინციპი ასეთია – იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

164. საკასაციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული ერთგვა-

როგანი პრაქტიკის თანახმად, „საპროცესო კანონმდებლობა პროცესის ხარჯების საკითხის განხილვის თაობაზე რაიმე სპეციალური წარმოების სახეს არ იცნობს, გარდა კოდექსის 261-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა. სასამართლოს ყოველთვის შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება პროცესის ხარჯების თაობაზე, თუკი ამას მხარეები მოითხოვენ და დაადასტურებენ სათანადო მტკიცებულებებით. სასამართლოსთვის მინიჭებული ამგვარი ლეგიტიმური უფლება გამომდინარეობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-5 ნაწილის დებულებიდან. საპროცესო ხარჯების განაწილება მხარეთა შორის ხდება თითოეულ ინსტანციის სასამართლოში ცალ-ცალკე და იმის მიხედვით, თუ როგორ შეცვლის ზემდგომი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებას, ამას მოჰყვება პროცესის ხარჯების განაწილების ცვლილებაც. საკასაციო პალატის შეფასებით, ვინაიდან არსებობს დავის გადაწყვეტასთან ერთად იმავე დავაზე განეული ხარჯების დაბრუნების სასამართლებრივი მექანიზმი, ხოლო საპროცესო კანონი სპეციალურ რეგულაციას არ იცნობს, მხარეებმა პროცესის ხარჯების დაბრუნების (მეორე მხარისათვის მათ სასარგებლოდ დაკისრება) შესახებ უნდა მიუთითონ ძირითად სასარჩელო მოთხოვნასთან ერთად, წინააღმდეგ შემთხვევაში, ივარაუდება, რომ მათ პრეტენზია პროცესის ხარჯებთან დაკავშირებით არ გააჩნიათ. ამასთან, მხარეებს არ უნდა შეეზღუდოთ პროცესის ხარჯების მოთხოვნის უფლება საქმის მომზადების დასრულების შემდგომ, ან საქმის ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში განხილვის ეტაპზე, თუკი ხარჯების საკითხი სწორედ საქმის განხილვის ამ სტადიაზე წარმოიშვა და მანამდე მხარისთვის ამ ფაქტის შესახებ ობიექტურად ცნობილი ვერ იქნებოდა“ (იხ. სუსგ №ას-165-158-2013, 27 იანვარი, 2014 წელი).

165. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, „როგორც წესი, მართლმსაჯულების განხორციელება დაკავშირებულია სასამართლო ხარჯებთან და სასამართლოსგარეშე ხარჯებთან... ამგვარი ხარჯების ოდენობა უნდა განისაზღვროს მხარის მიერ სასამართლოში წარდგენილი ფაქტობრივად განეული ხარჯების ოდენობის დამადასტურებელი მტკიცებულებების საფუძველზე. ამგვარი მტკიცებულების არარსებობის შემთხვევაში, სასამართლოს მხარის მოთხოვნის საფუძველზე თვითონაც შეუძლია გონივრულ ფარგლებში განსაზღვროს დახმარებისათვის განეული ხარჯების ოდენობა, თუკი ამკარაა, რომ პირის უფლების დარღვევის აღკვეთის მიზნით ხარჯი გაღებულია (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება „პინკოვა და პინკი ჩხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ“). სასამართლომ მხარეს ხარჯების ანაზ-

ლაურება უნდა დააკისროს მხოლოდ იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ისინი რეალურად და საჭიროებისამებრ იქნა გაღებული იმ მიზნით, რომ აღკვეთილიყო სამოქალაქო უფლების დარღვევა (აღამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება „სასანიძე საქართველოს წინააღმდეგ“). ამდენად, სასამართლომ ხარჯების განსაზღვრისას უნდა მოახდინოს მხარის სამართლიანი დაკმაყოფილება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სასამართლოს შეხედულებით ხარჯების ოდენობის განსაზღვრისას, დავის საგნის ღირებულებიდან გამომდინარე, პროცენტული ცენზის დადგენა გამორიცხავს ხარჯების ხელოვნურად გაზრდას და უზრუნველყოფს იმ მხარის ინტერესების დაცვას, რომელსაც ხარჯების გადახდა უნდა დაეკისროს“ (მდრ: სუსგ №ას-1053-2019, 31 იანვარი, 2020 წელი; №ას-1773-2019, 06 ივნისი, 2019 წელი; №ას-353-331-2017, 23 ივნისი, 2017 წელი; №ას-734-702-2016, 20 იანვარი, 2017 წელი).

166. განსახილველველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოპასუხესა და მის რწმუნებულს შორის ურთიერთობის მატერიალურ საფუძველს წარმოადგენს დავალების ხელშეკრულება (სსკ-ის 709-ე მუხლი). სამოქალაქო კოდექსის 710-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, მარწმუნებელი ვალდებულია გადაუხადოს რწმუნებულს გასამრჯელო მხოლოდ ხელშეკრულებით ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. საქმის მასალებში განთავსებულია მოპასუხე (მარწმუნებელი) ზ. ბ-ის მიერ ა. კ-ისათვის (რწმუნებული) ტერმინალის საშუალებით საკასაციო სამართალწარმოების ეტაპზე განეული იურიდიული მომსახურების საფასურის – 1000 ლარის გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულება.

167. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ადვოკატის მომსახურებისათვის განეული ხარჯის მეორე მხარისათვის დაკისრების საკითხის გადაწყვეტის წესი მოცემულია სსსკ-ის 53-ე მუხლში. ნორმის პირველი ნაწილის დანაწესით, იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4%-ისა. ნორმის დისპოზიცია იმგვარად არის ფორმულირებული, რომ არ ადგენს განეული ხარჯის სანაცვლო ანაზღაურების ერთმნიშვნელოვნ ოდენობას, არამედ ამ ოდენობის გონივრულად განსაზღვრის უფლებას უტოვებს სასამართლოებს. კანონმდებლის ამგვარი მიდგომა განპირობებულია იმ მოსაზრებით, რომ ადვოკატის მომსახურებაში გადახდილი ხარჯების სანაცვლო ანაზღაურებამ დაუსაბუთებლად არ უნდა შეზღუდოს

პროცესის მონაწილე მხარის უფლება და არ უნდა შექმნას წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯების ოდენობის ხელოვნურად გაზრდის პროცესუალური საფუძველი; ნორმის ამგვარი შინაარსის მიზანია პროცესის მონაწილე მეორე მხარის უფლებების დაუსაბუთებელი შეზღუდვის თავიდან აცილება. გონივრულობის კრიტერიუმად კი, კანონმდებელი მიიჩნევს დავის საგნის ღირებულების არაუმეტეს 4%-ს. აღსანიშნავია, რომ დავის საგნის ღირებულების 4% წარმომადგენს ზედა ზღვარს (კანონით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას), რომლის ფარგლებშიც ხდება წარმომადგენლის ხარჯების ოდენობის სასამართლოსმიერი განსაზღვრა და ამ თვალსაზრისით, მხედველობაში მიიღება კონკრეტულად რა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ქმედებები იქნა განხორციელებული ადვოკატის მიერ, რა სახის ადამიანური რესურსი დაიხარჯა, საქმის წარმოების რომელ ეტაპზე პროცესის მონაწილე რომელმაც მხარემ გასწია იგი და სხვ. (მდრ: სუსგ №ას-818-784-2016, 02 ნოემბერი, 2016 წელი). განეული საადვოკატო ხარჯის დაკისრებისას სასამართლო ხელმძღვანელობს საქმის სირთულით, სასამართლო სხდომებში მონაწილეობისათვის დახარჯული დროის, წარმოდგენილი მოსაზრებებისა თუ მტკიცებულებების სიმრავლით და სხვა ამგვარი გარემოებებით, რაც მეორე მხარისათვის დასაკისრებელი საადვოკატო ხარჯის გონივრულობას განაპირობებს (მდრ: სუსგ №ას-1125-2019, 31 ოქტომბერი, 2019).

168. რადგანაც განსახილველ შემთხვევაში ირკვევა მხარეთა შორის სასყიდლიანი დავალების ხელშეკრულების არსებობა, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მონინაალმდევე მხარის მოთხოვნა ადვოკატის მომსახურების ხარჯის კასატორისათვის დაკისრების შესახებ, ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და, კასატორს სსსკ-ის 53 I მუხლის საფუძველზე, უნდა დაეკისროს მონინაალმდევე მხარისათვის საკასაციო სამართალწარმოების ეტაპზე წარმომადგენლის ხარჯის ანაზღაურება 500 ლარის ოდენობით.

169. ვინაიდან სარჩელი დაკმაყოფილდა მხოლოდ ნაწილობრივ, კასატორის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

170. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში მოსარჩელეს (გამსესხებელი) დაკისრებული აქვს მონინაალმდევე მხარის (მოპასუხე) ადვოკატის იურიდიულ მომსახურებაზე განეული ხარჯის ანაზღაურება 1102, 67 ლარის ოდენობით, საკასაციო სამართალწარმოების ეტაპზე კი – 500 ლარი. ამდენად, სსსკ-ის 53-ე მუხლის საფუძველზე, კასატორს უნდა დაეკისროს მონინაალმდევე მხარის (მსესხებელი) სასარგებლოდ ადვოკატის იურიდიულ მომსახურებაზე განეული ხარჯის ანაზღაურება 1602,67 ლარის ოდენობით.

171. ჟ. ო-ას ზ. ბ-ის სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე განცხადებაზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასაზღაურებლად 50 ლარის გადახდა;

172. ჟ. ო-ას დაუბრუნდეს გ. გ-ას მიერ 2016 წლის 22 ივლისს სს „ბ. რ-ში“ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან – 1128 ლარიდან ზედმეტად გადახდილი 18,67 ლარი, რაც განთავსებული იქნა ხაზინის ერთიან ანგარიშზე №...;

173. ზ. ბ-ს დაუბრუნდეს ი. ხ-ას მიერ 2017 წლის 27 ივლისს სს „ს. ბ-ში“ განცხადებაზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 50 ლარის ოდენობით, რაც განთავსებული იქნა ხაზინის ერთიან ანგარიშზე №...;

174. ზ. ბ-ს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება 65.45 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის ოდენობით (გადახდის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით).

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 404-ე მუხლებით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და,

ბ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. ჟ. ო-ას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 15 მაისის გადაწყვეტილების ნაწილობრივი გაუქმებით, მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება.
3. ჟ. ო-ას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
4. ზ. ბ-ს ჟ. ო-ას სასარგებლოდ დაეკისროს სესხის ძირი თანხა – 1500 აშშ დოლარი და პირგასამტეხლო – 136, 35 აშშ დოლარი (ექვივალენტი ლარში გადახდის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით);
5. ჟ. ო-ას შუამდგომლობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 12 მარტის საოქმო განჩინების – თბილისის საქალაქო სასამართლოდან სამოქალაქო საქმე №2/5929-15 გამოთხოვის შესახებ, აგრეთვე, 2019 წლის 03 მაისის საოქმო განჩინების – სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2019 წლის 12 მარტის დასკვნის საქმეზე მტკიცებულებად დართვის გაუქმების შესახებ, დაკმაყოფილდეს;
6. გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით გადახდევინება მი-

ექცეს ზ. ბ-ის (პ/ნ ...) საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე, მდებარე: ქალაქი თბილისი, სოფელი ..., ს/კ ...;

7. ჟ. ო-ას ზ. ბ-ის სასარგებლოდ დაეკისროს სააპელაციო და საკასაციო სამართალწარმოების ეტაპზე წარმომადგენლის მომსახურებისათვის განეული ხარჯის ანაზღაურება 1602, 67 ლარის ოდენობით;

8. ჟ. ო-ას ზ. ბ-ის სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე განცხადებაზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად 50 ლარის გადახდა;

9. ჟ. ო-ას დაუბრუნდეს გ. გ-ას მიერ 2016 წლის 22 ივლისს სს „ბ. რ-ში“ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან – 1128 ლარიდან ზედმეტად გადახდილი 18,67 ლარი, რაც განთავსებული იქნა ხაზინის ერთიან ანგარიშზე №...;

10. ზ. ბ-ს დაუბრუნდეს ი. ხ-ას მიერ 2017 წლის 27 ივლისს სს „ს. ბ-ში“ განცხადებაზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 50 ლარის ოდენობით, რაც განთავსებული იქნა ხაზინის ერთიან ანგარიშზე №...;

11. ზ. ბ-ს ჟ. ო-ას სასარგებლოდ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება 114.87 ლარის ოდენობით,

12. ზ. ბ-ს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება 65.45 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის ოდენობით (გადახდის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით);

13. კასატორის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად;

14. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება;

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
ტელ.: (995 32) 2 98 20 75
www.supremecourt.ge